

# მ ა ტ ი ა ნ ე

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის  
კვლევის ცენტრის კრებული

## ЛЕТОПИСЬ

Сборник центра исследований историй, этнографий и фольклора  
Ванского района

## Chronicle

The Collection of Vani History, Ethnography and Folklore  
Research Centre

3560  
Вани  
Vani  
2018 წ.

№13

## სარჩევი

1. **მურმან ლაზანიძე**  
უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი .....
2. **ირაკლი აბაშიძე**  
ხმა კატამონთან (ო, ენავ ჩემო) .....
3. **ავთანდილ ნიკოლეიშვილი**  
ეროვნული პრობლემების გააზრების უმთავრესი ნახნაგები ძველ ქართულ  
სასულიერო მწერლობაში .....
4. **დიმიტრი ახვლედიანი**  
ვანი მსოფლიო კულტურული განვითარების კონტექსტში .....
5. **მანანა ვაჟაყვაძე**  
საბრძოლო იარაღები ვანის არქეოლოგიური გათხრებიდან .....
6. **სიმონ არველაძე**  
სტალინს ახსოვდა და ეამაყებოდა საქართველო .....
7. **მინდია სალუქვაძე, გურამ ბელთაძე**  
ზნეობრივი ურთიერთობებისა და ქცევის ოქროს წესის მათემატიკური მოდელები ....
8. **ინდირა გომოძე**  
ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი და  
მისი კრებული „მატიანე“ არსებობის ოთხი წლის გადასახედიდან .....
9. **ოზარ კაპანაძე, თამილა მჟავანაძე**  
კულტურულ-საგანმანათლებლო კერების მშენებლობის ტენდენციები ვანის რაიონის  
სოფლების მიხედვით .....
10. **ოზარ კაპანაძე**  
ტერმინ „ბევრის“ შესახებ .....
11. **აკაკი თევზაძე**  
ვანელი ახალგაზრდების შემოქმედება (პოეზია) .....
12. **ოზარ კაპანაძე**  
სოფელი ძულუხი .....
13. **სოფელი ზეინდარი**
14. **თაიშურაზ ადეიშვილი**  
სოფელი ყუმური .....
15. **სიმონ არველაძე**  
მეცნიერ-ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე  
(ამირან ნიკოლეიშვილი) .....
16. **თაიშურაზ ადეიშვილი**  
ამირან ნიკოლეიშვილი – ჭეშმარიტი მამულიშვილი .....
17. **რედაქციისაგან**  
მურთაზ ივანიძე .....



მუკმან ლებანიძე

**უფლისციხესთან სისხლისფერი  
ყაყაჩოს წვეთი**

უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი  
აბა დაღვრილის, – დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა,  
არავითარი სხვა სამშობლო ამხე მეტი  
აბ გამაჩნია!

მე დაგინახე სვეტიცხოვლის თოტმეტი სვეტი,  
თოთხმეტი ციხე ზეგნებიდან ლაჟვარდს გასჩრია,  
არავითარი სხვა სამშობლო ამხე მეტი  
აბ გამაჩნია!

მშვენიერია თრ-ზღვას-შუა კაგაკასის ხედი  
და კითხვა: „ვინ ვის? ბებერ გულში ლახვრად მაჩნია,  
არავითარი სხვა სამშობლო ამხე მეტი,  
არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა  
აბ გამაჩნია!

## ხმა კატამონთან

(ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ...)

ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ,  
 შენ ჩვენი ნიჭო, სრბოლაგ და ფრენავ,  
 შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალაპო,  
 შენ, ჭიბთა ჩვენთა ტკბილო მალაპო,  
 შენ, კიბო ჩვენთა ქვათა და კიბთა,  
 შენ ერთი შემჩნი სამარის პიბთან.  
 ნათესავს ათასს, მეგობარს ათასს,  
 მზუღსა და მართალს, მტერთა და ძმათა  
 დავითრდი, მოზრია, ყველა მითავდა,  
 მშვიდობა ვუთხან ყველა მოკვდავთა,  
 მხოლოდ შენ უკვდავს, მხოლოდ შენ მარადს,  
 შენ - ერთს, შენ ვერ გომობ სამარის კარად.  
 თუ რამ მზე მწამდა, თუ რამ მზე მწავდა,  
 უტკბილეს დღეთა უტკბილეს წამთა,  
 უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო,  
 შენ, მწარე ლხინო, ტკბილო სევდაო,  
 შენ, ყოვლის მოქმელო, ყოვლის არ მოქმელო,  
 შენ, გმიბთა გმიბო, ბრძენო ქართველო,  
 წარსული ძეგლო, წინ გამხედავო.  
 ქვესუნელში მძრომი, ცაში მჭვრეტელო.  
 ხან - ფუნჯო ჩემო, ხან - საჭრეთელო,  
 შენ, აკვნის ჰიბნო, ცრემლო სამარის...  
 იბერის ენავ, ენავ თამარის...  
 შენ, ნიჭო ჩემო, სრბოლაგ და ფრენავ,  
 დედაო ენავ, დედაო ენავ!  
 დაეცეს, იქნებ სიმაგრე ყველა,  
 მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,  
 დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,  
 დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას.  
 ყოველ ნერვს, იქნებ, დაატყდეს მენი,  
 ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედვას ფენი,  
 მხოლოდ შენ უჭკნობს, შენ ხატად ქცეულს,  
 რა ღვო, რა დასცემს შენს უკვდავ სხეულს?  
 ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ,  
 შენ, ჩემო ნიჭო, სრბოლაგ და ფრენავ,  
 შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალაპო,  
 შენ, ჭიბთა ჩვენთა ტკბილო მალაპო,  
 შენ, კიბო ჩვენთა ქვათა და კიბთა,  
 შენ ერთს, შენ ვერ გომობ, სამარის პიბთან...

## ეროვნული პრობლემების გააზრების უმთავრესი ნახაზები კვლევით ქართულ სასულიერო მწერლობაში

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემა ქართული სასულიერო მწერლობის ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებში პირდაპირი მნიშვნელობით არც კი დასმულა, არაპირდაპირი სახით იგი მაინც ხდება ამ პერიოდის თითქმის ყველა ლიტერატურული ნაწარმოების ღრმააზროვანი განსჯის საგანი. მათში ამ პრობლემის შესახებ მსჯელობა სისხლხორცეულად აღმოჩნდა დაკავშირებული ქრისტიანული სარწმუნოების დაცვა-განდიდების იმ იდეოლოგიასთან, რომელიც იმჟამინდელი ჩვენი მწერლობის მაგისტრალურ მიმართულებას წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამ არსებითად შეცვალა ქართველი ხალხის როგორც სარწმუნოებრივი, ისე ზნეობრივი და ეროვნული ცნობიერება და ამ დროიდან მოყოლებული, ქრისტიანული რელიგიის დაცვა ფაქტობრივად ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლასთან გაიგივდა. ეს სულისკვეთება გამჭოლ ხაზად გასდევს როგორც ქართული სასულიერო მწერლობის ადრინდელ ნიმუშებს, ისე მთელ ჩვენს კლასიკურ ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

ქრისტიანული სარწმუნოების აღიარებით ქართველმა ხალხმა ქვეყნის სამომავლო განვითარების უმთავრესი ვექტორი უპირველეს ყოვლისა ევროპული სივრცისკენ მიმართა და ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობის გრძელ გზაზე თითქმის ყოველთვის უმწვავესი ფორმით მდგარ კითხვას – დასავლეთი თუ აღმოსავლეთი? – მკვეთრად განსაზღვრული პასუხი გასცა.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული ისე არამც და არამც არ უნდა გავიგოთ, თითქოს დასავლური (ამ შემთხვევაში ბერძნულ-ბიზანტიური) ორიენტაციის ამგვარი გამოხატვა ცალმხრივად ბოჭავდა იმჟამინდელ ჩვენს ეროვნულ ცნობიერებას და ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას საფუძველს უსუსტებდა. რასაკვირველია, არა. ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სიძლიერის დასაცავად ბრძოლა იმდროინდელი ჩვენი მწერლობის მაგისტრალურ იდეოლოგიურ მიმართულებას წარმოადგენს და ამ თვალსაზრისით იგი პრინციპულად შორს დგას ყოველგვარი კომპრომისისგან.

როცა ჩვენი მწერლები ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებულ ადამიანთა წამებასა და ცხოვრებას აღწერდნენ, ამით ისინი იმავდროულად ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასაც და სიძლიერესაც განადიდებდნენ. ასე, რომ ქართველი ჰაგიოგრაფების მიერ იდეალიზებული გმირები არა მარტო ქრისტიანობისათვის ბრძოლას ეწეოდნენ, არამედ „საბოლოო ჯამში, ქართველთა დამოუკიდებლობისათვის და ეროვნული თვითმყოფობისათვის იბრძვიან“. მართალია, ჰაგიოგრაფიული მწერლობა ხაზს პირველ ყოვლისა მათ სარწმუნოებრივ თავგანწირვას უსვამს, მაგრამ „ეს სარწმუნოებრივი მომენტი საბოლოო ჯამში მაინც ეროვნული თვითმყოფობისათვის ბრძოლის იდეას ექვემდებარება. წმინდანინოს კულტის შექმნა, სომეხთაგან იდეური გამიჯვნა, ბერძენთა და სომეხთა უპირატესობის კატეგორიული უარყოფა, საკუთარი სარწმუნოებისა და ეროვნული (ქართველი) წმინდანების შექმნა-წინწამონწევის იდეები, რაც ასე უხვადაა მოცემული ადრეფეოდალური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში, სწორედ იმ ეროვნული თვითშეგნების გაძლიერება-განმტკიცების შედეგი შეიძლება იყოს, რაც ქვეყნის პოლიტიკური თუ კულტურული გაერთიანების ერთ-ერთი სტიმულიც იყო და იმავე დროს შედეგიც“ (ლორთქიფანიძე, 1966: 117).

ამ შემთხვევაში მრავლისმთქმელი და მეტად მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ თავიანთი ეროვნულ-სარწმუნოებრივი თვალთახედვისათვის მეტი სიმტკიცისა და დამაჯერებლობის მისაცემად ყურადღებას ისინი ხშირად არაქართველ მოწამეთა ღვაწლის წარმოჩენა-განდიდება-

ზეც ამახვილებენ ზოლმე. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ძველი ქართული მწერლობის უძველესი ძეგლების მთავარ ლიტერატურულ გმირებად ხშირად სწორედ ეს ადამიანებიც არიან ქცეულნი (შუშანიკი, ევსტათი მსცეთელი, ნინო, აბიბოს ნეკრესელი, აბო, რაჟდენი...).

მართალია, მათი მოწამეობრივი ცხოვრების უმთავრეს მიზანსწრაფვას ქრისტიანობის დაცვა-გამნტკიცება წამოადგენდა, მაგრამ მკითხველი იქვე იმასაც ცხადად ხედავს, რომ ამით ისინი ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სიძლიერის განმტკიცებასაც უწყობდნენ ხელს. ამიტომაც აქცია ქართველმა კაცმა ქრისტიანობისათვის თავდადებული ეს უცხოელი წმინდანები ეროვნულ გმირებადაც და მათი არა მარტო სარწმუნოებრივი ღვაწლი გაიხადა სამაგალითოდ, არამედ ჩვენი ქვეყნისათვის თავდადებაც.

იმ პერიოდში, როცა ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლები იქმნებოდა, საქართველო ერთ ქვეყანას ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა და იგი რამდენიმე პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ერთეულად იყო დანაწევრებული. მრავლისმთქმელია და მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ერთმანეთისგან განცალკევებული ამ „ქართული ქვეყნების“ ერთ სახელმწიფოს გაერთიანების პროცესის დაწყებასა და დამთავრებას წინ ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი და კულტურული ერთობის დამკვიდრება უძლოდა.

ამ ერთობის განმაპირობებელი უპირველესი და უმტკიცესი საფუძველი უწინარეს ყოვლისა ქართული ენა ხდება, რომელიც ამ დროიდან მოყოლებული „საბოლოოდ დამკვიდრდა როგორც კულტურის საერთო ენა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ამერ-იმერეთში, როგორც საერთო ენა მწერლობისა, ეკლესიისა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგისა“ (ინგოროყვა, 1945: 295).

ზემოთქმულმა ფაქტორებმა არსებითად განმსაზღვრელი როლი რომ შეასრულეს ჩვენი ქვეყნის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების საქმეში, ამაზე ის ფაქტიც ნათლად მეტყველებს, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მთლიანობის იდეის მქადაგებლებად და პრაქტიკული განხორციელებისათვის მებრძობლებად უპირველეს ყოვლისა სწორედ სასულიერო პირები რომ მოგვევლინენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და „ქება ქართულისა ენისა“.

გიორგი მერჩულეს ქრონოლოგიური თვალსაზრისით პირველი მწერალი იყო, ვინც ნათლად და არაორაზროვნად განსაზღვრა ის გეოგრაფიული არეალი, რომელსაც ქართული სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი სივრცე უნდა მოეცვა და გაეერთიანებინა. მისი განმარტებით, საქართველოდ, იმავე „ქართლად, ფრიად ქუეყანად აღირაცხების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების.“

ქართული სამფლობელოების ერთობის იდეას გიორგი მერჩულეს მოთხრობის მთავარი პერსონაჟი – გრიგოლ ხანძთელი (და არა მარტო იგი) მხოლოდ სიტყვიერად კი არ ქადაგებს, არამედ მისი და მისი თანამოაზრე ბერ-მონაზვნების პრაქტიკული საქმიანობითაც ემსახურება. პირველ ყოვლისა სწორედ ზემოთ ფორმულირებული ეროვნულ-სარწმუნოებრივი ერთობის დამკვიდრებისთვის ღვწის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ გრიგოლის სამონასტრო-საეკლესიო საქმიანობა საქართველოს მხოლოდ ერთი (ტაო-კლარჯეთის) კუთხით არ შემოიფარგლება და ფაქტობრივად მთელ ქართულ სივრცეს მოიცავს. ასე, რომ მისი, როგორც სასულიერო პირის, მოღვაწეობა საქართველოს ერთ სახელმწიფოებრივ ორგანიზმად ჩამოყალიბების თეორიული იდეის პრაქტიკულად ხორცშესხმის რეალურ გამოვლინებას წარმოადგენს.

შემთხვევითი არ არის ის გარემოებაც, რომ „ქართული ქვეყნების“ ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების პროცესის დაწყებას სისხლხორციულად უკავშირდება ბაგრატიონთა სამეფო გვარის ღვთიური წარმომავლობის იდეის ფართოდ დამკვიდრებაც.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად ამ შემთხვევაში ხაზგასმით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ პირველმქადაგებლად უწინარეს ყოვლისა სწორედ გიორგი მერჩულე მოგვევლინა, ქართული გეოგრაფიული სივრცის შემომსაზღვრელი მასშტაბების პირველგანმ-

მარტბელი ქართველი მწერალი და მამულიშვილი. მისი თქმით, აშოტ კურაპალატი დავით ნინასწარმეტყველის „შვილად ნოდებული ხელმწიფეა“, უფლის მიერ მადლცხებული ის პიროვნება, რომლისთვისაც „მეფობა და სათნობანიცა მისნი“ ქრისტე ღმერთს დაუმკვიდრებია.

ანალოგიური შეფასება ეძლევა აშოტის მემკვიდრის – ბაგრატის სამეფო მოღვაწეობასაც. გიორგი მერჩულეს აზრით, ბაგრატმა კურაპალატობა „ნებითა ღმრთისადათა და ბრძანებითა ბერძენთა მეფისადათა“ მხოლოდ იმიტომ მიიღო, რომ „მას ფლობა ხელმწიფებისა ზეგარდმო მიეცა.“

პ. ინგოროყვას აზრით, ბაგრატიონთა სამეფო გვარის ღვთაებრივი წარმომავლობის იდეის გაჩენა-დამკვიდრება, რაც IX საუკუნის დასაწყისში აშოტ პირველი დიდის მიერ ქართველთა სამეფოს აღდგენის ხანაში ხდება, „მიზნად ისახავდა ქართველთა სამეფოს დამოუკიდებლობისა და თვითმყოფობის იდეის განმტკიცებას, რამდენადაც ქართველთა სამეფოს მეთაურნი აღიარებულნი იყვნენ როგორც „მეფე ნებითა და ღმრთისადათა“, როგორც პირდაპირი შთამომავალი დავით მეფე-წინასწარმეტყველისა, რომელიც – ბიბლიური თქმულებით – მეფედ დადგენილი და ცხებული იყო ღვთაების მიერ და რომელიც ხორციელი წინაპარი იყო თვით იესო ქრისტესი. ამრიგად, ამით უარყოფილი იყო ყოველგვარი უფლებრივი დამოკიდებულება გარეშე ძალებისაგან, ქართველთა სამეფო აღიარებული იყო როგორც დამოუკიდებელი, თვითმყოფი და თავისუფალი“ (ინგოროყვა, 1954: 76-77).

როგორც ითქვა, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სიძლიერის განმტკიცებისთვის ბრძოლა ქართულმა სასულიერო მწერლობამ მშობლიური ენის განდიდებასაც დაუკავშირა სისხლხორცეულად. ამ თვალსაზრისით მკითხველს აქ უპირველეს ყოვლისა მინდა ფართოდ ცნობილი „ქებად ქართულისა ენისადა“ შევახსენო, რომლის ავტორადაც, ლიტერატურული ტრადიციით, მეთავე საუკუნეში მცხოვრები პოეტი და მწიგნობარი იოანე-ზოსიმეა მიჩნეული.

ბოლო წლებში ამ ნაწარმოებისადმი მკვლევართა ინტერესმა განახლებული ძალით იჩინა თავი და „ქებადასადმი“ მიძღვნილ ნაშრომებში ახლებური თვალთახედვით იქნა გააზრებული ამ ნაწარმოების არსისა და მიზანდასახულობის წარმომჩენი არაერთი საკითხი, მათ შორის მისი შექმნის თარიღიც. მკვლევართა დიდი ნაწილი დღეს უკვე იმ აზრისაა, რომ „ქებად“ მეთავე საუკუნეზე გაცილებით ადრე დაიწერა და იგი ჩვენი მწერლობის ერთ-ერთ პირველ ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ.

იმის გამო, რომ ამ საკითხის გარკვევა ჩემი მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს, ამჯერად ამ მიმართულებით საუბარს აღარ გავაგრძელებ; ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ „ქებადას“ შექმნით მისმა ავტორმა უმთავრეს მიზნად ქართული ენის მხოლოდ უბრალო განდიდება კი არ დაისახა, არამედ ეს მოვლენა თავისი მესიანისტური იდეის საფუძველთა საფუძველად აქცია და მას უჩვეულოდ დიდი მასშტაბები შესძინა.

კ. კეკელიძის შეფასებით, „ნაწარმოების ავტორი დაბეჯითებით ქადაგებს იმ აზრს, რომ „სახელითა უფლისადათა შემკული და კურთხეული“ ქართული ენა სხვა ენათაგან არა მარტო იმით არის გამორჩეული, რომ „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“, არამედ უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მეორედ მოსვლის ჟამს უფალი ადამიანებს სწორედ ამ ენით განიკითხავს: „დამარხულ არს ენად ქართული დღემდე მეორედ მოსვლის, მესიისა სანამებლად, რათა ყოველსა ენას ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.

ქართული ენის ღვთაებრივი მისიისა და გამორჩეულობის ამგვარი ქადაგებით „ქებადას“ ავტორი არა მარტო მშობლიურ ენას განადიდებდა, არამედ პირველ ყოვლისა ეროვნული თვითმყოფადობისა და თვითშეგნების განმტკიცებას ისახავდა მიზნად. თავისი ასეთი ეროვნული თვალთახედვით იგი, „მსგავსად იოანე საბანისძისა, თამამად უპირისპირებს ერთი-მეორეს ქართულსა და ბერძნულ კულტურას და პირველს უპირატესობას ანიჭებს მეორის წინაშე“ (კეკელიძე, 1980: 167).

ჩვენი ქვეყნის განვითარების პერსპექტიულ გზათა ძიებას V-XI საუკუნეების ქართველი

მწერლები სისხლხორცეულად უკავშირებენ ქრისტიანული რელიგიის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ამ თვალსაზრისით. ცხადია, ეს გარემოება მარტო იმით არ აიხსნება, იმჟამინდელ მწერალთა უდიდესი ნაწილი სასულიერო წრის წარმომადგენელი რომ იყო. მთავარი და არსებითი ამ შემთხვევაში იმ დიდი ეროვნული მისიის გაცნობიერება იყო, რომელსაც ქართული ეკლესია ასრულებდა იმხანად სახელმწიფოებრივი ძლიერების განმტკიცების საქმეში. როგორც ცნობილია, „ქართული ქვეყნების“ ერთ ეროვნულ ორგანიზმად შეკავშირების საქმე იმხანად პირველ ყოვლისა სწორედ ეკლესიამ იკისრა, რომლის გაერთიანების პროცესი მნიშვნელოვნად უსწრებს წინ საქართველოს სახელმწიფოებრივ გაერთიანებას.

V-XI საუკუნეების ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი განვითარება ოთხი უმთავრესი ალტერნატივის წინაშე იდგა: 1. ერის უდიდესი ნაწილი თავდადებით იღწვოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის და რაინდულად იბრძოდა მრავალრიცხოვან დამპყრობთა წინააღმდეგ. ამდროინდელმა ქართულმა მწერლობამ ქრისტიანობისათვის წამებულ პირთა ღვაწლის განდიდებით არაპირდაპირ მათი ეროვნულ-მამულიშვილური თავგანწირვაც განადიდა და ეს ადამიანები არა მარტო სარწმუნოებისათვის წამებულ წმინდანებად წარმოსახა, არამედ ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებადაც. ქართული ჰაგიოგრაფია დღევანდელი მკითხველისათვის, ჩემის აზრით, უწინარეს ყოვლისა სწორედ ამ თვალსაზრისითაა საინტერესო.

2. V-VII საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში სპარსული ზეგავლენა იმდენად გაძლიერდა, რომ ქართველ დიდგვაროვანთა ერთი ნაწილი სპარსოფილური ორიენტაციის გზასაც კი დაადგა და პიროვნული ძალაუფლების გასაძლიერებლად აქტიურად ჩადგა სპარსეთის სამსახურში. ეს პროცესი სათანადოდ რომ აისახა იმჟამინდელ ჩვენს ლიტერატურაში, ამის დასტურად აქ თუნდაც მარტო „მუშანიკის წამების“ გახსენებაც იქნება საკმარისი. ქართული სასულიერო მწერლობის შემოქმედნი მამულიშვილური სიმტკიცით დაუპირისპირდნენ ამ მომაკვდინებელ ტენდენციას და ანტისპარსული ორიენტაციის მოწინააღმდეგეებად არა მარტო ქართველი წმინდანები ჰყავთ გამოყვანილი, არამედ თავად სპარსელებიც (მაგალითად, ევსტათი მცხეთელი).

3. VII საუკუნის 40-იანი წლებიდან სპარსულ ზეგავლენას არაბული ცვლის. ჩვენს ქვეყანაში თითქმის ოთხსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდში არაბები ყველა ხერხსა და საშუალებას მიმართავდნენ საიმისოდ, საქართველო მათი იმპერიის ნაწილად რომ ექციათ და ქართველ ხალხში ჩაეკლათ ეროვნული სული. ამ მიზნით ისინი არა მარტო ძალას იყენებდნენ, არამედ მოსყიდვისა და სარწმუნოებრივი გადაბირების ცბიერ პოლიტიკასაც მასშტაბურად ატარებდნენ. მაგრამ, ამგვარი მცდელობის მიუხედავად, არაბულმა ორიენტაციამ ჩვენში ფეხი მაინც ვერ მოიკიდა და ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი ბოლომდე დარჩა არაბობის წინააღმდეგ თავგანწირვით მებრძოლ ძალად. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაზე ნათლად მეტყველებენ ქართული მწერლობის ის ძეგლები, რომლებიც არაბთა ბატონობის დროინდელ სინამდვილეს ასახავენ („აბოს წამება“, „დავით და კონსტანტინეს წამება“, „კონსტანტინე კახის წამება“, „გობრონის წამება“...).

4. და ბოლოს, დასავლეთ საქართველოში, რომელსაც იმხანად აფხაზეთის სამეფო ერქვა, აშკარად იგრნობა ბიზანტიის ზეგავლენა; თუმცა, სპარსეთისა და არაბეთისაგან განსხვავებით, ბიზანტიელთა დამპყრობლური პოლიტიკა გაცილებით უფრო ლოიალური და შენიღბული იყო, რის გამოც ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობა ისე გამწვავებული არ ყოფილა, როგორც სხვა დამპყრობლებთან. ვითარების ამგვარ ხასიათს ხელს ჩვენი ხალხების სარწმუნოებრივი თანამოაზრეობაც მნიშვნელოვანწილად უწყობდა. პირველ ყოვლისა სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ბერძნულ-ბიზანტიურ ორიენტაციას იმხანად სპარსულ და არაბულ ორიენტაციასთან შედარებით გაცილებით მეტი მომხრე ჰყავდა. თუმცა ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა და აფხაზეთის სამეფოს მკვიდრთა აბსოლუტური უმრავლესობის ეროვნული



იდეალიც პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ მიზანმიმართული სწრაფვა იყო.

ასე, რომ V-XI საუკუნეების ქართული მწერლობა, იმჟამინდელი ვითარებიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად და აქტიურად უჭერდა მხარს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას. ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ასე სწორხაზობრივი და ერთი მრწამსის გამომხატველი ქართული მწერლობა შემდგომში არასოდეს ყოფილა. მართალია, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გადარჩენის გზათა მაძიებელი არაერთი მწერალი იმედის თვალს ხან ერთ ქვეყანას მიაპყრობდა და ხან მეორეს და მისი მფარველობით ცდილობდა სამშობლოს დახსნა-გადარჩენას განსაცდელისაგან.

როგორც ითქვა, V-XI საუკუნეების ქართული მწერლობა ასეთი დიპლომატიური კომპრომისებისაგან ფაქტობრივად მთლიანად თავისუფალი იყო და იგი ერთმნიშვნელოვნად განადიდებდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ და სარწმუნოებრივ დამოუკიდებლობას.

ამ თვალსაზრისით რამდენადმე გამსხვავებული ვითარებაა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ე.წ. ოქროს ხანაში – საქართველოს ერთიან და მძლავრ ცენტრალიზებულ სამეფოდ დამკვიდრების პერიოდში. ამდროინდელი ქართული სახელმწიფო იმდენად ძლიერი ქვეყანა იყო, რომ არათუ ვინმეს ზეგავლენასა და მფარველობას არ განიცდიდა, არამედ თავად მფარველობდა არაერთ მეზობელ ქვეყანას. პირველ ყოვლისა სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემა და მეზობელ ქვეყანათა შორის მფარველ-მოკავშირის ძიება ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში, მანამდელი და მერმინდელი გაგებით, არსებითად არც კი დასმულა.

სამწუხაროდ, ჯერ მონღოლების, შემდგომში კი სპარსელების, თურქებისა და სხვა დამპყრობლების მიერ ანიოკებულ და გაპარტახებულ საქართველოში პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემა და: „ქართლის ბედის“ აქტიური ძიება არა მარტო ქვეყნის მმართველ ხელისუფალთა მოღვაწეობის უმთავრესი ზრუნვის საგანი ხდება, არამედ ჩვენი მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და საჭირობო საფიქრალიც.

## ვანი მსოფლიო კულტურული განვითარების კონტექსტში

ვანი საქართველოს ერთ-ერთი იმ კუთხეთაგანია, რომელიც როგორც ძველად, ისე ახლო წარსულში გარკვეულ როლს თამაშობდა მსოფლიოს კულტურული განვითარების კონტექსტში და იმედი ვიქონიოთ ასეთი ტენდენცია გაგრძელდება მომავალშიც. ეს მნიშვნელობა სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო და ჩვენი სტატიის მიზანია ამ თავისებურებათა წარმოჩენა.

როდესაც ვსაუბრობთ რომელიმე ობიექტზე, ან მოვლენაზე მსოფლიო კულტურული განვითარების კონტექსტში, საჭიროა უპირველეს ყოვლისა წარმოვაჩინოთ ის ვითარება, რომელიც იმ პერიოდში სუფევდა, რა გამონევენების წინაშე იდგა საზოგადოება და ჩვენთვის საინტერესო ობიექტი, ან მოვლენა რა როლს თამაშობდა და რა წვლილი შეიტანა შექმნილ ვითარებაში.

სწორედ ასე გვინდა წარმოვაჩინოთ ვანი ძველად, ახლო წარსულში და შეძლებისდაგვარად განვსაზღვროთ მისი დანიშნულება მომავალში. როდესაც ვხმარობთ სიტყვას - „ძველად“, ვგულისხმობთ ვანის ისტორიის იმ პერიოდს, რომელიც მოცემულია არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამომზეურებული მასალის შესწავლის საფუძველზე, ანუ ძირითადად ძვ.წ. I ათასწლეულს, როდესაც ძველი ვანი ჩამოყალიბდა, განვითარდა, დაკნინდა და საბოლოოდ განადგურდა როგორც ქალაქი. „ახლო წარსულში“ ვგულისხმობთ იმ პერიოდს, როდესაც დაიწყო ძველი ქალაქის ნანგრევების შესწავლა – XIX საუკუნის დასასრულიდან – დღემდე, ხოლო „მომავლით“ ავსახავთ იმ პროექტებს, რომლის განხორციელება დაგეგმილია ვანთან დაკავშირებით.

### ვანი ძველად

ძველი ქალაქი მდებარეობდა ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე, მდინარეების – რიონისა და სულორის შეერთების მახლობლად, დღევანდელი დასახლების განაპირა ბორცვზე, რომელიც „ახვლედიანების გორის“ სახელითაა ცნობილი. სამოსახლოდ შერჩეული ადგილი მეტად მოხერხებული ჩანს როგორც სტრატეგიული, ასევე სამეურნეო თვალსაზრისით. გარდა ამისა, ძველი ქალაქი ნაგებია ქვიშაქვის კლდეზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „თირს“ უწოდებს, ამიტომ ეს ადგილი მენწყერსაშიში არ არის და მონუმენტური ნაგებობების გამართვა მოსახერხებელია. წერილობითი წყაროები ძველ ვანზე თითქმის არ გაგვანჩნია (რაც შემორჩენილია, ისიც საკამათოა). ამიტომ მასზე წარმოდგენის შესაქმნელად ბერძენ-რომაელთა ის წერილობითი მონაცემები უნდა გამოვიყენოთ, რომლებშიც ზოგადად ძველ კოლხეთზეა საუბარი და რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრსაც ძველი ვანი წარმოადგენდა.

ძველი კოლხეთის ამსახველი წერილობითი წყაროების შესახებ არაერთ მკვლევარს უმსჯელია და გაუანალიზებია ისინი. ეს ეხება, როგორც კოლხეთის ხსენებას ბერძნულ მითებში, ასევე კონკრეტული, რეალური ისტორიის აღწერას. ამ საკითხის გარშემო ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს, ამიტომ გამეორებას აღარ შევუდგებით. მოვიყვანთ მხოლოდ იმ მონაცემებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, კოლხეთს, და კერძოდ, ძველ ვანს მსოფლიო კულტურული განვითარების კონტექსტში წარმოაჩენენ. პირველი – ეს არის კოლხეთის მოხსენიება, როგორც „ოქრომრავალის“, მეორე – კოლხეთის წარმოჩენა, როგორც ე.წ. „აბრეშუმის გზის“ ერთი მონაკვეთის, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ზოგადად ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე.

კოლხეთი, როგორც ოქროს მომპოვებელი და ოქროთი მდიდარი ქვეყანა, მოხსენებულია ძვ.წ. IV ს-ის უცნობი ავტორის, აპოლონიოს როდოსელის, სტრაბონის, აპიანეს, პლინიუს უფროსისა და სხვათა თხზულებებში [ლორთქიფანიძე ოთ., 1995-1996: 6 -17].

რაც შეეხება კოლხეთის ტერიტორიაზე გამავალ, ინდოეთიდან მომავალ სავაჭრო გზას, აღწერილი აქვთ სტრაბონსა და პლინიუსს [ლორთქიფანიძე ოთ., 1957: 377-384].

**ვანი ახლო წარსულში**

ვანის ახლო წარსულს, მსოფლიო კულტურული თვალსაზრისით, განვსაზღვრავთ ძველი ქალაქის შესწავლის დაწყებით და იმ სამეცნიერო და კულტურული მნიშვნელობით, რომელიც მან მოიპოვა XX ს-ის მეორე ნახევარსა და XXI ს-ის დასაწყისში.

ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო XIX ს-ის ბოლოს. კერძოდ, 1896 წელს აქ პირველი არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა (1863-1953). 1947 წლიდან ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ნინო ხოშტარია (1901-1969), ხოლო 1969 წ-დან 2002 წ-მდე – აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე (1930-2002).

არქეოლოგიური გათხრების ანგარიშები გამოქვეყნებულია ვანის ტომეულებში (სადღეისოდ გამოცემულია ათი ტომი, ვანის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფია მოცემულია IX ტომში).

სადღეისოდ ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი ძეგლები შემდეგი სახით შეიძლება წარმოვაჩინოთ: ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში განლაგებული იყო ძვ.წ. VIII-VII სს-ის სამლოცველო, რომლისგანაც შემორჩენილია ფანტასტიკური ცხოველების ტერაკოტული ფიგურები და დიდი რაოდენობით სხვადასხვა დანიშნულებისა და ფორმის კერამიკის ფრაგმენტები. ძვ.წ. V-IV სს-ის ძეგლებიდან შემორჩენილია ხის ნაგებობათა ნაშთები და მდიდრული სამარხები, რომლებიც კოლხეთის სამეფოს მაღალი წრის წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ, ასევე სხვადასხვა დანიშნულების, ადგილობრივი და იმპორტული (ბერძნული) კერამიკის ფრაგმენტები. სამარხებსა და კულტურულ ფენებში აღმოჩენილია მონეტები, როგორც ადგილობრივი („კოლხური თეთრი“), ასევე უცხოური; ნაქალაქარზე დაფიქსირებულია ოქრომჭედლობის წარმოების ნაშთებიც. ძვ.წ. III-I სს-ის ძეგლებიდან გამოვლენილია ელინისტური სამშენებლო ტექნიკით ნაგები ქალაქის დამცავი კედლები, ბერძნული არქიტექტურული ორდერის ელემენტებითა და ტექნიკით ნაგები ტაძრები და საკურთხევლები; ნაქალაქარზე ასევე აღმოჩნდა ბრინჯაოს ქანდაკების ნაშთები და ტორევიტიკული ძეგლები. კერამიკულ ნახელავში მატულობს იმპორტული, ბერძნული ნახელავის ხვედრითი ნონა. აქვე გამოვლენილია მონუმენტური ბრინჯაოს ქანდაკების სამსხმელოს ნაშთები.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ვანის შესახებ ცნობები ძირითადად არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოგვეპოვება, ამიტომ მისი ისტორიის ასპექტებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს:

**იდენტიფიკაცია.** ვანის ნაქალაქარის იდენტიფიკაციის შესახებ სამი განსხვავებული მოსაზრება არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი მას კლავდიოს პტოლემეაოსთან და პლინიუსთან მოხსენიებულ სურიუმთან აიგივებს [Хоштария, 1960: 7-50; Воронов, 1985:459-468; Каухчишвили, 1988:254-256], მეორე ნაწილი – სტრაბონისეულ ლევკოთეასთან [Лордкипანიძე О., 1972:106-125], მესამე კი – ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილ ბრინჯაოს დაფაზე შესრულებულ წარწერაში ნახსენებ ტაძისთან [ყიფიანი, 2014:65].

**პერიოდიზაცია.** სადღეისოდ ძველი ვანის ისტორია ოთხ ფაზად იყოფა: I – ძვ.წ. VIII-VII სს.; II – ძვ.წ. VII ს-ის ბოლო – ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებამდე; III – ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი; IV – ძვ.წ. III ს-ის შუახანებიდან – ძვ.წ. I ს-ის შუახანებამდე (ამავე დროს შეიძლება გამოიყოს ცალკეული ქვეფაზებიც) [ლორთქიფანიძე ოთ. 1995-1996].

ძველი ქალაქის საბოლოო ნგრევას, სხვადასხვა მკვლევარები, სხვადასხვა ისტორიულ პირებსა და თარიღებს უკავშირებენ:

გ. ლორთქიფანიძე თავის პირველ ნაშრომში ამას პომპეუსთან აკავშირებს [Лордкипანიძე Г., 1970:32]; ოთ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ ძველი ვანი თავისი ისტორიის ბოლო პერიოდში ორჯერ დაინგრა: პირველად მას ანგრევს ბოსფორის მმართველი ფარნაკე, ხოლო მეორედ – ძვ.წ. 47 წელს – მითრიდატე პერგამონელი [Лордкипანიძე О., 1972:106-125]; გ. დუნდუა და გ. ლორთქიფანიძე ერთობლივ ნაშრომში გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ძველი ვანი ინგრევა ძვ.წ. I ს-ის 80-იან წლებში მითრიდატე პონტოელის მიერ, როდესაც მან მისი

განმდგარი ვაჟი მითრიდატე ფილოპატორ ფილადელფი იგდო ხელთ [Дундуа, Лордкиპანიძე Г., 1983:142-143]; თ. თოდუას აზრით, ძველი ვანი თავისი ისტორიის ბოლო პერიოდში სამჯერ ინგრევა: პირველად იგი დაანგრია მითრიდატე პონტოელმა ძვ.წ. II-I სს-ის მიჯნაზე, მეორედ მისმა ვაჟმა ფარნაკემ – ძვ.წ. 49 წელს, მესამედ – მითრიდატე პერგამონელმა ძვ.წ. 47 წელს [Тодуа, 1988:42-143]. გ. გამყრელიძე ქალაქის პირველ ნგრევას მითრიდატე პონტოელს უკავშირებს ძვ.წ. I ს-ის 60-იან წლებში, მეორეს – პომპეუსს [გამყრელიძე, 1989:67].

ცალკეული აღმოჩენები მოწმობს, რომ ცხოვრება ბორცვზე გრძელდებოდა ქალაქის დანგრევის შემდეგაც, თუმცა არა ისე ინტენსიურად, როგორც უწინ [ლორთქიფანიძე ოთ., 1995-1996: 5].

**ატრიბუცია.** ძველი ვანის ატრიბუციას, მისი მთელი ისტორიის განმავლობაში, ოთხი მკვლევარი შეეხო:

გ. ლორთქიფანიძის აზრით, ვანის ნაქალაქარი მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში წარმოადგენს კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი სკეპტუხიის ცენტრს [Лордкиპანიძე Г., 1978:61], ხოლო ძვ.წ. II ს-ის ბოლოდან – მითრიდატე პონტოელის დასაყრდენ პუნქტს, რომელსაც პომპეუსის ლაშქრობამდე, სავარაუდოდ, კოლხი სკეპტუხი ოლთაკე მართავდა [Лордкиპანიძე Г., 1970:28].

მ. ინაძის აზრით, სატაძრო ცენტრი ვანში ყალიბდება ძვ.წ. VIII-VII სს-ში; ძვ.წ. V ს-ში იგი იღებს ჩამოყალიბებულ სახეს ქურუმთა ინსტიტუტითა და საკრალური რიტუალების სახით [ინაძე, 1986:32-35].

ოთ. ლორთქიფანიძე კი მიიჩნევს, რომ ვანი ძვ.წ. VIII-VII სს-ში (I ფაზა) მნიშვნელოვან რელიგიურ ცენტრადაა დაწინაურებული [ლორთქიფანიძე ოთ., 1995-1996: 7]. შემდეგ ეტაპზე –ძვ.წ. VI ს-ის ბოლო – ძვ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარში (II ფაზა) კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის პოლიტიკური ცენტრი ხდება [ლორთქიფანიძე ოთ., 1995-1996: 20]. ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა – III ს-ის პირველ ნახევარში (III ფაზა) შესაძლებელია, რომ ვანის მხარემ გარკვეულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მიაღწია [ლორთქიფანიძე ოთ., 1995-1996:24-25]. ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრიდან – ძვ.წ. I ს-ის შუა წლებამდე (IV ფაზა) ძველი ვანი ფუნქციონალური თვალსაზრისით იცვლება, იგი ქალაქ-სამლოცველოდ, სატაძრო ქალაქად იქცევა [ლორთქიფანიძე ოთ., 1995-1996:25; Лордкиპანიძე О., 1972:106-125].

გ. ყიფიანის აზრით, ძველი ვანი წარმოადგენდა საკულტო-ცერემონიალურ არეს და მიძღვნილი იყო ადგილობრივ დინასტთა კულტისადმი. იგი „მკვდარი ქალაქი“, ანუ ტაძარი იყო [ყიფიანი, 2014 : 65].

დანარჩენი მკვლევარები ქალაქის ისტორიის მხოლოდ ცალკეული ეტაპების ატრიბუციას ახდენენ:

გ. კვირკველიას აზრით, ვანი ძვ.წ. V-IV სს-ში ცენტრ-გადამანანილებელს წარმოადგენს [Квирквелия, 1990].

ი. ვორონოვის აზრით, ძვ.წ. III ს-დან ძველი ვანი წარმოადგენს ელინისტური „სტრუქტურის“ აკროპოლისს, რომლის შექმნაში დიდი როლი ითამაშეს მცირეაზიელმა ბერძნებმა, რომლებიც ადრეელინისტურ ხანაში შეუდგნენ კოლხეთის შიდა რაიონების კოლონიზაციას [Воронов, 1985:264-265].

გ. დუნდუას და გ. ლორთქიფანიძის ერთობლივ მონოგრაფიაში [Дундуа, Лордкиპანიძე Г., 1983:14], ასევე ვ. ტოლსტიკოვისა [Толстикова, 1985:352-365] და თ. თოდუას [Тодуа, 1988:142-143] ნაშრომებში გაზიარებულია გ. ლორთქიფანიძის ადრე გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც, მითრიდატე პონტოელის მიერ კოლხეთის ოკუპაციის პერიოდში, ძველი ვანი პონტოელთა გარნიზონის სადგომი იყო.

გ. დუნდუა თავის მონოგრაფიაში, ძვ.წ. I ს-ის ძველი ვანის ატრიბუციას კიდევ უფრო აზუსტებს: ძვ.წ. II ს-ის ბოლოდან ძვ.წ. 85, ან 83 წლებამდე ვანი წარმოადგენდა პონტოს მეფისნაცვლის რეზიდენციას; ძვ.წ. 85-83 წლებში, ან ძვ.წ. 83-80 წლებში ვანი გარდაიქმნა მი-

თრიდატე ფილოპატორ ფილადელფის საგამგებლოს სატახტო ქალაქად; ხოლო შემდეგ – ძვ.წ. 65 წლამდე, როგორც ჩანს, ის ისევ მეფისნაცვლის რეზიდენციად იქცა [Дундуа, 1987:127].

გ. გამყრელიძის მოსაზრებით, ძვ.წ. I ს-ში ვანი (სურისი) იბერიის სამეფოს გავლენის ქვეშ მოექცა [გამყრელიძე, 1989:66].

უმნიშვნელოვანესი მეცნიერული ღირებულებისაა ვანის ტერიტორიაზე გამოვლენილ სამარხებში აღმოჩენილი ოქროს ნაწარმი, ვინაიდან ამ პერიოდის ამსახველი ნარატიული წყაროები ძირითადად ბერძენ-რომაელ ავტორებს მიეკუთვნება და თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს თუ რა არის მითი და რა – რეალობა ამ ნაშრომებში. კოლხეთში და, კერძოდ ვანში, აღმოჩენილმა დიდი რაოდენობით ოქროს ნახელავმა ცხადჰყო, რომ ძველ ავტორთა ცნობები „ოქრომრავალი კოლხეთის“ შესახებ არის რეალობა და არა მითი.

ასევე ვანს უკავშირდება სიმპოზიუმები, რომლებიც შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის კვლევას ეძღვნებოდა და საერთაშორისო სარბიელზე ჰპოვა აღიარება. საქმე ისაა, რომ XX ს-ის სამოცდაათიანი წლებისათვის კოლხეთის არქეოლოგიაში დიდძალი მასალა დაგროვდა. ამ აღმოჩენების მსოფლიო ასპარეზზე გატანა, ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვის ჩვენება, კოლხეთის ძეგლებისა და მათ შორის ვანის მნიშვნელობის წარმოჩენა ძველი მსოფლიოს ცივილიზაციათა რიგში, იყო უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც იმ პერიოდის ქართული არქეოლოგიის წინაშე იდგა. მისი გადაწყვეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას სამეცნიერო შეკრებები წარმოადგენდა, რომლებიც ჯერ წყალტუბოს, ხოლო შემდეგ ვანის სიმპოზიუმების სახელით არის ცნობილი. ამ საქმიანობის სულისჩამდგმელი და მოთავე აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე გახლდათ. ამ დროისათვის მეცნიერთა წიაღში სულ უფრო და უფრო იკვეთებოდა მოსაზრება, რომ ანტიკური ხანის შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიაში არსებული მრავალი საკითხი მოითხოვდა ახლებურ გაშუქებას [კვიციანი, 2016 : 25-30].

სულ ჩატარდა თერთმეტი სიმპოზიუმი:

I – 1977 წ. – „ჩრდილო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის პრობლემები“;

II – 1979 წ. – „დემოგრაფიული სიტუაცია შავიზღვისპირეთში დიდი ბერძნული კოლონიზაციის პერიოდში“ ;

III – 1982 წ. – „შავიზღვისპირეთი ელინიზმის ეპოქაში“;

IV – 1985 წ. – „შავიზღვისპირეთის ადგილობრივი ეთნო-პოლიტიკური გაერთიანებები ძვ.წ. VII-IV სს-ში“;

V – 1987 წ. – „შავიზღვისპირეთი ძვ.წ. VII-V სს-ში: წერილობითი წყაროები და არქეოლოგია“;

VI – 1990 წ. – „არგონავტების ნაკვალევზე“;

VII – 1994 წ. – „შავი ზღვა – კონტაქტების ზონა“;

VIII – 1997 წ. – „რელიგია შავიზღვისპირეთში“;

IX – 1999 წ. – „ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა“;

X – 2002 წ. – „ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში“;

XI – 2005 წ. – „შავიზღვისპირეთი ელინისტური სამყაროს სისტემაში“.

პუბლიკაციები:

Проблемы греческой колонизации в Северном и Восточном Причерноморье, Тбилиси, 1979.  
 Демографическая ситуация в Причерноморье в период великой греческой колонизации, Тбилиси, 1981.

Причерноморье в VII-V вв. до н.э., Тбилиси, 1990.

Местные этно-политические объединения Причерноморья в VII-V вв. до н.э., Тбилиси, 1990.

Otar Lordkipanidzé et Pierre Lévêque, Le Pont-Euxin vu par les grecs, Sources écrites et archeology, Symposium de Vani (Colchide) – septembre-octobre 1987, éditeurs – Téa Khartchilava et Evelyne Geny, 1990, Paris.

Sur les traces des argonautes, Actes du 6e symposium de Vani (Colchide) - 22-29 septembre 1990, publiés sous le direction de Otar Lordkipanidzé et Pierre Lévêque, Paris, 1996.

La mer Noire zone de contacts, Actes du VIIe Symposium de Vani (Colchide) - 26-30 IX 1994, publiés sous le direction de Otar Lordkipanidzé et Pierre Lévêque, Paris, 1999.

Religion du Pont-Euxin, Actes du VIIIe Symposium de Vani (Colchide) - 1997, publiés sous le direction de Otar Lordkipanidzé et Pierre Lévêque, Paris, 1999.

Pont-Euxin et commerce. La genèse de la “route de la soie”, Actes du IXe Symposium de Vani (Colchide) – 1999, traduction et édition: Murielle Faudot, Arlette Fraysse et Évelyne Geny, Paris, 2002.

Pont-Euxin et Polis, polis hellenis et polis barbaron, Actes du Xe Symposium de Vani – 23-26 septembre 2002, Hommage à Otar Lordkipanidzé et Pierre Lévêque, Paris, 2005.

ამ სიმპოზიუმებს ბევრი დადებითი მხარე ჰქონდა - უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები უშუალოდ ეცნობოდნენ ერთმანეთს და კეთილმეგობრულ ურთიერთობებს ამყარებდნენ; ხდებოდა დიდი რაოდენობით ახალი ინფორმაციის აკუმულირება - ფართო სამეცნიერო საზოგადოება სწრაფად იღებდა ინფორმაციას სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ; მრავალმა ორიგინალურმა და ახალმა სამეცნიერო მოსაზრებამ დაიმკვიდრა თავისი ადგილი (სურ. 1).

ვანის არქეოლოგიური შესწავლის, მისი ძეგლების დაცვის და პოპულარიზაციის საქმეში დიდი როლი ითამაშა 1983 წელს მუზეუმ-ნაკრძალის დაფუძნებამ, ხოლო 1985 წელს ვანის არქეოლოგიური მუზეუმის გახსნამ, რომელიც დღეს ოთ. ლორთქიფანიძის სახელს ატარებს.

ასევე მნიშვნელოვანია ვანის აღმოჩენების წარმოდგენა მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში: „ოქრომრავალი კოლხეთი: მითი და რეალობა“, თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი. მარტი 2005 - დეკემბერი 2006.

„მედეას ოქრო“, Altes Museum, ბერლინი, გერმანია, თებერვალი – ივნისი 2007.

ფულის მუზეუმი, პარიზი, საფრანგეთი, სექტემბერი – ნოემბერი 2007.

არტურ მ. საკლერის გალერეა, სმიტსონის ინსტიტუტი, ვაშინგტონი, აშშ, დეკემბერი 2007-თებერვალი 2008.

ძველი სამყაროს შემსწავლელი ინსტიტუტი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტი, ნიუ-იორკი, აშშ, მარტი - ივნისი 2008.

ფიცვილიამის მუზეუმი, კემბრიჯი, დიდი ბრიტანეთი. ოქტომბერი 2008 – იანვარი 2009.

ბენაკის მუზეუმი, ათენი, საბერძნეთი, იანვარი – აპრილი 2009.

პოლ გეტის მუზეუმი, ლოს ანჯელესი, აშშ, ივლისი – ოქტომბერი 2009.

ხმელთაშუაზღვისა და წინა აზიის კულტურის მუზეუმი, სტოკჰოლმი, შვედეთი. ნოემბერი 2009 – თებერვალი 2010.

დრენტ მუზეუმი, ასენი, ჰოლანდია. თებერვალი – აგვისტო 2010.

სევილიის არქეოლოგიის მუზეუმი, სევილია, ესპანეთი. მაისი – ივნისი 2010. (სურ. )

### ვანი მომავალში

თანამედროვე სამყაროში მიღებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით საზოგადოების ფართო ფენების დაინტერესება. ამიტომ მუზეუმებისა და ძეგლების დამთვალიერებელთა რაოდენობამ მსოფლიოში განუზომლად იმატა. შესაბამისად, დადგა იმის საჭიროება, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მოეწყო ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც მოსახერხებელს გახდოდა დამთვალიერებელთა დიდი ნაკადების მომსახურეობას. ამ გამოწვევების წინაშე ვანის ნაქალაქარიც დგას.

თუ როგორი უნდა იყოს ვანი მომავალში, ამაზე იმ პროექტების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომლებიც დაგეგმილია განსახორციელებლად.

პირველი რაც უნდა გაკეთდეს, ესაა „ვანის მუზეუმ-ნაკრძალის განვითარების პროექტი“, რომლის მიზანიცაა ვანის ნაქალაქარის კონსერვაცია, მისი ინფრასტრუქტურის განვითარება და მუზეუმ-ნაკრძალის ტურისტული შესაძლებლობის გაზრდა.

2004 წლიდან, ვანის მუზეუმ-ნაკრძალი წარმოადგენს საქართველოს ეროვნული მუზეუმის სისტემაში შემავალ რეგიონალურ ერთეულს, სადაც გრძელდება სამეცნიერო კვლევა, ეწყობა ადგილობრივი თუ საერთაშორისო გამოფენები და ასევე, მიმდინარეობს ღონისძიებები, რომელიც ითვალისწინებს მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე სამეცნიერო თუ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას.

2012 წლიდან მსოფლიოს ბანკის დაფინანსებით და მუნიციპალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობს პროექტი, რომლის ფარგლებშიც აიგო ღია ცის ქვეშ ძეგლებზე დამცავი კონსტრუქციები, მოეწყო დამთვალეირებელთათვის ბილიკები და ა.შ., უახლოეს მომავალში დამთავრდება მუზეუმის შენობის სრული რეაბილიტაცია, აშენდება ახალი ფლიგელი (სურ. 2).

ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია, ასევე, რომ ვანის ნაქალაქარი შეყვანილია იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნინასწარულ ნუსხაში. მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში მოსახვედრად ძეგლს უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული ღირებულება კაცობრიობისათვის. ძეგლი უნდა აკმაყოფილებდეს ექვსი განმსაზღვრელი კრიტერიუმიდან ერთს, ან რამდენიმეს. ეს კრიტერიუმებია:

- I – ობიექტი წარმოადგენს კაცობრიობის შემოქმედებითი გენიის შედეგს.
- II – ძეგლი უნდა ასახავდეს დროის განსაზღვრული პერიოდის მანძილზე ან გარკვეული კულტურული სფეროს ფარგლებში არსებული საკაცობრიო ღირებულებების ერთობლიობას, ასევე არქიტექტურისა და ტექნოლოგიის, მონუმენტური ხელოვნების, ქალაქგანაშენიანების ან ლანდშაფტური დაგეგმარების განვითარებას.
- III – ძეგლი წარმოადგენს არსებული, ან გამქრალი კულტურის ორიგინალურ, ან მინიმუმ, განსაკუთრებულ ნიმუშს.

IV – ძეგლი წარმოადგენს ნაგებობათა გარკვეულ ტიპს, არქიტექტურული, ან ტექნოლოგიური ანსამბლის ან ლანდშაფტის განუმეორებელ საუკეთესო ნიმუშს, რომელიც კაცობრიობის ისტორიის ერთ, ან რამდენიმე მნიშვნელოვან მოვლენას უკავშირდება.

V – ძეგლი წარმოადგენს ადამიანის დასახლების გარკვეული ტიპის, მიწის, ან ზღვის გამოყენების განსაკუთრებულ, საუკეთესო ნიმუშს, რომელიც ერთი ან რამდენიმე ცნობილი კულტურისათვის ტიპურია ან ის ასახავს ადამიანისა და გარემოს ურთიერთობას. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ შეუჩერებელი ცვლილების გამო ძეგლს გაქრობა ემუქრება.

VI – ძეგლი უშუალოდაა დაკავშირებული მოვლენებთან, ან ტრადიციული ცხოვრების წესთან, იდეებთან ან რელიგიურ რწმენებთან, ხელოვნებისა და ლიტერატურულ ნაწარმოებთან, რომლებსაც განსაკუთრებული, უნივერსალური მნიშვნელობა აქვთ.

აქედან ვანის ნაქალაქარი აკმაყოფილებს II, III და VI კრიტერიუმებს.

II. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ გამოვლენილია ძვ.წ. I ათასწლეულის ნაქალაქარის ნაშთები – სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობები (სამლოცველოები, ტაძრები, საკურთხეველები, ცალკეული არქიტექტურული დეტალები); ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის და სხვა მასალისაგან დამზადებული ნაკეთობების შემცველი მდიდრული სამარხები; ბრინჯაოს, რკინისა და თიხისაგან დამზადებული მონუმენტური და მცირე ზომის ფიგურები; სხვადასხვა სახის მხატვრული ნაწარმის და სხვა სახის პროდუქციის დამამზადებელი სახელოსნოების ნაშთები; თავდაცვითი ნაგებობები და იარაღ-საჭურველი; ადგილობრივი და უცხოური მონეტები, ასევე ადგილობრივი და იმპორტული (ბერძნული) კერამიკა.

III. ვანის ნაქალაქარი წარმოადგენს ძველი კოლხეთის კულტურის ნიმუშს. ძვ.წ. VIII-VII სს-

ში სამლოცველოს; ძვ.წ. V-IV სს-ში კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ცენტრს; ძვ.წ. III ს-ის შუა წლებიდან ძვ.წ. I ს.-ის შუა წლებამდე - რელიგიურ ცენტრს. აქედან პირველი ორი პერიოდის კოლხური კულტურა ძირითადად თვითმყოფადობით გამოირჩევა, მესამე პერიოდში კი ელინისტური კულტურის ძლიერ ზეგავლენას განიცდის.

VI. როგორც ძველი ავტორები მოგვითხრობენ, კოლხეთი და, შესაბამისად, მისი უმნიშვნელოვანესი ცენტრი ვანი, მდებარეობდა ე.წ. „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთ მონაკვეთზე. ეს გზა ინდოეთიდან შავ ზღვამდე მოემართებოდა და მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ძველი სამყაროს ვაჭრობის განვითარებაში. ვანი წარმოადგენს იმ არქეოლოგიურ ძეგლს, სადაც გამოვლენილია, როგორც ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შავიზღვისპირეთის ბერძნული, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნების ნაწარმი – მონეტები, ტორევეტიკის ნიმუშები, კერამიკა (მათ შორის ამფორები). ამდენად, ძველი ვანის საერთაშორისო მნიშვნელობა განსაზღვრული იყო მისი მდებარეობით – იგი იყო დამაკავშირებელი დასავლეთისა და აღმოსავლეთის სამყაროების, რაც მის კულტურაზეც აისახა.

კოლხეთის და, კერძოდ ძველი ვანის კულტურა ძვ.წ. VIII-IV სს-ში თვითმყოფადობით გამოირჩევა. სწორედ ძვ.წ. VIII ს-ში ჩაისახა კოლხური კულტურის ისეთი ფენომენი, როგორიც ოქრომჭედლობაა, რომელმაც თავისი აყვავების მწვერვალს ძვ.წ. V-IV სს-ში მიაღწია. კოლხეთის ოქრომჭედლობამ შორს გაიტყვა სახელი მთელს სამყაროში და მას „ოქრომრავალ კოლხეთს“ უწოდებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კოლხეთის ოქრომჭედლობა ზოგჯერ ბერძნულ და ირანულ გავლენას განიცდიდა, იგი მაინც თვითმყოფადობას ინარჩუნებდა. ძველი ვანი წარმოადგენდა კოლხური ოქრომჭედლობის საწარმოო ცენტრს, ვინაიდან აქ, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ოქრომჭედლობის წარმოების ნაშთები გამოვლინდა [ჭყონია, 1981:92-97]. ამდენად, სწორედ ოქრომჭედლობა გვესახება მხატვრული ხელოვნების ერთ-ერთ იმ დარგად, რომელის მეშვეობითაც ძველმა ვანმა თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის გამდიდრების საქმეში.

ძვ.წ. III-I სს. ხასიათდება ევრაზიის კონტინენტზე ელინისტური კულტურის გავრცელებით. ეს პროცესი ძველ ვანსაც შეეხო, სადაც ამ პერიოდში შენდება ელინისტური ხანის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი, სხვადასხვა შენობა-ნაგებობები – ქალაქის დამცავი კედლები, ტაძრები, საკურთხევლები და სხვა. მაგრამ ყველაზე უფრო ნიშანდობლივია, ვანში, ამ პერიოდის ბრინჯაოს მხატვრული ნახელავის – ქანდაკებების (მონუმენტურისა და მცირეს), ტორევეტიკის და სხვათა დიდი რაოდენობით აღმოჩენა. რა თქმა უნდა ზოგიერთი ეს ნახელავი უცხოეთიდან უნდა ყოფილიყო შემოტანილი, მაგრამ ვანში მონუმენტური ქანდაკებების სამსხმელო აღმოჩნდა, რაც უტყუარი მოწმობაა იმისა, რომ ძველი ვანი ელინისტური კულტურის ერთ-ერთ (შესაძლოა მოკრძალებულ) ცენტრს წარმოადგენდა, სადაც მხატვრული ხელოვნების ისეთი ნიმუშები, როგორცაა ქანდაკება, იქმნებოდა. ამ თვალსაზრისითაც შეიტანა ძველმა ვანმა თავისი წვლილი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საგანძურში.

**ბიბლიოგრაფია**

**გამყრელიძე გ.**, მითრიდატე ევპატორი და კოლხეთ-იბერიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. – მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია), №2, თბ., 1989.

**ინაძე მ.**, სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში. – მაცნე (ისტორიის სერია) № 4, თბ., 1986.

**კვირკველია გ.**, ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმები, მატთანე №6, ვანი, 2016.

**ლორთქიფანიძე ოთ.**, ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო ზის შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIX, №3, 1957.

**ლორთქიფანიძე ოთ.**, ვანი – „ოქრომრავალი“ კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი, მაინცი, 1995-1996.



- ყიფიანი გ. ქალაქი „Σοῦρι“, თბ., 2014.
- ჭყონია ა., ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი VI, თბ., 1981.
- Воронов Ю.Н., Восточное Причерноморье в системе эллинистического мира. - Причерноморье в эпоху эллинизма. Материалы III Всесоюзного Симпозиума по древней истории Причерноморья, Цхалтубо 1982, Тбилиси 1985.
- Дундуа Г.Ф., Нумизматика античной Грузии, Тбилиси 1987.
- Дундуа Г.Ф., Лордкипანიძე Г.А., Денежное обращение Центральной Колхиды в V-I вв. до н. э., Тбилиси 1983.
- Каухчишвили Т.С., Греческая надпись на бронзовой плите из Вани. – Местные этно-политические объединения, Причерноморье в VII-V вв. до н. э., Тбилиси, 1988.
- Квирквелия Г.Т., Ванский регион в VIII-V вв. до н. э., - Причерноморье в VII-V вв. до н. э., Тбилиси 1990.
- Лордкипანიძე Г.А., К истории древней Колхиды, Тбилиси, 1970.
- Лордкипანიძე Г.А., Колхида в VI-II вв. до н. э., Тбилиси, 1978.
- Лордкиპანიძე О. Д., К локализации τὸ τῆς Λευκοθρίας Περὶν, - ВДИ, № 2, 1972.
- Тодуа Т.Т., Крепости Митридата VI Евпатора в Колхиде. ВДИ, № 1, 1988.
- Толстиков В.П., Эллинистические элементы в фортификационных системах Боспора. - Причерноморье в эпоху эллинизма. Материалы III Всесоюзного Симпозиума по древней истории Причерноморья, Цхалтубо 1982, Тбилиси, 1985.
- Хоштария Н.В. Археологические раскопки в Вани в 1959 году. სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1959 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევის შედეგებისადმი, თბ., 1960

## საბრძოლო და თავდაცვითი იარაღი ანტიკური ვანიდან

არქეოლოგიური გათხრები ვანის ანტიკური ქალაქის ტერიტორიაზე 1947 წლიდან მიმდინარეობს. ამ ხნის მანძილზე მონაპოვარ არქეოლოგიურ მასალაში, რომელიც ძველი სატაძრო ქალაქის კვლევას აღმოჩნდა, ფრიად საყურადღებოა საბრძოლო და თავდაცვითი იარაღ-საჭურველის სიუხვე.

ვანის ნაქალაქარზე წლების განმავლობაში წარმოებული საველე არქეოლოგიური კვლევების შედეგად, გამოვლენილი და ფიქსირებულია მრავალფეროვანი საბრძოლო მასალა და ეს იარაღები ნათელ შთაბეჭდილებას ქმნიან ძველი კოლხეთის სამხედრო საქმის განვითარების დონესა და მის სიძლიერეზე.

საბრძოლო იარაღები წარმოდგენილია კედლის სანგრევი მანქანების, სასროლი მოწყობილობების, სატყორცნ-საძგერებელი-დასარტყმელი იარაღით და თავდაცვითი საჭურველით.

ანტიკური ქალაქის ჩრდილო ნაწილში განლაგებულია კარიბჭის რთული საფორტიფიკაციო არქიტექტურული ანსამბლი. იგი 1966 წელს შემთხვევით იქნა აღმოჩენილი ადრე არსებული ძველი გზის გაფართოებისას. კარიბჭის ხუროთმოძღვრული კომპლექსის საამშენებლო ტექნიკა, კარების კონსტრუქცია და საერთოდ გამაგრების სისტემა ძალიან ახლოს დგას ბერძნულ-ელინისტური ქალაქების ამავე დანიშნულების ნაგებობებთან, თუმცა ამავე დროს დიდია თავისებურებები და ძირეული განსხვავებებიც.

ქალაქის კარიბჭე და მასთან დაკავშირებული გალავნის კედლები (კომპლექტით გამაგრებული) აგებულია კლდოვან დედაქანზე. ძირითადი კედლის სისქე სამ მეტრს აღწევს და აგებულია ქვათლილებით, რომლებსაც „რუსტებიან“ ქვათლილებს უწოდებენ.

შესასვლელთან, კედელში გამოკვეთილია სპეციალური ნიში, რომელიც ზემოდან ჩამოსამკვები რკინის კარისათვის იყო განკუთვნილი. ასეთ კარებს ბერძნები „კატარაქტს“ უწოდებენ. კარები მჭიდროდ იხშობოდა საღამოობით და მტრის შემოსევის საფრთხის არსებობის შემთხვევაში. კარიბჭის კარებს სქელი ხისაგან ამზადებდნენ, შემდეგ კი, რკინის ფილებით შემოჭედავდნენ. კარების რკინის გარსაკრავებმა ჩვენამდე ფრამენტულად მოაღწია და მათი ნახვა შესაძლებელია ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში.

კარიბჭის „შიდა ეზო“ – ზემოდან დახურულ სივრცეს წარმოადგენდა, რომლის გადარჩენილი ქვის კედლების სიმაღლე ზოგიერთ ნაწილში 2,55 მ აღწევს. აღმოსავლეთ მხრიდან ნალისებური მოყვანილობის კოშკი იცავს (რომელიც ძალზედ დანგრეულია). იგი მიშენებულია გალავნის კედელზე და 45%-ის მქონე დახრილობის ფერდს მიჰყვება, რაც წინააღმდეგობას უქმნიდა მოიერიშე მტერს, კედლის სანგრევი, თუ ბორბლებზე მდგარი იარაღის გამოსაყენებლად.

გალავნის კედლის სისქე 2,80 სმ. აღწევს, გალავნის შიგნიდანაც, ზუსტად იგივე -2,80-სმ დაცილებით, პარალელური კედლის მეორე რიგია აშენებული. ამ ორ კედელს შორის სივრცე დატინრულია და მცირე ზომის სათავსოებია შექმნილი. სათავსოებში, თუმცა მეტწილად ამფორები აღმოჩნდა, ასევე მრავლად იყო ქვის მრგვალი ჭურვები. ვანის ნაქალაქარზე თითქმის ყველგან, ძვ.წ. II-სს. ფენებში დიდი რაოდენობით გვხვდება სხვადასხვა ზომის ქვის მრგვალი ბირთვები, ეს ჭურვები სპეციალური ქვის სატყორცნი მანქანებისათვის, კატაპულტებისთვის იყო განკუთვნილი. ქართულ წერილობით წყაროებში ბერძნულ-რომაული კატაპულტების ნაირსახეობას „ფილაკავანს“ – უწოდებენ. ჭურვები სხვადასხვა ზომისაა: – ზოგი ბუნებრივი ქვის ლოდია, ზოგიც ხელითაა ნაკვეთი. ქვის ზომები ცხადია იმაზე მეტყველებს, რომ კატაპულტებიც სხვადასხვა კალიბრისა იყო.

ამკარაა, აღნიშნული სათავსოები საკვებ-სანოვაგესთან ერთად, იარაღ-საჭურველის შესანახად იყო გამიზნული.

გალავნის კედლის სიგრძე 15 მეტრია და იგი პოლიგონალური კოშკით ბოლავდება. სწორედ ამ კედლებზე შეიძლებოდა განლაგებულიყო ლოდსატყორცნები, რომლებიც 16 სმ. კალიბრის ქვის ჭურვებისათვის (2,3 -2,5კგ) იყო განკუთვნილი, ანუ იმ სიდიდის ჭურვებისათვის, რომლებიც გალავნის კედლებში აღმოჩნდა და ეკუთვნოდა ადგილობრივ გარნიზონს. კოშკი კი, სანახევროდაა გათხრილი, სადაც არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩენილი იქნა ბრინჯაოს ფირფიტები თავისავე ბრინჯაოს ლურსმნებით. როგორც ჩანს ეს ფირფიტები დარაბების გარსაკრავად გახლდათ განკუთვნილი, რაც დამახასიათებელი ელემენტია კოშკის მესამე სართულისთვის.

ვანის ძველი ქალაქის კარიბჭე თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ როგორაა ერთმანეთთან მჭიდროდ შერწყმული ბერძნულ-ელინისტური და ადგილობრივი საკრალური და საამშენებლო ტრადიციები.

ქვის ჭურვები რამდენჯერმე და საკმაო რაოდენობით იქნა აღმოჩენილი ანტიკური ვანის სხვადასხვა უბანზე. ნ.ხომტარიამ ჯერ კიდევ 1947 წელს მიკვლია ქვის ჭურვების საკმაო მარაგს (60ც) ახვლედიანების გორის თავზე, ერთ-ერთი ქვის ნაგებობის ჩრდილოეთი კედლის გარეთა მხარეს. გარდა ამის, ასზე მეტი ჭურვი იქნა ნაპოვნი იქვე, ალიზის კედლის ნაშალთან. დღეისათვის ბოლო აღმოჩენა კი – 2007 წელს მოხდა ნაქალაქარის ცენტრალურ უბანზე. საკულტო ნაგებობის მიმდებარედ, საგანგებოდ გაჭრილ ორმოში, სარიტუალო ჭურჭლებთან ერთად უხვად ენყო სხვადასხვა ზომის ქვის სატყორცნი ჭურვები.

საერთოდ ქვის ჭურვები გვხვდება აკროპოლისის თითქმის ყველა უბანზე და მათ კარგად ეტყობათ ვინროპირიანი წერაქვის მსგავსი იარაღით დამუშავების კვალი. ისინი დამზადებულია ადგილობრივი ბიოტიტური ტუფისგან. ამ ჯიშის ქვებისგან ვანში ძვ.წ. III-II სს რამოდენიმე ნაგებობაც აუშენებიათ. (ისინი ვანში მიქელეფონიდანაა ჩამოტანილი) ქვის ჭურვები არ მოითხოვენ განსაკუთრებულ ყურადღებას, ხშირად მათ ღია ცის ქვეშ აწყობდნენ სატყორცნი მანქანებთან ახლოს. ლოდსატყორცნი მანქანები ფართოდ გამოიყენებოდა სამხედრო საქმეში ძვ. წ.-IV-საუკუნიდან მთელი ანტიკური ხანის განმავლობაში. ამ მოწყობილობათა ძირითადი ნაწილი ხისა და თოკებისაგან შედგებოდა, ამიტომ მათ შესახებ მონაცემები ძირითადად მხოლოდ ანტიკურ ავტორთა ნაშრომებშია დაცული. არქეოლოგიური მასალა, რომელიც ამ მანქანების გამოყენებაზე მიუთითებს, ძირითადად ქვის ჭურვებით არის წარმოდგენილი. ამ საბრძოლო მასალის, (ქვის ჭურვების) წონა 12 კგ-დან 29 კგ-მდე მერყეობს. ცხადია, ქვის ჭურვებისათვის სპეციალურად არ არჩევდნენ ქვის ჯიშებს, მათთვის ჩვეულებრივ ხელმისაწვდომ მასალას იყენებდნენ და მარაგს ასე ავსებდნენ.

ადვილი მისახვედრია, რომ მტერი სააღყო პირობებში ასე გულმოდგინედ არ და, ვერც დაამზადებდა სხვადასხვა კალიბრის ჭურვებს. საუკეთესო ვარიანტით, უმჯობესი იქნებოდა, თუ მათ მდინარე რიონის და სულორის ნაპირებზე შეაგროვებდნენ.

ქვის ჭურვების სატყორცნი მანქანები განთავსებული იყო გალავნებზე, კოშკზე, ან მის ქვედა ნაწილში, საიდანაც სპეციალურად დატოვებული ღია სათოფურიდან შეიძლებოდა მათი სროლა. ვეგეციუსის თქმით: „სიმალიდან გასროლილი ჭურვები უფრო დიდი ძალით ეცემიან ქვემოთ მყოფთ. ისინი იმდენად შორს ვარდება, რამდენადაც უფრო მაღალაა ადგილი საიდანაც ისვრიანო“. – ეს გარემოება ჩანს კარგად იცოდნენ ანტიკური ვანის დამცველებმაც. ჭურვების „არსენალი“ ხომ ახვლედიანების გორის, აკროპოლისის ზედა ნაწილში იყო განლაგებული.

ქვის სატყორცნი მანქანები გამოიყენებოდა, როგორც მტრის ცოცხალი ძალის, ასევე მისი სააღყე მოწყობილობის წინააღმდეგ და თავდაცვის მიზნითაც. ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჭურვები უნდა განვიხილოთ, როგორც მომხდურთა, ასევე ქალაქის დამცველთა მოქმედების გასაანალიზებლად. ადგილები, სადაც მათი ფიქსაცია მოხდა (ძირითადად), ქვედა და

ზედა ტერასის სხვადასხვა უბნებია. ცენტრალურ ტერასაზე გამოვლენილ თავდაცვით სისტემებში სადღეისოდ, არც ერთი ჭურვი არ გვხვდება. აქედან გამომდინარე, ჭურვების უმეტესობა აღმოჩენილია იმ ადგილებში, სადაც მონინაალმდეგისთვის ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი იყო ძველი ქალაქის კედლები, ხოლო ადგოლობრივი გარნიზონი შეძლებდა მონინაალმდეგის სააღყო მონყობილობების მწყობრიდან გამოყვანას. როგორც უკვე ავლიშნეთ, ლოდსატყორცნების პოზიცია განლაგებული უნდა ყოფილიყო იქ, სადაც ნაკლებად მოხვდებოდა მონინაალმდეგის საბრძოლო იარაღის მოქმედების არეში, ანუ შეძლებისდაგვარად მაღლა, მათ დონეზე. ვანის ნაქალაქარისათვის ასეთი პოზიციები იყო ქვედა ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთი და ზედა ტერასის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. სწორედ ამ ადგილებში არის აღმოჩენილი მიკვლეული ჭურვების უმეტესობა.

მათი სროლის სიშორე არ აღემატებოდა 300-მეტრს. საერთოდ მიღებულია, რომ ფილაკავანის ტიპის სატყორცნი მანქანები გამოგონებული იქნა ძვ. წ. IV-საუკუნეში, სირაკუზში.

თუ ვანში აღმოჩენილი ქვის ჭურვების რაოდენობით და მათი სხვადასხვა ზომის მიხედვით ვიმსჯელებთ, უნდა დავასკვნათ, რომ სხვადასხვა კალიბრის სატყორცნი მანქანები ვანელ დამცველებს საკმაოდ ჰქონიათ.

ვანის ნაქალაქარზე არქეოლოგიური კვლევების შედეგად 300- მდე ქვის ჭურვია მიკვლეული და აღრიცხული. ისინი ვანის, თბილისისა და ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმებშია დაცული.

იმ საომარ და საბრძოლო იარაღს შორის, რომლებიც ვანის ნაქალაქარზე აღმოჩნდა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კედლის სანგრევი მანქანა, ანუ ე.წ. „ურნალის პირი“. იგი 1966 წელს ნაქალაქარის ცენტრალურ უბანზე ერთ-ერთი ტაძრის გათხრისას აღმოაჩინეს. ურნალი ტაძრის იატაკის დონიდან 14 სმ. სიღრმეზე დაფიქსირდა. ესაა კარგად დაცული, რკინის მოზრდილი იარაღი და მათ ბერძნულიდან თარგმნილ წყაროებში შესატყვისად „კრიოს მანქანებს“ უწოდებენ. („კრიოს“ – ვერძი)

წერილობითი წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ კედლის სანგრევი მონყობილობებს საქართველოში უძველესი დროიდან იცნობდნენ. ხოლო თუ რა დროიდან ვრცელდება იგი ჩვენში, ეს უცნობია. ანტიკური ტრადიციით, კედლის სანგრევი მანქანები პირველად ტროას ომის დროს იქნა გამოიყენებული.

ვანური ურნალის მსგავსი იარაღის სახეობა ანტიკური ხანის ძეგლებში არ აღმოჩენილა. იგი გამოჭედილია ერთიანი რკინისგან. მისი სიგრძე 1 მ და 4 სმ-ია. შედგება ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოყოფილი სამი ნაწილისაგან. 1.წვერი, 2. მილისებური ტანი, 3.ძაბრისებური ფორმის მასრა.

ურნალი ამ შემთხვევაში მტრის იარაღს არ წარმოადგენდა. ეს აღმოჩენის პირობებით მტკიცდება. არქეოლოგებმა მას ორ ნაგებობას შორის მდებარე თიხნარ ფენაში მიაკვლიეს. მონაცემებით, ურნალი საომარი მოქმედების დროს კი არ მოხვედრილა ძვ. წ. I -ს. ნაგებობის ქვეშ, არამედ უფრო ადრე, ძველი ნაგებობის ნანგრევების ამოვსებისას. შესაძლოა ურნალი საგანგებოდაც კი დაფლეს ტაძრის იატაკის ქვეშ და მას გარკვეული საკულტო დანიშნულება ჰქონდა.

ურნალი ქალაქის რისხვად იყო მიჩნეული და ძველი დროის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს იარაღს წარმოადგენდა. შემთხვევით როდი აღნიშნავდნენ, რომ არ არსებობდა ისეთი მტკიცე კოშკი, გალავანი, რომლის შენგრევა ურნალს არ შეძლებოდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქალაქის კარიბჭე, ისევე როგორც ანტიკური ქალაქის სხვა ნაგებობები ურნალის ტიპის იარაღით დაუნგრევიათ.

კარიბჭის კომპლექსიდან ასიოდე მეტრში, სამხრეთით, გზის მარჯვენა მხარეს, ნაქალაქარის მეორე ტერასაზე, ალიზის ჩამონგრეული კედლის გათხრისას, ერთერთ ალიზში 15 სმ. სიღრმეზე შერჭობილი რკინის მასიური იარაღი აღმოაჩინეს. იარაღი აშკარად მტრის კატაპულტიდან იყო ნატყორცნი. ისრის სიგრძე 62 სმ-ია, იგი მკვეთრად გაყოფილი სამი ნაწილისაგან შედგება:

1. ქუსლამოღარული ყუნწი, 2. სტაბილიზატორი – ფრთები, 3. ისრისპირი აღნიშნული კატაპულტების ისრების სიგრძე არ იყო სტანდარტული, იგი 44 სმ-იდან 185 სმ-მდე მერყეობდა. ყველაზე გავრცელებული კი – 66 სმ. სიგრძის ისრები იყო.

ვანში არმოჩენილი ამ იარაღის საბრძოლო-ტექნიკური მაჩვენებლები ძალზე მაღალი უნდა ყოფილიყო. ითვლებოდა, რომ ისარი 370 მ. იტყორცნებოდა და 3-სმ, რკინით მოჭედილ ფარშიც კი ატანდა.

ვანური მასიური რკინის ისარი ეფექტური უნდა ყოფილიყო ალიზისა და ხის მსუბუქი კონსტრუქციების დასანგრევად. იგი ეკუთვნოდა მძიმე ისარმტყორცნელების კატეგორიას, რომლის ანალოგიები საქართველოში არ მოგვეპოვება.

რაც შეეხება ისრისპირებს მართალია ისინი კანტიკუნტად ჩნდებოდნენ გათხრებისას, მაგრამ განსაკუთრებული სიუხვით ამ მხრივ წარჩინებული კოლხი მეომრის (ძვ. წ. IV) სამარხი გამოირჩეოდა. მიუხედავად ამისა, მონაცემები საკმარისი არ არის, რათა ვივარაუდოთ, რომ მშვილდ-ისარი კოლხეთში პრივილეგირებული წრეების იარაღად არის მიჩნეული. არც ჰეროდოტე და არც ქსენოფონტე კოლხთა და სხვა დასავლურ-ქართველ ტომთა შეიარაღების აღწერისას მშვილდ-ისარს არ იხსენიებენ. მართალია, ისრისპირების უმეტესობა ცუდად არის შემონახული, მაგრამ მაინც ხერხდება მათი ჯგუფებად დაყოფა.

1. ჯგუფში ერთიანდება ბრინჯაოს სამწახნაგა მცირემასრიანი წვერგამახული ბრინჯაოს ისრისპირები. მათი სიგრძე-2,5-3 სმ.მერყეობს. მიზანში მოხვედრისას ისარი ტყდებოდა და ისრისპირი ჭრილობაში რჩებოდა, ეს კი ძალიან სწრაფად იწვევდა სისხლის მონამვლას.

ვანური სამწახნაგა ისრისპირები ძვ. წ. V-IV სს თარიღდება.

2. ჯგუფში რკინის სამფრთიანი, ლერაკიანი ისრისპირები გაერთიანდა. ზომები: 4 სმ. ფრთებს შორის მანძილი 1,2 სმ, ყუნწების სიგრძე: 1- 1,5 სმ. ლერაკიანი, სამფრთიანი ისრების ტრადიცია დასავლეთ საქართველოში გვიანანტიკურ ხანამდეა შემორჩენილი.

3. ჯგუფის ისრისპირები გრძელლერაკიანია, პირი ფოთლისებური მოყვანილობისაა და შუაში ქედი დაუყვება. სიგრძე- 7 სმ.

4. ჯგუფში გაერთიანებულ ისრისპირთა თავისებურება ასეთია: მათი სიგრძე 5-6 სმ. სიგანე კი 1 სმ. ისინი პირამიდულწვერიანი, კარგად გამოჭედილი და დაბალმასრიანები არიან.

ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია 1969 წელს გათხრებს ნაქალაქარის რამდენიმე უბანზე აწარმოებდა. აღმოჩენა, რომელიც იმ წელს მოხდა მართლაც უნიკალური გახლდათ. მდიდრულ სამარხი, რომელსაც ცენტრალურ ტერასაზე მიაკვლიეს №9 სამარხის სახელითაა ცნობილი და იგი წარჩინებულ, კოლხ მეომარს, ეკუთვნის. მეომარს 4 ბეჭედი აღმოაჩნდა, ერთ ერთ ოქროს საბეჭდავზე გამოსახულებასთან ერთად ბერძნული ასოებით ამოკვეთილი იყო საკუთარი სახელი „დედატოს“, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ეს სახელი ბერძენთა საკუთარ სახელებს შორის არ ფიქსირდება.

სამარხი ორმო სწორკუთხა გახლდათ (4 მ X 2 მ. ) და გამოკვეთილი იყო კლდოვან დედაქანში, თირში. სამარხი გადახურული იყო მიწით და ქვაცილით, სადაც რამდენიმე ჩონჩხი დააფიქსირეს, ხოლო ცენტრალურ ნაწილში მთავარი მიცვალებული იყო დაკრძალული.

სამარხი სამი მხრიდან სხვადასხვა ზომის რკინის შუბისპირებით და მახვილებით იყო შემორაგვული. სულ 53 შუბისპირი და 2 მახვილი. მეომრის ფეხთით აღმოჩნდა რკინის ფურცლები-საგან შემდგარი და ბრინჯაოს მავთულით შეკრული ფარის ფრაგმენტები ფარი შუბისპირებს ეფარა, ხოლო რაც შეეხება შუბისპირებს ისინი სხვადასხვა ზომის იყო (მათ ჯგუფების შესახებ უკვე ვისაუბრეთ), აქედან უმრავლესობა მასრაგახსნილია და თითქმის ყველა მათგანის მასრაში ჩარჩენილია ხის ტარის ნაშთები.

სამარხში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის ისრისპირები. ისინი სამარხის მთელ ტეროტორიაზე იყო მობნეული, ორ ადგილას კი, მიწრით ჩანყობილი იპოვეს, გარკვეული წესრიგით. როგორც ჩანს ისრისპირები ტყავის, ან ხის კაპარჭში ყოფილა ჩალაგებ-

ული. თუ გავითვალისწინებთ, რომ რკინის იარაღი იმ დროს ძალზე ძვირად ფასობდა და კერძო საკუთრების საგანს შეადგენდა, ადვილი წარმოსადგენი გახდება სამარხში დაკრძალული მეომრის წარჩინებულობა და მისი უთუოდ მაღალი რანგი. იყო კიდევ ერთი და მეტად საინტერესო დეტალი: მეომრის ქვედა კიდურებს მოსავდა ბრინჯაოს აბჯარი, რომელიც ტიპოლოგიურად იმეორებს ბერძნული ფეხის აბჯრის ე.წ. კნემიდების ფორმას. ეს უკანასკნელი ფართოდ იყო გავრცელებული მთელ ანტიკურ სამყაროში, განსაკუთრებით ძვ. წ. V- შუა ხანებიდან ძვ. წ. II-ს. დასასრულამდე. უაღესად საინტერესოა, რომ კოლხი მეომრის ფეხის აბჯარი ორწილადი იყო და იცავდა ფეხს, როგორც მუხლს ქვემოთ, ისე მუხლს ზემოთაც, რაც საკმაოდ იშვიათია თვით ბერძენთა შორისაც, ვინაიდან იგი ძვირად ფასობდა და ამიტომ თედოებს, ფარზე მიმაგრებული ტყავით იფარავდნენ.

სამარხი ზუსტად თარიღდება ძვ. წ. IV-ს. მესამე მეოთხედით. იგი მრავალმხრივია საინტერესო. უნიკალურია რკინის საბრძოლო იარაღების სიმრავლე და მას მსოფლიოში ცნობილი სკვითური სამარხებიც კი ვერ შეედრებიან. ხოლო ბრინჯაოს ფეხის აბჯრის აღმოჩენა პირველი შემთხვევაა საქართველოს ტერიტორიაზე, „საბაკული“ კი, კავშირის არც ერთ რეგიონში არ ფიქსირდება.

ვანში აღმოჩენილი წარჩინებული კოლხი მეომრის სამარხს, თამამად შეიძლება მიენიჭოს გარკვეული მნიშვნელობა სახელმწიფოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტრუქტურის შესწავლისას.

ფარი – სამხედრო შეიარაღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ თითქმის ყველა დროისა და ქვეყნის მეომრები, როგორც შეიარაღების საშუალებას. საქართველოს ტერიტორიაზე ფარი ცნობილია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან.

ფარი განსაკუთრებით გავრცელებული ჩანს ანტიკური ხანის ქვეყნებში. კლასიკური ხანის ბერძნულ სამყაროში ფარები წრიული ფორმისა იყო, ხისაგან დამზადებული, რომელზეც ზემოდან სხვადასხვა გამოსახულებიან ლითონის ფირფიტებს აჭედებდნენ. მთლიანად ლითონისაგან დამზადებულ ფარებს იშვიათად ხმარობდნენ.

ფარები ხის, ან ტყავის იყო და ამიტომ მინაში ვერ ინახებოდა, რჩებოდა მხოლოდ ფარის ლითონის ნაწილი – უმბონი.

ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ უბანზე, თორმეტსაფეხურებიანი ტაძრის მიმდებარედ, სადაც არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა – 1978-81 წლებში, აღმოჩენილი იქნა ბრინჯაოს უმბონები. ბრინჯაოს სხმული უმბონები (5 ცალი) ერთი სახისაა, ნახევარსფერული მოყვანილობის, შუა ნაწილის ირგვლივ ბრტყელი კიდე შემოუყვება, რომელსაც ცენტრში ნახვრეტი აქვს, ალბათ ფარზე ლურსმნის მისამაგრებლად.

საფიქრებელია, რომ ფარები ხის იქნებოდა, რადგან უმბონებს შიდა მხარეს დანახშირებული ხის ნამცეცები ჰქონდათ მიკრული, ხოლო მათი აღმოჩენის ადგილას უხვად ჩნდებოდა დამწვარი ხის ნაშთები. მიუხედავად იმისა, რომ ფარის აღმოჩენის ფაქტები იშვიათია კომპლექსებში, სამაგიეროდ ფარის გამოსახულებები ხშირად ჩანს ბერძნულ-რომაული სამყაროს სხვადასხვა მატერიალურ ძეგლებზე, თიხის ჭურჭლებზე, რელიეფზე, გემებზე.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე წარმოებული გათხრებისას, ერთ-ერთ სამარხში, რომელიც ძვ. წ. III ს. თარიღდება, უხვად იყო წარმოდგენილი რკინის შუბისპირები და ცხენის აღკაზმულობის ნაწილები, ვერცხლის ფირფიტების ნაწილები, რომლებიც ქარქაშის გარსაკრავადაა მიჩნეული. შუბისპირებს სატყორცნ-საძვერებელ ირალთა შორის რაოდენობით წამყვანია დგილი უჭირავთ.

ხელშუბის პირები წაგრძელებულ დიდი ისარს მოგვაგონებენ. მათ აქვთ სამკუთხედის მაგვარად გამოყოფილი წვერი, ჩამოშვებული ფრთები, ბოლოები კი წვეტიანია. მასრა გრძელია, კონუსური ფორმის, მათი სიგრძე საშუალოდ 30 სმ. ფრთებს შორის მანძილი კი 5 სმ. ამ ტიპის ხელშუბები სკვითურ სამყაროში ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისში ჩნდება და ფართოდ ვრცელდება V-III სს-ში.

ისინი ცხენოსნის სპეციფიკურ ხელით სატყორცნ ხელშუბებს წარმოადგენენ. მათი აღმოჩენის ადგილას ასევე დაფიქსირდა რკინის ბექთარის ნაწილებიც, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აქ დაკრძალული მეომარი მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსანს წარმოადგენდა. ანალოგიური, ისრისმაგვარი ხელშუბისპირები აღმოჩნდა დაბლაგომშიც.

ვანში მიკვლეული ხელშუბისპირებიდან განსხვავებული ტიპის საბრძოლო იარაღიც აღმოჩნდა: მათ ვინრო განივკვეთში ოვალური, ფოთლისებური პირები და შედარებით მოკლე მასრები აქვთ, სიგრძე 31 სმ.-ია

ვანში აღმოჩენილი ეს იარაღი შეიძლება უნივერსალურ იარაღადაც კი ჩავთვალოთ, რადგან მათი გამოყენება შუბად და ხელშუბადაც შეიძლება.

ასეთი შუბისპირები 1967 წელს, ვანის ნაქალაქარის ჩრდილო -დასავლეთით სასიმაგრო ნაგებობის გათხრისას, ნაშალი ფენის ქვეშ აღმოაჩინეს, სულ 7 ცალი. შუბისპირები ნაჭედია, მასრაგახსნილი და თითქმის ერთი ზომისანი. ყველა მათგანი ქედიანია და გამოჭედილია ქურაში მიღებული დაბალნახშირბადიანი ფოლადისაგან.

შუბისპირების საერთო რაოდენობა იმის საშუალებას გვაძლევს, რომ ავლნიშნოთ: გვიანელინისტურ ხანაში ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ იარაღებში პატარა შუბებსა და ხელშუბებს წამყვანი ადგილი უჭირავთ. შესაძლოა სწორედ ეს არის კოლხთა შეიარაღების სპეციფიკა.

ჰეროდოტეს მიხედვითაც კოლხები მოკლე შუბებით იყვნენ შეიარაღებულნი, ხოლო დიდი ზომის, ფოთლისებურპირიანი და ქედიანი, მასრიანი შუბისპირები დასავლეთ საქართველოში გვიანი ანტიკური ხანიდან ვრცელდება, რაც ალბათ ბრძოლის წარმოების ტაქტიკის შეცვლით და ახალი ტიპის თავდაცვითი საჭურველის გაჩენით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

კოლხეთი ძვ. წ.III ს-ის მეორე ნახევარსა და განსაკუთრებით ძვ. წ. II- ს-ში, ანუ მითრიდატე ევპატორის მიერ მისი პონტოს სამეფოში გაერთიანებამდე ეკონომიურად და პოლიტიკურად დანინაურებულ ქვეყანას წარმოადგენდა. ამ პერიოდს უკავშირდება გარე სამყაროსთან ურთიერთობათა გაცხოველება, წარმოებისა და სასაქონლო მეურნეობის აღმავლობა, ახალი საწარმოო ცენტრების აღმოცენება.

მკვლევარ მ. ინაძის აზრით, ვანის ქალაქი მითრიდატე ევპატორის მიერ კოლხეთის დაპყრობამდე ქვეყნის მთავარი სკეპტუხიის ცენტრს წარმოადგენდა. მისი ხელისუფალი კი, რომელსაც ჰქონდა თავისი მმართველობის აპარატი და საკუთარი სამხედრო ორგანიზაცია, ქვეყნის მთავარსარდლის ფუნქციას ასრულებდა და მისი ინიციატივით ხორციელდებოდა საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობათა მშენებლობა.

მითრიდატეს მიერ დანიშნულ მმართველს დაქვემდებარებულ სატრაპიაში, სტრაბონის ცნობის მიხედვით: – „კოლხეთში მითრიდატე მუდამ აგზავნიდა ვინმე თავის მეგობართაგანს ჩინოვნიკად, რომელსაც ჯარის და ფინანსების მართვა ევალებოდა.“

მოგვიანებით განვითარებული მოვლენები კი, კოლხეთისათვის განსაკუთრებით დამანგრეველი აღმოჩნდა. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში აღსანიშნავია მითრიდატე ევპატორის რომთან წარმოებული 40-წლიანი ომი, რომელმაც იმის გამო, რომ საომარი მდგომარეობა ქვეყნისაგან ცოცხალი ძალისა და ეკონომიკური რესურსების მაქსიმალურ ძალებს მოითხოვდა მნიშვნელოვნად შეარყია კოლხეთის, როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური მდგომარეობა.

ამ მოვლენისადმი უარყოფითი დამოკიდებულება მოსახლეობამ რომთან II-ომის დამთავრებისთანავე აჯანყებით გამოხატა. ამ პროტესტს კი, იმის გათვალისწინებით, რომ მისი ჩახშობა შესაძლოა სამხედრო ძალის გამოყენებით მოხდა, კიდევ უფრო უნდა გაემწვავებინა კრიზისული ვითარება. აღსანიშნავია, რომ ამ აჯანყებას უკავშირებენ კოლხეთში სამეფო ხელისუფლების გაუქმებასაც.

„კიდევ უფრო არაკეთილისმყოფელი მოვლენებით აღინიშნა მითრიდატეს მარცხის შემდგომი ხანა, რადგან ამ დროს საომარმა მოქმედებებმა უშულოდ ქვეყნის ტერიტორიაზე გადაინაცვლა“ – ასე თვლიან მეცნიერები ხომტარია და მელიქიშვილი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ

ზოგიერთი მკვლევარი არ იზიარებს მოსაზრებას პომპეუსის კოლხეთში საომარი ლაშქრობის შესახებ, მაგრამ ფაქტია, რომ პომპეუსი რომში ფაზისიდან დაბრუნდა და მის ტრიუმფში სხვებთან ერთად კოლხი სკეპტუხი ოლთაკეც მონაწილეობდა.

მეცნიერი გ. ლორთქიფანიძე თვლის, რომ კილხეთის ცალკეულ პუნქტებში, მათ შორის ვანშიც, პომპეუსის ლაშქრობის შესაძლებლობას რომელიღაც ლეგიონერების კუთვნილი იარაღის აღმოჩენაც ადასტურებს.

ძვ. წ. I-ის 40-იანი წლების დასაწყისამდე ქვეყანაში მიმდინარე აღმავლობა კოლხეთში მითრიდატე ევპატორის მემკვიდრეების – ფარნაკე ბოსფორელისა და მითრიდატე პერგამონელის თარეშისა და რომის სამოქალაქო ომების დაწყებამდე გაგრძელდა.

ფარნაკეს ლაშქრობას შესაძლოა ნგრევა არ გამოუწვევია, მაგრამ ძარცვა რომლის შესახებაც ცნობას სტრაბონი გვანვდის, ცხადია, მნიშვნელოვანი დარტყმის მიმყენებელი იქნებოდა ქვეყნისთვის.

ბევრად დამანგრეველი აღმოჩნდა მითრიდატე პერგამონელის ლაშქრობა, რადგან მას ბრძოლა მოუხდა ტერიტორიების დასაპყრობად, კერძოდ ბოსფორისათვის და როგორც ვარაუდობენ სწორედ კოლხეთი იყო ამ ბრძოლების პოლიგონი.

რომის სამოქალაქო ომებში, კოლხეთის მონაწილეობის შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს პომპეუსის არმიაში პონტოს ირგვლივ მცხოვრები ხალხებისაგან შედგენილი მშვილდოსნების, მესურდულეების და შუბოსნების – პონტოს რაზმის შესახებ ანტიკურ წყაროებში დაცული ცნობა.

მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი საერთო სიტუაციის გათვალისწინებით, აშკარაა რომ ამ ომებმა სრულ გაპარტახებამდე მიიყვანა ქვეყნის ეკონომიკა. გარდა ამისა, კოლხეთის ეკონომიკაზე გავლენას ახდენდა რომის მიერ პონტოს მოსახლეობისთვის შეწერილი დიდი ფულადი გადასახადები, ცოცხალი ძალის იძულებითი მობილიზაცია, ქვეყნისთვის სამხედრო ფლოტის მშენებლობის დაკისრება. ფლოტისთვის საჭირო საამშენებლო მასალით კი მითრიდატე ძირითადად კოლხეთიდან მარაგდებოდა.

არქეოლოგიურად, ქვეყნის მძიმე ეკონომიკური და დემოგრაფიული კრიზისი ზღვისპირა ქალაქების გაუდაბურებაში აისახა და სწორედ ამ მოვლენებმა განაპირობეს, ქალაქის ფუნქციონირების შეწყვეტა და გარე სამყაროსთან ეკონომიკური კავშირების განწყვეტა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ვანი – არქეოლოგიური გათხრები. ტომი II, თბილისი, 1976 წ.
2. ვანი – არქეოლოგიური გათხრები. ტომი III, თბილისი, 1986 წ.
3. „იბერია-კოლხეთი“ – №1, საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული. თბილისი, 2003 წ.
4. ნანა მათიაშვილი „ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის საკითხები“, თბილისი, 2005 წ.



## სტალინის ახსოვდა და ავაყვამოდა საქართველო

„მხოლოდ დიდი პიროვნებანი ადგამენ ერს  
უკვდავების გვირგვინს“

კ. გამსახურდია

XX საუკუნის მოღვაწეთა შორის გენიოსის ტიტული დამსახურებულად ეკუთვნის არაერთ ქართველ თანამემამულეს. მათ შორის პოლიტიკურად და მეცნიერულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის მასშტაბებით შეიძლება გამოიკვეთოს სამი პიროვნება: მსოფლიო პოლიტიკოსი იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი), პოეტი და ფილოსოფოსი შალვა ნუცუბიძე და კაზმული სიტყვის დიდოსტატი და ვირტუოზი გალაკტიონ ტაბიძე. გენიოსთა ეს სამეული უთუოდ შეადგენს იმ თანავარსკვლავედს, რომელიც მარადიულად იბრწყინებს და გაანათებს კაცობრიობის მომავლის შორეთს.

გენიოსის ერთ-ერთი თვისებაა ახალი ტალანტების მიგნება და აღმოჩენა, მათი დიდ ასპარეზზე გამოყვანა და დაკვალიანება; XIX საუკუნეში ეს როლი წილად ხვდა დიდ ილიას, რომელმაც ყველაზე ადრე იგრძნო ვაჟას გენიის პირველი ქუხილი და ასევე აღმოაჩინა ჭაბუკი სოსელი, რომელიც „ივერიის“ ფურცლებზე დაბეჭვდით ნაახალისა და გზა დაულოცა შემოქმედებისაკენ. ბრძენმა რედაქტორმა ახალგაზრდა გორელის მოკრძალებით მიტანილი პირველი ლექსი გულდასმით წაიკითხა, მერე მხარზე ხელი დაადო ჭაბუკ ავტორს და უთხრა: მშვენიერი ლექსია, ახალგაზრდავ, იმეცადინე, წერე და კარგი მწერალი იქნებიო. მალე მკითხველმა „ივერიის“ პირველ გვერდზე წაიკითხა სოსელოს „დილა“, რომლის ოპტიმიზმით აღსავსე სტრიქონები: „აყვავდი, ტურფა ქვეყანავ, ილხინე, ივერთ მხარეო და შენც, ქართველო, სწავლითა სამშობლო გაახარეო,“ გაუხუნარი სიდიადით გადაეცემა თაობიდან თაობას. ამის დასტურია რამდენიმე წლის წინათ ქართული შედეგების კრებულში ლექსის „დილას“ წარმოდგენა შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის და სიტყვის სხვა ცნობილ ქართველ დიდოსტატთა ნაწარმოებთა შორის.

დიდმა აკაკიმ პირუთვნელად აღიარა სოსელოს ლექსი „დილა“ ლირიკულ შედეგად. ასევე თავის მხრივ აღმოაჩინა ჭაბუკი გენიოსი გალაკტიონი და სცნო იგი თავის მომავალ დიდ მემკვიდრედ. თავად ი. სტალინმა პოლიტიკური აღზევების შემდგომ, აღმოჩენით არა, მაგრამ უკვე ცნობილ და აღიარებულ გენიოს მოაზროვნეს შალვა ნუცუბიძეს გზა გაუხსნა დიდებისაკენ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იყო ერთი პატარა პერიოდი ი.სტალინის ცხოვრებაში, როცა შეიძლებოდა, რომ იგი ქართველი ეროვნული მოღვაწის გზას დადგომოდა. ეს იყო სწორედ მისი ჭაბუკობის წლები, ასე ვთქვათ, „სოსელოს პერიოდი“, როცა პატრიოტულ ლექსებს წერდა და დიდმა ილიამ დაუბეჭდა რამდენიმე მათგანი თავის „ივერიაში“. მისი ეს ლექსები მკაფიო ნიმუშია აკაკის პოეტური სკოლისა, ხოლო რა იქნებოდა შემდეგ, ის რომ ამ გზას გაჰყოლოდა, ცხადია, ამის პროგნოზირება ძნელია, მაგრამ ეროვნული პოეზიისადმი ეს მისწრაფება, ეს შემოქმედებითი პოტენცია მისი შემდგომი ცხოვრებიდან არ გამქრალა. ამან თავი არაერთხელ იჩინა ქართული კულტურის მოღვაწეთა ნიჭისა და შედეგების შეფასებისას. ამ კონტექსტში შეიძლება დავიმონწიოთ ი.სტალინის დამოკიდებულება შალვა ნუცუბიძის მეცნიერულ-შემოქმედებითი მოღვაწეობისა და შოთა რუსთაველის პოემის თარგმანზე მუშაობისადმი. ამდენად, შემთხვევითი როდია ამ ორი სახელის დაწყვილება. მათი ურთიერთობის კონტექსტიდან ჩვენ გამოვყოფთ სამ ასპექტს: პირველი – სტალინის მიერ ნუცუბიძის პატიმრობიდან განთავისუფლება და შოთას „ვეფხისტყაოსანზე“ ინტენსიური მუშაობისათვის ხელშეწყობა; 2 – რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობრივი წყაროების დაძებნა და მეცნიერული დამუშავება; 3 – დიდი დაინტერესება შალვა ნუცუბიძის რენესანსული ჩანაფიქრისადმი.

ომის წინა წლებში, მასობრივი რეპრესიების ხანაში, ვერც შალვა ნუცუბიძე გადაურჩა დაპატიმრებას. თბილისის საპატიმროდან სულ მალე მოსკოვში გადაუყვანიათ, ლუბიანსკის

ციხეში, იქ იგი განაგრძობდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე ინტენსიურ მუშაობას. ერთ დღეს გამომძიებელი შესულა საკანში და შალვასთვის უთქვამს, რომ სტალინს გაუგია მისი ციხეში ყოფნის შესახებ და დაკავშირებია ციხის უფროსს.

სტალინს მისთვის უკითხავს: გალიაში მომღერალი შაშვი თუ მოგისმენიაო?<sup>1</sup> მოსაუბრე დაბნეულა; სტალინს განუმარტავს: არც საკანში მომღერალი მგოსანი არსებობსო. თუ მართლა გვსურს, მივიღოთ რუსთაველის პოემის სრულყოფილი თარგმანი, უნდა გაუშვათ შაშვი გალიიდანო. ამიერიდან შალვა ნუცუბიძე ციხიდან განთავისუფლდა და შეუქმნეს ნორმალური პირობები თარგმანზე მუშაობისათვის.

სერგო ქავთარაძის თაოსნობით მალე შედგა სტალინისა და ნუცუბიძეს შორის შეხვედრასაუბარი. სტალინმა საუბრისას ხაზგასმულად თქვა: ის, რაც თქვენ გააკეთეთ, ეს არის დიდი საქმე, თქვენი თარგმანის გაცნობისას, დავრწმუნდით, რომ ეს იყო ერთ-ერთი კონგენიალური თარგმანი. უკანასკნელ ხანამდე, – თქვა ი. სტალინმა, – მე ვთვლიდი, რომ რუსთაველის საუკეთესო თარგმანი არის პეტრენსკოსი, მაგრამ როდესაც გავეცანი თქვენს თარგმანს, მე ვთვლი, რომ იგი არა თუ უკეთესია პეტრენსკოზე, არამედ თავისთავად თვალსაჩინო ლიტერატურული მოვლენაა. შ. ნუცუბიძის თარგმანს ასეთივე მაღალი შეფასება მისცა დიდმა რუსმა მწერალმა ალექსეი ტოლსტოიმ. მისი თქმით, „ეს რუსული თარგმანი არა მხოლოდ მეცნიერული შრომა, არამედ პოეტური შემოქმედებაა.“

ი. სტალინი გრძნობდა რუსთაველის ლექსის მუსიკალურობას, სიტყვათა წყობის ჟღერადობას, რომელიც მოვლენის შინაარსს შეეფერებოდა. ახალგზრდობაში იგი ხომ თვითონ წერდა ლექსებს. ვინ არ იცის პატარა ლექსი „ვარდს გაეფურჩქნ კოკორი,“ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ რომ ამშვენებს? ახლაც ამ ახალგზრდული განწყობილებით იღიმებოდა, უბის წიგნაკი ამოიღო და შალვას უთხრა: მეც ვთარგნე ერთი სტროფი „ვეფხისტყაოსანიდან“, და აბა როგორ მოგეწონებათ, ჯერ ქართულად წავიკითხოთ. ეს არის ქაჯეთის ციხის ალების გამომხატველი სტროფი. ამას წინათ, დასძინა სტალინმა – ჩემს რუს მეგობრებს წავუკითხე ქართულ ენაზე ჩვეულებრივი დინჯი ტონით, ქაჯეთის ციხის ალების სტროფი და შევეკითხე: აბა, რა გაიგეთ, მითხარით-მეთქი. ვოროშილოვმა მაშინვე თქვა, გაგებით ვერ გავიგე, მაგრამ ვიგრძენი, რომ მანდ ბრძოლის შესახებ უნდა იყოს საუბარი.

სტალინი მერე შალვა ნუცუბიძეს მიუბრუნდა და ჰკითხა: როგორ გადაწყვიტეთ, გეთარგმათ რუსთაველი?

როდესაც „ვეფხისტყაოსანი“ 750 წლის საზეიმო თარიღისთვის შრომებს გამოსაცემად ვამზადებდი, – ამბობდა შალვა, – დავინახე, რომ შეუძლებელი იყო არსებული რუსული თარგმანების მიხედვით მომეხდინა პოემიდან ციტირება, იმდენად დაშორებულნი იყვნენ ორიგინალურიდან და გადავწყვიტე, თავად მეთარგმნა ჩემთვის საჭირო სტროფები. კოლეგებმა მომიწონეს, შემაქეს და გათამამებულმა გადავწყვიტე, მეთარგმნა მთლიანად. გადავწყვიტე იმიტომაც, რომ რუსთაველის მსოფლმხედველობის პრობლემა არა მხოლოდ ქართული კულტურის პრობლემაა, იგი კაცობრიობის განვითარების და, კერძოდ, აღმოსავლეთ-დასავლეთის კულტურული ურთიერთობის კომპლექსურია მოცემული. პოეტი გამოხატავს თავის მიზანს, სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების იდეას, ფილოსოფიური მოძღვრება კი, რომელიც ასაბუთებს სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებას – ნეოპლატონიზმია, რომელიც ქართულ აზროვნებაში შემოდის შუა საუკუნეებში. ნეოპლატონიზმის პირველგადამმუშავებლის – ფსევდოდონისეს მეშვეობით, და შემდეგ განვითარებას პოულობს იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში. რუსთაველთან კი დასახელებულია მოაზროვნე, რომლის მოძღვრებასაც ის ემყარება: „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს“. და მე ვამტკიცებ, რომ ეს დივნოსი (დიონისე) V საუკუნის ქართველი მოაზროვნე პეტრე იბერია, ფსევდო დიონისე, არეოპაგელის სახელით ცნობილი, არეოპაგელი შრომების ავტორი, რომელმაც ანტიკური აზროვნების მემკვიდრეობა მიიღო და იგი შუა საუკუნეებს გადასცა.“

<sup>1</sup> ოფიციალური წყაროებით ეს შეკითხვა დაუსვამს ლავრენტი ბერიასათვის. ვანის რაიონის ისტორიის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის კრებული „მატიანე“ №5 (რედ).

ი. სტალინი კმაყოფილი დარჩა საკითხის არსის ასეთი სიღრმისეული ინტერპრეტაციით და სავსებით შესაძლებლად მიიჩნია მისი აზრი, რომ პეტრე იბერი უნდა იყოს დიონისე არეოპაგელის ფსევდონიმს ამოფარებული პიროვნება. ამდენად, აქ წამოიჭრა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობრივი წყაროების დაძებნის, კერძოდ, დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტურობის პრობლემა, რომლის გადაწყვეტა შემდგომ უდიდეს მეცნიერულ აღმოჩენად იქნა აღიარებული. ცნობილია, რომ შალვა ნუცუბიძისაგან დამოუკიდებლად, 10 წლის შემდეგ (1952 წ.), ბელგიელმა მეცნიერმა ერნესტ ჰონიგმანმა ანალოგიური დასკვნები შეიმუშავა ამ პრობლემის ირგვლივ და ამის შემდეგ ეს თეორია ცნობილია ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიის სახელწოდებით.

ამგვარად, ი.სტალინთან საუბრებით შ.ნუცუბიძემ იგრძნო ენერჯის მოზღვავება, გაახალგაზრდავება. ამის გამო იგი სიამაყით წერდა: „ახლა ვინცებ ჩემი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერ ნაწილს. ჩემი ვარსკვლავი არ ჩამქრალა, ღრუბლებმა გადაიარა, მზე ისევ ცის კამარაზე ავიდა და შუბის ტარს უახლოვდება. ვაი მას, ვისაც იგი თვალს უბნელებს. მზე შუბის ტარზე, ხოლო მტერი შუბის წვერზე.“

ცხოვრების ქვესკნელიდან მწვერვალზე ავარდნილმა სტალინის ნაამბორევი შუბით 15 საუკუნოვანი კედელი გავარდვიე და ბნელით მოცული საიდუმლოება არაეპაგელისა გავაცხადე!“

ცნობილია, რომ ი.სტალინმა დიდი დაინტერესება გამოიჩინა შალვა ნუცუბიძის რენესანსული ჩანაფიქრისადმი. საუბრისას, შალვას მიერ ამ საკითხის ვრცელი განმარტების შემდეგ, სტალინმა მას განუცხადა: ამის შესახებ უნდა დაინეროს მონოგრაფია უმოკლეს ვადაში. განაგრძეთ ამ მიმართულებით მუშაობა და ნაშრომი გამომიგზავნეთ. თან ჩაიცინა და თქვა: ამდენი რამის გაკეთება თუ შეგეძლო, პოლიტიკაში რა გინდოდაო?

შალვა ნუცუბიძემ დიდი პოლიტიკოსის თხოვნა შესანიშნავად შეასრულა: 1947 წელს, რუსულ ენაზე გამოაქვეყნა მონოგრაფია „რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი“, რომელსაც საყოველთაო აღიარება ხვდა წილად, მალე წიგნი სადისკუსიო საგანიც გახდა საქართველოშიც, გამოუჩნდა მრავალი ოპონენტი და ვაიპოლიტიკოსი. ი. სტალინთან საუბარში ისიც გახდა ცნობილი, რომ ახალგაზრდობაში ისინი სადღაც შეხვედრიან ერთმანეთს. კერძოდ, საშა ნულუკიძის დასაფლავებაზე ხონში, სადაც ორივეს წარმოუთქვამს სიტყვა. სტალინი ერთობ დაინტერესდა თავისი სიტყვით, რომელიც შალვა ნუცუბიძემ სრულად და მთელი სიზუსტით აღიდგინა. ამან ახლა უკვე დიდი პოლიტიკოსი განაცვიფრა, მივიდა მასთან და უთხრა: ფენომენალურ ნიჭს ფენომენალური მეხსიერება ახლავსო და შალვას შუბლზე აკოცა.

მართალია, ი.სტალინი არ ყოფილა ე.წ. ეროვნული გენია, იგი მსოფლიო პოლიტიკოსი და საერთაშორისო რანგის მოღვაწე გახლავთ, მაგრამ ზოგი ქართველის თუ არაქართველის გასაგონად დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ იგი კავშირს არ წყვეტდა ეროვნულ ფესვებთან, მუდამ ახსოვდა საქართველო, მისი დიდი კულტურა და შესაძლებლობისამებრ ექომაგებოდა კიდევ.

შეიძლება გავიხსენოთ რამდენიმე მრავალსმეტყველი ფაქტი საქართველოსა და ქართულ კულტურასთან ი.სტალინის დამოკიდებულების ისტორიიდან.

1. ი. სტალინის განკარგულებით რუსეთის საცავებში დაცული ქართული სამუზეუმო ექსპონატები სამშობლოში დაბრუნდა. ეს იყო 1922 წელს, ი. სტალინის პირდაპირი დავალებით, მეფის მთავრობის მიერ სხვადასხვა დროს გატაცებული და რუსეთის საცავებში დაცული სამუზეუმო ძვირფასეულობა და საარქივო კოლექციები საქართველოს უნდა დაბრუნებოდა. ამ დადგენილების მიზანი არავის დაუფარავს. „მეფის ხელისუფლება ავინროებდა საქართველოს, ითვისებდა და იტაცებდა ერის კულტურის განძს, საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა გამოასწოროს ეს შეცდომა. ამით რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა განმტკიცდებაო, – ოფიციალურად განაცხადა ი.სტალინმა. მან დაავალა ცნობილ ისტორიკოსს, განათლების სახალხო კომისრის მოადგილეს პოკროვსკის და სპეციალური მითითება მისცა. აღნიშნული დადგენილების რეალიზაციის მიზნით შეიქმნა საგანგებო კომისია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და ქართველ მეცნიერთა მონაწილეობით. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მხრიდან – ნიკო მარი, მისი შვილი იური მარი, აკადემიკოსები: ოლდენბურგი, ბენედიქტოვი და ბარტოლდი; საქართველოს მხრიდან – შალვა ამირანაშვილი, კორნელი კეკელიძე, ვუკოლ ბერიძე, აკაკი შანიძე, პავლე ინგოროყვა და სარგის კაკაბაძე.

მიუხედავად კამათისა რუსეთის მხრიდან, კომისიის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება „ქართული წარმოშობის ყველა რეგალია და სიძველე გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკას“.<sup>1</sup>

ერთადერთი, ვინც რუსულ რედაქციაში კაცურად მოიქცა, იყო ნიკო მარი. მისმა შვილმა იურომ და შალვა ამირანაშვილმა ქართული ხელნაწერების სია შეადგინეს. ლენინგრადის აზიური მუზეუმიდან კოლექციამ საქართველოში გადმოინაცვლა, ამჟამად კი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდშია დაცული!

2. სტალინს რომ ახსოვდა საქართველო და ფიქრობდა მასზე, ამას ადასტურებს მრავალი ფაქტი. ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ი.სტალინის თბილისში ჩამოსვლა დედის სანახავად (1935 წ.) სტალინმა ისარგებლა ამ შემთხვევით, გაისეირნა თბილისის ქუჩებსა და შემოგარენში, შემდეგ შეხვდა საქართველოს ხელმძღვანელობას და ესაუბრა მათ ქალაქის კეთილმოწყობაზე, ცალკეული ადგილების რეკონსტრუქციაზე.

მსცოვან ადამიანებს ახსოვთ, ამის შემდეგ თუ როგორ გარდაიქმნა დანგრეული თბილისი ცივილიზებულ ქალაქად.

ი. სტალინის ინიციატივით სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და ჩაის მრეწველობისათვის გადაუდებელი დახმარების ზომების შესახებ“.

ამაგი, რომელიც სტალინს საქართველოს განვითარებაში მიუძღვის, წარმოუდგენლად დიდია, მაგრამ ის ყველაფერს ყოველგვარი ხმაურის გარეშე აკეთებდა და ამიტომ, არ არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის.

„ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის საზეიმო დღეები მთელი კავშირის მასშტაბით, ილიას დაბადების 100 წლისთავის იუბილე და ა.შ. განა ქართულ კულტურაზე დიდი მზრუნველობის გამოვლინებად არ უნდა მივიჩნიოთ? ის, რომ სტალინმა მაქსიმალურად ხელი შეუწყო შალვა ნუცუბიძეს – რუსულ ენაზე ეთარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, დაენერა მონოგრაფიები პეტრე იბერისა და ქართული რენესანსის საკითხებზე, რასაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართული კულტურის მსოფლიო არენაზე გატანისა და პოპულარობის თვალსაზრისით?

ი. სტალინი ყოველთვის მონივნებით მოიხსენიებდა დიდი ილიას სახელს, იცავდა მას ვულგარიზატორთა შეურაცხყოფისაგან, ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში და მერეც – 30-იან წლებში. იგი არ იზიარებდა „კვალის“ ცალმხრივად გალაშქრების ხასიათს ილიას წინააღმდეგ (ჟორდანიას პრესა) და მოითხოვდა, გარჩეულიყო ილიას მხატვრული შემოქმედება, რომელსაც დიდად აფასებდა.

XX საუკუნის 30-იან წლებში თავი იჩინა ილიას პიროვნებისა და თვალსაზრისის გაყალბების მცდელობამ. ი. სტალინმა დაავალა მალაქია ტოროშელიძეს, ვრცელი მოხსენება წარედგინა მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობისათვის, მისცა კონკრეტული რჩევა-მითითება ქართველი კლასიკოსების შესახებ, რათა ფართოდ წარმოეჩინა მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა. განსაკუთრებით ხაზგასმით უთქვამს: მე-19 საუკუნის მეორე ნახევარზე რომ გადმოხვალთ, დაწვრილებით უნდა ილაპარაკოთ ილია ჭავჭავაძის შესახებ. საქართველოში თურმე რაღაც უაზრო და ყოვლად ყალბი თვალსაზრისი გაუვრცელებიათ, თითქოს იგი თავადაზნაურობის და ბურჟუაზიის იდეოლოგი, ამ კლასების ინტერესების დამცველი ყოფილიყო. ვის მოუვიდა თავში ასეთი სიყალბე, ასეთი მცდარი და უკუღმართი აზრი! თურმე საქართველოში ვილაცყებს უპირისპირებენ ილია ჭავჭავაძეს. აქვს ვინმეს XIX საუკუნის ქართველ მწერალთა შორის თუნდაც ასეთი ძლიერი სოციალური პროტესტი, როგორიც მოცემულია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში? ეს იყო ილიას ობიექტური შეფასება და მახვილის ჩაცემა ყველა ჯურის მოლაღატის, სიმართლისა და პროგრესის მტრისათვის!

კინორეჟისორ მიხეილ ჭიაურელთან საუბარში ერთმანეთს დაემთხვა ილიასა და სტალინის აზრი გიორგი სააკაძის შესახებ. ი. სტალინმა გიორგი სააკაძის პოლიტიკას პროგრესული უწოდა საქართველოს მომავალი პერსპექტივის თვალსაზრისით. ამგვარად, ილიამ და სტალინმა თავიანთი ობიექტური, ღრმად არგუმენტირებული დებულებებით საქართველოს ისტორიაში კუთვნილი ადგილი მიუჩინეს გიორგი სააკაძეს.

ილია ჭავჭავაძე გვასწავლის, რომ დიდი მოურავი ყოვლად ნიჭიერი კაცი იყო, ყოვლად მხნე სახელმწიფო მოღვაწე და წარჩინებული მეომარი და სარდალი, იგი გულისტკივილით აღნიშნავს ქართველ დიდებულთა შურს, რომელთაც მოდგმა უფრო დიდ ღირსებად მიაჩნდათ, ვიდრე ნიჭიერი დიდბუნებიანობა, რის გამოც დიდ მოურავს მრავალი მტერი გაუჩნდა.

განა ეროვნული სიამყის, კერძოდ, ქართული და არა საბჭოური სიამყის გრძნობა არ გამოხატა ი. სტალინმა ირანში ყოფნის დროს, როდესაც ორსერიიანი ფილმი „გიორგი სააკაძე“ უჩვენა პრეზიდენტ რუზველტს, ჩერჩილს და ირანის თავკაცებს საბჭოთა საელჩოში?

სოჭში ქართულ დელეგაციასთან შეხვედრისას, როგორც თავის მოგონებაში გადმოგვცემს სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე, სტალინს უთქვამს, რომ მათ დიდად მოსწონებიათ ეს სურათი. საერთოდ სააკაძეც, და შაჰ-აბასიც... მაგრამ ირანელები გამსაკუთრებით შაჰ-აბასით ყოფილან მოხიბლულნი. აი, შახიც ასეთი უნდა, მოგვეცით, ეს შაჰი ჩვენიაო! – გურულო, რამე რომ იყოს, ნახვიდოდი შაჰად ირანში? – გაეხუმრა მას სტალინი. – არა, ამხანაგო სტალინ, რა მინდა ირანში, როცა საკუთარ სახლში შახიც ვარ და შაჰინშაჰიც! – მეც აგრე ვიცოდი, ვასაძე თქვენ შაჰობას არ დაგთანხმდებათო, – თვალი ჩაუკრა და გულიანად გაიცინა.

სოჭში რამდენიმედღიან შეხვედრა-საუბრებში ი. სტალინმა ბევრი რამ გაიხსენა წარსულიდან, მრავალ კარდინალურ საკითხზე გაუზიარა თავისი მოსაზრებანი თანამემამულეებს და ფრიად კმაყოფილი დარჩა მათი სტუმრობით.

ამ სტუმრობისას ი.სტალინმა სუფრის თავკაცობა შესთავაზა აკაკი ვასაძეს, რომელიც კარგად იყო ცნობილი, როგორც თამადა, მან საქართველოს სადღეგრძელოდ ასწია სასმისი, დალოცა ჩვენი მამულის მადლი და ბარაქა და მისი განსაკუთრებულად დღეგრძელობის ძლევამოსილება იმით დაადასტურა, რომ საქართველომ კაცობრიობას მისცა ი.სტალინი. ამ ბოლო სიტყვაზე იგი შეაჩერა სტალინმა: „მოიცა, მოიცა, მაშინ ქვეყნები, რომელთაც კაცობრიობისათვის სტალინი არ მიუციათ, დღეგრძელობის ღირსი არაა? მერე და მარტო მე რომ განსაკუთრებულად მახსენე საქართველოს შვილად, დავით აღმაშენებელს რაღას ეუბნები, ან სხვები რად დაივინყე? – სადღეგრძელო თავად ასე დაასრულა. გაუმარჯოს საქართველოს ხალხს და ბუნებას, მის წარსულსა და მომავალს, მის ბარაქასა და სილამაზეს, მართლაც, ამ ძალზე უცნაურ მხარეს დედამიწის ზურგზე – თავისთავად კარგს და თავისებურად განსაკუთრებულს, – თქვა და ვერცხლის სირჩა გამოცალა“.<sup>1</sup>

ქართველ მეგობრებთან რომ საუბრობდა, სტალინი ყოველთვის ცდილობდა, ყურადღების ორბიტაში მოექცია სოციალური და ეროვნული პრობლემატიკა. რა საკითხსაც მოაქცევდა თავის ინტერესთა სფეროში, – განაგრძობს აკაკი ვასაძე, – სრულიად გასაგებად, რკინის ლოგიკით გამართავდა და საკუთარ შეხედულებას დებულების სახით ჩამოაყალიბებდა. ამასთანავე, მისი მსჯელობა თავისუფალი და გულწრფელი იყო, ამბოდა იმას, რაც სწამდა და როგორც ხედავდა. ასე, მაგალითად, პეტრე შარიაშვილი (მაშინდელი ცეკას პროზაგანდის მდივანი) აკად. ი.ორბელის მიერ ურარტუს შესახებ წაკითხული ლექციების მისამართით ჰკითხა: ხომ არ არის საჭირო, რომ ი.ორბელის ზოგიერთი მცდარი მოსაზრების წინააღმდეგ ქართველი მეცნიერები გამოსულიყვნენ, ამის მოთხოვნილება არსებობს ქართველ ისტორიკოსებსა და ფილოსოფეებსშიო. ი. სტალინმა მკაფიოდ მიუგო: რატომაც არა, კამათი, სჯა და საპირისპირო დებულებების გამოთქმა მეცნიერების საქმეაო და ღიმილით დასძინა: მიხაკო წერეთელს წაკითხეთ ლექციები ურარტუზე და ორბელისათვის ყველაფერი ცხადი გახდება, თუ მართლა ცდება რამეში.

პეტრე შარიასა და სხვათა ყურთასმენას ეხამუშა მიხაკო წერეთლის ხსენება და ბოდიშით ჩაეკითხნენ: ვის ამბობთ, ამხანაგო სტალინ! – მიხაკო წერეთელს, რა, არ გაგვიგიათ, ვინ არის? – რომ გაგვიგია, იმიტომ გაგვიკვირდა, ის ხომ ფაშისტია და ლექციების წასაკითხად აქ როგორ დავვატიჟოთ? სტალინმა ხელი ჩაიქნია: მისი ფაშისტის ვისლა ეშინია, ფაშისტი რომ არ გამხდარიყო, ისე ვინ მიასუნიებდა მიხაკო წერეთელს გერმანიის ინსტიტუტებს და უნივერსიტეტში დაცულ ხელნაწერებთან, აღმოსავლეთის ისტორიასა და კულტურის დოკუმენტურ მასალებთან ვინ მიუშვებდა, ფართოდ ვინლა გაულებდა კარს იმ ცოდნის სფეროში, რომელიც

<sup>1</sup> აკაკი ვასაძე, სტალინთან, „მნათობი“ №3-4, 1988 წ.

გერმანელმა მეცნიერებმა საუკუნეების მანძილზე შექმნეს“.<sup>1</sup>

ი. სტალინის ამგვარ პასუხში გამოიკვეთა პოლიტიკური მონინალმდეგეებისადმი მომთმენელობა, რომ იგი ჭეშმარიტებას, სიმართლეს დოგმებზე მაღლა აყენებს, რომ არ ეშინია, სინამდვილეს თვალი გაუსწოროს და მის სიღრმეში ჩაიხედოს. ასეთი გულგია საუბრები და სჯა-ბაასი ჰქონდა სტალინს ქართველ თანამემამულეებთან სუფრასთან და სუფრის გარეთ.

ამგვარად, ზოგი რამ, ყოველივე ზემოთქმულიდან მკაფიოდ ადასტურებს, რომ სტალინს ეამაყებოდა ის, რომ უძველესი ისტორიისა და კულტურის ქვეყნის შვილი, მისი ღირსეული წარმომადგენელი იყო.

ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ მოხდა რაღაც გაუგებრობა. იყო შალვა ნუცუბიძის რეპრესირების მცდელობა, დაისვა საკითხი მისი მეცნიერებათა აკადემიიდან გამოყვანის შესახებ და სხვა. მაგრამ თუ გავიხსენებთ 1956 წლის მარტის ამბებს საქართველოში, ამის მიზეზი ნათელი გახდება, თუმცა ზოგი რამ ისევ ბურუსითაა მოცული.

ცნობილია, რომ 1956 წ. პარტიის XX ყრილობაზე მკაცრად გააკრიტიკეს და დაგმეს სტალინის პიროვნების კულტი, ეს კრიტიკა აღქმულ იქნა, როგორც ქართველების შეურაცხყოფა და იგი იდენტიფიცირებულ იქნა ქართულ ფენომენტთან.

XX ყრილობაზე თვითმარქვია ბელადი ნ.ხრუშჩოვი კითხულობდა მოხსენებას, დროდადრო მუშტებს ურტყამდა ტრიბუნას და გაჰყვიროდა: „Вот вам великий сын грузинского народа“ და ა.შ. ამით ხაზს უსვამდა სტალინის ქართველობას და უნდოდა, ხალხის სიძულვილი გაეფრცვლებინა მასზე. ეს კი უკვე ცნობილი ხერხია, რომელსაც იყენებდა რუსეთი ისტორიულად, რომ განტევების ვაცად გამოეცხადებინა არარუსი: ხან ებრაელი, ხან გერმანელი და ხან ქართველი. ამჯერად კი სტალინს დაბრალდა ყველაფერი... ეს იყო რუსული შოვინიზმის გამოვლინება. ამდენად, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ბიძგად უნდა ვიგულისხმოთ სტალინის პიროვნების კრიტიკაც.

1956 წლის მარტის ტრაგედიამ ბევრი ქართველი ახალგაზრდის სიცოცხლე შეინირა. ეს ახალგაზრდობა იცავდა სტალინს და იმ ხელისუფლებას, რომლის წარმომადგენელმა იარალი მიმართეს მათ წინააღმდეგ. სამწუხარო და სავალალო ის იყო, რომ მარტის ამბების განხილვის დროს პარტიის მაშიდელ უმაღლეს ინსტანციაში ეს გამოსვლები შეფასდა, როგორც ნაციონალისტური გამობდომა, ქართველ ხალხს დაბრალდა ნაციონალიზმი. ეს იყო უსამართლო ბრალდება. ერთბაშად გამოვლინდა სტალინის მიმართ სიძულვილი და უსამართლობა. მაგრამ ობიექტურ ჭეშმარიტებად და ისტორიის მწარე გაკვეთილად დარჩება ერთი რამ: თუ რუსეთს შეუძლია იამაყოს იმით, რომ პეტრე პირველმა ფანჯარა გამოჭრა ევროპაში, კიდევ უფრო მეტად საამაყო აქვს ის, რომ სტალინმა რუსეთი სუპერსახელმწიფოდ აქცია, ნახევარი ევროპა დაუქვემდებარა მას და ე.წ. კავის რუსეთი აქცია ატომის ქვეყნად, ერთ-ერთ ზესახელმწიფოდ.

ამგვარად, უზარმაზარი იმპერია რომ შექმნა და მართავდა თითქმის 30 წელი, შიშის ზარს სცემდა ყველას, ვინც სახელმწიფო ინტერესებს ხელყოფდა, ვინც „კავის რუსეთის“ რეფორმირებას წინააღმდეგ დაუდგებოდა. ამის მიუხედავად, ბოლოს მაინც რომ არ დაუფასებდნენ, მისი ამ წუთისოფლიდან წასვლის შემდეგ, რუსთა დიდმპყრობელური სულის აღზევების შედეგად, ეს მან იწინასწარმეტყველა სიცოცხლეშივე.

შალვა ნუცუბიძესთან შეხვედრისას ი.სტალინს ირონიაშეზავებული ხმით გაუმჟღავნებია: დაიხსომე, ჩემო შალვა, ეს ჩემი დიდი რუსი ხალხი ერთ მშვენიერ დღეს საფლავიდან ამომიღებს და გადაამაგდებსო.

თუ კიდევ ვინმე შეინახავს ჩემს სახელს, ეს ჩემი ხალხია, რომელსაც, სამწუხაროდ, ბევრი ვერაფერი გავუკეთეო...

თუ არა სიძულვილი, როგორც შოვინიზმის გამოვლინება და უმადურაობა, სხვა რას უნდა ნიშნავდეს რუსის (არა ყველასი) და ზოგიერთი ქართველის უნდობლობა და დაუფასებლობა სტალინის პიროვნების და მოღვაწეობისა. ამ კონტექსტში დავიმონებ ერთი ქართველი ფილოსოფოსის (მერაბ მამარდაშვილს) ნეგატიურ დამოკიდებულებას ი.სტალინის პიროვნების მიართ.

ფრანგულ ყოვლექვირეულ ჟურნალში (1988 წ. №191) გამოქვეყნებულ მის ინტერვიუში – კითხვაზე: „რას წარმოადგენს დღეს თქვენთვის სტალინი!“ – იგი პასუხობს: „სტალინი უფრო რუსული ფენომენია, ვიდრე ქართული. ჩემში სტალინი სიძულვილის ობიექტს წარმოადგენდა. სტალინი ჩემში სიძულვილს ინვეცდა... ის იყო ძალაუფლებისადმი ჩემი სიძულვილის პერსონიფიკაცია, რომელიც ამ პიროვნების მიმართ გამოვლინდა. ამდენად, ჩემთვის ეს პრობლემა დიდი ხანია გადაჭრილია.“ ეს არის აბსოლუტური ნეგაცია სტალინის პიროვნებისადმი, მის მოღვაწეობაში რაიმე პოზიტიური მომენტების არსებობისა, რაც აბსურდამდე მიდის. ასეთ პოზიციაზე მდგარი ხალხი, რა თქმა უნდა, არ ან ვერ დაინახავს იმას, რაც ქართული ფენომენის არსისეული ნიშან-თვისებაა. სიძულვილიც და უმადურობაც სწორედ აქედან მოდის.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიცით და არ გვავიწყდება ის უბრალო ჭიშმარიტება, რომ „ყველანი ცოდვის შვილები ვართ,“ რომ ცოდვაც ზის ადამიანის სულში, მაგრამ მადლსაც ნუ დაივიწყებთ. აქ გავიხსენებ ქართველი პოეტის ჯანსუღ ჩარკვიანის ახლად გამოქვეყნებულ ლექსს ცოდვა-მადლის შესახებ („დამელოდეთ ბერლინი“).

40-იანი წლების დასაწყისში მეორე მსოფლიო ომის დროს ორი ბუმბერაზი სახელმწიფოს თავკაცები შეეჯახნენ ერთმანეთს. მოვიტანთ არგუმენტებს მათი მიმონერიდან.

**ადოლფ ჰიტლერი:** „მე დიდად ვაფასებ თქვენს მხედართმთავრულ ნიჭს და ძლიერ გამბედაობას, მაგრამ თქვენ ქართველი ხართ და გირჩევთ, გადაბრძანდეთ საქართველოში, სადაც ამიერიდან იმეფებთ თქვენ და თქვენი შთამომავლობაც. თუ ჩემს კეთილ რჩევას არ მიიღებთ, თქვენს თავს დააბრალებთ, მოვდივარ ცეცხლითა და მახვილით. მოსკოვს სულ რაღაც 40 კილომეტრი მაშორებს“ (1942 წ. 2 იანვარი).

**იოსებ სტალინი:** „დიდად გმადლობთ დაფასებისათვის. დიახ, მე ქართველი ვარ! მაგრამ გამზარდა რუსმა ხალხმა. ჩვენში არსებული წეს-ჩვეულების მიხედვით, მე არა მაქვს უფლება, რომ მივატოვო ჩემი გამზრდელი ერი და განსაცდელის ჟამს გავექცე. დამელოდეთ ბერლინი“ (1942 წ. 12 იანვარი“).

ი. სტალინიმა თავისი დაპირება შეასრულა: „გაჰქრა ფაშიზმი, როგორც ნისლი, როგორც გზის მტვერი, შევიდა ბერლინს და გააქრო ადოლფ ჰიტლერი.“ ლექსის ბოლოს ხაზგასმულია, რომ ცოდვა და მადლი ორი საპირისპირო რამ არის, მეტნაკლებად ყველა ადამიანში, მაგრამ ცალმხრივად და ტენდენციურად არ უნდა განვსაჯოთ: მხოლოდ ცოდვა დავინახოთ და არა მადლი. მართებულად არის ნათქვამი პოეტის მიერ: „მეც ქართველი ვარ, ისიც ვიცი ამ ლექსს ვინ მიწყენს, გვახსოვდეს ცოდვა, მაგრამ მადლსაც ნუ დავივიწყებთ“ (ჯ.ჩარკვიანი).

„ეს რა სასწაულის მონაწილე გაგხადა ამ გორელმა კაცმაო“ — სიამაყითა და აღტაცებით უთქვამს დიდ ქართველ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას. მართლაც, ვერაგ მტერზე გამარჯვება ნამდვილი სასწაული იყო და შემდგომ კიდევაც იქცა მსოფლიოს ხალხთა მარადიულ დღესასწაულად და ამიტომ, ყოველივე იმის მიუხედავად, სტალინის ეპოქაში რა ხდებოდა, კაცობრიობა არასოდეს დაივიწყებს ამ მადლს და სიკეთეს, რაც გამოიხატა ფაშისტური რეჟიმის განადგურებით მსოფლიო მასშტაბით.

### მინაწერი:

*არა, რაც უნდა თქვან მასზე, ასეთებს ისტორია, ხალხი არ ივინყებს.  
უისტონ ჩერჩილი*

იოსებ სტალინის ფენომენი უაღრესად რთული და წინააღმდეგობრივია. იგი, როგორც პოლიტიკური ლიდერი და სახელმწიფო მოღვაწე, ჩვენს წინაშე მრავალ მწვავე, საკამათო პრობლემას წამოჭრის ხოლმე, ისტორიული განვითარების განსხვავებულ ეპოქებში ამ ურთულესი პიროვნების ცხოვრება და მოღვაწეობა სხვადასხვაგვარად არის გაგებული და ინტერპრეტირებული.

ი. სტალინი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთლიანად დაიხურა მისი პოლიტიკური მოღვაწეობის კარედი. აქამდე არ წყდება და, ალბათ, არც მერ-

მისში შეწყდება ინტენსიური ძიება მისი ფენომენის თავისებურებისა ახალ-ახალი შტრიხების წარმოსაცენად. მასზე ბევრი რამ არის დაწერილი — ათასობით მონოგრაფიის, სტატიის თუ წერილის ნაკადი, შექმნილია ჟანრობრივად და იდეურ-მხატვრულად მრავალფეროვანი ლიტერატურა მისი მოღვაწეობის ქება-დიდებასა თუ ლანძღვა-გინების თაობაზე; მისი პიროვნების შეფასებაში რადიკალიზმი ან გადაჭარბებული აპოლოგია არაფერ სარგებლობას არ გვაძლევს, ამ ორ უკიდურესობას შორის ილიასეული „ბედნიერი მორიგება“ ერთადერთი გზაა ჭეშმარიტების დასადგენად.

რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მეტი ახალი ფაქტი და ნიუანსი ცნაურდება მისი ბიოგრაფიიდან, ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროდან.

1. ცნობილია, რომ ზოგი ვინმე (სომეხი, ოსი, ებრაელი და სხვა) სტალინის პიროვნების მისაკუთრებას ცდილობდა და ეს პროცესი არ დასრულებულა.

ოსებმა ეს გამოხატეს იმით, რომ ცხინვალს სტალინური დაარქვეს (ირო-ოსს ნიშნავს). ისიც კი იკადრეს, თითქოს იპოვეს ოსურ ენაზე ბესარიონ ჯულაშვილის მიერ დაწერილი წიგნი. ეს მაშინ, როდესაც იმ დროს ოსური ანბანი არ არსებობდა. 2. არის კიდევ ასეთი შემთხვევა, როდესაც ოსმა კომუნისტებმა სცადეს სტალინის ეროვნული წარმომავლობის დადგენა. საგულისხმოა ერთი ასეთი ფაქტი XX საუკუნის 30-იანი წლებიდან: უმაღლეს პარტიულ სკოლაში ი. სტალინი კითხულობდა ლექციებს. მსმენელთა შორის ყოფილა სამი ოსი კომუნისტი, რომელთაც სტალინისთვის მიუმართავთ თხოვნით – ეთქვა რამე მისი პიროვნების შესახებ, კერძოდ, მისი ეროვნულ ფესვებთან დაკავშირებით. ი.სტალინმა საკადრისი პასუხი გასცა ოს კომუნისტებს; კატეგორიულად განუმარტა მათ: თქვენ იმყოფებით უმაღლეს პარტიულ სკოლაში და ზეპირად უნდა იცოდეთ ცემი ბიოგრაფია. მე დედით და მამით ქართველი ვარ, პაპაჩემის პაპის პაპა – ზაზა ჯულაშვილი კი ერეკლე მეორის მედროშე იყო. ამიტომ სისულელეების ჩმახვას თავი დაანებეთო. 3. სომხებსაც შეუთხზავთ თავისი არგუმენტი: ბესარიონ ჯულაშვილი პროფესიით იყო მენაღე, თითქოს დუნიაზე მათი წარმომავლობის გარდა, მენაღე არავინ ყოფილა და კიდევ სხვა უცნაურობანი!! 4. უახლესი ისტორიიდან ზოგიერთი რამ (კინოფილმი თუ სხვა ჟანრის ნაწარმოები) ამკარად მეტყველებს იმაზე, რომ სტალინის პიროვნება კამათს იწვევს და წარმოშობს ახალ უცნაურ ვერსიებს. აი, თუნდაც ბოლოდროინდელი მხატვრული ფილმი „სტალინ-ლავე“. იგი ამხელს მოღალატე ქმედებას მისივე პოლიტიკური გარემოცვიდან, ე.წ. თანამებრძოლთა პლეადას, რომელიც ფარულად ამზადებდა შეთქმულებას ბელადის გასანადგურებლად.

აღსასრულის წინა დღეებში სტალინმა გუმანით იგრძნო მოსალოდნელი საფრთხე და ფარდა ახადა მათ საიდუმლო სერობას, ამხილა მათი მოღალატური ჩანაფიქრი...

1953 წლის მარტის პირველ რიცხვებში ეს მძიმე ტრაგედია გათამაშდა სტალინის აგარაკზე.

სამწუხაროდ, არა მხოლოდ რუსმა, არამედ ბარე-ორმა ქართველმა გაიხარა იმით, რომ ფეხქვეშ გაითელა სტალინის მრავალწლიანი მოღვაწეობა და ტავდადება თვით რუსთა ქვეყნის სასარგებლოდ.

ცნობილია, რომ ქართველთა შინაგანი შუღლი და გაუტანლობა არაერთხელ გამოცლენილა ისტორიაში, დადასტურებულია ისიც, რომ ქართველი ადვილად იმეტებდა თანამოძმეს, ქართველს, იშორებდა დიდი კარიერისაკენ მიმავალ გზაზე.

ფილმის მიხედვით ცნობილია ქართველი მუხანათობით გამორჩეული აღმოჩნდა სხვათაგან. ეს ფილმი სტალინზე ავლენს იმ ჭიშმარიტებას, რომ იქ, სადაც სამი ქართველია, ერთ-ერთი მოღალატეა, თუნდაც ერთიც რომ იყოს, ადვილად იმეტებს იმას, ვინც პირველი ქართველია (ფილმიდან ლ.ბერიას საქციელის ახსნა სხვაგვარად არ შეიძლება). ყოველივე ამან აიძულა ალბათ ცნობილი ქართველი პოეტი, რომ ეთქვა ასეთი მწარე სიმართლე:

„რუსმა ფეხქვეშ გაგვთელა,  
თოფითა და ცოფითა!  
გაიხარა ქართველმა  
შენი უარყოფითა.“

**ჯანსუღ ჩარკვიანი**



**მინდია სალუქვაძე** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**გუმრა ბალთაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

## **ზნეობრივი ურთიერთობებისა და ქცევის ოქროს წესის მათემატიკური მოდელები**

ზნეობრივი ურთიერთობებისა და ქცევის (იგივე ზნეობის) ოქროს წესი არა მხოლოდ აკადემიური კვლევის თემაა, იგი ამავე დროს ყოველი მოფიქრალი ადამიანის მსჯელობის საგანიცაა, მაშინაც კი, თუ მას ზოგჯერ არ ახსოვს ეს წესი ან არ უწევს ანგარიშს იმას, თუ რას მივიღებთ მისი დახმარებით. ამასთან დღეისათვის იგი წარმოადგენს ძალიან და ძალიან აქტუალურს. ამ წესის წარმოშობის იდეას მიაკუთვნებენ ჩვენს ერამდე პირველ ათასწლეულს, როცა მიმდინარეობდა ჰუმანისტური გადატრიალება. <<ოქროს>> სტატუსი ამ წესმა მიიღო მე-18 საუკუნეში.

ცნობილია, რომ ადრეული ტომების თემებში არსებობდა წესჩვეულება, რომელიც დაკავშირებული იყო სისხლის ალებასთან – ტალიონი (შურისგება, სასჯელის ზომა, რომელიც შეესაბამება ჩადენილ დანაშაულს). იგი მოქმედებდა, როგორც გვაროვნული შუღლის შემზღვეველი, რადგან მოცემული მკაცრი კანონი მოითხოვდა შესაბამისი ზომით დასჯას. როცა გვაროვნულმა ურთიერთობებმა დაიწყო თანდათანობითი გაქრობა, აღმოცენება დაიწყო სირთულეებმა მკაფიოდ განანილებაში, ასე ვთქვათ უცხოთა და საკუთარს შორის. თემის გარეთ ეკონომიკური კავშირები ხშირად აღმოჩნდებოდა უფრო არსებითი, ვიდრე ნათესაური. აქ უკვე თემი აღარ ისწრაფვოდა პასუხი გაეცა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ცალკე აღებული თავიანთი წევრებისათვის. ამასთან დაკავშირებით ტალიონი კარგავდა შედეგიანობას და წარმოიშვა ისეთი, სრულიად ახალი პრინციპის ფორმირების აუცილებლობა, რომლის დახმარებით შესაძლებელი გახდებოდა პიროვნებათაშორისო ურთიერთობების რეგულირება და იგი არ იქნებოდა დამოკიდებული გვაროვნულ კუთვნილებაზე. სწორედ ასეთ პრინციპს წარმოადგენდა ოქროს წესი.

გადავიდეთ ზნეობის ოქროს წესის ფორმულირებებზე, რომლებიც გვაქვს ძველ რელიგიებში.

ახალი აღთქმა – მათეს სახარება 7:12 <<როგორც თქვენ გსურთ გექცეოდნენ კაცნი, თქვენც ასევე მოექეცით მათ, ვინაიდან ესაა რჯული და წინასწარმეტყველნი>>.

ლუკას სახარება 6,31 <<როგორც გინდათ, რომ ადამიანები მოგექცნენ თქვენ, ისე მოექეცით მათ>>.

ძველი აღთქმა – <<არაებრაელი მივიდა გილეისტან [და უთხრა მას: მასწავლე თორა, როცა ერთ ფეხზე ვდგავარ], გილეიმ მიიღო ის და უთხრა: <<ის, რაც საძულველია შენთვის, არ გაუკეთო შენს ამხანაგს, – ამაშია მთელი თორა, ხოლო დანარჩენი – კომენტარები, წადი და ისწავლე>> (IIIაბნარ 31a).

ოქროს წესის ყველაზე ადრეული მოხსენიება გვხვდება ძველი აღთქმის <<ტოვიტას წიგნში>>, სადაც ტოვიტა ასწავლის თავის ვაჟს ტოვიას: <<... იყავი კეთილგონიერი ყველა შენს საქციელში. რაც საძულველია შენთვის, ის არ გაუკეთო არავის>> (Тов., 4, 15). ბიბლიის თანამედროვე მკვლევარები <<ტოვიტას წიგნს>> მიაკუთვნებენ ჩვენს ერამდე V – III საუკუნეების პერიოდს.

დაახლოებით იმავე დროს ან უფრო ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება კონფუციის ნააზრევი <<ლუნ იუი (საუბრები და გამონათქვამები)>>: <<ცზი გუნი ეკითხება: თუ არსებობს ერთი ისეთი სიტყვა, რომლითაც შეიძლება იხელმძღვანელო მთელი ცხოვრება? მასწავლებელი პასუხობს: არ გაუკეთო სხვებს ის, რასაც არ ისურვებდი შენთვის>>.

ანალოგიური ფორმულირებები გვხვდება ძველინდურ ტექსტებშიც: ბუდას ერთი გამონთქვამი ამბობს: <<როგორც ის დაარიგებს სხვას, თვითონაც ისე მოიქცეს>> (**Δхамманаया, XII, 159**) და მუსულმანურშიც: მუჰამედის ერთი წინასწარმეტყველი ხასიდი ამბობს: <<არავინ არ შეიძლება ჩაითვალოს მორწმუნედ, სანამ ის არ უსურვებს თავის ძმას იგივეს, რაც თავისთვის სურს>>.

რაც შეეხება ფორმულირებებს <<შენ მე, მე შენ>>-დან <<ურთიერთ ალტრუიზმამდე (სხვისი ინტერესების წინა პლანზე წამოწევა)>>, ისინი თანამედროვეა. თანამედროვე ეთოლოგები თვლიან, რომ ადამიანში ურთიერთ ალტრუიზმი წარმოიშვა ევოლუციის პროცესში, როგორც ბუნებრივი ეგოიზმის შედეგი.

არ ვისაუბრებთ დანვრილებით ოქროს წესის აღმოჩენის დროზე, ადგილზე და ხერხზე, ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ ახალ და ძველ აღთქმებში მისი ფორმულირების პრინციპულ განსხვავებებზე. ბევრი თვლის, რომ ეს ფორმულირებები იდენტურია, კი არადა თვლიან, რომ ახალ აღთქმაში ოქროს წესი წარმოიშვა ძველიდან. გააჩნიათ რა გარეგანი მსგავსება, ეს ორი წესი ატარებს განსხვავებულ, შეიძლება ითქვას ურთიერთსწინააღმდეგო მნიშვნელობას. ახალ აღთქმაში მისი ფორმულირება პოზიტიურია – გაუკეთეთ სხვებს ის, რაც თქვენთვისაა კარგი. მაგრამ, ყოველთვის ხომ არაა, რომ რაც ჩვენთვის კარგია ის სხვებისთვისაც კარგია. ძველი აღთქმის ფორმულირება ატარებს ნეგატიურ ხასიათს – არ გაუკეთოთ სხვებს ის, რაც თქვენთვის ცუდია. თუ ამ პრინციპს დაეყრდნობით, თქვენ არ ჩაიდენთ ბოროტებას სხვა ადამიანის მიმართ, მათ შორის უცნობის მიმართაც. ასეთი პრინციპი უფრო უნვერსალურია და გამართლებულია ურთიერთობაში, როგორც ახლობელი, ისე უცნობი ადამიანების მიმართ.

ზნეობის ოქროს წესი ასევე გვხვდება ფილოსოფიაში. ფალესმა, შვიდ სახელგანთქმულ ბერძენ ბრძენსა და ფილოსოფოსს შორის პირველმა, კითხვაზე <<როგორი ცხოვრებაა ყველაზე საუკეთესო და სამართლიანი?>> უპასუხა: <<როცა ჩვენ არ ვაკეთებთ იმას, რასაც ვგმობთ სხვებში>>. ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი ავგუსტინი ჩვ. წ. IV-V საუკუნეებში წერდა: <<სიყვარულის კანონი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანმა ახლობელს უსურვოს იგივე სიკეთე, როგორც მას სურს თავისთვის, და არ უსურვოს ის ბოროტება, რასაც არ უსურვებს თავის თავს>>.

ახალი დროის ფილოსოფიის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, თომას გობსი აღნიშნავდა: <<იმისათვის რომ არცერთ ადამიანს არ შეეძლოს თავის გამართლება ამ (ბუნებრივი) კანონების არცოდნის გამო, ისინი რეზუმირებული იქნა ერთ მარტივ წესში, რომლის გაგება ხელმისაწვდომია თვით უნიჭო ადამიანისათვისაც კი. იგი გვაუწყებს: არ გაუკეთო სხვას ის, რასაც არ ისურვებდი, რომ გაგიკეთონ შენ>>.

და საბოლოოდ, ლევ ტოლსტოი ოქროს წესს ციტირებს თავის ნაშრომში <<რა არის რელიგია და რაშია მისი არსი?>>: <<ჩვენი დროის რელიგიის საერთო ჭეშმარიტება ყველა ადამიანისათვის ძალიან მარტივია, გასაგებია და ახლობელია ყოველი ადამიანის გულისათვის. მისი პრაქტიკული წესი იმაშია, რომ <<ადამიანი უნდა მოექცეს სხვებს ისე, როგორც მას უნდა, რომ მოექცნენ>>.

მრავალი სხვა მოაზროვნე ამა თუ იმ ფორმით წერდა ზნეობის ოქროს წესზე. კარგად ჩანს, რომ უდიდესი ბრძენი ადამიანები, რომლებიც სამართლიანად ითვლებიან კაცობრიობის მანავლებლებად, საუბრობდნენ ადამიანთა ცხოვრებისათვის ამ წესის განსაკუთრებულ საჭიროებაზე. შეიძლება, გარკვეულწილად სწორედ ამაში მდგომარეობდა მათი სიბრძნე.

გავაკეთოთ ზნეობის ოქროს წესის რეზიუმე მის ყველაზე მეტად დადგენილ ფორმულირებებზე. ეს ფორმულირებები ამავდროულად გვაჩვენებენ ამ წესის საერთო საფუძველს და მის წარმოჩენას.

**1. თანაგრძნობის პრინციპი:** <<რასაც საკუთარ თავს არ უსურვებ, ის არ გაუკეთო სხვებს>> (ფორმულირება, რომელიც გამომდინარეობს კონფუციიდან).

2. **ავტონომიის წესი:** <<თვითონ არ გააკეთო ის, რასაც გმობ სხვებში>> (ფორმულირება, რომელიც გამომდინარეობს ფალსიდან).

3. **ურთიერთმეგობრობის პრინციპი:** <<როგორც შენ გინდა, რომ მოგექცნენ ადამიანები, ასევე მოექეცი სხვებს>> (ფორმულირება, რომელიც გამომდინარეობს სახარებებიდან).

არსებითად ყველა ისინი ერთიანია. საერთო მათ შორის იმაში მდგომარეობს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ადამიანმა გადანყვეტილების მიღებისას ძნელ, საეჭვო და რთულ სიტუაციებში, რისთვისაც აუცილებელია იხელმძღვანელოს თავისი წარმოდგენებით, შეფასებებით და იმაზე სურვილებით, რომ დაინახოს ადამიანებს შორის ისეთი ურთიერთობები, რომლებიც მისი თვალსაზრისით წარმოადგენენ ყველაზე სასურველს.

ისტორიული მიმოხილვის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს წესი ფიგურირებდა ისეთი განსხვავებული სახელწოდებებით, როგორცაა: მოკლე გამონათქვამი, პრინციპი, ძირითადი პრინციპი, მცნება და ა.შ. ხოლო სახელწოდება <<ოქროს წესი>> მან მიიღო უკვე მე-18 საუკუნეში ევროპულ კულტურაში და ამ სახელით არსებობს იგი დღემდე. მართალია, ზოგჯერ ზნეობის ოქროს წესს უწოდებენ სხვა სენტენციებსაც. არის მცდელობები აგებული იქნეს ზნეობრიობის წესების <<ლითონური რიგი>>. ცნობილი ამერიკელი თეოლოგი ლეონარდ სვიტი გვთავაზობს მაგალითად შემდეგ რიგს:

1. <<გაუკეთე სხვას რაიმე ადრე, ვიდრე ის გაგიკეთებს შენ>> – რკინის წესი;
2. <<მოექეცი ურთიერთობაში სხვას ისე, როგორც იქცევა იგი ურთიერთობაში შენთან>> – ვერცხლის წესი;
3. <<მოექეცი ისე, როგორც შენ ისურვებდი, რომ მოგექცნენ ურთიერთობაში შენთან>> – ოქროს წესი.

მოაზროვნეს აგრეთვე შემოაქვს ახალი, ტიტანური წესი: <<მოექეცი ურთიერთობაში სხვებს ისე, როგორც იესო მოიქცა შენთან ურთიერთობაში>> (იგულისხმება თავგანწირულობისა და თავგანწირვის პრინციპები).

მაინც რას გვთავაზობს ზნეობის ოქროს წესი, რისთვისაა იგი გათვალისწინებული და ადამიანის ბუნების რომელი გაგებიდან წარმოიშობა იგი? ეს მოდელი გამომდინარეობს შემდეგი წინაპირობებიდან:

- 1) ადამიანი წარმოადგენს თავის საქციელთა მიზეზს – ყველაფერს, რასაც ადამიანი აკეთებს, უშუალოდ წანემძღვარება მისი გადანყვეტილება გააკეთოს ის. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ არ არსებობს გარეგანი დეტერმინაცია (შეზღუდვა), იგი არსებობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ადამიანის საქციელი ატარებს შეგნებულ, მიზანმიმართულ ხასიათს და მის ქმედებებს ყოველთვის წანემძღვარება საკუთარი გადანყვეტილება;
- 2) თითოეული ადამიანი მიისწრაფვის სიკეთისაკენ – ისეთ საქციელთა ჩადენისათვის, რომლებიც იქნებიან მისი წარმოდგენით საუკეთესო, მათ შორის საუკეთესო იქნება თვით თავისთვისაც;
- 3) საუკეთესო საქციელები არის საქციელთა არსი, რომლებიც თავისთავად ფასეულია – ისინი არასდროს არ შეიძლება შემოუბრუნდეს ბოროტებით იმას, ვინც მათ ჩაიდენს, ისინი თავის თავში შეიცავენ საკუთარ ჯილდოს, მათზე ადამიანი არასდროს არ იჯავრებს.
- 4) საქციელნი, თავისთავად ფასეულია, ასეთივე იქნება ისინი მათთვისაც, ვინც ისწრაფვის სიკეთისაკენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. აქ იგულისხმება, რომ თუ შენ იპოვი საუკეთესო გადანყვეტილებას საკუთარი გონების ფარგლებში ზნეობრივი მისწრაფებებით, მაშინ ეს გადანყვეტილება არ შეიძლება არ აღიაროს ყოველმა ადამიანმა, რომელიც ისევე როგორც შენ, თავის ცხოვრებას აგებს სიკეთის პრინციპებზე და ხელმძღვანელობს გონებრივი არგუმენტებით.

ზნეობის ოქროს წესი თავისთავად წარმოადგენს ისეთ მექანიზმს, რომელიც საშუალებას გვაძლევს საეჭვო შემთხვევებში შევამოწმოთ: ის საქციელნი, რომლებიც ჩვენ გვეჩვენება,

როგორც ფასეულნი, ნამდვილად ასეთებია თუ არა. ხომ არ ცდება ადამიანი?

რისთვისაა გათვალისწინებული ოქროს წესი? რა შესაძლებლობები გააჩნია მას?

ზნეობის ოქროს წესს არ შეუძლია არაზნეობრივი ადამიანი გადააქციოს ზნეობრივად. ეს არ შეუძლია საერთოდ არავითარ წესს. მისი დანიშნულება სხვა რამეშია – დაეხმაროს ზნეობრივ ადამიანს, ადამიანს, რომელიც ისწრაფვის დარჩეს ზნეობრივ ველში, შეინარჩუნოს საკუთარი თავისადმი პატივისცემა – იპოვოს სწორი გადაწყვეტილება. ოქროს წესი – ეს არაა მოთხოვნა, რომლითაც ჩვენ მივმართავთ სხვებს. პირველ რიგში იგი მოთხოვნაა საკუთარი თავისადმი. არაა შემთხვევითი, რომ ოქროს წესის ლინგვისტური ფორმა მყარადაა მოცემული ორ გრამატიკულ კილოში:

1) ბრძანებითი: <<მოიქეცი>> – <<არმოიქეცი>>;

2) კავშირებითი: <<ვისურვებდი>> – <<არ ვისურვებდი>>.

ბრძანებითი შეეხება ადამიანის საკუთარ ქცევებს. კავშირებითი მიეკუთვნება სხვების საქციელს. ანუ, საკუთარ საქციელთა მიმართ ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ კატეგორიულები. რაც შეეხება დანარჩენების საქციელს, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვიმედოვნოთ და ვიმოქმედოთ მათზე საკუთარი მაგალითით.

ზნეობის ოქროს წესი მოგვინოვებს საეჭვო შემთხვევებში მოვახდინოთ წარმოსახვის ძალის მობილიზება და აზრობრივი ექსპერიმენტის ჩარჩოებში დისპოზიციის ცვლილებით (როლების გაცვლით) გამოვცადოთ შედარებით ზოგადმნიშვნელოვანი, და მით უფრო ზნეობრივად ხარისხიანი საქციელი იმისათვის, რომ გავთავისუფლდეთ ეჭვებისაგან და მივიღოთ ჩვენთვის საპასუხისმგებლო და კატეგორიული გადაწყვეტილება.

ზნეობის ოქროს წესი – არაა აბსტრაქტული ნორმა. პირიქით, იგი ძალიან კონკრეტულია, რომელიც გვეხმარება ვიმუშაოთ ცოცხალ რეალურ სიტუაციებში, ეჭვიანობებში, ცდუნებებში. ამ წესის გამოყენება არ მოითხოვს ადამიანებისაგან სპეციალურ მომზადებას, სწავლას, რაიმე სახის სპეციალური უნარ-ჩვევების დაუფლებას – ის არაა ლოგიკური ფორმულა, ის ქცევათა სამუშაო სქემაა. იგი ცნობილია და გასაგებია თითოეული ადამიანისათვის, იმიტომ, რომ იგი არსებობს ჩვენი ცხოვრების წესში.

ჩვენ მივმართავთ ზნეობის ოქროს წესს, როცა სხვა გვინდა შევაკავოთ უღირსი საქციელისაგან. მოკლედ, ზნეობის ოქროს წესი – ესაა ფუნდამენტური საგანი, რომელიც ჩაბეჭდილია ჩვენს ყოველდღიურობაში, ჩვენს ზნეობრივ ცხოვრებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ გამოიყენება მცდელობა გადავლახოთ ზნეობის ოქროს წესი: ამბობენ, რომ იგი არ წარმოადგენს არც ისე მნიშვნელოვანს, არ წარმოადგენს მორალის კვინტესენციას (რისამე საფუძველს) და ჩვენი ზნეობრივი ქცევის რეგულირებისათვის გვთავაზობენ სხვა წესებს. ერთ-ერთი ასეთი წესის გავრცელებული ვარიანტია – ამერიკელი კულტუროლოგის მილტონ ბენეტის <<პლატინის წესი>>, რომელიც ასე უღერს: <<მოექეცი სხვებს ისე, როგორც ისინი მოექცეოდნენ თავიანთ თავს>>. საბჭოთა და ამერიკელი ფილოსოფოსი, კულტუროლოგი მ. ნ. ეპშტეინი გვთავაზობს <<ალმასის წესს>>: <<იმოქმედე ისე, რომ შენ თვითონ გინდოდეს გახდეს მოცემული ქმედების ობიექტი, მაგრამ ვერცერთმა სხვამ ვერ შეძლოს გახდეს მისი სუბიექტი>>. სხვა სიტყვებით <<გააკეთე ისე, რასაც თითოეული გააკეთებდა შენს ადგილზე>>. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში აქცენტი კეთდება ქმედების ზნეობის ავტონომიურობაზე, ანუ იგულისხმება, რომ საეჭვო შემთხვევა ადამიანმა უნდა გადაწყვიტოს სიტუაციის თავის თავთან გათამაშებით. ცხადია, რომ ასეთ ფორმულირებებში არსებობს მნიშვნელოვანი ასპექტები და ისინი გამოსახავენ ჩვენი ზნეობრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებს, მაგრამ ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს ზნეობის ოქროს წესის გადამლახავად, რადგან ამ ფორმულირებებში იკარგება ორმხრივობა. ამავე წესს მიაკუთვნებენ აგრეთვე საკუთარ ქცევას მისი შესაძლო ზემოქმედებით სხვებზე, სხვები გვინდა იმისათვის, რომ ჩამოვაცალიბოთ საკუთარი ავტონომიური პოზიცია,

ადამიანური ქმედების საკუთარი ვარიანტი, თუმცა ისინი არ იძლევიან ქცევის კანონებს. ეს ორმხრივობა მითითებულ ფორმულირებებში იკარგება. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ ძალიან ადრეა ზნეობის ოქროს წესის ჩამოწერა. მით უმეტეს, რომ მისი არსებობა და გამოყენება არაა დამოკიდებული აკადემიურ კვლევებზე და მეცნიერულ ძიებებზე – იგი ჩვენი რეალური ცხოვრების, ცოცხალი ურთიერთობების და ყოველდღიური გამოცდილების თანმხლებია.

ზნეობის ოქროს წესს კავშირი აქვს აგრეთვე მოვალეობასთან, მორალთან, უფლებასთან, დამოკიდებულება საკუთარ ჯანმრთელობასთან.

გავიხსენოთ, რომ დადებით ფორმაში წესი გვეუბნება: მოიქეცი სხვებთან ისე, როგორც ისურვებდი, რომ მოგექცნენ შენ. უარყოფითში: არ გაუკეთო სხვებს ის, რასაც არ ისურვებდი, რომ გაგიკეთონ შენ.

ოქროს წესი გვაძლევს მთლიან კონცენტრირებულ წარმოდგენას ზნეობაზე, რათა ჩავწვდეთ მასში მთავარს: ურთიერთობა სხვასთან ისე, როგორც საკუთარ თავთან. იგი ადგენს, აფიქსირებს, განსაზღვრავს ადამიანში ადამიანურ ზომას, მორალურად ათანაბრებს ადამიანებს, ადარებს მათ ერთმანეთთან. როცა ვსაუბრობთ მორალურ თანაბრობაზე, ლაპარაკი მიდის მხოლოდ ერთზე – იმაზე, რომ თითოეული ადამიანური ინდივიდი ღირსია გააჩნდეს უფლება ბედნიერებაზე და რომ <<ამ უფლების ურთიერთ აღიარება წარმოადგენს მორალური ურთიერთობის პირობას>>. ოქროს წესი ინდივიდისაგან მოითხოვს <<ყოველთვის წარმოიდგინოს თავი სხვის ადგილზე და მოიქცეს სხვებთან ურთიერთობაში ისე, თუ მათ ადგილზე იქნებოდა ის თვითონ>>. <<ოქროს წესის მექანიზმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც შედარება, როგორც მოთხოვნა აზრობრივ წარმოდგენაში დასვას საკუთარი თავი სხვის ადგილზე>>. მორალური გათანასწოლება – რაოდენობრივი პროცედურაა, ხოლო მორალური შედარება – ხარისხობრივი პროცედურა. ერთად გვაქვს ზომვადი პროცესი: ოქროს წესი ადამიანებს თავაზობს მოახდინონ თავიანთი ქცევის თანაზომადობა სხვების ქცევასთან, საკუთარი საზომით გაზომოს სხვათა ქცევა და პირიქით, სხვისი საზომით გაზომოს თავისი ქცევა; ერთი სიტყვით, იგი გვთავაზობს ვიპოვოთ საკუთარი და უცხოთა ქცევის საერთო საზომი და ვიმოქმედოთ ამ საერთო საზომის შესაბამისად.

ოქროს წესი თავის უარყოფით ფორმაში ადგენს ადამიანის სხვა ადამიანებთან მორალური ურთიერთობების მინიმალურად დაბალ თამასას ან საზღვარს, კრძალავს ბოროტების ჩადენას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის ქცევისათვის ადგენს მინიმალურ ზნეობრივ მოთხოვნებს.

თავის დადებით ფორმაში იგი ადგენს ადამიანის სხვა ადამიანებთან ურთიერთობების მაქსიმალურად მაღალ თამასას, მოუწოდებს სიკეთისაკენ, კეთილგანწყობისაკენ, სხვა სიტყვებით – განსაზღვრავს ადამიანის ქცევისათვის ზნეობრივი მოთხოვნების მაქსიმუმს.

ამრიგად, ოქროს წესი მოიცავს ზნეობრივ საქციელთა მთელ დიაპაზონს და წარმოადგენს სიკეთისა და ბოროტების მორალური კატეგორიების განსხვავებისა და განსაზღვრის საფუძველს. ასეთივე ფუნქციას ასრულებს იგი მოვალეობის კატეგორიასთან მიმართებაში. ამისათვის შევხედოთ წესს მეორე მხრიდან, კერძოდ, როგორ ახდენს იგი საკუთარს და უცხოს საქციელთა თანაზომადობას. თანაზომადობის საფუძველში დევს შემდეგი: ადამიანებმა, საზოგადოებამ მომცეს მე სიცოცხლე, მაქციეს ადამიანად (მკვებეს, ჩამაცვეს, ფეხზე ჩამაცვეს, აღმზარდეს, მომცეს განათლება და ა.შ.), ანუ ისინი მომექცნენ მე მეტნაკლებად კარგად, ისე, როგორც მინდოდა, რომ მომქცოდნენ სხვები. შესაბამისად, მე მოვიქცევი ან უნდა მოვიქცე მათთან (მშობლებთან, ადამიანებთან, საზოგადოებასთან), კერძო შემთხვევაში უნდა გადავუხადო მათ იგივე, ანუ საკუთარი ქცევით მე არ უნდა გავაუარესო – არ შევამცირო სიცოცხლის ხარისხი – ხანგრძლივობა (რომელიც მოცემული გვაქვს მეც და სხვებსაც), უფრო მეტიც, რამდენად შესაძლებელია, უნდა ვიზრუნვო (ჩემის და სხვების,

მთლიანობაში საზოგადოების) სიცოცხლის ხარისხის – ხანგრძლივობის გაუმჯობესებაზე – გაზრდაზე. კარგადაა ცნობილი მნიშვნელოვანი გამონათქვამი: <<განვითარებულმა ადამიანმა თავისი განვითარების შესაბამისად უნდა გადაიხადოს უფრო მნიშვნელოვანი ფასი, ვიდრე დახარჯულია საზოგადოების მიერ მის განვითარებაზე >>.

ესაა მოვალეობის ზოგადი გაგება. იგი, ბუნებრივია, იყოფა კერძო სახეებად იმაზე დამოკიდებულებით, თუ ვინ გვყავს მხედველობაში <<სხვების>> ქვეშ. თუ <<სხვები>> – მშობლებია, მაშინ ესაა მოვალეობა მშობლების წინაშე. თუ <<სხვები>> – ხალხია, ერია, მაშინ ეს მოვალეობაა სამშობლოს წინაშე, თუ <<სხვები>> – მთელი კაცობრიობაა, მაშინ ესაა მოვალეობა კაცობრიობის წინაშე.

მოვალეობა არის ნორმა-ოპტიმუმისაგან <<ნორმალური გადახრა>> <<მოთხოვნილების>> მსგავსად. ეს უკანასკნელი ცალკეული ადამიანის სიცოცხლე – ჯანმრთელობის გადახრაა ნორმა-ოპტიმუმისაგან. მოვალეობა – საზოგადოების სიცოცხლე – ჯანმრთელობის მიმართ ნორმა-ოპტიმუმისაგან გადახრაა. კონკრეტული ადამიანისაგან მოვალეობის შესრულებას საზოგადოების ჯანმრთელობისათვის აქვს იგივე მნიშვნელობა, როგორც აქვს ცალკეული ადამიანის ჯანმრთელობისათვის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ახალგაზრდობაში ადამიანი აგროვებს მოვალეობას, ვინაიდან ის ჯერ კიდევ ლეზულობს სხვებისაგან, მაგრამ პრაქტიკულად არაფერს არ აძლევს მათ. მოწიფულ ასაკში ადამიანი გასცემს მოვალეობას და აძლევს <<მოვალეობაში>>.

თუ მორალი (ზნეობა) არეგულირებს ადამიანთა ურთიერთობებს, უზრუნველყოფს საზოგადოების ჯანმრთელობას ნორმა-ოპტიმუმის ფარგლებში და მისგან უახლოესი გადახრებით (მოვალეობის გაცნობიერება და მისი შესრულება), უფლება არეგულირებს ადამიანთა ურთიერთობებს, უზრუნველყოფს საზოგადოების ჯანმრთელობას უფრო ფართო აზრით – ნორმა-ჯანმრთელობიდან პათოლოგიური გადახრების, რომლებიც იწოდებიან სამართალდამრღვევებად და (ან) დამნაშავეებად – არდაშვებას, პროფილქტიკას ან მკურნალობას. რა თქმა უნდა, ცალკეული ადამიანის სიცოცხლე-ჯანმრთელობისათვის დაავადება ძალიან ცუდია, მაგრამ საზოგადოების სიცოცხლე-ჯანმრთელობისათვის უფრო უარესია სამართალდარღვევები და დანაშაულების ჩადენა. როცა საზოგადოებაში ხდება ბევრი სამართალდარღვევა და დანაშაული, მაშინ ეს საზოგადოება დაავადებულია იურიდიული აზრით. ამასთან შედარებით ზნეობრივი აზრით საზოგადოების ჯანმრთელობაზე კიდევ უფრო ნაკლებად გვიხდება საუბარი.

ოქროს წესი ადგენს კავშირ-შესაბამისობას ცალკეული ადამიანის სიცოცხლე-ჯანმრთელობასა და საზოგადოების სიცოცხლე-ჯანმრთელობას შორის. იგი ამტკიცებს, რომ საზოგადოების სიცოცხლე და ჯანმრთელობა ეფუძნება ადამიანთა სიცოცხლე-ჯანმრთელობას, რომ ზნეობა არაა თვითშეფასება, არამედ მას აქვს ფესვი კონკრეტული ადამიანის სიცოცხლე-ჯანმრთელობაში, იგი არის ასე ვთქვათ ამ სიცოცხლე-ჯანმრთელობის ბუნებრივი გაგრძელება. ზნეობრივი ჯანმრთელობა, ერთი მხრივ, წარმოადგენს საზოგადოების ან ადამიანთა ცალკეული ჯგუფების (კოლექტივის, ნაციის და ა.შ.) ჯანმრთელობის ნაწილს, ხოლო მეორე მხრივ, იგი ადამიანის ინდივიდუალურ ჯანმრთელობაში შედის შემადგენელ ნაწილად. ასევე უფლება არაა თვითშეფასება, იგი წარმოადგენს ზნეობის ბუნებრივ გაგრძელებას. უფლება, არსებითად, როგორც ზნეობა, დაფუძნებულია ოქროს წესზე. გავიხსენოთ როგორ წერდა თომას გობსი: <<ადამიანი უნდა დაკმაყოფილდეს სხვა ადამიანების თავისუფლების ისეთი ხარისხით, რომელსაც ის დაუშვებდა დანარჩენი ადამიანებიდან თავის თავთან დაკავშირებით>>. დაახლოებით ამაზე ამბობს ძველი პოლიტიკურ-იურიდიული წესი: <<თითოეული ვალდებულია დაექვემდებაროს მხოლოდ იმ კანონს, რომელზეც იგი მისცემდა თანხმობას>>. ეს წესი, შეიძლება რამდენადმე კატეგორიულია, მაგრამ არსებითად სწორია, ვინაიდან იგი ეყრდნობა ოქროს წესს. ან ასეთი წესი: <<უცხოთა უფლებების

არდარღვევით – ინარჩუნებ საკუთარს>> (ფრანგი ჟაკ-ივ კუსტოს ფილმიდან 1984 წ.). ამ წესს მისდევს ათასი ოქროს მაძიებელი ამაზონკები ოქროს საბადოებში. იქ პრაქტიკულად არ იცინან ქურდობა. წესი, თუ ჩავუკვირდებით, არის ოქროს წესის კერძო გამომხატვა მის უარყოფით ფორმულირებაში. ამრიგად, ყველაზე ღრმა გაგებით უფლება – ესაა თავისუფლების ურთიერთდაშვება და ურთიერთშეზღუდვა. თავისუფლების ურთიერთდაშვებიდან გამომდინარეობს ადამიანის სხვადასხვაგვარი უფლება. თავისუფლების ურთიერთშეზღუდვიდან კი გამომდინარეობს ადამიანის არა ნაკლები რაოდენობის სხვადასხვა მოვალეობანი.

ოქროს წესი ფლობს აგრეთვე იმ თვისებებს, რომ იგი თვითსაკმარისია, რგოლისებრია, აქვს საფუძველი თავის თავში. იგი, კერძოდ აკავშირებს მინდას და უნდას, მინდას შემთხვევითობას, უნდას აუცილებლობას. ეს კავშირი საბოლოოდ იძლევა იმას, რასაც ჩვენ ვუნოდებთ თავისუფლებას. ოქროს წესი – თავისუფლების ფორმულაა. ოქროს წესში <<მინდას>> და <<უნდას>> დაკავშირება ერთმანეთს უშვებს და ზღუდავს, ადგენენ ზომას, აზომიერებენ ერთმანეთს.

<<მინდას>> და <<უნდას>> დაკავშირებით, ოქროს წესი გვათავისუფლებს აგრეთვე ბედნიერების ეთიკისა და ვალდებულების ეთიკის დილემისაგან. იგი ადამიანისაგან მოითხოვს მხოლოდ იმას, რაც მას უნდა თავისთვის. ტყუილბრალოდ კი არ უნოდებენ წესს <<ოქროსი>>.

ოქროს წესის თავისებურ ნეგატიურ ასლს წარმოადგენს <<წესი>>, რომელიც გამოისახება ცნობილი სიტყვებით <<თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ>>, <<მე გამაბრაზეს და ვუპასუხებ გაბრაზებისთვის>>, შემდეგი ტიპის გამონათქვამებში <<როგორც მოექცევი შენს მთხოვნელს, ისევე მოგექცევა შენც ღმერთი>> და ა.შ. ამ <<წესის არსი>> იმაშია, რომ თუ შენ გაგიკეთეს ცუდი, მაშინ შენც გაქვს უფლება გადაუხადო იგივე მონეტით. მოცემული <<წესი>> გარეგნულად მსგავსია ოქროს წესის, მაგრამ თავისი არსით მისგან დიამეტრალურად განსხვავებულია. იგი მოქმედებს მაშინ, როცა არ მოქმედებს (ირღვევა) ოქროს წესი. რამდენად დამრღვევია იგი ადამიანური ურთიერთობების, შეიძლება დავინახოთ შურისძიების მაგალითზე (თუ შენ გამიკეთებ მე ცუდს, მეც გაგიკეთებ შენ ცუდს). განსაკუთრებით დამრღვევია სისხლიანი შურისძიება, რომელსაც ზოგჯერ მივყავართ მთელი საგვარეულოს განადგურებამდე.

შეუძლიათ გვკითხონ: თუ ოქროს წესი ამდენად კარგია, მაშინ რატომ არღვევენ ადამიანები მას, რატომ ჩადიან ბოროტებას და არ ასრულებენ მოვალეობას? აქ სიტუაცია დაახლოებით იგივეა, როგორც დაავადებებით ჯანმრთელობის შემთხვევაში. ასეთი ადამიანები სრულიადაც არ ახდენენ ჯანმრთელობის გაუფასურებას, პირიქით, დაავადებული ადამიანი კვლავ ცდილობს გახდეს ჯანმრთელი. ასევე გვაქვს ოქროს წესისათვის, ოქროს წესის დარღვევა არ აუფასურებს მას. ადამიანურ საქციელთა საერთო ბალანსში ისეთი საქციელი, რომელიც ეფუძნება ოქროს წესს, უპირობოდ აღემატება მის დამრღვევ საქციელს. სხვანაირად ჩვენ საქმე გვექნებოდა დაავადებულ და მომაკვდავ საზოგადოებასთან.

ოქროს წესი სულაც არაა ისეთი ელემენტარული და ცხადი, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით გვეჩვენებოდეს. იმისათვის, რომ იგი მოქმედებდეს, შემდეგი ორი პირობა მაინც უნდა შესრულდეს:

1. ადამიანი უნდა იყოს ნორმალური, ჯანმრთელი, ან თუ იგი არაჯანმრთელია და რაიმეში ანორმალური, მაშინ ეს არაჯანმრთელობა და ანორმალობა გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვა ადამიანთან (სხვა ადამიანებთან) ქცევის განსაზღვრისას. სხვასთან (სხვებთან) მოქცევა – ეს მოქცევაა თავის თავთან.

2. ადამიანს უნდა შეეძლოს აზრობრივად დააყენოს თავისი თავი სხვათა ადგილზე და ამგვარად მოახდინოს თავისი ქცევის კორექტირება. ეს არაა მარტივი პროცედურა. ძალიან ხშირად ადამიანები დანარჩენებს ზიანს აყენებენ არა ბოროტი განზრახვით, არამედ თავიანთი მოუსაზრებლობით, კერძოდ იმის უცოდინარობით, რომ კონკრეტულ სიტუაციაში ჩააყენონ საკუთარი თავი სხვათა ადგილზე.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ: ზნეობის ოქროს წესი კრძალავს მკვლევლობას ნებისმიერ ფორმაში. მართლაც, ნებისმიერ ნორმალურ ადამიანს არ სურს სიკვდილი, და მი-  
თუმეტეს, რომ იგი ვინმემ მოკლას. თუ შენ არ გინდა, რომ მოგკლან, მაშასადამე შენ არ  
შეგიძლია ეს მოინდომო ან გააკეთო სხვებთან დამოკიდებულებაში. ამრიგად, მკვლევობა  
ბოროტი განზრახვით და მკვლევობა გაუფრთხილებლობით, დაუდევრობით, მკვლევობა  
ომში, სიკვდილით დასჯა განაჩენის საფუძველზე – ყველა ესენი ეწინააღმდეგება აღნიშ-  
ნულ ოქროს წესს.

მსოფლიოს ხალხთა უმრავლესობას თავიანთ რელიგიურ-ეთიკურ საფუძვლებში გამყარე-  
ბული აქვთ ქცევის ერთი და იგივე სტრატეგია, რომელიც ხორციელდება მოთხოვნებში და  
სწორედ მან მიიღო ზნეობის ოქროს წესის სახელწოდება. ვიმედოვნებთ, რომ იგი გადაი-  
ქცევა კაცობრიობის ქცევის დადგენილ ზნეობრივ ნორმად. ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია  
ვთქვათ, რომ ზნეობის ოქროს წესის ყველაზე ცნობილი განსაზღვრება ამბობს: <<სხვ-  
ასთან ურთიერთობაში მოიქეცი ისე, როგორც ისურვებდი, რომ ის მოგექცეს შენ>>. მისი  
წყაროა ახალი აღთქმა ლუკას სახარებიდან, თავი 6, სტრიქონი 31: <<როგორც გინდათ,  
რომ გექცეოდნენ კაცნი, თავადაც ისე მოიქეციეთ მათ>>.

ზნეობის ოქროს წესმა ასახვა ჰპოვა თამაშთა მათემატიკურ თეორიაში ურთიერთობისა  
და ქცევის ოპტიმალურობის ახალი პრინციპის სახით და იგი შესწავლილია ჩვენს წიგნში [1].  
სანამ ამ პრინციპის ფორმალიზაციას ჩამოვაყალიბებდეთ, მანამდე გავიხსენოთ თამაშთა  
თეორიის დარგი და მისი ძირითადი საწყისი ცნებები, რომლებიც დაწვრილებით გვაქვს გად-  
მოცემული სტატიაში [2]. თამაშთა თეორია თანამედროვე მათემატიკის დარგია. ის მათემა-  
ტიკური მოდელებისა და მეთოდების თეორიაა, რომელიც შეისწავლის ოპტიმალური (რაციო-  
ნალური) და სამართლიანი გადანყვეტილების მიღების ამოცანებს ცალკეულ ინდივიდთა და  
მათ ჯგუფებს შორის, ქვეყნებს შორის – კონფლიქტის, ინტერესთა დაპირისპირების (ასევე  
საომარო მოქმედებების), შეჯიბრების, გაურკვევლობის, რისკის, კოოპერაციის, კოლექტი-  
ური არჩევის და იერარქიული დამოკიდებულების პირობებში. ასეთი პირობები მიეკუთვნება  
ძირითადად თამაშთა თეორიის ორ თეორიას – სტრატეგიული (იგივე არაკოოპერატიული) და  
კოოპერატიული თამაშების თეორიებს.

რაციონალური გადანყვეტილების (იგივე რაციონალური არჩევის) პრობლემა ზოგადი სახ-  
ით მდგომარეობს შეზღუდული რესურსების პირობებში მიზნის მიღწევისათვის ქმედების  
საუკეთესო ვარიანტის განსაზღვრაში. უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ სამეცნიერო და  
სასწავლო ლიტერატურაში ამ მიმართულებამ ვერ მიიღო ფართო განვითარება, მასზე  
თითქმის არცაა საუბარი. ეს ნათლად ჩანს მას შემდეგ, რაც საქართველო გადავიდა  
კაპიტალისტური განვითარების გზაზე.

რაციონალურობის გაგება სათავეს იღებს მე-18 საუკუნეში შოტლანდიელი ეკონომის-  
ტისა და ფილოსოფოსის, თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის,  
ადამ სმიტის რაციონალური ქცევის პრინციპიდან: საზოგადოებრივი კეთილდღეობის მის-  
აღწევად თითოეულმა ადამიანმა უნდა იმოქმედოს მხოლოდ პირადი ინტერესებით, ან კიდევ:  
თითოეულმა უნდა აკეთოს თავისი საქმე და არ იფიქროს სხვაზე, რაც საკმარისი იქნება  
იმისათვის, რომ ეკონომიკა ამუშავდეს; თუ თითოეული ადამიანი იქნება ბედნიერი, მაშინ ეს  
ნიშნავს, რომ ყველა იქნება ბედნიერი.

ერთი საუკუნის შემდეგ კარლ მარქსი კი თვლიდა, რომ თუ თითოეული ჩვენგანი ვიმ-  
რომებთ დანარჩენების კეთილდღეობისათვის, მაშინ ყველა იქნება ბედნიერი. კიდევ ერთი  
საუკუნის შემდეგ **ჯონ ნეშმა** ჩამოაყალიბა და სტრატეგიული თამაშების თეორიაში დაამტკიცა  
**ნონასნორობის პრინციპის** არსებობა, რომელიც გარკვეული საშუალოა სმიტისა და მარქ-  
სის თეორიებს შორის. ნეშის აზრით, საზოგადოება იქნება ბედნიერი მხოლოდ მაშინ, როცა  
თითოეული ჩვენგანი ვიფიქრებთ საკუთარზე და სხვებზეც. სწორედ ნეშის ნონასნორობის  
პრინციპია თამაშთა თეორიის უმთავრესი საფუძველი, რომელიც მათემატიკურადაა დას-  
აბუთებული და გამოიყენება ნებისმიერ სიტუაციაში, ამავე დროს მოქმედებს სტრატეგიული



ურთიერთობის ყველა მიმართულებაში. ბოლო პერიოდში კი ასეთივე ურთიერთობებისათვის ჩამოყალიბდა ზნეობის ოქროს წესის შესაბამისი ნონასწორობის ახალი პრინციპი და მან მიიღო **ბერჟეს ნონასწორობის** სახელწოდება.

ამ პრინციპებს შორის განსხვავების გარკვევისათვის სასურველია მათი მოდელების ფორმალიზაცია. ამისათვის საჭიროა მოვახდინოთ თამაშთა თეორიის ძირითადი საწყისი ცნებების [2] ფორმალიზება. შევეცდებით მოვახდინოთ ეს მკითხველისათვის გასაგებ ენაზე.

საკუთრივ თამაში (იგივე ურთიერთობა) წარმოადგენს გარკვეულ მათემატიკურ ობიექტს. თამაში შედგება მოთამაშეებისაგან, თითოეული მოთამაშის სტრატეგიათა სიმრავლეებისაგან და მოთამაშეთა მიერ არჩეული სტრატეგიების (გადაწყვეტილებების) ყოველი კომბინაციისათვის (სიტუაციისათვის) თითოეული მოთამაშის მოგებისაგან (საზოგადოდ სარგებლიანობისაგან). ამის შესაბამისად თამაშის სტრატეგიული ფორმა ეწოდება მათემატიკურ მოდელს

$$\Gamma \approx N, \{S_i\}_{i \in N}, \{H_i\}_{i \in N} >$$

სადაც  $N = \{1, \dots, n\}$  მოთამაშეთა სიმრავლეა ანუ თითოეულ მოთამაშეს აქვს თავისი ნომერი;  $S_i - i \in N$  მოთამაშის წმინდა სტრატეგიების (გადაწყვეტილებების, არჩევნების, სვლების) სიმრავლეა;  $H_i$  კი  $i \in N$  მოთამაშის მოგების (ეკონომიკის ენაზე სარგებლიანობის) ფუნქციაა, რომელიც მოთამაშეთა სტრატეგიების ყოველ  $s = (s_1, \dots, s_n)$  ერთობას, რომელსაც სიტუაცია ეწოდება, შეუსაბამებს ამ მოთამაშის მოგებას (სარგებლიანობას)  $H_i(s), s \in S$ , სადაც  $S$  სიტუაციების სიმრავლეა. მაშასადამე, ყოველ მოთამაშეს აქვს თავისი მიზნის, იგივე მოგების ან სარგებლიანობის ფუნქცია, რომლის მაქსიმიზაციისაკენ მიისწრაფვის ის.

სტრატეგიულ  $\Gamma$  თამაშში ოპტიმალურობის (რაციონალურობის, რაციონალური ქცევის) ძირითად პრინციპად მიღებულია **ნეშის ნონასწორობა** ან ნეშის **ნონასწორული სიტუაცია**. განვსაზღვროთ ასეთი სიტუაცია.

ამისათვის აღვნიშნოთ

$$s_{-i} = (s_1, \dots, s_{i-1}, s_{i+1}, \dots, s_n), \quad s_{-i}^e = (s_1^e, \dots, s_{i-1}^e, s_{i+1}^e, \dots, s_n^e),$$

$$s = (s_i, s_{-i}) = (s_i, \dots, s_{i-1}, s_i, s_{i+1}, \dots, s_n), \quad (s_i, s_{-i}^e) = (s_i^e, \dots, s_{i-1}^e, s_i, s_{i+1}^e, \dots, s_n^e).$$

**განსაზღვრება 1.** სიტუაციას  $s^e = (s_1^e, \dots, s_n^e) \in S$  ეწოდება  $\Gamma$  თამაშში ნეშის ნონასწორობა (ან ნეშის ნონასწორული სიტუაცია, თუ ნებისმიერი  $i = 1, \dots, n$  მოთამაშისათვის სრულდება შემდეგი პირობები:

$$H_i(s^e) \geq H_i(s_i, s_{-i}^e), \quad \forall s_i \in S_i.$$

**ბერჟეს ნონასწორობა** კი ასე განისაზღვრება.

**განსაზღვრება 2.** სიტუაციას  $s^B = (s_1^B, \dots, s_n^B) \in S$  ეწოდება  $\Gamma$  თამაშში ბერჟეს ნონასწორობა (ან ბერჟეს ნონასწორული სიტუაცია), თუ ნებისმიერი  $i = 1, \dots, n$  მოთამაშისათვის სრულდება შემდეგი პირობები:  $H_i(s^B) \geq H_i(s_i^B, s_{-i}), \quad \forall s_{-i} \in S_{-i}$ .

სადაც  $(s_i^B, s_{-i}) = (s_i, \dots, s_{i-1}, s_i^B, s_{i+1}, \dots, s_n), \quad S_{-i} = S_1 \times \dots \times S_{i-1} \times S_{i+1} \times \dots \times S_n$ .

პირველი განსაზღვრებით ნეშის რაციონალურობის პრინციპის შინაარსი რამდენიმე ეკვივალენტური წინადადებით შეიძლება გამოვთქვათ: ნონასწორობის სიტუაციაში ყველა მხარე მიიღებს სარგებლიანობის შესაძლებლობის მაქსიმუმს და რომელიმე მხარის მიერ თავისი სტრატეგიის ცალმხრივი შეცვლით, მისი მდგომარეობა არ გაუმჯობესდება; ადამიანთა კოლექტივის ურთიერთ პირველი განსაზღვრებით ნეშის რაციონალურობის პრინციპის შინაარსი რამდენიმე ეკვივალენტური წინადადებით შეიძლება გამოვთქვათ: ნონასწორობის სიტუაციაში ყველა მხარე მიიღებს სარგებლიანობის შესაძლებლობის მაქსიმუმს და რომელიმე მხარის მიერ თავისი სტრატეგიის ცალმხრივი შეცვლით, მისი მდგომარეობა არ გაუმჯობესდება; ადამიანთა

კოლექტივის ურთიერთქმედებებში შედეგი იქნება ოპტიმალური, თუ მათგან თითოეული წევრი ისე იმოქმედებს, რომ ის იყოს უკეთესი თავისთვის და მთელი კოლექტივისათვის; მხოლოდ წონასწორობის სიტუაციაშია წარმატება განპირობებული ურთიერთინტერესების გათვალისწინებით.

მეორე განსაზღვრების სახელი დაკავშირებულია ფრანგი მათემატიკოსის კლოდ ბერჟეს (1926-2002) შრომებთან. ეს განსაზღვრება ანტიპოლია პირველი განსაზღვრების: ბერჟეს წონასწორობაში ყოველი მოთამაშე მთელ თავის მონდომებას ახმარს დანარჩენების მოგებების გაზრდას, <<ივინყებს თავისას>>, თავის საკუთარ ინტერესებს. ასეთი ალტრუისტული (მთავარი მიზანი და მოტივაცია გაჭირვებულისათვის შემწეობის განწვევა) მიდგომა დამახასიათებელია ნათესაური ურთიერთობებისათვის, მას ადგილი აქვს რელიგიურ გაერთიანებებში, ალტრუიზმის მსგავსი ელემენტები წარმოიშობა ქველმოქმედებაში, სპონსორულ მხარდაჭერაში და ა.შ. ბერჟეს წონასწორობის კონცეფციის გამოყენება გამოორიცხავს დაპირისპირებებს ადამიანებსა და კოლექტივებს შორის, შეიარაღებულ შეტაკებებს, სისხლისმღვრელ ომებს. ამაში მდგომარეობს ბერჟეს წონასწორობის უეჭველი ღირსება. ამჟამად, როცა მსოფლიო შეიარაღებული კონფლიქტების გამწვავების მოლოდინშია, ზნეობის ოქროს წესი ხდება უფრო აქტუალური, ვიდრე ოდესმე, ვინაიდან ოქროს წესი – ერთ-ერთია იმ შესაძლო საშუალებებს შორის, რათა თავიდან ავიცილოთ კონფლიქტები, ომები, საისხლისღვრები, შეიარაღებული შეჯახებები.

სტრატეგიულ ურთიერთობებში (თამაშებში) მოთამაშეები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ლებულობენ გადაწყვეტილებებს (დამოუკიდებლად ირჩევენ თავიანთ სტრატეგიებს). პირველი და მეორე განსაზღვრების გამოყენებით ნეშის და ბერჟეს წონასწორობის შედარებისათვის განვიხილოთ ორი მოთამაშის სტრატეგიული, არაანტაგონისტური თამაშის კონკრეტული მაგალითი.

ვთქვათ მოცემულ თამაშში პირველ მოთამაშეს აქვს ორი სტრატეგია (სტრიქონების არჩევა): პირველი სტრიქონი და მეორე სტრიქონი; მეორე მოთამაშის სტრატეგია (სვეტების არჩევა): პირველი სვეტი და მეორე სვეტი. მაგალითად, (1,2) სიტუაციის არჩევა აღნიშნავს, რომ პირველი მოთამაშის მოგება იქნება 4, მეორის კი – 7:

$$(A, B) = \begin{array}{c|cc} & 1 & 2 \\ \hline 1 & (6,6) & (4,7) \\ 2 & (7,4) & (5,5) \end{array}.$$

მოყვანილი განსაზღვრებების თანახმად, მოცემულ თამაშში სიტუაცია არის ნეშის წონასწორობა, ხოლო სიტუაცია (1,1) – ბერჟეს წონასწორობა. რადგან, ამიტომ ბერჟეს წონასწორობის სიტუაციაში ორივე მოთამაშის მოგება მკაცრად მეტია ნეშის წონასწორობის სიტუაციაში შესაბამის მოგებებზე და მაშასადამე, ორივე მოთამაშისათვის უმჯობესია ბერჟეს წონასწორული სტრატეგიების გამოყენება.

ზნეობის ოქროს წესის მათემატიკური მოდელის როლში არჩეული ბერჟეს წონასწორობის კონცეფცია წარმოადგენს ახალ მიმართულებას თამაშთა თეორიაში, რომელიც კიდევ უფრო აფართოებს ურთიერთობებისა და ქცევის ნორმებს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ვ. ჟუკოვსკი, მ. სალუქვაძე, გ. ბელთაძე. ოქროს წესის მათემატიკური საფუძვლები. გამომცემლობა “საჩინო”, თბილისი, 2018, 343 გვ.
2. გ. ბელთაძე. თამაშთა თეორია – მათემატიკის დარგი, რომელიც ყველას გვჭირდება ცხოვრებაში. ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის კრებული “მატიანე”, 2016 წ. №5, გვ. 101-107.

## ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის ცენტრიდან მისი კრებული „მატიანე“ არსებობის ოთხი წლის გადასახედიდან

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“ 2014 წლის იანვარში დაფუძნდა.

აუცილებლობა კი იდეაში ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც ცენტრის დაფუძნების ერთ-ერთმა მოთავემ, დღეს ამ ცენტრის ხელმძღვანელმა და ცენტრის კრებულ „მატიანეს“ რედაქტორმა გამოაქვეყნა თავისი ორი მონოგრაფია მიძღვნილი ვანის რაიონის ახალი და უახლესი ისტორიისადმი და მივიდა დასკვნამდე, რომ არსებობს დღემდე შეუსწავლელი ვანის რაიონის სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი მასალები და არ იქნებოდა ურიგო თუ ეს მასალები იქნებოდა შესწავლილი და მიენოღებოდა ვანის ისტორიით დაინტერესებულ ადამიანებს, მხოლოდ ამ იდეის რეალობად ქცევა იყო საჭირო. თუმცა, რატომაც არა... როცა ასეთ პატარა რაიონს ორასორმოცდაათზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და აკადემიკოსი ჰყავს, „კვლევის ცენტრის“ არსებობის პერსპექტივა თავიდანვე გარანტირებული ჩანდა. სწორედ, ამ შრომებზე მუშაობის დროს გამოიკვეთა საარქივო მასალები, რომლის შესწავლა-გაანალიზება მოგვცემდა შედარებით სრულყოფილ სურათს რაიონის ახალი და უახლესი ისტორიის საინტერესო პერიოდების შესახებ, რომელთაც დღემდე კალამი არ შეხებიათ. დღევანდელი გადასახედიდან თუ შევხედავთ, ესოდენ ურიცხვი დამალული განძი, ჩუმად უხმობდა მშველელს სამზეოზე გამოსატანად. ამ რუდუნებას კი მხოლოდ დამნახავი და ფურცლებზე ჩამწერი სჭირდებოდა. სწორედ ეს ჩუმი ღალადი გახდა მიზეზი „კვლევის ცენტრისა“ და მისი კრებულის „მატიანეს“ დაბადებისა.

სანამ „კვლევის ცენტრის“ დაფუძნების საკითხი ოფიციალური ორგანოს წინაშე დაისმებოდა, ამ იდეის ირგვლივ საკონსულტაციო საუბრები გაიმართა პროფესორებთან – თეიმურაზ სურგულაძესთან, ომარ ძაგნიძესთან, ავთანდილ ნიკოლეიშვილთან, გურამ ყიფიანთან, უჩა დვალისძესთან, თეიმურაზ ადგიშვილთან და ანგარდაცვლილ ამირან ნიკოლეიშვილთან, თორნიკე ეფრემიძესთან. ეს იყო საგნობრივი და საქმიანი მსჯელობა მიზნის განხორციელების გზებისა და მიმართულებების, კონკრეტული განსაზღვრის, შესწავლილ საკითხთა გასაჯაროების, ამ ნიადაგზე „კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეს“ დაფუძნებისა და ამ გზით შესწავლილი მასალების, სტატიების, შრომების, წერილების მკითხველამდე მიტანის, გამოცემის პერიოდულობის, კვლევების აკადემიური დონის და ა.შ. თაობაზე.

პასუხისმგებლობა იყო საკმაოდ დიდი, რადგანაც პერიფერიულ რაიონთან შეხებაში ანალოგიური გამოცდილების პრეცედენტი არ არსებობდა, მაგრამ იმედი იყო კიდეც უფრო დიდი, რადგანაც ერთობლიობაში საქმეს ადგილობრივებთან ერთად ხელს ჰკიდებდნენ ისეთი სახელოვანი მეცნიერები, რომელზედაც ზემოთ მივუთითეთ. მათი მონდომება, რაიონის სიყვარული და თანადგომა უმნიშვნელოვანეს მომენტად იქნა აღქმული, თუმცა, ეს მომენტი ათმაგებდა პასუხისმგებლობასაც.

ერთობლივი ძლისხმევის საფუძველზე კვლევის ცენტრთან თანამშრომლობის სურვილი, შემდეგში არაერთმა სწავლულმა დაადასტურა. ასე ჩამოყალიბდა ცნობილ ინტელექტუალურ ვანელთა და არავანელთა ჯგუფი მამულიშვილებისა, რომელთა მხარდაჭერა საქმიანობაში უზარმაზარ ფენომენს წარმოადგენდა.

უფლის წყალობით, რაკი ძლიერი ინტელექტუალური ძალა და სურვილიც გამოიკვეთა, რომ მშობლიური რაიონი საზოგადოებრივ სარბიელზე მთელი თავისი ისტორიული ნიაღვრებით გამოაჩინონ, საჭირო იყო მორალურ-მატერიალური მხარდაჭერა. ეს ის თანადგომაა, რომ-

ლის გარეშეც საკითხის დაძვრა ფუჭი ოცნება იქნებოდა. საბედნიეროდ, დღემდე უწყვეტად მიმდინარეობს ადგილობრივი ხელისუფლების-საკრებულოსა და მერიის მხარდაჭერა. ეს კი, მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები ნათლად ხედავენ ამ საქმიანობის მიზანშეწონილებას და აუცილებლობას, დღევანდელი მომავალი თაობებისათვის რაიონის, კონკრეტული პერიოდების ისტორიის შესწავლისათვის მყარი ნიადაგის მომზადებას. ფასდაუდებელი იყო და არის ამ გზაზე ბიზნესმენების ბეჟან ნაქაძისა და ზაურ თათვიძის თანამონაწილეობა.

მიუხედავად დღევანდელი რთული, დაძაბული ცხოვრების განრიგისა, კვლევის ცენტრთან, მის კრებულ „მატიანესთან“ მეცნიერთა და ცალკეულ მკვლევართა ურთიერთობა არათუ შემცირდა, არამედ საგრძნობლად გაიზარდა.

ანტიკური ვანიდან დაწყებული დღემდე, საქართველოს მიერ განვლილი თითქმის ყველა დროების ქარცეცხლი თუ აღზევების პროცესები გამოიარა ვანმა. შეძლებისდაგვარად შეჰქონდა თავისი წვლილი სამშობლოს სახელმწიფოებრივი სიძლიერის საქმეში. არ იქნება ხმა-მალალი ნათქვამი, თუ ვიტყვით, რომ უდიდესმა მეცნიერებმა, არაერთხელ მიუძღვნეს სპეციალური კვლევები ანტიკურ ვანს და ფუნდამენტური ნაშრომები შექმნეს მისი განვითარების ისტორიის შესაბამის პერიოდზე. ჩვენ ისლა დაგვრჩენია, რომ მადლიერების გრძნობა გამოვხატოთ ამ მეცნიერთა მიმართ.

როგორც ითქვა „კვლევის ცენტრი“ და კრებული „მატიანე“ უკვე ოთხი წელია არსებობს, ამიტომაც ოთხწლიანი მონაკვეთის გადასახედიდან უდიდესი ინტერესით მოვისმინეთ იმ მეცნიერთა, დამფუძნებელთა და სარედაქციო კოლეგიის წევრთა მოსაზრებებს კვლევის ცენტრისა და მისი პერიოდული გამოცემის შესახებ, რაც მარტო აზრის მოსმენას არ დაეფუძნება, რადგან იგი გახდება ახალი მიმართულება მომავალი საქმიანობისათვის და კიდევ ერთიც: **„კვლევის ცენტრი მზადაა სადავე დაუდოს ახალ მიმართულებას რუბრიკით ვინ – ვინ არის, სადაც გაშუქდება მასალები ღირსეულ ვანელთა (და არამარტო ვანელი მოღვაწეების) სამშობლოს სადიდებლად შეტანილი წვლილის შესახებ.**

რედაქციამ ეს პოზიცია მოსინჯა და ზოგიერთ მათგანზე გამოვაქვეყნეთ კიდევაც მასალები. ამჟამად, ჩავთვალეთ, რომ მიზანშეწონილი იქნება ეს „რუბრიკა“ ოფიციალურად გავხსნათ კვლევის ცენტრის დამფუძნებლების, სარედაქციო კოლეგიის წევრებზე და სახელოვან მეცნიერებზე საუბრით. ამიტომაც ჩვენი სახელოვანი რესპონდენტების მიმართ სიმბოლურად შემდეგი კითხვარის მიხედვით ჩამოვყალიბდით, რათა რამდენადმე სრულყოფილად მოგვეტანა თქვენამდე მათი შეხედულებანი და მკითხველისათვის გვეჩვენებინა ვინ არიან ისინი, ამიტომაც **გთავაზობთ მათთან საუბარს, რომელთაც თან ერთვის ამ რჩეული მამულიშვილების მოკლე ბიოგრაფიული მონაცემებიც.**

– როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენი სამსახური – „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“ 2014 წელს დაარსდა. თქვენ თავიდანვე თანამშრომლობდით კრებულ „მატიანესთან“ და სწორედ, აქედან იწყება თქვენი ურთიერთობა „კვლევის ცენტრთან“ დამფუძნებლისა და სარედაქციო კოლეგიის წევრის სტატუსით. ოთხი ერთეული წლის შემდეგ, ფრიად საინტერესოა თქვენი აზრი, დღევანდელი გადასახედიდან, ხსენებული სამსახურის შესახებ. დავინყოთ თუნდაც იმით, რომ რა იყო მიზეზი თქვენი ამ სამსახურთან თანამშრომლობისა?

– არსებობს მეცნიერთა მთელი რიგი თაობებისა, რომელთაც ჩვენი ქვეყნის აქამდე შესწავლილი ისტორია სხვა რაკურსით წარმოაჩინეს. მათ შორის, ჩვენი რაიონის წარსულიც ახლებურად გადაგვიშალეს და მრავალი ნაშრომიც მიუძღვნეს, რათა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში ჩვენი თანამეწილეობა უფრო მტკიცე ყოფილიყო. ამის საფუძველს კი ვანის არქეოლოგიური გათხრები და სამეცნიერო სიმპოზიუმები წარმოადგენდა და წარმოადგენს. როგორია ახალი ვანი თქვენი თვალსაზრისით?

– როგორც უკვე აღვნიშნეთ, თქვენ „კვლევის ცენტრისა“ და კრებულ „მატიანეს“ თანადამფუძნებელი და სარედაქციო კოლეგიის წევრი ბრძანდებით. თქვენთან ერთად კვლევის

ცენტრთან თანამშრომლობს 30-მდე მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი. თითოეული მათგანი სამეცნიერო შრომების, კვლევების ავტორები არიან, რომელთაც იცნობს არა მარტო საქართველო, იცნობენ მის ფარგლებს გარეთაც. ამდენად ამ სამეცნიერო დასთან ერთა, ამ მეცნიერთა ერთობლივი შრომით, ჩვენს კრებულში (დღევანდელი ნომრის გამოკლებით) 170 სხვადასხვა მიმართულების საკითხი იქნა შესწავლილი, საიდანაც 122 უშუალოდ ვანის რაიონს ეხება. 48 საკითხი კი ზოგად ქართულია, მაგრამ ვანთან გარკვეული კავშირები გააჩნია. თქვენი აზრით, არის თუ არა ისეთი საკითხი, რომელიც ყურადღების მიღმა რჩება და რომელიც დაუყონებლივ უნდა იქნას კვლევის საგნად ქცეული?

– „კვლევის ცენტრის“ მუშაობის ოთხმა წელიწადმა დაულაღავი შრომის პროცესში გაიზარდა თქვენთან და ჩვენს საამაყო მეცნიერებთან ერთად. ამ დროის განმავლობაში ყოველთვის ვცდილობდით მოგვეპოვებინა ისეთი მასალები, რომელთა საფუძველი სანდო დოკუმენტურ წყაროებზე იქნებოდა აღმოცენებული, შესწავლილ-გაანალიზებული. სამომავლოდ, მთავარ საქმიანობად მიგვაჩნია, ახალგაზრდა თაობა ჩავრთოთ აღნიშნულ კვლევებში, რათა მათში გავაღვიძოთ, მშობლიური რაიონის შექმნისა და განვითარების ისტორიის შესწავლის სიყვარული. ამ ეტაპზე ხომ ჩვენი მუშაობა თითქმის ენთუზიაზმის დონეზე ხდება. რას უსურვებთ და რა რჩევას მისცემდით „კვლევის ცენტრს“?

\*\*\*

**ავთანდილ ნიკოლეიშვილი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქ. ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი.

ავთანდილ ოთარის ძე ნიკოლეიშვილი დაიბადა 1948 წლის 27 აგვისტოს ვანის რაიონის სოფელ გორაში, გლეხის ოჯახში. 1966 წელს იქვე ოქროს მედალზე დაასრულა სკოლა. 1971 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პედინსტიტუტი (ახლანდელი უნივერსიტეტი) ისტორია-ფილოლოგიის სპეციალობით. სტუდენტობის წლებში ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებასა და ახალგაზრდა მწერალთა წრეს.

1974 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1983 წელს სადოქტორო დისერტაციები. 1980 წლიდან არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. 1970 წლიდან მუშაობს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სხვადასხვა დროს იყო ლაბორანტი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი, პრორექტორი სამეცნიერო დარგში, უნივერსიტეტის რექტორი (1996-2005 წ.წ.) 1987-2011 წლებში ხელმძღვანელობდა ქართული ლიტერატურის დეპარტამენტს (კათედრას); 2011 წლიდან კი სათავეში უდგას ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტს. არის ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ქართულ ლიტერატურაში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, სამეცნიერო ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის“ (ქუთაისი) პასუხისმგებელი რედაქტორი, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტის წევრი და ამავე საზოგადოების იმერეთის განყოფილების პრეზიდენტი, სხვადასხვა სამეცნიერო და ლიტერატურულ გამოცემათა რედაქტორების წევრი.

სხვა და სხვა დროს იყო: ქუთაისის სამეცნიერო ცენტრში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელი და ამავე ცენტრის მთავარი მეცნიერ-მუშაკი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის მთავარი რედაქტორი, სამეცნიერო აღმანახ „ლიტერატურული დიალოგების“ (ქუთაისი) მთავარი რედაქტორი, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების იმერეთის განყოფილების ჟურნალ „ნოსტალგიის“ რედაქტორ-გამომცემელი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი და უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრის პროფესორი (შეთავსებით). მისი ხელმძღვანელობით დაცულია საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ჰყავს დოქტორანტიები. მინიჭებული აქვს მრავალი პრემია და ჯილდო.

გარდა მინიჭებული ჯილდოებისა, წლის საუკეთესო ნაშრომებისათვის ორჯერ (1984 და 1988 წ.წ.) მიღებული აქვს მწერალთა კავშირის იმერეთის განყოფილების, 1978 წელს კი ჟურნალ „განთიადის“ პრემიები.

არის ქუთაისის, ვანისა და ქალაქ კოლუმბიის (აშშ) საპატიო მოქალაქე.

1998 წელს დააღწილათ „ღირსების ორდენით“. გამოცემული აქვს ოცდაათზე მეტი ნიგნი. ავტორია ჟურნალებისა და სამეცნიერო კრებულებში გამოქვეყნებული 300-ზე მეტი ნაშრომისა.

არის კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული საზოგადოების წევრი. კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული საზოგადოების მიერ 2003 წლის 26 ივნისს არჩეულია XXI საუკუნის 2000 საუკეთესო ინტელექტუალს შორის.

„ტასისის“ საერთაშორისო პროგრამით ბრიტანული უმაღლესი განათლების სისტემის გასაცნობად 1996 წლის ნოემბერში იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთში ბელფასტისა და კარდიფის უნივერსიტეტებში; 1999 წლის აპრილიდან 2001 წლის აპრილამდე მონაწილეობდა „ტემპუს-ტასისის“ საერთაშორისო გრანტში: საუნივერსიტეტო მართვის სისტემის სრულყოფა. კვალიფიკაციის ასამაღლებლად „ტემპუს-ტასისის“ საერთაშორისო პროგრამით 1999 წლის ივლისსა და 2000 წლის ივლისში მივლინებული იყო დიდ ბრიტანეთში, ქალაქ ნიუპორტის უნივერსიტეტში.

2017 წლის მაისში, როგორც „მეველანას“ საერთაშორისო პროგრამის გამარჯვებული, ლექციების წასაკითხად მივლინებული იყო რიზეს რეჯებ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტში.

აქტიურადაა ჩართული ქუთაისისა და ქვეყნის საზოგადოებრივ საქმიანობაში. კერძოდ, არის საზოგადოება „ქუთაისელის“ პრეზიდენტის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირისა და თეატრალური საზოგადოების იმერეთის განყოფილებათა პრეზიდენტის წევრი, ქუთაისის პატივგების საქალაქო კომისიის წევრი, სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებათა სამეცნიერო საბჭოების წევრი.

ავთანდილ ნიკოლეიშვილმა შემოქმედებითი მოღვაწეობა ლექსებით დაიწყო და პირველი პოეტური კრებული 1975 წელს გამოიცა ქუთაისში. 2002 წელს კი მკითხველს პოეტური ნაწარმოებების მეორე ნიგნიც შესთავაზა „გამწყვდილი მუხის“ სახელწოდებით. მისი შემოქმედებითი შესაძლებლობების გამომვლენ უმთავრეს სფეროდ მაინც ლიტერატურადმცოდნეობა და ქართველოლოგია იქცა.

მისი შემოქმედებითი და მეცნიერული მიღწევები ყველაზე მეტად იმ მონოგრაფიებსა და ლიტერატურულ ნარკვევებში გამოვლინდა, რომლებიც მან XX საუკუნის ქართული მწერლობის შესწავლას მიუძღვნა. კერძოდ, ფუნდამენტურად და სრულიად ახლებური თვალთახედვით შეისწავლა როგორც ამ პერიოდის ქართული მწერლობის განვითარების უმთავრესი ტენდენციები, ისე იმხანად მოღვაწე ქართველ მწერალთა შემოქმედებითი მემკვიდრეობა. სწორედ მისი ლიტერატურული და მეცნიერული კვლევის უმთავრეს მიმართულებად ქცეული ამ მოვლენების შესწავლას მიუძღვნა მან „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევების“ შვიდი ტომი, „მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, გამომცემლობა „საქართველოს მაცნეს“ მიერ გამოცემული ქართული ლიტერატურის ოთხტომეულის III და IV ტომები, რომლებშიც მეოცე საუკუნის ქართული მწერლობაა გაანალიზებული, „ქართველოლოგიური ეტიუდები“ და მონოგრაფიები: „პაოლო იაშვილი“, „ტიციან ტაბიძე“, „ნიკო ლორთქიფანიძე“, „გიორგი ლეონიძის ლირიკა“, საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ საშუალო სკოლის XI კლასელთათვის წლების განმავლობაში სახელმძღვანელოდ დამტკიცებული ნიგნი ქართულ ლიტერატურაში და სხვები.

ცალკე, საგანგებოდ, უნდა აღინიშნოს მისი წვლილი ქართული ემიგრანტული ლიტერატურისა და თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მიერ შექმნილი ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამ მიმართულებით განეული შრომის შედეგად მის მიერ დაინერა მრავალი ნიგნი.

ა. ნიკოლეიშვილს ასევე მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის ქართულ-ებრაული ლიტ-

ერატურული ურთიერთობების შესწავლის საქმეშიც, რასაც მიუძღვნა მისი წიგნები: „დავით და გერცელ ბაზოვები“, „ნარკვევები ქართველ ებრაელთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის ისტორიიდან“ (ორ ტომად) და „ებრაული თემა ქართულ მწერლობაში.“

მკითხველი ასევე ინტერესით შეხვდა მის წიგნებს: „გაბრიელ ეპისკოპოსი“, „ქართველი მწერლები და აფხაზეთი“, „ეროვნული საკითხი სტალინის ნააზრევში“, „დავით წერეთელი (სხვიტორელი)“, „ევროპელი ავტორები ქუთაისის შესახებ (XV-XIX საუკუნეები)“ (ოთარ ნიკოლეიშვილთან ერთად,) „საქართველო. ისტორია და დღევანდლობა“ (ინგლისურ ენაზე. აშშ, ქ. კოლუმბია) და სხვა.

ა. ნიკოლეიშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ეროვნული პრობლემატიკის გააზრებამ ახალი, თანამედროვე, თვალთახედვით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა 2014 წელს გამოცემული მისი ფუნდამენტური ორტომეული — „ქართველ მწერალთა ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი“, რომელშიც ხსენებული პრობლემა საფუძვლიანადაა შესწავლილი „შუმანიკის ნამებიდან“ დაწყებული გასულ საუკუნეში მოღვაწე მწერალთა ჩათვლით.

„ულახდილად ვიტყვი: თავიდან, როცა ხსენებული ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებით ჟურნალის რედაქტორის – ბატონ ომარ კაპანაძის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შევიტყვე, ვიფიქრე, რომ ამ მიმართულებით გამოვლენილი მისი ენთუზიაზმი მალევე ჩაცხრებოდა. ჩემს ასეთ სკეპტიკურ დამოკიდებულებას არსებითად განაპირობებდა ის ფაქტი, რომ საქართველოში ბოლო წლებში გამომაგალმა ბევრმა პერიოდულმა გამოცემამ არა მარტო ფინანსური პრობლემის გამო შეწყვიტა არსებობა, არამედ მკითხველთა მხრიდან გამოვლენილი ნაკლები დაინტერესებულობა გამომდინარეც. მაგრამ, როგორც განვლილმა ოთხმა წელიწადმა დაადასტურა, ჩემი ეს მოლოდინი რეალურ საფუძველს მოკლებული შიში აღმოჩნდა და ხსენებულმა ჟურნალმა საკმაოდ მყარად დაიმკვიდრა ადგილი დღესდღეობით გამომაგალ პერიოდულ გამოცემათა შორის. ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მის ფურცლებზე არა მარტო რეგიონული პრობლემებია განხილვის საგნად ქცეული, არამედ ჩვენი ქვეყნის ისტორიასთან და დღევანდელ ყოფასთან დაკავშირებული საჭირობოროტო საკითხებიც.

აღსანიშნავია, რომ როგორც ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მრავლად მოპოვებული ექსპონატებით ეჭვმიუტანლად დასტურდება, რომ ვანი და მთელი მისი რეგიონი, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ანტიკური პერიოდისა და შემდგომი დროის ისტორიაში. ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ გზაჯვარედინზე მდებარე ეს უძველესი ქალაქი ეკონომიკური და კულტურული განვითარების იმდენად მაღალ დონეზე იდგა, რომ შესაბამისი პერიოდების მსოფლიოს განსხვავებულ ცივილიზაციათა და კულტურათა ერთგვარად შემაკავშირებელი ცენტრის ფუნქციასაც კი ასრულებდა გარკვეული დროის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ვანის ეკონომიკური და კულტურული პოტენციალი ამ მასშტაბებს ვერ შეესაბამება, იგი ამჟამადაც მყარად დგას თავის ტრადიციულ ფუნდამენტზე.

ჩემი აზრით, „მატიანემ“ კვლავაც უნდა გააგრძელოს არა მარტო საკუთრივ რეგიონული პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, არამედ მისი თვალსაზრისის არეალში ზოგადქართული საკითხებიც უნდა მოექცეს კიდევ უფრო მეტად. აქვე ერთი სურვილიც მინდა გამოვთქვა: ქართველთა ისტორიული როლის წარმოჩენის დროს არამც და არამც არ უნდა გაგვიტაცოს კუთხურმა პატრიოტიზმმა და ჩვენი ქვეყნისადმი სიყვარულის გრძნობამ გადაჭარბებულად არ უნდა წარმოგვაჩინოს ქართველი ერის როლი და დამსახურება მსოფლიოში.

მივესალმები იმ ფაქტს, რომ „მატიანე“ ახალგაზრდა ავტორთა ტრიბუნად ქცეულ პერიოდულ ორგანოსაც წარმოადგენს. მათი ნაშრომების გამოქვეყნებით ჟურნალის თვალსაზრისი კიდევ უფრო მეტად ფართოვდება და ახალი ნახნაგებით წარმოჩინდება. მართალია,

ამ დიდ საქმეს თქვენი შემოქმედებითი კოლექტივი უმთავრესად ენთუზიაზმის დონეზე აკეთებს, მაგრამ განვლილი ოთხი წელი მყარ საფუძველს მაძლევს იმის სათქმელად, ესოდენ წარმატებული თქვენი საქმიანობა, მომავალშიც რომ გაგრძელდება ჩვეული აქტიურობით“.

\*\*\*

**თეიმურაზ სურგულაძე** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, დოქტორანტურის განყოფილების უფროსი. თეიმურაზ სურგულაძე დაიბადა 1955 წლის 15 აპრილს ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) სოფელ ბზვანში.

1972-1976 წლებში სწავლობდა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა წარჩინებით 1976 წელს.

1983-1987 წლებში გაიარა ასპირანტურის კურსი მოსკოვის მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დიფერენციალური განტოლებების კათედრაზე.

1989 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, მოსკოვის მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სპეციალიზირებულ საბჭოზე; თემა – პერიოდულ კოეფიციენტებიანი ჰიპერბოლური განტოლებების ამონახსნების ყოფაქცევა დროის დიდი მნიშვნელობებისათვის“.

1998-2002 წლებში გაიარა დოქტორანტურის კურსი მოსკოვის მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კომპოზიტების მექანიკის კათედრაზე.

2002 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მოსკოვის მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სპეციალიზირებულ საბჭოზე; თემა – „წილადური რიგის ოპერატორების ზოგიერთი გამოყენება ბლანტი დრეკადობის თეორიაში“, ამდენად ბ-ნ თეიმურაზ ადეიშვილის მიეკუთვნება იმ ქართველ მეცნიერთა მცირე ჯგუფს, რომლებმაც დაამთავრეს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა და აქვე დაიცვეს საკანდიდატო და სადოქტორო სამეცნიერო ხარისხი.

1976-1982 წლებში მუშაობდა ქუთაისის ნ.ი. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის თანამშრომლად.

1982-1983 წლებში არის სტაჟიორ-მკვლევარი მოსკოვის მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დიფერენციალური განტოლებების კათედრაზე.

2004 წელს იყო ქუთაისის ნ.ი.მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და მათემატიკური მოდელირების კათედრის პროფესორი.

2004-ში ქუთაისის ნ.ი.მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის პროფესორი.

2006-ში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი.

2007-ში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების ხელმძღვანელი. არის სამაგისტრო დისერტაციის ხელმძღვანელი.

„პირველი მიზეზი ამ სამსახურთან თანამშრომლობისა რა თქმა უნდა იყო ჩემი წარმოშობა (მე ვარ ბზვანელი). გარდა ამისა ამ ყურნალის რედაქტორ ბატონ ომარ კაპანაძესთან კარგი ურთიერთობა და ცოდნა იმისა, რომ ბატონი ომარი არის კეთილსინდისიერი, ენერგიული, თავის მხარეზე შეყვარებული მოღვაწე. გარკვეული როლი ითამაშა აგრეთვე „მატიანეს“ მიზნებმა და იმ პირთა ავტორიტეტმა, რომლებმაც იმთავითვე გადაწყვიტეს ამ გამოცემასთან თანამშრომლობა.

რაც შეეხება ახალ ვანს, ბევრს ვერაფერს გეტყვით, რადგანაც ვანთან მე შეხება მაქვს



მხოლოდ ჩემი ახლობლების მხრიდან. რაც შეეხება ვანის რაიონის ისტორიის ახალი რაკურსით წარმოჩენას, აქ „მატიანეს“ რა თქმა უნდა ძალიან დიდი დამსახურება აქვს. მასში იბეჭდება ძალიან ბევრი საინტერესო სტატია ვანის რაიონის სხვადასხვა პერიოდის ისტორიის საკითხებზე, ვანის რაიონის არქეოლოგიური მასალების შესახებ და სხვა. ამ მხრივ მართლაც გამორჩეულია „მატიანეს“ თანამშრომლების საქმიანობა და მისი რედაქტორის დამსახურება.

ჩემის აზრით, ვანის შესახებ მოუკვლეველი საკითხები, ალბათ, ძალიან ცოტაა დარჩენილი. ჩვენი რაიონისათვის ასე თუ ისე სანტერესო ყველა საკითხი შუქდება ან საკმაო ინტენსივობით, ან დაწყებულია მათი გაშუქება. ალბათ კარგი იქნება ისეთი წარმონაქმნების-როგორც ვანია, ისტორიის და ინფრასტრუქტურის მოკლედ მიმოხილვა(როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ). ალბათ კარგი იქნება ავტორიტეტული მეცნიერეკონომისტების ნაშრომები ჩვენი რაიონის ეკონომიკური პერსპექტივის შესახებ, ვანის რაიონის ეთნოგრაფიის უფრო ღრმად წარმოჩენა (ამ მხრივ ჩემს ნაცნობ მეცნიერებსაც ბევრი კარგი მასალა აქვთ, გავიხსენოთ თუნდაც ბატონი ლუკა დვალისვილის საინტერესო სტატია სოფელ სულორის ადგილების დასახელებების შესახებ). ეს რაც უცებ მახსენდება და რადგანაც მე ვარ რედკოლეგიის წევრი და სხვა მოსაზრებებს განვხორციელებ რედკოლეგიაში მუშაობის პროცესში.

ცხადია, რომ „მატიანეს“ მუშაობა ძირითადად ხდება ენთუზიაზმის დონეზე. იმედია რაიონის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია იმაში, რომ ისეთ შესანიშნავ ნამოწყებას, როგორც რაიონის ისტორიის „კვლევის ცენტრი“ და მისი კრებული „მატიანეა“ და რომელმაც უკვე დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა, ესაჭიროება მეტი მხარდაჭერა, როგორც ფინანსური ასევე წმინდადამიანური თვალსაზრისით. „კვლევის ცენტრს“ ვუსურვებ დიდხანს ჯანმრთელად ყავდეს თავისი თავკაცი და მუშაობა გაეგრძელებინოს ისეთი ენერგიით, როგორც ახლა“.

\*\*\*

**ომარ ძაგნიძე** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ომარ ძაგნიძე დაიბადა 1935 წლის 1 იანვარს, ვანის რაიონის სოფელ სალხინოში.

1954-1959 წწ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა სპეციალობით „მათემატიკოსი“

1959-1962 წწ. სწავლობდა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ასპირანტურაში, ჯერ მათემატიკური ანალიზის კათედრაზე და 1960 წლიდან ახლად დაარსებული ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორიის და ფუნქციონალური ანალიზის კათედრაზე.

1962-1966 წწ. მუშაობდა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მათემატიკური ანალიზის კათედრის ასისტენტად.

1965 წელს მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო წოდება.

1966 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში: 1966-1970 წწ. უმცროსი მეცნიერთანამშრომლის თანამდებობაზე ფუნქციათა თეორიის და ფუნქციონალური ანალიზის განყოფილებაში.

1970-1989 წწ. იმავე განყოფილებაში უფროსი მეცნიერთანამშრომლის თანამდებობაზე.

1994 წ. მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

გამოქვეყნებული აქვს 63 მეცნიერული შრომა, მათ შორის 15 ნაშრომი ბოლო 10 წლის განმავლობაში.

1985 წ. მიენიჭა უფროსი მეცნიერთანამშრომლის წოდება.

2002 წ. მიენიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის სამეცნიერო წოდება სპეციალობით 01.01.01. მათემატიკური ანალიზი.

ამ წლებში სპეციალურ კურსებს კითხულობდა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. გარდა ამისა, 1998 წლიდან ლექციებს კითხულობს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის მაგისტრანტებთან.

„ჩემი დაინტერესება ვანის რაიონის ისტორიით იწყება 2000 წლიდან. საქმე ისაა, რომ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ავთანდილ

ნიკოლეიშვილის 1998 წლის 12 მაისის ბრძანებით №78 – საფუძველი: იმავე უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის 1998 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება – მიმინვიეს მათემატიკური ანალიზის აქტუალურ საკითხებზე ლექციების ციკლის წასაკითხად.

ეს თანამშრომლობა ახლაც მიმდინარეობს, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორატსა და მათემატიკის დეპარტამენტს.

ქუთაისში ჩემი ყოფნის პერიოდს ვიყენებდი, შეძლებისდაგვარად, ქუთაისის არქივში და ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული მასალების გასაცნობად ვანის რაიონთან დაკავშირებით.

ქიმ.ს.მ.<sup>1</sup> 123<sup>3</sup> და 123<sup>4</sup> აღმოჩნდა ქიმ-ის მიერ 1977 წელს ვანის რაიონში ჩატარებული ექსპედიციების დღიურები – ჩამწერები ვლ.მესხი და მ. სულაქველიძე შესაბამისად. ამ დღიურების ასლები, 167 გვერდიანი და 119 გვერდიანი შესაბამისად, ინახება ჩემს არქივში.

ბუნებრივია, რომ ამ დღიურებში მე ვეძებდი ძაგნიძეების გვარის ვანის რაიონში გადმოსვლისა და დამკვიდრების ამსახველ მასალებს, რაც აღმოჩნდა ძალზე მწირი.

აქვე ძალიან მოკლედ ვიტყვი, რომ ძაგნიძეების გვარის 20 ოჯახის წევრების აღთქმის მთქმელთა სია – 19 ოჯახი ტყელვანში და 1 ოჯახი შუამთაში – დაფიქსირებულია 1843 წლით. ირკვევა, რომ ისინი გადმოსული არიან უფრო ადრე. მაგალითად, ძაგნიძე გიორგი? – 1823 წლებში იყო ვანის რაიონის სოფელ ზენობნის წმ.სამების ეკლესიის მღვდელი, ხოლო ძაგნიძე ლუკა ბუჭუას ძე 1868-1890 წლებში იყო რაჭაში კუდაროს წმ.გიორგის ეკლესიის მღვდელი და 1890-1895 წლებში კი, ვანის რაიონის სოფელ ისრითის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი.

ძაგნიძეები ვანში გადმოსულან რაჭიდან, ხოლო რაჭაში კი აღმოსავლეთ საქართველოდან, კერძოდ წილკან-მუხრანის ტერიტორიებიდან. თვით წილკნის ტერიტორიაზე ისინი ფიქსირდებიან დავით აღმაშენებლის მამის, გიორგი მეორის მეფობის პერიოდიდან. თამარ მეფის დროს მთელი საქართველო დაიყო 10 საერისთავოდ და კახეთის ერისთავი იყო ბაკურ ძაგნიძე.

1250 წლის მახლობელ პერიოდში პანკისის ხეობის ფეოდალი იყო თორღულა პანკელი (ბატონი ლევან სანიკიძის სიტყვებით), იგივე თორღვა ძაგნიძე.

2000 წლის დასაწყისში ბატონ ნაპოლეონ ლორთქიფანიძეს – იმ დროს სალხინოს საშუალო სკოლის დირექტორსა და ისტორიკოსს – მე ვთხოვე, რომ დაენერა სალხინოს ისტორია და დავპირდი მის გამოქვეყნებას.

მართლაც, ბატონმა ნაპოლეონმა პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა წინაპრების მიმართ და ყოველთვიურ დამოუკიდებელ გაზეთ „საპოვნელას“ №12-ში გამოქვეყნდა მისი წერილი „სოფელი სალხინო თავისი წარსულითა და აწყობით“.

ამით პასუხი გავეცი პირველ კითხვას: რა იყო მიზეზი ამ სამსახურთან თანამშრომლობის.

მეორე კითხვას: როგორია ახალი ვანი თქვენი თვალსაზრისით? მე ვუპასუხებ ინტელექტუალური თვალსაზრისით! გაბედულად შემიძლია ვთქვა, რომ კრებულმა „მატიანემ“ მისი რედაქტორის, ბატონი ომარ კაპანაძის დიდი და შორს გამიზნული ძალისხმევით შეძლო მოეზიდა მრავალმხრივ საინტერესო ინტელექტუალები. ამის დასაწახად საკმარისია გადავხედოთ „მატიანეს“ №12-ში 23-31 გვერდებზე განთავსებულ ნუსხას 1-12 ნომრებში დაბეჭდილ წერილებს.

თითქმის არ რჩება ვანის რაიონის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და მისი დღევანდელი ცხოვრების ამსახველი რომელიმე პერიოდი, რომელიც სერიოზულად არ იყოს წარმოდგენილი ამ კრებულში – თვით მსოფლიო ცივილიზაციაში შეტანილი ქართული წვლილის ჩათვლით! ეს უკვე პასუხია მესამე კითხვაზე.

ვანის რაიონის შექმნისა და განვითარების ისტორიის შესწავლის საქმეში ახალგაზრდობის აქტიური ჩართულობის შესახებ, მე ადრიდანვე დავინყე ზრუნვა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში დავაყენე საკითხი იმის შესახებ, რომ ვინმე ვანელი სტუდენტი გამოიზარდოს ვანის ისტორიის მკვლევარის სტატუსით. როგორც ვიცი, ეს საქმე მიმდინარეობს და თანაც წარმატებით.

სასურველია რაიონის სკოლებში მოენყოს გასვლითი ლექციები მოსწავლე ახალგაზრდობის მოზიდვის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს მათში საკუთარი ისტორიისადმი სიყვარულის აღძვრას. ეს კი, თავის მხრივ, მათში გააღვიძებს პატრიოტიზმს, რაც დადებითად აისახება მათი სწავლის დონის ამაღლებაზე.

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ მე, როგორც თბილისის სამეცნიერო წრეებში „მატიანეს“ გამავრცელებელ პირს, მადლობას მეუბნებიან და გაკვირვებასაც კი გამოთქვამენ კრებულ „მატიანეს“ მაღალი დონით.

იმედია, რომ „მატიანეს“ ასეთი წარმატებული მუშაობა კვლავაც გაგრძელდება“.

\*\*\*

**გურამ ყიფიანი** – (არქეოლოგი, არქიტექტორი) დაიბადა 1950 წლის 17 მარტს ქ. თბილისში. 1972 წელს დაამთავრა ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი. მუშაობდა არქეოლოგიურ კვლევით ცენტრში და პარალელურად რამოდენიმე საპროექტო ინსტიტუტში. არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. 1973 წლიდან მონაწილეობს არქეოლოგიურ ექსპედიციებში. 1992 წლიდან მუშაობს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო საკითხებში. 1997 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მიმართულებით.

2000 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორია. 2007 წლიდან – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი. 1982 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1992 წელს – სადოქტორო: „კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული არქიტექტურის წარმოშობის საკითხები“. გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მისი ბიბლიოგრაფია მდიდარია შემდეგი საავტორო ნიშნებით: „წმიდა ნინო და ძველი საქართველოს დედაქალაქი“, „ვარძია“, „მესხური საცხოვრისი“, „უფლისციხე“, „კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები“, „სატაძრო თემატიკა ოქრომჭედლობის ნიმუშებში“, „არქიტექტურული დეტალები: არქიტექტურა“, „ნიშანთა ფუნქციის შეცნობისათვის კოლხურ და იბერიულ კრამიტებზე“, „უფლისციხის „ორსვეტიანი დარბაზის“ ხუროთმოძღვრული კომპლექსი“.

გურამ ყიფიანი იყო გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის სტიპენდიატი. კაიროს უნივერსიტეტში გავლილი აქვს კურსი: „არქეოლოგია, ძეგლთა რესტავრაცია, სამუზეუმო საქმე“. მოხსენებები წაიკითხა გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტსა და კალსრუეს უნივერსიტეტში თემაზე: „ანტიკური კლდოვანი არქიტექტურის შესწავლის პრობლემები“. მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროები და კვლევითი ინტერესებია ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნების ისტორია, არქიტექტურის ისტორია, კლდოვანი არქიტექტურა:

„მიზეზი ჩემი „მატიანესთან“ თანამშრომლობისა ისაა, რომ ვფიქრობ ჩემს ქვეყანაში არ უნდა არსებობდეს პროვინციები, მითუმეტეს ინტელექტუალური მარგინალები. „მატიანეს“ ამ მხრივ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია – გაზარდოს შემეცნება.

ვანი ალბათ კვლავ მოექცევა საზოგადოების ყურადღების ცენტრში, ახლა კი აბა რა მოგახსენოთ. ჩემი აზრით მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ თანამედროვე შემოქმედებას და ახალგაზრდა შემოქმედებს. ერთდერთი რჩევა შემიძლია: უნდა შეიქმნას „მატიანეს“ მატერიალური ფონდი. „კვლევის ცენტრის“ წევრები უნდა იხდიდნენ თუნდაც სიმბოლურ გადასახადს“

\*\*\*

**თეიმურაზ ადვიშვილი** – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე აკადემიის დასავლეთ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1995 წ.). 2000 წლიდან საქართველოს სწავ-

ლულ ექსპერტთა საბჭოს პროფესორი, 1996 წლიდან არჩეულია საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის იმერეთის რეგიონალური განყოფილების აკადემიკოს-მდივანად და ამავე აკადემიის ნამდვილ წევრად, 1999 წლიდან დანიშნულია გელათის ობსერვატორიის დირექტორად, ხოლო 2006 წლიდან აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორად, 2010 წლიდან არის სადოქტორო პროგრამის „ფიზიკა“ ხელმძღვანელი.

თ. ადეიშვილი 1957-1967 წ.წ. სწავლობდა ვანის რაიონის სოფ. ყუმურის სამ. სკოლაში. 1967 წ. ჩაირიცხა თბილისი ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე. 1972-1973 სასწავლო წელს წინასააღიპლომო პრაქტიკის გასავლელად და სადიპლომო ნაშრომის შესასრულებლად უნივერსიტეტის მიერ ის მივლინებული იქნა ქ. სანკტპეტერბურგს (მაშინდელი ლენინგრადი) პულკოვის მთავარ ასტრონომიულ ობსერვატორიაში და ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც აკადემიკოს კ.კონდრატიევის ჯგუფში შეასრულა ნაშრომი თემაზე: „მოკლეთალოვანი რადიაციის სპექტრული ნაკადების ექსპერიმენტული გამოკვლევა დედამიწის ატმოსფეროში.“

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1973-1982 წ.წ. თ. ადეიშვილი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე, ხოლო 1974-1982 წ.წ. ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით (პრეზიდენტი აკად. ვეგენი ხარაძე) ის ხანგრძლივი მივლინებით იმყოფებოდა მაშინდელი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური გამოკვლევების ინსტიტუტის კოსმოსური პლაზმის განყოფილების აქტიური ექსპერიმენტების ლაბორატორიაში. მონაწილეობა მიიღო 30-მდე სამამულო და საერთაშორისო (მათ შორის ექსპერიმენტი „არაკსი“) ტიპის კოსმოსურ ექსპერიმენტებში, ხელმძღვანელობდა რამდენიმე სახის საბორტო და მიწიერი დანადგარის შექმნასა და რაკეტული ექსპერიმენტის მომზადებასა და განხორციელებას. იყო პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე; საერთაშორისო სარაკეტო ექსპერიმენტში „საქართველო-60“.

ამ პერიოდში ბ-ნი თეიმურაზ ადეიშვილი ჩამოყალიბდა, როგორც გამოცდილი და ენერგიული ფიზიკოსი, რამაც საფუძველი ჩაუყარა მის შემდგომ წარმატებებს კოსმოსური ფიზიკის მიმართულებით. 1980 წლის ივნისში მან მონაწილეობა მიიღო ქ. ბუდაპეშტში (უნგრეთი) გამართული „კოსპარის“ (კოსმოსური კვლევის საერთაშორისო კომიტეტი) მუშაობაში, სადაც წარადგინა ორი მოხსენება აქტიური ექსპერიმენტების საკითხებზე. 1981 წლის 19 მაისს თ. ადეიშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „იონოსფეროს ნათების გამოკვლევა რაკეტის ბორტიდან აქტიური ზემოქმედების პირობებში,“ რომელშიც შევიდა ის ძირითადი ნაშრომები, სადაც განხილულია რაკეტა-თანამგზავრების ბორტიდან და დედამიწის ზედაპირიდან ელექტრონების, ელექტრომაგნიტური ტალღების, პლაზმისა და ნეიტრალური ნაწილაკების ზემოქმედების შედეგად იონოსფეროში გამონვეული ცვლილებები.

1982 წ. მაისში თ.ადეიშვილი სამუშაოდ გადმოიყვანეს ქუთაისის ნ. მუსხიშვილის სახელობის ტექნიკურ უნივერსიტეტში, ჯერ დოცენტის, ხოლო შემდეგ ფიზიკის კათედრის გამგის თანამდებობაზე. 1985-1988 წ.წ. მისი უშუალო ხელმძღვანელობით რესპუბლიკის დასავლეთ რეგიონში ჩამოყალიბდა ფიზიკურ-მათემატიკური და ეკოლოგიური პროფილის პირველი სამეცნიერო ორგანიზაცია ტექნიკური უნივერსიტეტის კოსმოფიზიკური გამოკვლევების პრობლემური ლაბორატორია ობსერვატორიითურთ. ობსერვატორია აშენდა ვანის რაიონის სოფ. ყუმურში და მოიცავდა სამსართულიან გამხსნელი სახურავის მქონე შენობას, 40 მეტრი სიღძის გვირაბსა და რიგ დამხმარე სათავსოს. ეს ორგანიზაცია 1995 წელს გარდაიქმნა კოსმოფიზიკური გამოკვლევების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტად, ხოლო 1997 წ. ჩამოყალიბდა როგორც კოსმოფიზიკისა და ატმოსფეროს ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო ცენტრად.

ბ-ნი თ. ადეიშვილის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები იონოსფეროსა და მაგნიტოსფეროს ოპტიკური თვისებების შესწავლისა და ვარიაციების დადგენის თვალსაზრისით.

თ. ადგიშვილის შრომებში გარკვეული გამოკვლევებია ჩატარებული იონოსფეროში დედამიწის ზედაპირიდან მძლავრი რადიოტალღების ინჟექციის პირობებში. ასეთმა ზემოქმედებამ მოგვიყვანა იონოსფეროს ოპტიკური და პლაზმური მახასიათებლების ცვლილებამდე, არც თავის მხრივ მნიშვნელოვანია მინისძვრის წინამორბედთა ზუსტად დადგენისა და რადიოეკოლოგიური კონტროლის თვალსაზრისით.

ამ და სხვა მრავალი გამოკვლევების საფუძველზე 1995 წ. თ. ადგიშვილმა ფიზიკა-მატემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ხელოვნური და ბუნებრივი ზემოქმედებით გამოწვეული იონოსფეროს ზოგიერთი ოპტიკური მოვლენის გამოკვლევა,“ რომლის შემდეგაც მას სწავლულ ექსპერტთა საბჭოს გადაწყვეტილებით ენიჭება პროფესორის წოდება. საერთოდ თ. ადგიშვილის მიერ გამოქვეყნებულია 130-მდე სამეცნიერო ნაშრომი და გამოგონება (მათ შორის რვა დამხმარე სახელმძღვანელო), როგორც რესპუბლიკური, ისე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში.

ბ-ნი თ. ადგიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობაში გამოსაყოფია გელათის სამონასტრო კომპლექსში დიდი დავითისა და თამარის ეპოქაში არსებული და შემდგომ პერიოდებში თითქმის დანგრეული აკადემიისა და ობსერვატორიის აღდგენისას განეული სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობა. ამ უაღრესად დიდი მამულიშვილური საქმის განხორციელებით პატივი მიეგება არა მარტო ჩვენს ისტორიულ მემკვიდრეობას, არამედ გადაიჭრება მზე-დედამიწის კავშირის ფიზიკის აქტუალური პრობლემები. 2008 წლიდან არის საერთაშორისო ჟურნალის „ეკოლოგიის პრობლემების“ რედკოლეგიის წევრი. სხვადასხვა წლებში აქტიურად მონაწილეობდა ევროპის საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებში.

„ვანის რაიონის ისტორიის, ენოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრთან და კრებულ „მატიანესთან“ ჩემი დამფუძნებლისა და სარედაქციო კოლეგიის წევრის სტატუსით მონაწილეობა უპირველეს ყოვლისა განპირობებულია მშობლიური რაიონის სიყვარულითა და პატივისცემით, მისი უმდიდრესი ისტორიისა და ენოგრაფიის, არქეოლოგიისა და გეოლოგიურ-გეოფიზიკური მიმართულების კვლევების გაღრმავება – განვითარებით. სწორედ ამ ფაქტორებით ვხელმძღვანელობდი, როცა ვანის რაიონის სოფელ ყუმურში აშენდა ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის კოსმოფიზიკური ობსერვატორია, რომელსაც საქართველოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან ერთად მეთოდურ და ტექნიკურ დახმარებას უწევდა მაშინდელი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ო. შმიდტის სახელობის დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტი. მან წლების განმავლობაში ნაყოფიერად იფუნქციონირა და დამოუკიდებლობის ხანაში შეწყვიტა არსებობა ფინანსური კრიზისის გამო.

როგორც ვიცით, ჩვენი ქვეყნისა და კერძოდ ვანის რაიონის ისტორიასა და სხვა მონათესავე საკითხების შესწავლას ახლებური მიდგომა ჭირდება. გადასახედია 1924 წლის აჯანყებაში ვანის რეგიონისა და კერძოდ მისი ხელმძღვანელების ამბერკი ადგიშვილისა და სერგო თვალაბეიშვილის რევოლუციური შეხედულებები მათი ობიექტურად გაშუქების მიზნით. სათანადოდ უნდა შეფასდეს ამ ორი ისტორიული პიროვნების სოციალურ-პოლიტიკური ნააზრევი და თვით აჯანყების მიზანშეწონილობა და შედეგები. დანვრილებით არქეოლოგიურ და ისტორიულ შესწავლას მოითხოვს ვანის რაიონის ზოგიერთი ძეგლი, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სოფელ ყუმურში მდებარე ციხე-სიმაგრე (ე. წ. „პაიჭაძის ციხე“), ნადარბაზევი, ნასაყდრის გორა, გაილოურის სადნობები, ნაქალაქები და სხვა ისტორიული ძეგლები.

განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს იმ თქმულებებისა და ზღაპრების, ლექსებისა და მონათხრობების შეგროვება და დაბეჭვდა, რომლებიც რეგიონის სოფლებშია მიმოფანტული. კვლევის ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთ ნიშნად იქცა რაიონის სოფლების ისტორიების შესწავლა. ამ საფუძველზე უკვე კრებულ მატიანეში გამოქვეყნებულია 13 სოფლის ისტორია, კვლევები ამ მიმართულებით გრძელდება, რომლის საფუძველზეც სასურველია ვანის საერთო ერთიანი ისტორიის შექმნა ჩემი აზრით ცალკე უნდა გამოიცეს ვანში დაბადებული და ვანური წარმოშობის გამოჩენილ ადამიანთა სრული ბიოგრაფიები, უნდა ჩატარდეს არსებული თუ დანგრეული ისტორიული ძეგლების აღრიცხვა და დაინყოს მათი თანმიმდევრული შესწავლა.

კვლევის ცენტრის ოთხი წლის დაუღალავი მუშაობის პროცესში განსაკუთრებით გამო-საყოფია მისი ხელმძღვანელის ბატონ ომარ კაპანაძის ნაყოფიერი და შეუპოვარი მოღვაწეობა. დიდი მადლიერება მას ასეთი პატრიოტული საქმის გამართვისა და ხელმძღვანელობისათვის. ამ პროცესში სასურველია სწავლულთა ფართო წრეებისა და ახალგაზრდა თაობის ინტენსიური ჩართვა. ჩემი აზრით ამ მამულიშვილურ საქმეს დახმარება რაიონისა და ქვეყნის სამთავრობო სტრუქტურებმა უნდა გაუწიონ დასახული ამოცანების გადაჭრისა და სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების საქმეში“.

ძნელია არ დაეთანხმო თითოეულ მათგანს და მითუმეტეს არ გაითვალისწინო, რასაც ისინი გირჩევენ. როგორც სამოქალაქო განათლების ლექსიკონში ვკითხულობთ, მეცნიერება არის ინსტიტუციონალიზებული, მრავალსაფეხურიანი, ლოგიკურად დაკავშირებული გამონათქვამების სისტემა, რომელიც ობიექტური მეთოდებით ცოდნის აკუმულირება-დაგროვებას ახდენს. სამეცნიერო ინსტიტუტები, მყარ სოციალურ ორგანიზაციებს წარმოადგენენ, სადაც მეცნიერები აწარმოებენ კვლევას. კვლევის შედეგები ჩვეულებრივ ქვეყნდება, დაგროვილი ცოდნა თაობიდან თაობას გადაეცემა და ინახება. მეცნიერულმა გამონათქვამმა საგანი ისე ზუსტად უნდა განსაზღვროს, რომ იგი სხვებისათვის ამოცნობადი იყოს. გარდა ამისა, მეცნიერული კვლევით მიღებული უნდა იქნეს ახალი მონაცემები, დებულებები პრაქტიკულად უნდა იქნეს დადასტურებული და შესაძლებელი უნდა იყოს მათი მეთოდური გამეორებით გადამონმება. მადლობის მეტი რა გვეთქმის იმ მეცნიერთა მიმართ, რომელნიც ჩვენი – „კვლევის ცენტრის“ მოკრძალებულ საქმიანობაში ლომის წილს დებენ, უყურადღებოდ არასოდეს გვტოვებენ და ამ ყველაფერს უანგაროდ აკეთებენ, რის მიხედვითაც არ არის ძნელი დაინახოთ თუ რა მდიდარი ინტელექტუალური ძალა ყავს ჩვენს პატარა რაიონს. კრებული „მატიანე“ კი ცდილობს, შეძლებისდაგვარად მისცეს ამ „ნიჭსა გზა ფართო“ მომავალი თაობის დასამოძღვრად, რათა დოკუმენტალური სიზუსტით შეიმეცნონ მათ მშობლიური რაიონის მსოფლიო დონის მარგალიტები.“

\* \* \*

**უჩა დვალისვილი** – დაიბადა 1953 წლის 6 ივნისს ქალაქ ქუთაისში. 1960-1970 წლებში სწავლობდა ვანის რაიონის სოფ. ისრითის საშუალო სკოლაში, სადაც ეზიარა ქართული ცეკვის ხელოვნებას (პედაგოგები-ჯონდო თუთარაშვილი, გია გრიშაშვილი და გრილიონ ტულუში). 1970 წელს სწავლა დაიწყო თბილისის სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტურულ საგანმანათლებლო სასწავლებელში და წარჩინებით დაამთავრა 1974 წელს.

1974-76 წლებში სწავლობდა კუიბისევის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში – ქორეოგრაფიის სპეციალობით.

1980 წლიდან 1990 წლამდე მუშაობდა თბილისის ს.ზაქარიაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში – კლასიკური ცეკვა, მსოფლიოს ხალხთა ცეკვა, კომპოზიცია და ცეკვის დადგმა საგნების პედაგოგ-ქორეოგრაფად.

არის ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი-პროფესორი.

1992 წლიდან უ.დვალისვილი თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტზე ქორეოგრაფიული ხელოვნების კათედრის გამგე და ქორეოგრაფიული სახელოსნოს ხელმძღვანელი, იმავდროულად უნივერსიტეტის ფოლკლორის კომპლექსური კვლევის სამეცნიერო ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელია.

ქორეოგრაფიის საკითხების შესახებ გამოქვეყნებული აქვს მრავალი საგაზეთო-საჟურნალო სტატია და სამეცნიერო ნაშრომი, იგი ავტორია ქორეოგრაფიის სპეციალობის დისციპლინათა სასწავლო პროგრამებისა.

2003 წლის 6 ივნისს დაიცვა დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

1988 წელს ჩამოაყალიბა საქართველოს მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ საზოგადოებასთან

არსებული და ამჟამად შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი „როკვა“. დაარსებიდან დღემდე მისი სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფია. ანსამბლმა „როკვამ“ იმოგზაურა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. არის საერთაშორისო და რესპუბლიკური ფესტივალებისა და კონკურსების მრავალზღვის ლაურეატი. უჩა დავალიშვილი ქართული ხალხური ცეკვა – „რაჭულის“ ავტორი და დამდგმელია.

1989 წელს მიწვეულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში – კალიფორნიისა და ლოს-ანჯელესის შტატში – ქართული ცეკვების მასტერკლასების ჩასატარებლად.

2006 წლის სექტემბრიდან უჩა დავალიშვილი შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისა და ტრადიციული ქართული ხელოვნების ფაკულტეტის ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის სპეციალობის მიმართულების ხელმძღვანელია.

2007 წლიდან დღემდე ახორციელებს ფოლკლორის მხარდაჭერის ნაციონალურ პროგრამას, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ეგიდით და ატარებს მასტერკლასებს, მართავს სამეცნიერო კონფერენციებს თბილისში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

2008 წლიდან საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ქორეოგრაფიული ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელია.

2010 წლის 17 დეკემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულია და გახდა „ფოლკლორის ეროვნული პრემია 2010“-ს მფლობელი და ბოლო დროის საქესპედიციო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობისათვის ლაურეატი.

2010 წლიდან შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ცეკვისა და სადადგმო ხელოვნების პედაგოგის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი.

2011 წლიდან ქორეოგრაფიის ხელოვნება (შემოქმედებითი პედაგოგიკა) სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი. არის რამდენიმე სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი, რამდენიმე საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სასწავლო დისციპლინების ავტორი. არის შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

2013 წელს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის მიერ, საქართველოს ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და საცეკვაო ხელოვნების სფეროში ხანგრძლივი პრაქტიკული და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდა „საქართველოს ქორეოგრაფიის რაინდის ორდენით“. არის არაერთი მონოგრაფიისა და ცალკეულ გამოცემათა რედაქტორი.

„ოთხი წელია ვთანამშრომლობ ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრთან. მონიჭებული მაქვს კრებულ მატრიანის დამფუძნებლისა და სარედაქციო კოლეგიის წევრის სტატუსი.

კვლევის ცენტრის ფუნქცია მეტად საპატიო და მნიშვნელოვანია: საზოგადოებას აცნობს ჩვენი ქვეყნის (რაიონის) კულტურას, წარსულს, იმ ღირებულებებსა და ფასეულობებს, რითაც ასე გამორჩეული და უნიკალურია საქართველოს ეს ულამაზესი მხარე. ვანი ყოველთვის იყო ქართული მულტიკულტურული ისტორიის ღია სივრცე.

მიუხედავად იმისა, რომ ვანის ნაქალაქარი და მისი ღირსშესანიშნაობები მოქცეულია დიდი ხანია მეცნიერთა და მკვლევართა ყურადღების ცენტრში, მაინც ბოლომდე შეუსწავლელი და ამოუცნობია კულტურული არქეტიპები, თანაც მეტი პოპულარიზაცია და „გაპიარება“ სჭირდება მას, განსაკუთრებით ჩვენთვის – ქართველებისათვის, რათა ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდეთ, „რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი“ ამ მხრივ შეუდარებელი და მისასალმებელია ცენტრის მუშაობა კრებულ მატრიანის მეშვეობით უამრავი რამ შევიტყვე ვანის წარსულსა და ღირსშესანიშნაობებზე. ეს ერთად შეკრებილი უაღრესად საინტერესო, ტევადი და გულში ჩამწვდომი ინფორმაციაა.

პირადად მე ყოველთვის მქონდა ჩემი მხარის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართვის სურვილი. ამიტომაც ბატონ ომარ კაპანაძის შემოთავაზებას სიამოვნებით დავთანხმდი.

ვანის არქეოლოგია უნიკალურია მსოფლიო კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის ჭრილში, ბევრ ბურუსით მოცულ საკითხს მოეფინა ნათელი, მომავალში ეს უმდიდრესი საგანძური კიდევ ბევრ აღმოჩენას გვპირდება. ფუნქციური, შინაარსობრივი და სტრუქტურული ანალიზი გვაჩვენებს, რომ კრებული „მატიანე“ მაღალრეიტინგული ჟურნალია, საკვლევი ბევრი რამ შეიძლება იყოს, მაგრამ, უპირველესად, აუცილებელია ვანის მატერიალური კულტურული მემკვიდრეობისათვის იუნესკოს ეგიდით ძეგლის სტატუსის მინიჭება.

ვანს მდიდარი ფოლკლორული არქივი გააჩნია, რომელიც დალუპვის პირასაა მისული. უმოწყალოდ მიყრილია უნიკალური ფოლკლორული ნიმუშები, რომელთაც დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს.

გადაუდებელ საქმედ მიმაჩნია ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნიმუშების მასალების მოძიება-შეკრება, აღნუსხვა, სისტემატიზება და მეცნიერული ანალიზი, ვიდრე ჯერ კიდევ არსებობს ამ ინფორმაციის მატარებელი ხალხი. ამ მხრივ მეტი მასალები გამოვაქვეყნოთ მატიანეში.

საჭიროა ახალგაზრდა თაობის აქტიური ჩაბმა საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში: ახალგაზრდობა, ახალი სისხლი, ახალი არტერია, იდეები და მიზნები. ასევე აუცილებელია ძველ მეცნიერთა რესურსების გამოყენება – მეტი ჩართულობა, ბევრმა არ იცის მატიანეს შესახებ, მეტი კავშირი სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებთან, უცხოეთის სამეცნიერო წრეებსა და მეცნიერებთან.

მატიანე ეხმარება მუნიციპალიტეტს კულტურული ცვლილებების განხორციელებაში – განსაზღვრულ კონტექსტსა და გარკვეულ პირობებში.

ასევე დიდია კრებულის წვლილი კულტურული მემკვიდრეობის პროცესში – თაობებზე ინფორმაციის გადაცემის არაგენეტიკური გზით, რომლის შედეგია კულტურისა და ეროვნული იდენტობის დროში უწყვეტობა.

კულტურული ტრანსმისიის მეშვეობით ყოველი ახალი თაობა მემკვიდრეობით იღებს ძველ ცოდნასა და გამოცდილებას და აგრძელებს ერის კულტურის განვითარებას იმ წერტილიდან, „რომელზეც შეჩერდა მამა“.

\* \* \*

**ლუკა დვალისვილი** – ასოცირებული პროფესორი, ქ. ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი. დაიბადა 1961 წლის 5 აგვისტოს. 1978 წელს დაამთავრა ვანის რაიონის სოფელ სულორის საშუალო სკოლა. 1989 წელს კი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, ქართული ენა, ლიტერატურა და ისტორიის სპეციალობით. 1999 წელს კი დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

01.09.1989 წ. დაინიშა ქართული ენის კათედრის ლაბორანტის თანამდებობაზე

01.09.1989 წ. გადაყვანილი იქნას ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ლაბორანტად

21.09.1994 წ. გადაყვანილი იქნა ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის მასწავლებლად

06.10.2000 წ. დაინიშნა ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე, როგორც კონკურსით არჩეული

29.08.2006 წ. დაინიშნა ქართული ლიტერატურის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე

04.01.2010 წ. დაინიშნა ქართული ლიტერატურის დეპარტამენტში ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე

21.09. 1994 ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ

04.12.2002წ. დაინიშნა ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე



22.02.2005 წ. გათავისუფლდა დეკანის თანამდებობიდან “უმალესი განათლების” კანონის ძალაში შესვლის გამო

31.08.2005 წ. დაინიშნა ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ

29.08.2006 წ. დაინიშნა ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილედ

12.2015 წ. დაინიშნა ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე. ამჟამადაც აგრძელებს მუშაობას. ბოლო ათი წლის განმავლობაში სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებული აქვს სამოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და გამოცემული აქვს 4 წიგნი. (ერთი თანავტორობით)

ბოლო ათი წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული სამოცზე მეტ საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაში. მათ შორის: 1. პირველი მსოფლიო ომისა და კავკასიის პრობლემური საკითხები გაზეთ „სიმართლის გზაში.“ მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014 წლის 27-29 ივნისი. 2. აკაკი წერეთლის საბანკო პოლემიკის ზოგიერთი პრობლემური საკითხი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია აკაკი წერეთელი და მისი ეპოქა. 2015 წლის 22-23 ივნისი. 3. 1977-78 წწ. რუსეთ თურქეთის ომი და საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ილია ჭყონიას პუბლიცისტიკაში. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „განათლება XXI საუკუნეში, გორი, 2015 წლის 13-14 ნოემბერი. 4. დიმიტრი ყიფიანის ეროვნულ-მამულიშვილური ღვაწლის გააზრება აკაკი წერეთლის შემოქმედებაში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის, ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175-ე და გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავისადმი, 2015 წლის 22-23 ოქტომბერი. 5. ფაცას ქართველთა ზეპირსიტყვიერების თემატური თავისებურებები, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი სხვა სახელმწიფოებში მცხოვრებ ქართველებს, 2016 წლის 29-30 ოქტომბერი.

ამასთანავე, ლუკა დვალისძე იყო არის საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი. ასევე, სამეცნიერო ჟურნალ „ქართველოლოგიური მემკვიდრეობის რედკოლეგიის წევრი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სალიტერატურო ჟურნალ „პოეზიის დღის“ რედაქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომების რედაქტორი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია-ენა როგორც კულტურათაშორისი მედიატორი რედკოლეგიის წევრი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თანამედროვე ინტერდისციპლინარობაში და ჰუმანიტარული აზროვნება რედკოლეგიის წევრი.

„პირველ რიგში მინდა დიდი მადლობა ვუთხრა იმ ადამიანებს, რომლებსაც გაუჩნდათ დიდებული იდეა, ჩვენს მართლაც დიდი კულტურით, ცივილიზაციით და გეოგრაფიულ-კლიმატური პირობებით გამორჩეულ რაიონში დაეარსებინათ „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი,“ რომლის დიდებული გზამკვლევ-მეჩირაღდნეა მრავალმხრივ საინტერესო აკადემიური კრებული „მატიანე.“ კეთილშობილური იდეის მოფიქრება თავისთავად კარგია და, ზოგჯერ საქმის ნახევარიც კი, მაგრამ მისი ხორცშესხმა ხშირად რთული და ზოგჯერ შეუძლებელიც კია. საბედნიეროდ ამ საქმის მეთაურების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შესანიშნავი წამოწყების ორივე ნაწილს იშვიათი აკადემიურ-ორგანიზებულობით გაართვეს თავი. ყოველივე ზემოთქმული გახლავთ მიზეზი ამ სამსახურთან ახლანდელი და სამერმისო თანამშრომლობისა.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ კვლევით ცენტრსა და მის კრებულს აქვს თავისი ნიშა, რომელიც აქამდე დაკავებული არ იყო, თუმცა ამ მოზაიკური კულტურატრადიციებითა და კლიმატით შემკული რაიონის შესახებ მრავალი სამეცნიერო სტატია და პუბლიცისტური წერილი დაინერა, ინერება და კვლავაც დაინერება. კრებულში გამოქვეყნებულ მასალებს ჩემთვის განსაკუთრებული ფასი აქვთ, რადგან უმრავლეს შემთხვევაში აქ „ადგილის

მწევრები იჭერენ ადგილის კურდღელს,“ რაც უდავოდ აგრერიგ ფასეულ-მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა კრებული რაიმე ნიშნის მიხედვით არ ზღუდავს დაინტერესებულ მკვლევარსა თუ მკითხველს, მაგრამ თავისი კუთხისა და მხარის ჭეშმარიტი გულშემატკივარის მოძიებულ და გაანალიზებულ მასალას სხვა ფასი აქვს. ჩემი ღრმა რწმენით კვლევით ცენტრმა და კრებული ახალი ვანი ახლებური კუთხით წარმოაჩინა.

ვფიქრობ კრებული „მატიანე“ თავისი პუბლიკაციებით საინტერესო გამოცემაა. იგი სწორი მიმართულებით ვითარდება და არჩეული თემატური ხაზი უნდა შეინარჩუნოს. ვანის რაიონში არ უნდა დარჩეს არცერთი ადგილი, რომლის ისტორია, ტრადიციები, ხალხური ზეპირსიტყვიერება, ტოპონიმია არ იქნება საგანგებოდ შესწავლილი. კრებულში, ვფიქრობ საჭიროა კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთოს ადგილობრივი ინტელიგენცია, თუმცა ამ მხრივ შეიძლება ითქვას ეს გამოცემა ერთ-ერთი სანიმუშოა.

კრებულ „მატიანეს“ გამოცემაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ადგილობრივი ახალგაზრდები, რაც ძალიან სასიამოვნოა. ვფიქრობ, ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ბატონ შალვა შარაშენიძის პუბლიკაციები. ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და მათთვის ბეჭდვის შესაძლებლობების მიცემა უპირობო გარანტიაა „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრისა“ და კრებულ „მატიანეს“ სამომავლო წარმატებისა“.

**ომარ კაპანაძე** – ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი

**თამილა მჟავანაძე** – ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის სპეციალისტი, კრებულ „მატიანეს“ პასუხისმგებელი მდივანი

## **კულტურულ-საგანმანათლებლო კერავის მენეჯლოგის ტენდენციები ვანის რაიონის სოფლების მიხედვით**

როდესაც ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს ვაშუქებთ, სამწუხაროდ, მიმართულებათა მიხედვით წარსულ დროში გვინევს საუბარი, რაც ნორმალური ცხოვრებისეული განვითარებით ვერ აიხსენება. არადა ამ დაწესებულებების დანიშნულება თვით სახელწოდებაშია განივთებული „კულტურულ-საგანმანათლებლო“ სისტემა, როგორც ის მოიხსენიებოდა და პარალელში მიჰყვებოდა საგანმანათლებლო საქმიანობას. ვინაც ახლო ცნობიერების თვალთ აკვირდებოდა ამ ორგანიზაციების მუშაობას განსაკუთრებულად პერიფერიულ რაიონებში დაგვემომჩიება რომ არსებობის მთელს მანძილზე ერთეული გამოწვევისა, უდიდესი საქმე აქვთ ნაკეთები.

წარკვევს რამდენადმე სტატისტიკურ-საცნობარო ხასიათიც აქვს მიცემული, რაც ჩვენი აზრით მკითხველს არ გადალლის და ნათქვამის ჯეროვნად გაცნობიერებასაც შესძლებს.

დროში გამეფებულმა სიტუაციებმა, უპირველესად ეკონომიკურმა ფაქტორმა, რომელსაც არ ძალუძს სოციალურ-კულტურულ მოვლენებს გაუმკლავდეს და იმან, რომ ეკონომიკამ თითქმის დაკარგა სოციალურ-კულტურულ საკითხთა დამბალანსებლის როლი, წარმოშვა ასეთ სირთულეთა წყება, რომლის უარყოფითი როლი აისახა ქვეყნის კულტურულ განვითარებაზეც და უპირატესად იგი შეეხო პერიფერიულ დასახლებებს.

დრომ და განვითარებულმა მოვლენებმა განაპირობეს ისიც, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს კერების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, იმ სახით, როგორც ეს იყო, საფუძველი შეერყა და ეს კანონზომიერი მოვლენაც იყო, მათი მოქმედება დროსთან მიმართებაში დაძველებულად გამოჩნდა, რაც ტექნიკურმა პროგრესმა ტელევიზიამ, კომპიუტერიზაციამ, ოჯახური ბიბლიოთეკების შექმნამ და ა.შ. განაპირობა და ნაცვლად იმისა ვინმეს ეფიქრა პროცესთა გაკეთილშობილებასა და დროის ფაქტორზე მორგებისათვის, ერთბაშად ითქვა უარი კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს მოდერნიზებაზე, სამუშაო პროცესების ცვლასა და დროსთან მისადაგებულ სრულყოფაზე. ამის გამოც იგი განწირულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. არადა, ასევე, პრაქტიკა აჩვენებს მათი ფუნქციონირების კვლავ აუცილებლობას, გარკვეული დროის მონაკვეთში მაინც, და განსაკუთრებულად სოფლურ დასახლებებთან მიმართებაში. როგორც ჩანს ეს პროცესი თავის დაროზე არც სათანადოდ იყო შესწავლილი და არც გაანალიზებული.

დრომ დაამტკიცა, რომ ვერც ტელევიზია, ვერც კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ. მათ ვერცვლის თუ ამ ორგანიზაციების საქმიანობა ნორმალურ, გონიერ კალაპოტში მოექცეოდა, მოხდებოდა მათი მუშაობისათვის შესწავლილი და წინასწარგამიზნული მიმართულებების მიცემა.

ვერც ე.წ. პერიფერიებში მცხოვრები ადამიანები, განსაკუთრებულად ახალგაზრდობა, აღმოჩნდა იმ დონეზე, რომ ამგვარ დაწესებულებათა მარგიქმედების კოეფიციენტი საზოგადოებრივ განვითარებასთან დამოკიდებულებაში შეეფასებინა და როდესაც ე.წ. „ოპტიმიზაციის“ ლოზუნგით ხორციელდებოდა კულტურულ-დაწესებულებათა საქმიანობის ბაზის ნგრევა, ამის საწინააღმდეგოდ ხმა არავის ამოულია, რადგანაც ამ დროს შიმშილის განცდა უფრო მძაფრი იყო ვიდრე ხანგრძლივ მოქმედ იდეალებზე ფიქრი და იმის განსაზღვრაც თუ რა დადებითი როლი ითამაშა ამ სფერომ, ყოველ შემთხვევაში, სასოფლო დასახლებათა ცხოვრებაში, სიახლეთა ძიების და განსაკუთრებულად თავისუფალი დროის შეგნებულად გამოყენების საქმეში, რა როლი შეიძლება ეთამაშა მას სამომავლოდ. თუ განვითარება კვლავ ნორმალურ კალაპოტში იქნებოდა ჩაყენებული.

ჩვენ საუბარი მიგვყავს ამ მოდად ქცეულ „ოპტიმიზაციის“ გავლენაზე ისეთ პერიფერიულ რაიონებთან მიმართებაში, როგორსაც ვანი და „მსგავსნი მისნი“ წარმოადგენენ, თორემ ქალაქურ ცენტრებში ახალგაზრდობაც და ძველგაზრდობაც თუ ეცდება ყოველთვის მონახვას „თავისუფალი დროის“ ნორმალურად გამოყენების საშუალებას, თუმცა საერთო მასშტაბებში არც დიდ ქალაქებში იგრძნობა მოჭარბებული ფუფუნება კულტურის დარგთა ზეანეული განვითარებისათვის ან თუ იგრძნობა ერთეულთათვის, ცხადია მკითხველი ამის დამადასტურებელ მაგალითებს არ მოგვთხოვს. თუ კარგად დააკვირდება ისედაც ჩანს.

ჩვენ მხოლოდ რაიონულ მასშტაბზე ვსაუბრობთ. ბედის უკუღმართობით მეტისმეტად დავეჩვიეთ გაუაზრებელ ნგრევებს, რომელმაც პირნმინდად ალაგმა პირისაგან მინისა რაიონის სამრეწველო საწარმოები მასების, ახალგაზრდობის დასაქმების ძირითადი ბაზა და ადგილი, საყოფაცხოვრებო სავაჭრო ობიექტები, მივადექით კულტურის დაწესებულებებს, გავაპარტახეთ აგრარული სფერო თავისი მრავალმილიონიანი ფონდებით, როგორც ჩანს აღარ დაგვრჩა რაიმე ხელშესახები თორემ ამ უღირს ესტაფეტას, რომელმაც საფუძველი XX საუკუნის 90-იანი წლებიდან აიღო და გაგრძელდა, ძირითადად, XXI საუკუნის პირველ ათწლეულში, ვიდრე ყველაფერი არ მივანგრ-მოვანგრიეთ, ასევე „ღირსეულად“ გავაგრძელებდით.

ჩვენს ხელთაა მასალები, როგორც ნ.ფორდანიას ხელისუფლებიდან, ასევე შემდეგი უკვე პოსტსოციალისტური ეპოქის ზოგიერთ მნიშვნელოვან გადანაცვლებათა სახით, რომლითაც დგინდება კულტურის სფეროს პრიმატი მაშინდელი განვითარების პირობებში, თუმცა ჩვენი ამჟამინდელი მსჯელობა მათ დეტალურ განხილვას არ ითვალისწინებს. პირველმა ეს მუშაობა მაშინდელი უკიდურესი სიტუაციებიდან მიმართა ქვეყნის ზოგიერთი წამყვანი ქალაქის სასარგებლოდ, მცირე პრაქტიკული მაგალითებით, ხოლო მეორემ ქალაქებს გარდა ყურადღება გადაიტანა პერიფერიებზეც, რადგან მიაჩნდა, რომ იმ წერა-კითხვის ნახევრადუცოდინარობისა და არსებული ჩამორჩენილობის პირობებში ამდაგვარ მოძრაობას უნდა შეეძინა უაღრესად მნიშვნელოვანი დატვირთვა.

რაიონთან მიმართებაში შევჩერდებით მითითებული სფეროს სამ ძირითად მიმართულებაზე: საბიბლიოთეკო მშენებლობებზე, საკუბლო მშენებლობის საკითხებზე და სამუზეუმო მშენებლობების გაშლაზე. ჩვენ აქ არ ავსახავთ ამ დაწესებულებათა მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, რომელთა მარგი ქმედების კოეფიციენტი საგრძნობლად შთამბეჭდავია, თუმცა ამაზე „მატიანეს“ მომდევნო ნომერში იქნება საუბარი.

თუ გავყვებით საკითხებს რამდენადმე ძირეულად შეიძლება ითქვას, საქართველოში საბიბლიოთეკო მომსახურება საუკუნეთა მიღმა იღებს სათავეს, მაგრამ ეს პროცესი ძირითადად უკავშირდება ეკლესია მონასტრების საქმიანობას, რომელთა წამყვან ნაწილს გააჩნდა საკუთარი წიგნსაცავი ფონდი, ცხადია არამრავალფეროვანი ლიტერატურით, მაგრამ სადაც კი ასეთი იყო ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა, რადგანაც ეს რელიგიური დაწესებულებები იმ დროისათვის საკუთარ თავზე იღებდნენ საგანმანათლებლო ფუნქციასაც, ხოლო როგორც ისტორიული წყაროები მიუთითებენ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ეს სასულიერო დაწესებულებები დაავალდებულეს ეხელმძღვანელათ სასწავლო პროცესებისათვისაც და მათი როლი ამ სფეროში როგორც პირველმკვალავებისა განუსაღვრელად დიდია.

1922 წლამდე ვანში არ არსებობდა არცერთი ბიბლიოთეკა აღნიშნავს ვანის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი ქალბატონი ლამარა დვალიშვილი თავის მცირეზომიან რეფერატში, რომელიც ვანში საბიბლიოთეკო საკითხთა გადაჭრას ეხება, ლ თუ არ ჩავთვლით ერთეულ კერძო ბიბლიოთეკებს, რომლებიც ასევე კერძო შემონირეულობებით არსებობდნენ...

„ვანში საბიბლიოთეკო საქმეს დიდი წვლილი დასდო გიორგი ნამიჭეიშვილმა და ალექსანდრე სანადირაძემ, ამის ნათელი დადასტურებაა „სახალხო გაზეთი“, რომელშიდაც მაშინდელ წიგნსაცავ-სამკითხველოს გამგენი გიორგი ნამიჭეიშვილი და ალექსანდრე სანადირაძე წერდნენ: „ბატონო რედაქტორო უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ნება გვიბოძოთ, რომ უღრმესი მადლობა გადავუხადოთ ბატონ იოსებ ხუტას-ძე ლორთქიფანიძეს, რომელმაც არ დაიშურა თავისი შრომა, ღვაწლი და ნაცნობთა შორის შეაგროვა ქალაქ ბაქოში 8 მანეთი

და ორი შაური<sup>1</sup> ვანის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ და აგრეთვე უღრმეს მადლობას ვწირავთ იმ პირთაც რომელთაც ინებეს და არ დაიშურეს თავისი წვლილი ამ დიდი დაწესებულებების სასარგებლოდ.“

შემდეგ მოდის შემომწირველთა სია: „იოსებ ლორთქიფანიძე 1 მანეთი; 10-10 შაური<sup>2</sup> ექვთიმე ხურცივემა, ლ.ჯიქიძემ, ი.ქოქსაშვილმა, მიკიტირ მიკიტიროვმა, მელიტონ დათეშიძემ; 6 შაური (30 კაპიკი) ლევან ჯიქიამ, რაფიელ ლასხიშვილმა, კონია ჯამიაშვილმა, ნიკოლაი ტერნიკოვსოვმა; თითო აბაზი (20 კაპიკი) ანტიპ მერკვილაძემ, შაქრო ბერიძემ, კასიონე ხუჭუამ, ილარიონ არხიპოვმა და ალესანდრე ვართანიანმა“<sup>3</sup>. როგორც ვხედავთ ეს თანხა, რომელიც მაშინდელი ფულის კურსით ნორმალური შენაგროვები იყო, აიკრიბა ქალაქ ბაქოში, რომელშიდაც საკმაოდ ინტერნაციონალური შემადგენლობაა ჩართული.

1914 წელს გაზეთ „ზარში“ გამოქვეყნებულია პავლე სანადირაძის წერილი – ცნობა, რომლითაც ჩანს, რომ ვანის საზოგადოების ინტელიგენციის<sup>4</sup> და აქაურ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრების თანხმობით ქუთაისის გუბერნატორის ნებართვის საფუძველზე, სოფელ ვანში არსებობს უფასო წიგნსაცავ-სამკითხველო „ჩემს ნესტორ აბრამიძისა და ნესტორ ნანაძის სახელზე.“

მანამდე რამდენიმე წიგნიანი (ძირითადად რელიგიური ლიტერატურა) კერძო ბიბლიოთეკა დაფიქსირებულია ტობანიერის თემ-საზოგადოებაში, ამალეების თემსაზოგადოებაში და მინიშნებულიცაა 3-4 პიროვნება ვის საკუთრებაშიც მოიაზრებოდა ხსენებული ბიბლიოთეკები. როგორც ქალბატონი ლამარა დვალისძე თავის რეფერატში მიუთითებს ნესტორ აბრამიძისა და ნესტორ ნანაძის სახელზე რიცხული ბიბლიოთეკა კერძო პირების დახმარებით არსებობდა, რისთვისაც წვრილ კრედიტ ბანკის<sup>5</sup> წევრებს „ოქმით“ დაუდგენიათ მოგების თანხიდან სამკითხველოს შესანახად წევრზე გამოეყოთ 10-10 შაური. ამ ოქმის ძალაში შესვლიდან სამკითხველო წვრილ ბანკის შენობაში გადაუტანიათ, ამასთან „აქაურ ინტელიგენციას ნებართვა უთხოვია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის სოფელ ვანში (დღეს ქალაქი ვანი) ახალი სამკითხველოს გახსნის თაობაზე, სადაც აღნიშნავენ, რომ „ჩვენ თანახმა ვიქნებით ჩვენი სახელობის სამკითხველოს ქონება გადავიდეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზეო.“ როგორც ჩანს იმ დროისათვის ეს იყო საკმაოდ დიდსულოვანი გადაწყვეტილება.

როგორც ცნობილია 1922 წლიდან ვანში საკმაოდ ფართოდ გაიშალა საგანმანათლებლო კერების მშენებლობა, მათი შესაბამისი კადრებით დაკომპლექტება, რომელიც მოჰყვა მაშინდელი საქართველოს ხელისუფალთა სპეციალურ გადაწყვეტილებას, იგი ეხებოდა ქვეყანაში აღნიშნულ საკითხთა დაწესრიგებას ამ საკითხის გადაჭრას პარალელში გაჰყვა საბიბლიოთეკო-სამკითხველო ბაზის მშენებლობა-მონესრიგების სამუშაოებიც.<sup>6</sup>

ქუთაისის სამაზრო ინსპექტორის სერგო აბდალაძის მიერ ქუთაისის მაზრის კომიტეტში მიწოდებული ინფორმაციით დასტურდება: – „ტობანიერის თემის ქონ-სამკითხველო მოთავსებულია აღმასკომის შენობის მეორე ოთახში, შენობა არის ხის, კრამიტით დახურული, პოლთავნით (იატაკითა და ქერით) და ბუხრით. ქართული წიგნები აქვს 215 ცალი, რუსული 100, გაზეთები მოდის შემდეგი – აღმასკომის მიერ გამოწერილი (ჩამოთვლილია სახეობები) თითო ეგზემპლარი, დღეში მკითხველთა რიცხვი საშუალოდ უდრის 25-ს, წიგნები მიაქვთ ოჯახში წასაკითხად, თემში, ხვადასხვა პირებს (სოფლის) სამკითხველოს საშუალებით გამოწერილი აქვს 89 „ახალი სოფელი“ (გაზეთის დასახელება), გამოდის ყოველთვიური კედლის გაზეთი

1. ორი შაური – 10 კაპიკი  
 2. 10-10 შაური 50 კაპიკი  
 3. ლამარა დვალისძე – ვანის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი, მოკლე რეფერატი ვანში საბიბლიოთეკო საქმის განვითარების შესახებ.  
 4. საუბარია ვანის თემ-საზოგადოებაზე. (რედ).  
 5. წვრილ-კრედიტ ბანკი – იგულისმება ფულად საკრედიტო ორგანიზაცია, რომელიც ნებაყოფლობით იქმნებოდა, დაფიქსირებულია ტობანიერისა და ვანის ორგანიზაციის არსებობა (რედ).  
 6. ვანის ისტორიის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის კრებული „მატიანე“ №12

„ტობანიერის სიტყვა“, სამკითხველოსთან არსებობს სამკითხველოს საბჭო, მოწყობილია უბნებში 5 წითელი კუთხე“ და ა.შ.

ამდენად, მოყვანილი ინფორმაციით დასტურდება, რომ საბიბლიოთეკო-სამკითხველო საქმიანობას მიცემული აქვს შესაბამისი დატვირთვა და თითქმის ნაბიჯ-ნაბიჯ ხორციელდება არარაობიდან, პროგრესირება, აყვანილია მაზრის ხელისუფლების კონტროლზე და ეს საქმიანობა ვდება საერთო სახელმწიფოებრივ მოთხოვნებში. ამასთან ვანში (და საერთოდ) ამ საქმით დაკავებულ ადამიანთა სახელფასო ანაზღაურება გატოლებულია სოფლის მასწავლებლის ხელფასთან და იმ პერიოდისათვის შესაძლებლობათა ფარგლებში საქმიანობის წარმართვისათვის შედარებით უზრუნველყოფილია მატერიალური ბაზით, ამასთან, ტობანიერის თემში ქოხსამკითხველო-ბიბლიოთეკა ვანის დასახლებებისათვის არ წარმოადგენს ერთადერთს, არის სხვა მაგალითებიც:

...დვალიშვილების თემის სამკითხველო ბიბლიოთეკა მოთავსებულია სოფლის აღმასკომის (აღმასრულებელი კომიტეტის) ერთ თვალ შენობაში. შენობა არის ხის, დახურული ყავრით. სამკითხველოს აქვს ბუხარი. წიგნები აქვს ქართული – 60 ცალი, რუსული 3 – ცალი. გამონერილი აქვს შემდეგი გაზეთები ახალი სოფელი 1-ცალი, კომუნისტი 1-ცალი, მუშა 1-ცალი.

...ამაღლების სამკითხველო (ბიბლიოთეკა). „ამაღლების თემის ქოხსამკითხველო მოთავსებულია აღმასკომის შენობაში. არის ხის, დახურული ყავრით, უჭირავს ერთი თავლი ოთახი, წიგნები აქვს სხვადასხვა 320 ცალი – ქართული, რუსული 2- ცალი. გაზეთები აქვს გამონერილი აღმასკომის საშუალებით 6-სხვადასხვა დასახლებების. სამკითხველოსთან არსებობს საბჭო და სხვადასხვა წრეები, გამოდის ორკვირიანი კედლის გაზეთი. გამგის ზნეობრივი მხარე და ავტორიტეტი დაკმაყოფილებულია.“ (მოყვანილ ციტატებში სტილი ყველგან დაცულია).

ინფორმაცია, როგორც ითქვა, ქუთაისის მაზრის აღმასკომში მოწოდებულია მაზრის ინსტრუქტორის სერგო აბდალაძის მიერ, რომელსაც თითქმის დეტალურად აქვს შესწავლილი, სოფლებში საგანმანათლებლო

საკითხების მდგომარეობა და პარალელში მიჰყვება ქოხ-სამკითხველოების (ბიბლიოთეკების) მშენებლობა-საქმიანობა. იგი ეხება 1926-1927 წლების პერიოდს...

ჩვენ არაერთხელ მივუთითეთ, რომ 1930 წელს შეიქმნა ვანის რაიონი, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. მასალებით ჩანს ამ დროიდან მიდგომებიც შეიცვალა სფეროთა განვითარების მიმართულებით და ყოველგვარი ძალისხმევა გაღებულია, იმ შესაძლებლობათა ფარგლებში, რომელსაც იმ დროის ახლადშექმნილი რაიონის ეკონომიკა იძლეოდა. ასე რომ ამ საქმეში ჩართულია სახელმწიფო ძალისხმევა და იგრძნობა იმ მწირი პირობებით ზრუნვაც ამ სფეროს გამართული მუშაობის მიღწევისათვის.

მოვლენა იყო 1932 წლის მაისში ადგილობრივი ბეჭდვითი სიტყვის ორგანოს რაიონულ გაზეთ „კოლმეურნის მნათობის“ გამოშვება, რომელიც ეხმიანებოდა და აშუქებდა მიმდინარე პროცესებს, მისი ყველა ნომერი დაცული იყო გარკვეულ დრომდე, წამოადგენდა ვანის რაიონის ცხოვრების მათიანეს, მაგრამ არამართო ეს, არამედ იმ დროისათვის ის წამოადგენდა ხალხში ინფორმაციის შეტანისა და თუ გნებავთ წიგნიერების დონის გაზრდის საშუალებასაც, რაც აუცილებლობით იყო განპირობებული, ხოლო 90-იან წლებში განუკითხაობის პროცესში მისი დაცვა რედაქციამ ვერ შესძლო და სამწუხაროდ დაკარგა (!). ეს აქ იმიტომ ვახსენეთ, რომ, როგორც ითქვა, ადგილობრივი პრესა სისტემატიურად ეხმიანებოდა ყოველნაირ სიახლეს ეკონომიკურ-სოციალურ და კულტურულ სფეროში.

სამწუხაროდ მწირადაა შემონახული მასალები (გარდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტისა) 1930-იანი წლების მთელს მონაკვეთზე ვანის რაიონში კულტურის კერების მშენებლობათა კუთხით. არ გამოვრიცხავთ აქ გავლენა მოახდინა ქვეყანაში შქმნილმა მდგომარეობამ და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმაც, ევროპაში მეორე მსოფლიო ომისათვის მზადებასთან (გერმანიის მხრიდან) დაკავშირებულმა მრავალგანზომილებიანმა კომპონენტებმა და ამ დროს საბჭოთა კავშირის მხრიდან (რომლის შემადგენლობაშიც საქართველო შედიოდა) განხორციელებულმა ღონისძიებებმაც, რაც ქვეყნის თავდაცვის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, მაგრამ ამ პროცესებშიც ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი მაინც გადაიჭრა.

... „პირველი სახელმწიფო ბიბლიოთეკა ვანში (დღეს ქალაქ ვანი) გაიხსნა 1934 წელს და მას ხელმძღვანელობდა იულია მალლაკელიძე, შემდეგში ვენერა აბრამიძე.“ „ბიბლიოთეკის ფონდს, კერძოდ სანყის ეტაპზე, ცალკეული პირებისგან შემონირული ნიგნები წარმოადგენდა. ნიგნადი ფონდი ივსებოდა ადგილობრივი ხელისუფლებისგან ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი თანხების ხარჯზეც.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ახალ ომგადახდილი იყო, მხედველობაშია 1941-1945 წლების სამამულო ომი და ეკონომიკური პრობლემებიც ჭარბად იგრძნობოდა 1950-იანი წლების საწყისებიდან საბიბლიოთეკო (სამკითხველო) საკითხთა გაფართოება დღის წესრიგიდან არ მოხსნილა და ვანის რაიონის სოფლებში ეს პროცესი ფართოვდება კიდევაც. ამ დროისათვის მუშაობას შეუდგა შვიდი ახალი ბიბლიოთეკა: ჭყვიშში, ინაშაურში, დუცხუნში, გადიდში, დიხაშხოს, ფერეთასა და ბზვანში. 1950-იანი წლების დასაწყისში ვანში გაიხსნა სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკაც.

1952 წელს რაიონული ხელისუფლების გადაწყვეტილებით, როგორც მითითებულია – სოფლების კიროვის (დღეს სალომინაო), სულორის, ბზვანის, დიხაშხოსს სამკითხველოების (ბიბლიოთეკებს) მატერიალურ ბაზების რამდენადმე გაფართოების შემდეგ საბიბლიოთეკო საქმის შენარჩუნებით მათვე შეუთავსეს სოფლის კლუბების სტატუსიც. ბუნებრივია ეს დაწესებულებები სრულყოფილ ბაზებს ალბათ ვერ წარმოადგენენ კლუბების სპეციფიური ფუნქციონალური საქმიანობისათვის, იგულისხმება ესთეტიკური, გაშლილი საწრეო მრავალმხრივი საქმიანობა და შესაბამისი სპეციალისტებიც, მაგრამ ნაბიჯები იყო გადადგმული და მათ საფუძველზე რამდენადმე ჯერ XX საუკუნის 50-იანი წლებიდან, ხოლო უფრო ღრმად 60-იანი წლებიდან რაიონმა მიიღო ამ მიმართულების საქმიანობის გაშლისათვის თითქმის სრულყოფილი ბაზები. მათ გვერდით დაუდგათ რაიონში ახალი სასკოლო მშენებლობების საფუძველზე შექმნილი, სასკოლო და ორი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სააქტო დარბაზებიც, რომლებიც კარგად გამართული მრავალადგილიანი კლუბების ფუნქცია-დატვირთვასაც ასრულებდნენ, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.

... „შემეცნებითი საქმიანობის გაშლისა და რაიონის ისტორიის შესწავლისათვის“ ვანის რაიონს ხელმძღვანელობის 1950 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, აშენდა და ექსპლუატაციაში გაეშვა ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ორსართულიანი შენობა, რომლის ფონდებში შეგროვებული იყო 4000-ზე მეტი ესქპონატი, დაცული იყო უამრავი ეთნოგრაფიული მასალა, ჩანაწერები, აქტები, მიმონერები, მათ შორის მეფის რუსეთის დროინდელ ინსტანციებში გაგზავნილი მონაცემები და ა.შ. მის ბაზაზე იმართებოდა თეორიული კონფერენციები, შეხვედრები. სამუხაროდ ეს უნიკალური შენობა XXI საუკუნის პირველ ხუთწლეულში ემსხვერპლა მერკანტილურ ინტერესებს, დროში გამეფებულ სიტუაციებს და დაწესებულებას, რომელსაც კაპიტალური რეკონსტრუქცია ჩაუტარდა XX-საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო რესპუბლიკაში, დღეს საერთოდ აღარ არსებობს XXI საუკუნის საწყისიდან (დანგრეულია) ექსპონატები შელაგებულია კულტურის ცენტრის ერთ პატარა ოთახში. სპეციფიურ ფუნქციონირებაზე, ღონისძიებებზე საერთოდ ზედმეტია საუბარი, იგი იურიდიული ფორმითაც დღეს აღარც არსებობს.

როგორც ცნობილია 1963 წელს რაიონი როგორც იურიდიული ადმინისტრაციული ერთეული გაუქმებული იქნა. ეს იყო რამდენადმე მკვდარი პერიოდი რაიონისათვის რა დროიდანაც 1965 წლის ბოლომდე კულტურული სფეროს გაშლისათვის არათუ უზრუნვიათ, არამედ რის გატანაც კი შეუძლებოდა გაიტანეს მაიაკოვსკის (დღეს ბაღდათი) რაიონში, რომელსაც ვანი შეუერთეს.

1965 წლის ბოლოსათვის მას შემდეგ რაც აღდგენილი იქნა გაუქმებული რაიონი, კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელისადმი დამოკიდებულებები კვლავ იცვლება მნიშვნელოვანი ტენდენციებით. ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებებით ყოველ დასახლებულ პუნქტში, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა აჭარბებდა 300-დან 500-კაცს თანამიმდევრულად იხსნება ახალი სამკითხველოები (ბიბლიოთეკები), ხოლო 1977 წლიდან ვანში ჩამოყალიბდა ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემა, მოქმედებაში დარჩა ცენტრალური და საბავშვო ბიბლიოთეკაც. ამ დროისათვის რაიონს ემსახურებოდა 44-ასეთი დაწესებულება. (ცენტრალ-

ური ბიბლიოთეკა 25-სამტატო ერთეულით, საბავშვო 3 სამტატო ერთეულით, საერთო წიგნადი ფონდი 200-ათას ცალამდე, ხოლო 1980-იან წლებში რაიონში უკვე ფუნქციონირებდა 50-ზე მეტი სასოფლო ბიბლიოთეკა, მუშაობაში ჩართული იყო ერთი ავტობიბლიოთეკა, რომელიც საქმიანობას შლიდა სასოფლო ბიბლიოთეკებიდან დაშორებულ უბნებში წიგნების ადგილზე მიტანით.

რაიონში ყველა ფუნქციონირებად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შენახვაზე, დასაქმებული კადრების სახელფასო მომსახურების თანხები შეუფერხებლად გაიცემოდა ვანის რაიონულ ბიუჯეტიდან.

ჩვენს მიზანს შორდება ცალკეულ ბიბლიოთეკათა მიერ შესრულებულ სამუშაოთა დეტალიზება, მაგრამ უნდა ითქვას, უმცირესი გამოხაკლისით ეს დაწესებულებები თავს ართმევდნენ დაკისრებულ მოვალეობას, ჰქონდათ შესაბამისი დახმარებაც და კონტროლიც. ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის დაკომპლექტება მიმდინარეობდა ცენტრალიზებული წესით თბილისის საბიბლიოთეკო კორექტორიდანაც, მატერიალური ბაზის სრულყოფას კონკრეტული გადაწყვეტილებათა საფუძველზე ახდენდა რაიონული ბიუჯეტი. ამ გზით ვანის ცენტრალურ ბიბლიოთეკას შეეცვალა ბაზა და კაპიტალური რეკონსტრუქციის შემდეგ გადაეცა ცალკე კეთილმონყობილი ბინა – 9 მოცულობითი ოთახით, ერთი საკმაოდ დიდი და კეთილმონყობილი, სამკითხველო დარბაზით, საერთო ფართობით დაახლოებით 300 კვ. მეტრამდე. მასვე დაკისრებული ჰქონდა მეთოდური დახმარების განევა ქსელში შემავალი ყველა ბიბლიოთეკისათვის ამ მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებთან ერთად, რომელიც ყოველი თვის 24-25 რიცხვებში იმართებოდა. აქ ჩატარებულ სასემინარო მუშაობებს, დაგეგმილ შეხვედრებს ქვეყნის გამორჩეულ ადამიანებთან, მწერლებთან, პოეტებთან, ისტორიკოსებთან და ა.შ. ჰქონდა სათანადო გამოძახილი და მნიშვნელობაც.

1990-იანი წლების დასაწყისიდან, სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის ცვლასთან ერთად, რომელსაც ღრმა, ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისი დაერთო, საჭიროდ ჩათვალეს სისტემის სრული რეორგანიზაცია ე.წ. „ოპტიმიზაციის“ პროექტით. ცხადი იყო, რომ არც ადგილობრივ და არც სახელმწიფო ბიუჯეტს აღარ შეეძლო ქსელში დასაქმებულ ადამიანთა და მოქმედი ობიექტების შენახვა, „რის შედეგადაც 10-12 წლის განმავლობაში რაიონის სოფლებში უამრავი ბიბლიოთეკა გაუქმდა.“ „ოპტიმიზაცია“ გაგებული იქნა, როგორც გაუქმება და არა მოდერნიზება, სასურველი დროსთან მისადაგება და სასარგებლო ფაქტორების შენარჩუნება. ამის გამოც მაღალმთიან სოფელში, სულორში, ძულუხში, სალომინაოში, უხუთში, ფერეთაში, ონჯოხეთში, გადიდში, დუცხუნში, ყუმურში, საპრასია-რომანეთში და ა.შ. აღნიშნულმა დაწესებულებებმა შეწყვიტეს მუშაობა, პარტიის რაიონული კომიტეტის გაუქმებას მოჰყვა მისი უმდიდრესი ბიბლიოთეკის განადგურებაც (ზამთრის პირობებსი დაწვეს) 12000 წიგნადი ფონდით. ეგონათ, რომ აქ იყო მხოლოდ მარქსისტული ლიტერატურა, რომელიც დაახლოებით 500-დან 700 ეგზემპლიარამდე იყო, დანარჩენი წარმოადგენდა მნიშვნელოვან მხატვრულ-პოლიტიკურ-მემუარულ არამარქსისტულ ლიტერატურას, დაცული იყო ქართველ კლასიკოსთა შრომები, მათი გამოცემების ყველა ტომეული და უიშვიათესი დოკუმენტური ხასიათის გამოცემები. რაიონში გაუქმებულ ბიბლიოთეკათა ბაზაზე შეიქმნა ორი ზონალური სასოფლო ბიბლიოთეკა, რომლებშიც გადაანაწილეს გაუქმებული ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი. არადა, თუ იქნებოდა ობიექტური და არა მარტო სუფთად ეკონომიური მიდგომა, ამ სფეროში აუცილებლობას ითხოვდა კულტურის კერების შენარჩუნება, ხოლო როგორი იქნება სიტუაცია მკითხველთა მომსახურების თვალსაზრისით თითქმის ათეულ კილომეტრებით დაშორებული სოფლების მცხოვრებთათვის, ეს თავისთავად ნათელია. დღევანდელი კომპიუტერული მომსახურების პირობებში, აქცენტების გადატანა მარტო ამ ფენომენზე, რომლებიც მიზეზთა გამო, ოჯახთა უმრავლესობისათვის ჯერ კიდევ მიუწვდომელია ჩვენი აზრით მცდარია. წიგნი არასდროს არ კარგავს თავის ფუნქციას.

... „ამჟამად, რაიონის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურეობას უზრუნველყოფს ერთი მთავარი, ცენტრალური (ქალაქ ვანში მდებარე) და ორი სასოფლო – შუამთის და ზეინდრის ბიბლიოთეკები. ცხადია შედარებით მიზეზურულია დახმარებებიც



2012 წელს, ბოლო ათწლეულების მონაკვეთში ცენტრალურ ბიბლიოთეკას კულტურის სამინისტროსაგან მიუღია – 180 ცალი წიგნი და ორი კომპიუტერი, 2014-2015 წლებში პრეზიდენტის ფონდიდან 500, კულტურის სამინისტროსაგან 700-ლარიანი ვაუჩერები. რამდენადმე გამორიცხულია ბიუჯეტის დახმარებები ბაზის მატერიალურ-ტექნიკური სრულყოფისათვის. თუმცა, ჯეროვნად უნდა შეფასდეს უკანასკნელ წლებში დაფინანსებული პროექტი, „რის საფუძველზე (გამსხვილებულმა ბიბლიოთეკებმა ქალაქში, შუამთასა და ზეინდარში) მიიღეს კომპიუტერული ტექნიკა, რომლის მიზანია ბიბლიოთეკები (რაც გადაურჩა გაუქმებას) იქცეს ინფორმაციის მიღებისა და კომპიუტერული ცოდნის გაღრმავების ცენტრად.“

რაც შეეხება რაიონის სოფლებში სასოფლო კლუბების მშენებლობის საკითხს, მასალებიდან ჩანს, რომ ამდგვარ დაწესებულებათა მშენებლობა კარგად იყო გაცნობიერებული თავისი საბოლოო შედეგებით, როგორც რაიონის ახალგაზრდობის ესთეტიკური, მხატვრული აღზრდის, თავისუფალი დროის მიზნობრივი გამოყენების შემოქმედებითი დაწყებითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისადმი ხელშემწყობი ორგანიზაციების, ეროვნული ცნობიერების სრულყოფის ხელშემწყობ დაწესებულებათა ფუნქციონირება. რათქმაუნდა ასეთი დაწესებულებების საქმიანობისაგან არავინ ელოდებოდა უმაღლესი კატეგორიის ხელოვანთა მომზადების პრიმატის შექმნას, მაგრამ ინტერესის გაღვივებისა და სანყის უნარჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებას იგი ნამდვილა ახდენდა, ამ მხრივ გზის გაკაფვას ელოდებოდნენ და სათანადო ხელშემწყობის შემდეგ ითხოვდნენ, საქმიანობაც ამ ქრილში წარემართათ.

უამრავი მასალებია დაცული რაიონულ პრესაში „ჯერ „კოლმეურნის მნათობში“, შემდეგ რაიონულ გაზეთ „განთიადსა“ და უფრო მოგვიანებით „საჩინოში“, ამ დაწესებულებათა გამართული საქმიანობისა და ღონისძიებების შესახებ, დაწყებული მოყვარულთა დრამატული, ქორეოგრაფიული რიგ სხვა მოქმედი წრეების ფუნქციონირებისა და რაიონული ღონისძიებების, (დათვალიერებების) ქვეყნის გამორჩეულ ადამიანებთან, ქვეყნის სასიქაღლო მწერლებთან, ცალკეულ თეატრალურ კოლექტივებთან, მსახიობებთან და ა.შ. შეხვედრების შესახებ. ასეთი ღონისძიებები უკვალოდ არ ქრებიან და საჭიროა ნებისმიერ დროსა და სისტემაში, ამ სტატიის ავტორებს უამრავი მაგალითის მოყვანა ხელეწიფებათ, ასეთი ღონისძიებებისა, რომელშიდაც ჩანს არა მარტო რაიონული ხელმძღვანელი რგოლის ძალისხმევა, არამედ საქართველოს ხელისუფალთა ჩართულობაც.

ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, მიუხედავად, იმისა, II მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო (ქვეყნის მოსახლეობისათვის დიდი სამამულო ომი) და აქედან გამომწვეული უზარმაზარ ნგრევის შედეგებისა, რაიონის სივრცეში გაკვირვებას იწვევს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა, მათ შორის კლუბების, კულტურის სახლების მუზეუმის მშენებლობის ტემპი და გამიზნულობა.

რაიონის ადმინისტრაციული ერთეულის შექმნასთან ერთად სპეციალური გადაწყვეტილების საფუძველზე 1930 წელსვე ექსპლუატაციაში გაეშვა კარგად მოწყობილი სარაიონო კულტურის სახლი 450 კაცის ტევადობით, სარეპეტიციო ოთახებით, დაკომპლექტებული შესაბამისი კადრებით, რომელმაც გზადაგზა განსაკუთრებულად 1965 წლის შემდეგ განიცადა მოდერნიზება და ღირსეულად ემსახურა არამარტო ვანის რაიონს, არამედ მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ადამიანებსაც. იგი წარმოადგენდა რაიონში არსებულ კულტურის დაწესებულებათა საქმიანობის მეთოდურ ცენტრს, თავისი შემოქმედებითი საქმიანობით ცნობადი დაწესებულება იყო, ქვეყნის მასშტაბით ამ კულტურის ცენტრთან არსებული ჯერ ქალთა და კაცთა, (შერეული) შემდეგში ვაჟ მომღერალთა გუნდი (კაპელა), ქორეოგრაფიული ანსამბლი, საესტრადო ანსამბლი „საჩინო“, თეატრალური დასი და ა.შ. რესპუბლიკის მხატვრული შემოქმედებითი დათვალიერებების არაერთგზის ლაურეატები გახდნენ. დააკვალიანეს და აღზარდეს არაერთი გამოჩენილი პიროვნება, რომელმაც შემდგომში ემსახურნენ ქართულ ხელოვნებას.

როგორც მივუთითეთ, 1951 წელს გაიხსნა ვანის მხარედმცოდნეობის მუზეუმი ორსართულიანი, ფართოტევადი შენობა, რომლის პირველი სართული ეჭირა ცენტრალურ ბიბლიოთეკას, II სართულზე განლაგებული იყო მოპოვებული სამუზეუმო ექსპონატები. პირ-

ადაპირაა მითითებული დადგენილებაში, რომელიც მუზეუმის მშენებლობას ითვალისწინებდა: „სამეცნიერო, კვლევითი და კულტურული დაწესებულება, რომელიც სამუზეუმო მასალების მოძიება, შეგროვებასა და შესწავლა-გაანალიზებების გზით, მოსახლეობის ფართო მასებში გაავრცელებს ცოდნას რაიონისა და მხარის შესახებ.“ ამით გაცხადებულია მისი სამოქმედო პროგრამაც. ამავე მუზეუმებთან ჩამოყალიბდა „სამხარეთმცოდნეო საბჭოც“ მუზეუმი და-კომპლექტებული იყო შესაბამისი კადრებით და როგორც მასალები ცხადყოფენ რუდუნებით იყო შეგროვებული და დაცული 4000-ზე მეტი ექსპონატი, მათ შორის ბევრი უნიკალური. შემდეგში XXI - საუკუნის საწყის წლებში, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, მუზეუმი, აქვე განთავსებული სახვითი ხელოვნების მუზეუმის მასალებთან ერთად დაცალეს, მასალები განთავსეს ვანის სარაიონო კულტურის ცენტრის ერთ ოთახში და საგანგებოდ გამოიწვიეს მისი პრივატიზება, ხოლო შემდეგ დაანგრეს.

- 1932 წელს სოფელ ტობანიერში აგებული იქნა სოფლის კლუბის (შემდეგში კაპიტალური მოდერნიზაციის შემდეგ კულტურის სახლი) კაპიტალური შენობა, რომელშიც ამოქმედდა დარამატული წრეც დაკომპლექტებული ადგილობრივი ახალგაზრდა სცენის მოყვარულებით.

- 1950 წელს აგებული იქნა შუამთის კულტურის მშვენიერი სახლი, რომელიც ემსახურებოდა შუამთის ზონის სოფლებს, ზონაში განლაგებულ კულტურულ დაწესებულებათა ორგანიზაციებს, უწევდა მეთოდურ დახმარებას, ამის გამოც და მხატვრული შემოქმედების პოტენციალით, საქმიანობის დიაპაზონით ცნობილი იყო არა მარტო სოფლისა და რაიონის ფარგლებში, არამედ მის გარეთაც. დაკომპლექტებული იყო შესაბამისი მონაცემების შტატებით ჯეროვნად მოწყობილი და უზრუნველყოფილი სამუშაო-სარეპეტიციო პირობებით.

- მაშინდელი ვანის რაიონის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების საფუძველზე 1951 წელს დაუწყიათ ყუმურის კლუბის ორსართულიანი შენობის მშენებლობა, მეორე სართულზე განთავსებით სოფლის ადმინისტრაციული აპარატი და კოლმეურნეობის გამგეობა, პირველი სართული მთლიანად დაეთმო 200-250 კაცამდე ტევადობის კლუბს, აქვე იყო განთავსებული ბიბლიოთეკაც.

- 1953 წელს ფერეთაში დაპროექტდა კოლმეურნეობის გამგეობის სახლი, რომლის მეორე სართულის ყველაზე დიდი დარბაზი გამოყენებული იქნა კლუბისათვის.

- ამავე პერიოდში საფუძველჩაყრილია ციხესულორის სასოფლო კლუბის მშენებლობაც და ა.შ. ამდგვარ მშენებლობათა ინდივიდუალური ჩამოთვლა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, მთავარია ის, რომ ამ დროისათვის პროცესი მოქცეულია ყურადღებისა და კონტროლის ქვეშ, **მშენებლობათა ტემპი პროგრესირებადია, საქმიანობა ემყარება ადგილობრივ ფინანსურ უზრუნველყოფას. ამდენად, რაიონში 1968 წლისათვის მოქმედებაში იყო ორი კულტურის სახლი და 28-სხვადასხვა სახის კულტდარსებულება, 1968 წლისათვის 44-ბიბლიოთეკა, ორი კულტურის სახლი და კლუბი რაიონის სოფელთა უმრავლესობაში, რომ რაიონის ბიუჯეტის 66,6-პროცენტი ყოველწლიურად უმნიშვნელო ამპლიტუდით მიემართებოდა სოციალურ-კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად, თუმცა ფაქტია, სოციალურ ღონისძიებებში კლუბების, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების (სამკითხველობის) გარდა სხვადასხვა მიმართულებაც მოიაზრება, მაგრამ თუ ჩავთვლით იმას, რომ ჯანმრთელობის დაცვაზე რაიონის ბიუჯეტიდან ცალკე მიემართებოდა 18,8-პროცენტი და ეს ციფრი არ შედიოდა ნახსენებ 66-პროცენტში, ნათლად ჩანს ის, რომ კულტურის სფეროზე იმ პერიოდისათვის საკმაოდ სოლიდური თანხებია გამოყოფილი ზემოდნახსენებ 66,6-პროცენტიდან.**

კულტურის დაწესებულებათა შედარებით გაშლილი ფრონტით მშენებლობამ ახალი სახე შეიძინა 1980-იანი წლებიდან და იგი ძირითადად უკავშირდება რაიონის ეკონომიკური პოტენციალის კიდევ უფრო ზრდასა და სრულყოფას, ამასთან სამრეწველო და აგრარული პოტენციალის პერმანენტულად მზარდ სტაბილურ დონეს, რა დროშიც ამ ორგანიზაციათა ნაწილმა იკისრა საშეფო დახმარების განევა, არამარტო მშენებლობის საკითხებზე, არამედ თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების ფინანსურ ხელშეწყობაზე. ამ დროისათვის განსაკუთრებული პროგრესი გამოიკვეთა საგანმანათლებლო ობიექტების მატერიალური ბაზის თითქმის სრულ

განახლებაში რა დროსაც 1982-1990 წლებში რაიონში აგებული იქნა 32 ახალი სკოლა და ბაღი, ამ მშენებლობებს უწყვეტად გაჰყვა კულტურის ობიექტების მშენებლობა-მოდერნიზაციის პროცესი და იგი არც შეწყვეტილა 1990 წლის ბოლომდე. 1984 წელს აგებული იქნა ახალი სამ-ვარსკვლავიანი სასტუმრო-კომპლექსი „არგო“ თავისი კლუბით, ამ დროიდანვე ვანის რაიონი ჩაისვა საკავშირო ტურისტულ მარშრუტში, ხოლო 1990 წელს ჩატარებული რეკონსტრუქციის შემდეგ რომელიც იმ ფულის კურსით მილიონ ორასი ათასი მანეთი დაჯდა, რაიონმა მიიღო ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო ყველა აუცილებელი პირობით, აქ არსებულ კლუბს მიეცა ახალი დატვირთვა ჭადრაკში რესპუბლიკური ოლიმპიადების ჩატარებიდან, პრესკონფერენციებით უცხოელებთან შეხვედრებით და ა.შ. დამთავრებული.

რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო ქმედითი პოტენციალი საგრძნობლად გაიზარდა მას შემდეგ (ზოგადად ზემოთაც ითქვას), რაც ექსპლუატაციაში იქნა შეყვანილი ახალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალური ბაზები და განსაკუთრებულად ვანის №68 სახელოვნებო და სამშენებლო პროფტექსანავლებელი, ასევე ვანის №118 სასწავლებლის ბაზები თავისი სააქტო დარბაზებით, რომლებიც პრაქტიკულად კლუბების ფუნქციასაც ითავსებდნენ თითოეული მათგანი 200-250 კაცზე იყო გათვლილი და ფართოდ იქნა გაშლილი ხსენებული სასწავლებლით მხატვრულ თვითშემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობა.

გამომდინარე ზემომითითებული ღონისძიებებიდან:

**1980-იანი წლების ბოლოსათვის რაიონის კულტურის სფეროს სამსახურში იყო 6 კულტურის სახლი, მათ შორის 5 გაიხსნა 1980-1990-იან წლებში, კლუბი თითქმის ყველა სოფელში, კინოდარბაზი, ახლადაგებული, იმ დროისათვის კარგად მოწყობილი ქორეოგრაფიული სტუდია, სამი მუსიკალური სასწავლებელი, რომელთაგან პირველი აგებული იქნა 1960 წელს, ამ სასწავლებლის მიერ განეულ საქმიანობაზე ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სასწავლებლის კოლექტივმა შესძლო არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდის გამოვლინება, დაკვალიანება, აღსანიშნავია მათი კონტაქტები ამ დროისათვის მოსკოვის, ლენინგრადის (პეტერბურგის) მუსიკალურ სასწავლებლებთან და ა.შ. ორი მუსიკალური სასწავლებელი 1983-1986 წლებში გაიხსნა. საკმაოდ სოლიდური თანხები იქნა გაღებული ქსელის სრულყოფისათვის და რაიონის კულტურის სფეროს ემსახურებოდა 92 მოქმედი ობიექტი.**

სოფელ ზეინდარში აქ არსებული საბჭოთა მეურნეობის ხარჯებით აშენდა დიდი ადმინისტრაციული შენობა, რომლის პირველი სართული დამხმარე სათავსოებით მთლიანად დაეთმო ადგილობრივი კულტურის კერას და ამ ნიადაგზე აქვე ექსპლოატაციაში გაეშვა სოფლის კულტურის სახლი, აღჭურვილი და კეთილმოწყობილი თითქმის ყველა განზომილების მიხედვით (დღეს გაძარცვულია პირნმინდად). შენობა ძირითადად ამორტიზირებულია. ამ ცენტრს დაეკისრა ზონაში განლაგებული საკლუბო დაწესებულებების კოორდინატორის ფუნქცია.

სოფელ უხუთში, სალომინაოში, ციხესულორში, ზედა ვანში, სალხინოში აგებული იქნა ახალი კლუბ-კანტორები,<sup>1</sup> სულორში კურორტზე დამსვენებელთათვის კლუბი, სოფელ სულორის ცენტრში ახალი კულტურის სახლი, აქვე არსებულ მოქმედ კურორტზე დაპროექტდა და დაიწყო მრავალპროფილიანი მშენებლობა, რომელშიც დამატებით გათვალისწინებული იყო კლუბი 300 კაცზე, ასევე ბიბლიოთეკა და ა. შ. (ეს მშენებლობა ძირითადად დასრულდა 1990 წელს, შემდეგ მასზე დამამთავრებელი სამუშაოები არ განხორციელებულა), უნიკალური კლუბი ემსახურებოდა კურორტ ამალელებასაც, სოფელ მთისძირში მშენებლობაში იყო საკმაოდ სპეციფიური (თავისი ნაგებობის მიხედვით) კლუბი 200 კაცზე.

1990 წელს პრაქტიკულად დასრულდა შუამთის ახალი კულტურის სახლის მშენებლობა, რომელიც თავის ზომებითა და სამშენებლო პარამეტრებით არაფრით ჩამოუვარდებოდა ქალაქ ვანის კულტურის ცენტრს.

როგორც ითქვა ქალაქ ვანში ექსპლოატაციაში შევიდა სრული ფორმით აღჭურვილი ქორეოგრაფიული სტუდია, გაიხსნა სამხატვრო გალერეა.

იმის გამო, რომ გაიზარდა ქალაქის კულტურის სახლის დატვირთვა, სისტემატური ხასიათი

<sup>1</sup> შენდებოდა სპეციალური სტანდარტული პროექტით, მეორე სართული განკუთვნილი იყო საკოლმეურნეო ადმინისტრაციისათვის, პირველი სოფლის კლუბისათვის. (რედ)

მიიღო მასშტაბური ადგილობრივი, სარაიონო ღონისძიებების ჩატარებამ, ქვეყნის სხვადასხვა თეატრალური და მხატვრული ნამყვანი კოლექტივების გასტროლებმა, გადაწყდა ცენტრში აგებულიყო ახალი კულტურის სასახლე, გაცილებით ტევადი დარბაზით, მოძრავი სცენით, სინქრონიული თარგმანის საშუალებებით, ქორეოგრაფიული დარბაზით, ადმინისტრაციისათვის კაბინეტებით, ცალკე სარეპეტიციო ოთახებით და ა.შ. ეს მშენებლობა მთლიანად ფინანსდებოდა რაიონის ბიუჯეტიდან, დამთავრდა 1990 წელს, შემოიზიდა ინვენტარი და სცენის მონყობილობა-ჩაცმულობა. საუბედუროდ, დროში გამეფებულმა გულარხეინობამ და უსინდისობამაც აქაც თავისი დალი დასვა. დამამთავრებელი სამუშაოები განახლდა XXI საუკუნის პირველ წლებში, მაგრამ სრულყოფა გათვალისწინებული საპროექტო მონაცემებით ვეღარ განხორციელდა, მხოლოდ 2014 წელს მოხერხდა მისი საფუძვლიანი შიდა სამუშაოების ჩატარება და მიიღო ის სახე, რაც აუცილებელი იყო თანამედროვე მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის.

ძირეული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ქალაქის კინოდარბაზს, იგი აღიჭურვა სტანდარტულ მოთხოვნათა დონეზე. სამწუხაროდ, ეს შენობა დაუდევრობას ემსხვერპლა. ხოლო მისი განახლება მიუხედავად იმისა, გადადგმული იქნა ნაბიჯები სრულად ახალი კინოდარბაზის ასაგებად, შემოზიდული იქნა საჭირო სამშენებლო მასალებიც და გამოყოფილი იყო დაფინანსებაც. მშენებლობის დაწყება XX საუკუნის 90-იანი წლების გარიჟრაჟზე ახალ ხელისუფლებას არ უცდია.

მნიშვნელოვანი შენაძენი იყო რაიონისათვის რესპუბლიკის მედიცინის მუშაკთა კულტურის ცენტრის აგება და 1982 წლის ივნისში ექსპლოატაციაში გაშვება. მედიცინის მუშაკთა კულტურის ცენტრმა რაიონსაც და რესპუბლიკასაც შესთავაზა ფართო ფორმატიანი საქმიანობა და შეიძლება ითქვას იგი რაიონში იქცა მეორე კულტურის განყოფილებად, თავისი შემოქმედებითი საქმიანობით მოიზიდა რა ახალგაზრდობა, მოიცვა მთელი რაიონი. 1983 წლის 7 ოქტომბერს რესპუბლიკაში პირველად აქ დაწესდა და ჩატარდა „ახალგაზრდა დედის დღე“ რესპუბლიკის სამედიცინო ინტელიგენციის, მეცნიერთა, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის მუშაკთა თანამონაწილეობით აქვე გაიხსნა ახალგაზრდა დედების საკონსულტაციო ცენტრი, ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებდა თოჯინების თეატრი პროფესიონალი რეჟისორის მ. ფურცხვანიძის ხელმძღვანელობით, მაქსიმალური გაქანება მიიღო სანრეო საქმიანობამ. ამ სასახლის სცენაზე ჩატარებულა ათობით რესპუბლიკური დონის ღონისძიება.

რაიონის მხატვრული შემოქმედებითი ძალების გეგმაზომიერი განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი იყო რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს მიერ 1979 წელს სარაიონო მომღერალთა გუნდისათვის „სახალხო გუნდის“ წოდების მინიჭება. ეს გუნდი 1979 წელს ხდება ლაურეატი (შემდეგში არაერთგზის). გუნდმა გასტროლებით მოიარა რუსეთის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი. რაიონის ეთნოგრაფიული ჯგუფი (რადმენადმე გაძლიერებული დიდი გუნდიდან) კონკურსის მოგების შემდეგ მიწვეული იყო და 1988 წელს სტუმრობდა საფრანგეთს, იტალიასა და შვეიცარიას, 1990 წელს კვლავ ბალტიისპირეთს. რაიონში ფუნქციონირებდა ძლიერი ქორეოგრაფიული ანსამბლი. რესპუბლიკაში ცნობილი იყო სარაიონო კულტსახლთან მოქმედი საესტრადო ანსამბლი „საჩინო“, შესანიშნავი შემსრულებლებით, დახვეწილი რეპერტუარით. ამავე პერიოდში კულტურის ცენტრთან დრამატულ დასს მიენიჭა სახალხო თეატრის წოდება.

ღირს შეჩერება რაიონის მოსწავლეთა სახლის საქმიანობის ზოგიერთ დეტალზეც. ამ სახლს კლასგარეშე მუშაობის კონკრეტული დატვირთვაც ჰქონდა და 80-იან წლებში მასზე ყურადღების გადატანითა და დაფინანსების გაზრდით საქმიანობაც ძირეულად შეიცვალა, ხოლო 1990 წელს ამ ორგანიზაციას გადაეცა უნიკალური შენობა (ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო დასავლეთ საქართველოში, დღეს აქ ეპარქიაა) და საქმიანობის ფორმატიც კიდევ უფრო შეიცვალა, რადგან პიონერთა სახლი გადაკეთდა რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლად, მაგრამ სხვასთან ერთად ფაქტი ისაა, რომ აქ ნამდვილად ხდებოდა რაიონის სოფლებში მცხოვრებ ნიჭიერ ბავშვთა სელექცია და ჩაბმა მოქმედ მხატვრულ და შემოქმედებით ნრეებში. საილუსტრაციოდ აქ მომღერალ ბავშვთა ანსამბლიც გამოდგება, რომლის რეპერტუარი მხოლოდ ქართულ-ხალხურ ფოლკლორზე იყო აგებული და რესპუბლიკის არაერთგზის ლაუ-

რეატი გახდა. ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელიც 1988 წლის ივლისში სპეციალურად იქნა მიწვეული ქალაქ მოსკოვში ერთ-ერთ დიდ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. ეს იყო პროვინციული (გნებავეთ რაიონული) შემოქმედებითი კოლექტივისადმი უდიდესი პატივიც და აღიარებაც, რაც ხაზს უსვამს ამ ახალგაზრდა შემოქმედთა მაღალ პროფესიონალიზმს.

რაც შეეხება მუზეუმებს: ჩვენ ვისაუბრეთ ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შესახებ და აღვნიშნეთ, რომ მისი ფუნქცია დაარსებისთანავე განისაზღვრა – „სამეცნიერო შემოქმედებითი საქმიანობა“, რაიონისათვის მოვლენად იქცა 1973 წლის ნოემბერში სოფელ ჭყვიშში, დიდი გალაკტიონ ტაბიძის მუზეუმის, როგორც კულტურულ-აღმზრდელობითი კერის გახსნა. მუზეუმი აგებული იქნა ქუთაისელი არქიტექტორის ბატონ გივი თოდაძის პროექტით, რომელიც უსასყიდლოდ გადასცა რაიონს, მშენებლობა ძირითადად განახორციელა ვანის რაიონმა, ექსპონატები მუზეუმს გადმოსცა მწერალთა კავშირმა ქართული ლიტერატურის მუზეუმმა. მუზეუმი აგებულია თითქმის სამუზეუმო ყველა სტანდარტის მიხედვით, საგამოფენო, კინოსალექციო დარბაზებით, ბიბლიოთეკით, სამუშაო კაბინეტებით, საჭირო კომუნიკაციების განლაგებით, მუზეუმი ერთ-ერთი წარმოჩინებული იყო ქვეყნის მასშტაბით. აქ ვხმარობთ სიტყვა „იყო“, დღეს მის სრულყოფას საკმაო ძალისხმევა სჭირდება, ბოლო რამდენიმე ათელი წელია ვერ მოხერხდა ექსპოზიციის განახლებაც, არ ვლაპარაკობთ სხვა მიმართულებებზე, გასვლით ღონისძიებებზე და ა.შ. თუ გნებავთ საფინანსო უზრუნველყოფაზე, რომელიც საქმიანობის ღირსი იყო მაშინაც და ასეა დღესაც. ამ შეფერხებაში მინიმალურია მუზეუმის მუშაკთა წილი.

1985 წელს ტიცვიან ტაბიძის 90 წლისთავთან დაკავშირებით გაიხსნა ტიცვიან ტაბიძის სახლ-მუზეუმი, მისთვის რაიონული ბიუჯეტიდან აგებული იქნა ახალი შენობა განცალკავებულად გალაკტიონ ტაბიძის მუზეუმისაგან. შეგროვდა ექსპონატები, გარკვეული მიმართულება მიეცა მუზეუმის საქმიანობას.

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით რაიონის სახსრებით 1979 წელს აგებული იქნა სახლ-მუზეუმი სოფელ ტობანიერში კოლორიტულ ადგილსა და მხარეში, დაკომპლექტდა შესაბამისი კადრებით.

ახალგაზრდობის ეროვნულ აღმზრდელობით პროცესებში მაქსიმალურად ყურადღება იქნა გადატანილი რაიონში და მის გარეთ არსებულ ღირსშესანიშნაობათა, მუზეუმების ჩართვაზე. რაიონში ეს პროცესი რამდენადმე კონტროლდებოდა, უზარმაზარ სტიმულს იძლეოდა ვანის არქეოლოგიური გათხრები და შემდეგში აქ აგებული უნიკალური მუზეუმი.

1985 წელი რაიონის ისტორიაში მნიშვნელოვანია იმითაც, რომ გაიხსნა არქეოლოგიური მუზეუმი ბრწყინვალე საგამოფენო და სამუშაო-სარესტავრაციო დარბაზებით. პრაქტიკულად ანალოგი იმისა, რომ ასეთი უზარმაზარი მოცულობის უნიკალური შინაარსობრივი დატვირთვის მუზეუმი ერთი ქვეყნის, მხოლოდ ერთი რაიონის და ერთი არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვრებით იყოს დაკომპლექტებული არ არსებობს. ის არის მნიშვნელოვანი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულება უზარმაზარი დატვირთვით და ემსახურება ქართველთა ეროვნული სიამაყის აღზრდასა და ჩამოყალიბებას. იგი უდიდესი საგანმანათლებლო კერაა რაიონსა და ქვეყანაში და აქედან არავითარი მნიშვნელობა არააქვს იმას, რომ არ განეკუთვნება სასწავლო სისტემას, ეს ნიუანსი მის მოქმედებაში არაფერს არ ცვლის. გათხრებზე აღმოჩენილი ექსპონატები და მათი მეცნიერული ანალიზი არის ახალი სიტყვა საქართველოს ისტორიისა და კულტურის სფეროში. იგი ცვლის, ავსებს და აკონკრეტებს საქართველოს ისტორიის მანამდე უცნობ პერიოდებს.

1985 წლის სექტემბერში ვანის ახლადგაზსნილი არქეოლოგიური მუზეუმის ბაზაზე ჩატარდა მსოფლიო არქეოლოგთა სიმპოზიუმი, რომელსაც შემდეგში რეგულარული სახე მიეცა და ვანმა ასეთ მაღალ სამეცნიერო ფორუმს უმასპინძლა 1985, 1987, 1990, 1994, 1997, 1999, 2002-2005 წლებში, შეეცვალა სტატუსი და საკავშირო სიმპოზიუმის მაგივრად მსოფლიო არქეოლოგთა სიმპოზიუმი ეწოდა, გამოცემულია არაერთი ნაშრომი, სამეცნიერო მიმოხილვა და ანგარიში, ძირითადად საზღვარგარეთულ ბეჭდვით საშუალებებში. სხვათაშორის ამ დიდებულ საგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრს დამთვალეიერებლები არ აკლდა არც ქართველებიდან, არც საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. 2005 წლის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკურ-სოციალურ გარემოებათა გამო სიმპოზიუმი არ ჩატარებულა.

ეს სამეცნიერო ცენტრი XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში გახდა პოლიტიკური ბატალიების მსხვერპლი, ნაცვლად იმისა, რომ აქ დაიგეგმა ახალი, უფრო თანამედროვე მუზეუმის აგება, ძველი დაანგრიეს, ახლის მშენებლობა ჯერ კიდევ დაუმთავრებელია, არც არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს.

ცოტა უფრო ადრე ვანის არქეოლოგიური გათხრების ისტორიულმა მნიშვნელობამ ამ მიმართულებით საქართველოს არქეოლოგიის კვლევის ცენტრის, ვანის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ბატონ ოთარ ლორთქიფანიძის ნაშრომებმა ძველი კოლხეთის ისტორიის მომხიბვლელობამ და მისმა კავშირით-ერთობებმა ხმელთაშუა ზღვის აუზის მაშინდელ ცივილიზებულ ქვეყნებთან განაპირობა ინგლისელი (შოტლანდიელი) მეცნიერისა და მოგზაურის ტიმ სევერინის ცნობილი ექსპედიციის განხორციელება ვანში, 1984 წლის ივლისში. ცნობილია, რომ ტიმ სევერინი სწავლობდა ძველ ევროპელ მოგზაურთა მარშრუტებს ანალოგიური ძველი სანაოსნო საშუალებებით, შეიძლება თუ არა მაშინდელი „ტექნიკის“ პირობებში ამის განხორციელება, ამისათვის მან აირჩია „არგონავტთა“ გზაც და შეეცადა გაეცოცხლებინა 33 საუკუნის წინანდელი ექსპედიცია, რაც წარმატებით შესრულდა.

ტიმ სევერინის მოგზაურობის ბოლო აკორდი დაგეგმილი იყო ვანში, რადაგან მას სურდა უშუალოდ შეხვედროდა ოთარ ლორთქიფანიძეს (წინასწარ შეთანხმებაც იყო ამაზე), მიეღო მისგან ამომწურავი პასუხები ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხებზე, დაეთვალაიერებინა გათხრები, მოპოვებული ექპონატები, პარტიკულად ეხილა მდინარიდან ოქროს მოპოვების წესი (სვანეთში ანახეს ასეთი რამ) შეეჯამებინა მოგზაურობის შედეგები და გაეკეთებინა დასკვნა ძველი ბერძნების მითიური მოგზაურობის რეალობასთან დაახლოების შესახებ. დასკვნა კი ასეთი იყო: 33 საუკუნის წინ მსგავსი ექპედიციის განხორციელება რეალურად იყო შესაძლებელი.

ტიმ სევერინის ექპედიციის განხორციელების კავალობაზე დაიბადა იდეა ვანში აგებულიყო და მოქმედებაში ჩართულიყო არგონავტიკის მუზეუმი, განისაზღვრა მისი დანიშნულება დ მოქმედების ფუნქციაც. მუზეუმი აგებული იქნა სოფელ ჭყვიშში გალაკტიონის საცხოვრისთან, იქ სადაც ლუზა ჩაუშვა „არგომ“, ტიმ სევერინის ექსპედიციის ხომალდმა, რომლის ზუსტი ასლი ყველა პარამეტრის მიხედვით სპეციალური დაკვეთით აგებული იქნა ბათუმიდან მონვეული, ბერძენი სპეციალისტის მიერ. მუზეუმის აგების ყველა ხარჯი დაფარა რაიონულმა ბიუჯეტმა ხომალდი განთავსდა მუზეუმში. არგონავტიკის საკითხებზე კი შესაბამისი მასალები დამუშავდა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძისა და მისი ჯგუფის მეცნიერთა მიერ და რაიონმა (საერთოდ საზოგადოებამ) მიიღო კიდევ ერთი სამეცნიერო დანესებულება, რომელიც დაუდევრობის შედეგად დაიწვა.

ამდენად, რეზიუმეს სახით შეიძლება ითქვას:

ვანის სოფლებში კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების უწყვეტი მშენებლობა და მათთვის ფუნქციონალურ-შინაარსობრივი დატვირთვის მინიჭება წარმოადგენდა მნიშვნელოვან მოძრაობას დასახული მიზნის მისაღწევად და იყო შედეგზე ორიენტირებული. სამოქმედო მიმართულებებიც რაიონის ეკონომიკურ გამძლავრებასთან ერთად იცვლებოდა, რომლისგანაც რამდენიმე პერიოდს შეიძლება მიეცეს ყურადღება:

ა) 1920-იანი წლების დასაწყისიდან 1930 წლამდე, ვიდრე ვანის რაიონის, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სამართალსუბიექტის ჩამოყალიბებამდე წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ახლადშექმნილ სკოლებთან, ახლადდამოცენებულ სასწავლო დაწესებულებებთან ერთად იგი მიჩნეულია ხალხში განათლების შეტანის აუცილებელ დამხმარე საშუალებად. ამ დროში ორიენტირება უფრო აღებულია საბიბლიოთეკო (სამკითხველო) ბაზების სრულყოფაზე და ჩართულია საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ბ) 1930-იანი წლების დასაწყისიდან 1940-იანი წლების საწყისამდე რა დროსაც შექმნილ ურთულეს გარემოებათა გამო ეს სფერო შედარებით ჩრდილშია მოქცეული, თუმცა ცალკეული მაგალითები აქაც ჩანს. მაგალითად ვანის სარაიონო კულტურის სახლის, გობანიერის კლუბის მშენებლობის დამთავრება და ექსპლოატაციაში გაშვება. ცხადია, ამ დროში ფიქსირდება უკვე შექმნილი სამკითხველოების ფუნქციონირებაც. მიზეზები აქ მარტივად ცხადია: ევროპაში ახალი ომისათვის მზადება (მხედველობაშია მეორე მსოფლიო ომი, საბჭოთა სივრცისათვის დიდი სამამულო ომი) რის გამოც მთელი მატერიალური საშუალებანი ქვეყანაშიც და რაიონშიც გად-

ართულია წინასაომარ მდგომარეობაზე. ეს ფაქტორი მიჩნეული იყო ნომერ პირველ ამოცანად, რომელზედაც ასე გახსნილად არ იყო საუბარი, მაგრამ ფაქტია, ქვეყანა ცხოვრობდა წინასაომარი წესრიგით. ამის გამოც ყურადღების შედარებით მოდუნებას სფეროს აღმავლობისადმი გამართლება შეიძლება მოეძებნოს, სხვა დამატებით სირთულეებთან ერთად.

გ) 1940-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ომში გამარჯვების შემდეგ, რომელიც უკავშირდება აღდგენით პერიოდს, რაიონი კვლავ მიუბრუნდა სამეურნეო ღონისძიებებთან ერთად კულტურის სფეროს შედარებით აღორძინების პრობლემებს. აქ მოკრძალებული, მაგრამ შედეგები უკვე ჩანს.

დ) 1950-იანი წლებიდან 1960-იან წლებამდე, საიდანაც იწყება ახალი პერიოდი რაიონში კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელის მშენებლობა-სრულყოფის საქმეში.

ე) 1960-იანი წლების პერიოდი განსაკუთრებულად, 1966 წლის სანყისიდან, ამ პერიოდს ემთხვევა, როგორც ითქვა, ვანის რაიონის ადმინისტრაციული სამართალსუბიექტის აღდგენა, საიდანაც კონკრეტულ, მიზანმიმართულ სახეს იძენს კულტურის ობიექტების მშენებლობა, შედარებით მატერიალურ-ფინანსური უკეთესი უზრუნველყოფა, ახალ დონეზე ადის მათი საქმიანობრივი დატვირთვა.

ვ) 1970-1980-იანი წლების პერიოდი, რომელშიდაც დასტურდება რაიონის კულტურის სფეროს უწყვეტი აღმშენებლობა, ახალგაზრდებისა და კონკრეტულ ადამიანთა ჩართულობა თვით-შემოქმედებით პროცესებში, გახმაურებული ღონისძიებანი და წარმოჩინება საქართველოს მასშტაბით. ემთხვევა იგი რაიონის ეკონომიკურ-აღმავლობით პროცესებს, რომლის გვირგვინიც იყო გალაკტიონ ტაბიძის (რესპუბლიკური და საკავშირო მასშტაბით) და არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის (საერთაშორისო მასშტაბით) მოქმედებაში შეყვანა.

ზ) 92 მოქმედი ობიექტი, რომელიც კულტურის სფეროს ემსახურებოდა, მცირედი გამონაკლისით წარმოადგენდა ეროვნული იდენტობის, ეროვნულ ღირებულებათა აღქმის, ზოგადი ცოდნის გაფართოების, თავისუფალი დროის სწორ, შინაარსობრივი დატვირთვის მოქმედ ფორმას. თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოთქმულსა და რიგ სხვა სასარგებლო მიმართულებათა საქმიანობას, კულტურულ ობიექტებზე გაღებულმა ხარჯებმა გაამართლა. შეიძლება განმეორება გვინევდეს, მაგრამ ამ სისტემამ უდიდესი როლი შეასრულა წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრის, წიგნის პროფესიული, მხატვრული, პოლიტიკური, ისტორიული და საბავშვო ლიტერატურის პროპაგანდის საქმეში.

დღეის მდგომარეობით მითითებული 92 ობიექტიდან ფუნქციონირებაშია მხოლოდ 10-12 და ყველა მათგანს სჭირდება ფინანსურ-მატერიალური ნაშველება, რომლის აუცილებლობაც უკვე კარგახანია დგას.

დღეს, შეიძლება, ზოგიერთმა „ულტრა თანამედროვედ“ მოაზროვნემ მიიჩნიოს, რომ XXI საუკუნეში რა დროს მათზე საუბარია და ა.შ. ჯერ ერთი თუ საუბრები ამ რიგით ნავა, მაშინ საზოგადოებას უნდა მიეცეს უკეთესი ცვლა (ფორმით და შინაარსით) და ეს საკითხიც დახურულად გამოცხადდება.

მეორეც – იმ მაღალმთიანი სოფლების მცხოვრებთათვის, რომლებიც ამავე სტატიაშია ჩამოთვლილი და საერთოდ რაიონისათვის, მსგავსი დაწესებულებები იმ დასახლებული უბნებისათვის, რომლებიც გააუქმეს, დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელობას. ჯერ ერთი, ამ ობიექტთა უმრავლესობა ან გაძარცვულ-დანგრეულია და მათ სრულყოფას სოლიდური თანხებიც დასჭირდება, მაგრამ ცხადია, რომ მობრუნება ამ პროცესისაკენ არ მოხდება, მთავარია ის, რომ მაღალმთიან სოფლებისათვის არსებული კულტურის კერები დასახლებული უბნებისა და მცხოვრებთათვის წარმოადგენდა კლუბსაც, თეატრსაც, შეკრებისა და თავისუფალი დროის სწორად დაგეგმვის საშუალებას, სხვა შემცვლელი დაწესებულებანი ამ დასახლებებისათვის პრაქტიკაში ჯერჯერობით არ არსებობენ, რომ ახალგაზრდობისათვის საკუთარ შესაძლებლობათა მოსინჯვისა და გამოვლინების საშუალებად განიხილებოდეს. სამწუხაროდ, ამ საზოგადოებას მასიურ უმუშევრობასთან ერთად იმ დროს „ჩამოსაჯდომი“ ადგილიც არ დაუტოვეს....

განახლება ყოველთვის საჭიროა, მაგრამ მნიშვნელოვანია როგორ განვაახლებთ და რას ვაძლევთ საზოგადოებას.

**კობახიძე** – თსუ ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი  
მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

**ტერმინ „ბევრი“ შესახებ**

კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსად 1878 წლის 13 ნოემბერს დანიშნეს კირილე იანოვსკი, ერთი იმ „ვეშაპთაგანი“, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში. იანოვსკის მტკიცედ სწამდა, რომ რუსეთის იმპერიის განაპირა რეგიონებში სკოლა უნდა ყოფილიყო რუსული ცივილიზაციის და- მწერგავი და ადგილობრივი კულტურის შემმუსვრელი.

ამ მიზნით მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულს საქართველოში დაიგეგმა რუსულ ენაზე სწავლება ბავშვის სკოლაში შესვლის დღიდანვე, რაც მკვეთრად აისახა განათლების მესვეურთა გამოსვლებსა და პუბლიკაციებში. სახელდობრ, გორის საოსტატო რუსულენოვანი სემინარიის (იგივე ამიერკავკასიის სამასწავ- ლელო სამკურსიანი სემინარია, რომელიც გაიხსნა 1876 წელს და ამ- ზადებდა დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს (ქსე, 1977: 228-229)) დირექტორმა, ბ. სემიონოვმა, ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა კრებაზე 1880 წლის სექტემბერში განაცხადა: „სახალხო (საერო) სასწავლებლებში სწავლა უნდა იწყებოდეს და მთავრდებოდეს რუსულ ენაზე, რადგანაც ქართულ ენაზე არ არსებობს წიგნები და არც საჭირო ტერმინებიო.

ასეთ კრიზისულ სიტუაციაში გადამწყვეტი როლი შეასრულა რაფიელ ერისთავის (1824–1901 წწ) წერილმა (ერისთავი, 1880), რომელშიც ავტორი ამბობს, რომ ქართულ ენას საკმაოდ მოეპოვება ტერმინები, რომელთა ბაზაზე შეიძლება შეიქმნას ქართულენოვანი სახელმძღ- ვანელოებიო.

ქართული სამეცნიერო ტერმინების არსებობის დასადასტურებ- ლად რაფიელ ერისთავის წერილში ჩამოთვლილია მრავალი ტერმინი ბუნების რვა სამეფოდან: „საზოგადო ფიზიკისა და სამუნეჯიზო (ასტრონომიის) ლეოგრაფიიდან“, „არითმეტიკიდან და გეომეტრიიდან“, „საზომი და სანყაოსი“, „საექიმო ნაწილისა“, „ქიმიის და ფიზიკის“, „ზღვისა და შიგ ცურვის“, „ნავთ- მეუფროსეთა“, „სამხედრო და საომარისა“.

მამ, ისევ ისა სჯობს, ამბობს რაფიელ ერისთავი თავისი წერილის დასასრულს, რომ შეწყვი- ტოს ბ. სემიონოვმა ქართულ ენაზე სწავლების წინააღმდეგ ლაპარაკიო!

ჩვენთვის საინტერესო ტერმინი „ბევრი“ მოცემულია არითმეტიკიდან და გეომეტრიიდან ტერმინებში: ბევრი – ათი ათასი, ბევრის ბევრი – ასი ათასი, უშქარი – ერთი მილიონი, უშტი – ათი მილიონი, უშტისუშტი – ასი მილიონი (ორბელიანი, 1993: 175; ავალიშვილი, 1920: 13; ცხაკაია, 1959: 9).

ახლა ბუნებრივად დაისმის კითხვა: რა დროიდან არსებობს არითმეტიკის ეს ტერმინები?

ქართულ ენაში ისინი უძველესი დროიდან არსებობდა (იუშკევიჩი, 1961: 323).

არაუგვიანეს, VII ან VI საუკუნეებისა ძველი წელთაღრიცხვით (ცხაკაია, 1959: 10), ვიდრე ქართული ანბანით ნუმერაცია ინდურ-არაბული ციფრებით არ შეცვალეს, რაც 974 წლის ერთ- ერთი ქართულ ხელნაწერში დასტურდება (ცხაკაია, 1959: 21-22; იუშკევიჩი, 1961:323).

ანალოგიური მდგომარეობა იყო სომხურ და რუსულ ენებშიც (იუშკევიჩი, 1961: 320, 351). სამივე შემთხვევაში პირველი სპეციალური სახელწოდება შემოღებულია ათი ათასისთვის.

\* მოხსენება წაკითხულ იქნა თსუ არნოლდ ჩიქობავას\*\* სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში გამართულ კონფერენციაზე „სამეცნიერო ტერმინოლოგია V“ 2017 წლის 14 ნოემბერს.

\*\* მოგვარენი თანამოსახელებიც (სეხნიებიც) იყვნენ ხოლმე. მაგალითად, ერთდროულად მოღვაწეობდა ორი ბენედიქტე ჩიქო- ბავა. ამიტომ ცნობილმა ენათმეცნიერმა, აკადემიკოსმა ბენედიქტე ჩიქობავამ სახელი შეიცვალა და გახდა არნოლდ ჩიქობავა (იხ. გივი მიქაძე, ფსევდონიმების ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1984, გვ.18).



ახლა იმის შესახებ, თუ რომელ ისტორიულ წყაროებშია დადასტურებული აღნიშნული ტერმინები. ბევრი რომ ათი ათასის მნიშვნელობით იხმარებოდა თამარ მეფის დროს, კარგად ჩანს შემდეგი ისტორიული ტექსტიდან (ჩუბინიძე, ივლისი): „დიდმარხვა იდგა და აღდგომა ახლოვდებოდა, როცა დაქვრივებული თამარ მეფე გეგუთში გაემგზავრა. მეფეს ახლდნენ ძმები ზაქარია და ივანე მხარგრძელები. ეს რომ გაიგო ირანიდან არდებილის სულთანმა, სწრაფად შეკრიბა თავისი ლაშქარი, გადალახა მდინარე რახსი და შეუმჩნეველად მიუახლოვდა სომხურ ქალაქ ანისს.

დიდ შაბათს ანისის ტაძარი სავსე იყო მორწმუნე მრევლით. ცისკრის მოახლოებისას, როცა ქალაქის კარი გააღეს, არდებილის სულთანი ანისში შეიჭრა და ცოდვის კალო დაატრიალა.

ქართველი მემკვიდრე ასე აღწერს ამ ამბავს „ერთი ბევრი და ორი ათასი კაცი ეკლესიათა შინა მოიკლა“, ე.ი. არდებილის ვერაგმა სულ- თანმა იცოდა, რომ აღდგომა დღეს, სადღესასწაულოდ, თამარ მეფე ომისთვის ვერ მოიკლავდა და ანისში თორმეტი ათასი ადამიანი გააყუჟა.

იმერეთში მყოფმა თამარ მეფემ და მხარგრძელებმა ეს ამბავი გაიგეს აღდგომიდან ერთი კვირის შემდეგ. თამარ მეფის თანხმობით, მხარგრძელებმა ჯარი შეკრიბეს ანისთან და სალაშქროდ დაიძრნენ არდებილისკენ. წინასწარ გამოთვალეს და არდებილს იმ დროს მიადგნენ, როცა იქ „აიდი“, ანუ მუსლიმთა აღდგომა იდგა.

როგორც კი არდებილში ზეიმი დაიწყო, მუსლიმური წესის მიხედვით, ზაქარია და ივანე მხარგრძელები ქალაქში შეიჭრნენ, სულთანი მოკლეს, მისი ცოლ-შვილი დაატყვევეს, ხოლო მიზგიტებსა და მეჩეთებში თორმეტი ათასი კაცი ამოწყვიტეს, ანუ სწორედ იმდენი, რამდენიც სულთანმა ამოხოცა ანისის ეკლესიებში და ისევ ანისისკენ გაბრუნდნენ“. და კიდევ (ჩუბინიძე, აგვისტო): „მეთორმეტე საუკუნის ქართველი ისტორიკოს-ჟამთააღმწერის ცნობით, 1226 წლის 9 მარტს, როცა ჯალალ ედ-დინმა თბილისი დაიპყრო, ურჯულოებმა მეტეხის ხიდთან ათბევრი ქართველი დახოცეს“.

ძველ ქართულში ბევრი აღნიშნავდა „ათი ათასს“ (ორბელიანი, 1993: 175; ავალიშვილი, 1920: 13; Цхакая, 1959: 9; Юшкевич, 1961: 323), ხოლო ათბევრი კი – „ბევრის ბევრს“ (ორბელიანი, 1993: 175), ანუ იმა ვე ასი ათასს (ავალიშვილი, 1920: 13; Цхакая, 1959: 9). მამასადამე, მეტეხის ხიდთან მოწყობილ სისხლიან კალოს ასი ათასი ქართველი შე- ეწირა.

ეს ამბავი ასეა აღწერილი „ათთა ბევრთა მონამეთა ტროპარში“: არა დასთრგუნეთ ხატი უფლისა იესოსი და უხრწნელისა დედისა მი- სისა, არამედ ვითარცა კრავნი უბინონი მისთვის დაიკვლენით, რომელმან ხატებითა თავისითა საღმრთოთა პატივეცით თქვენ. ნამებისა გვირგვინითა ღვთით მშვენიერად შეიმკენით და სისხლითა თქვენი- თა ცოდვანი ერისანი წარხოცენით. წმინდანო ათბევრო მონამენო, ევედრეთ ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის. ამინ!

შევნიშნავთ, რომ ეს არის რუსუდანის მეფობის უმძიმესი ხანა საქართველოსი (1222-1245 წწ).

სხვათა შორის, ჯალალ ედ-დინის 1226 წლის ვანდალური ქმედება გაიმეორა თემურ-ლენგმა 1397 (1398) წელს ინდოეთში (Юшке- вич, 1961: 108), როცა ასი ათასი ინდოელი მამაკაცი დახოცა საკუთარი ცოლ-შვილის წინ (ჩუბინიძე, ნოემბერი).

დიდი რიცხვების სპეციალური სახელწოდებანი მოგონილი იყო საომარი მიზნებისთვის: საიდუმლო ინფორმაცია მეომართა რაოდენობის შესახებ არ უნდა გამჟღავნებულიყო შიკრიკის მოკვლის შემთხვევაშიც კი.

ქართული ანბანით რიცხვების ჩანერის წესი კარგადაა ცნობილი (ავალიშვილი, 1920: 12-13).

ვაჭართა კასტას კი, სხვებისთვის დაფარული გარიგებებისთვის მოგონილი ჰქონდა ხელის თითების ან თვით ხელის სხვადასხვა მდგომარეობა (იუშკევიჩი, 1961: 325-6).

აქ ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ ლათინური მილლე იგივეა, რაც „ათასი“ (ალექსანდროვა, 1978: 78), ხოლო იტალიურ ენაში დაბოლოება ონე აძლიერებს მასთან მდგომ სიტყვას. ასე რომ, მილლიონე იგივეა, რაც „დიდი ათასი“, „მრავალი ათასი“. ამიტომ შესაძლოა, როცა მარკო პოლო (1254-1323 წწ) საუბრობს მილიონ ადამიანზე, მხედველობაში აქვს მრავალი ათასი ადამიანი (იუშკევიჩი, 1961: 351). ალბათ ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე ზემოაღწერილ სიტუაციებშიც.

რაფიელ ერისთავის ტერმინით, მეტეხის ხიდთან „ბევრის ბევრი“ ქართველი დახოცეს. ვფიქრობთ, რომ „ათბევრი“ უფრო მისაღებია, ვიდრე „ბევრის ბევრი“. ეს მით უფრო, რომ

ქართველები ათი ათასზე ნაკლები რიცხვებისთვის იყენებდნენ შეკრების მეთოდს, ხოლო ათი ათასზე მეტი რიცხვებისთვის კი – გამრავლების მეთოდს (ცხაკაია, 1959: 9-10) და, მართლაც, ასი ათასი არის ათჯერ ათი ათასი, ანუ ათბევრი!

ამავე დროს რუსთველი რითმისთვის უპირატესობას ანიჭებს ბევრის ბევრს (სტროფი 269): „ქალსა ცრემლი გარდმოსცვივდა ას-ნაკეცი, ბევრის-ბევრად; მოახსენა: „მხეცთა თანა იარე-ბი მარტო ტევრად,

არას კაცსა არ იახლებ საუბრად და შემაქცევრად, მას მაგითა ვერა არგებ, დღეთა შენთა ცუდად ლევ რად?“.

შენიშვნა: თუ ნაკეცი რუსთველისთვის ნიშნავს ათასს, მაშინ ასნაკეცი იქნება ასი ათასი, ისევე, როგორც ბევრის-ბევრი და ათბევრი<sup>1</sup>. ამგვარი ტერმინოლოგიური განსხვავების მიზეზი კარგად აქვს ახსნილი ვუკოლ ბერიძეს „მეოცე საუკუნემდე ტერმინოლოგიის დამუშავება კერძო საქმედ იყო მიჩნეული – მუშაობდა მხოლოდ ესა თუ ის ცალკე პიროვნება თავისი საკუთარი ინიციატივით“ (ბერიძე, 1952).

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ვუკოლ ბერიძეს ამავე ნაშრომის 29-ე გვერდზე აქვს ერთი უზუსტობა. იქ, სადაც ის ჩამოთვლის იოანე პეტრიწის მიერ შექმნილ ტერმინებს: გონიერი, წენტილი (წერტილი), წირი, უპირატესი, უმეცრება, უმსგავსი და მრავალი სხვა.

მოცემულ შემთხვევაში წენტილისა და წერტილის ერთი და იმავე ტერმინად გვერდიგვერდ წარმოდგენა არასწორია. საქმე ის გახლავთ, რომ წენტილი საათის მეოთხედს ნიშნავს. მართლაც, მოვუსმინოთ დავით და ნიკო ჩუბინაშვილებს.

1) **წენტილი**, ჟამის ნაოთხალი, რუბი; 2) **წერტილი**, ნემსის წვერით ნაჩხვლეტი. წერისას კალმის წვერით დამჩნეული ნიშანი, გასაყოფად წერილთა პერიოდთა; 3) **ჟამი**, დრო, ხანი, ოცდამეოთხედი ნაწილი დღე-ღამისა, საათი (ჩუბინაშვილი, 1984)

1) **წენტილი**, ჟამის ნაოთხალი, რუბი; 2) **წერტილი** ნემსის წვერით ნაჩხვლეტი, კალმის წვერით დამჩნეული ნიშანი, ხმარებული წერილთა შინა გასაყოფად პერიოდთა, ანუ კერძო სიდიდისა, ურაოდენო და განუწვალელებელი; 3) **ჟამი**, დრო განსაზღვრული ოცდა მეოთხედი ნაწილი დღე-ღამისა, საათი. ჟამის ნაოთხალსა ეწოდების **წენტილი**, ანუ რუბი; 4) სხეული, ნივთი მექონი სამთა განფენილობათა: სიგრძედ, სივრცედ და სიღრმედ. დასაბამი სხეულისა არს **წერტილი** ურაოდენო, არა მექონი რიცხვისა გინა საზომისა; რა წერტილი წარზიდო, შეიქმნების **ხაზი**, ანუ **ღრამი**, მექონი სიგრძისა უსივრცოდ, ხოლო ხაზი მოავლო მრგულად ანუ კუთხეებად, მაშინ საშუალო განფენილობა მისი განიზომების სიგრძედ და სივრცედ. ამას ეწოდების **ეპიფანია**, საჩინო, ზედსაჩინო, ზედაპირი და სიფრიფანა. რა ჟამს ეპიფანია განზრქელდეს კერძოებითა და ნაკვეთებითა, მაშინ შენივთდების სხეული (ჩუბინაშვილი, 1961)

დაბოლოს, მივუბრუნდეთ რაფიელ ერისთავის ზემოაღნიშნულ ნაშრომს, რომელშიც პლანეტები თავიანთი ორბიტებით მოცემულია შემდეგი სქემით: **Название планет - Орбита планет**. მაგალითად, ასე: **მზე – კოჭიმელი – Солнце, მთვარე – ჭირანო – Луна** და ა.შ.

ამგვარმა, სიზუსტეს მოკლებულმა განლაგებამ სიტყვათა სამეულისა, გამოიწვია შინაარსობრივი უზუსტობა: თითქოს **მზეს** ერქვას **კოჭიმელი**, რადგანაც სიტყვა კოჭიმელი მოქცეულია ერთი და იმავე ფიზიკური სხეულის ქართულ და რუსულ სახელებს შორის. ასევე, თითქოს **მთვარეს** ერქვას **ჭირანო**. არადა, **კოჭიმელი** ჰქვია **მზის** ორბიტას, ხოლო **ჭირანო** კი – **მთვარის** ორბიტას. ეს უზუსტობა აისახა სხვა შრომებშიც (იორდანიშვილი, 1968 : 108; იორდანიშვილი, 2015 : 143).

აქ მანუგეშებელია დიდი სულხან-საბა ორბელიანის ბრძნული გამონათქვამი: „ერთისა და ორის კლებისათვის ნუ დაიწუნებთ, სრული გვიან საპოვნარია“.

სრული შესაბამისობა მოცემულია კონსტანტინე (კოტე) ყიფიანის ლექსიკონში: **Луна – მთვარე, მისი ორბიტა ჭირანო, Солнце – მზე, მისი ორბიტა კოჭიმელი**<sup>2</sup>.

1 შდრ. ბევრი, ბევრეული (ი. აბულაძე, 1973).

2 იხ. აქვე, გვ. 212-224

**ლიტერატურა:**

1. აბულაძე, 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973.
2. ავალიშვილი, 1920 – იოს. ავალიშვილი, არითმეტიკის სახელმძღვანელო, ნაწილი I, ტფილისი. ბერიძე, 1952 – ვუკოლ ბერიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, №7.
3. ერისთავი. 1880 – რაფიელ ერისთავი, რაოდენათ მართალია, რომ ქართულს ენას სიღარიბე შესწამეს, „დროება“, №212.
4. იორდანიშვილი, 1968 – ლ. იორდანიშვილი, რ. ერისთავის ტერმინოლოგიური შრომები, იბერიულ-კავკასიური ენები, XVI.
5. იორდანიშვილი, 2015 – ლალი იორდანიშვილი, რაფიელ ერისთავის ენა, თბილისი.
6. ორბელიანი, 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბილისი.
7. ქსე, 1977 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 3, თბილისი.
8. ყიფიანი, 1896 – Конст. Димит. Кипиани, Русско-Грузинский словарь по Астрономии, Зоологии, Минералогии и разных терминов и технических слов, Тифлис.
9. ჩუბინაშვილი, 1984 – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.
10. ჩუბინაშვილი, 1961 – ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.
11. ჩუბინიძე, ივლისი – დიტო ჩუბინიძე, როგორ აიღეს სომხების სისხლი ქართველებმა არდებილში, გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2017, №28, გვ.36.
12. ჩუბინიძე, აგვისტო – დიტო ჩუბინიძე, ჯალალ ედ-დინის მიერ ასი ათასი ქართველისთვის თავის მოკვეთა, გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2017, №32, გვ.28.
13. ჩუბინიძე, ნოემბერი – დიტო ჩუბინიძე, საქართველოს ომები, გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2017, №45, გვ.30.
14. ალექსანდროვა, 1978 – Н.В. Александрова, Математические Термины, Москва.
15. ცხაკაია, 1959 – Д.Г. Цхакая, История математических наук в Грузии с древних времен до XX века, Тбилиси.
16. იუშკევიჩი, 1961 – А.П. Юшкевич, История математики в средние века, Москва.

**ვანელი ახალგაზრდების შემოქმედება**  
(პოეზია)

როცა ახალგაზრდებზე რაიმეს დანერას ვინცებ – უნებლიედ ამოტივტივდება გონებაში იოსებ ნონეშვილის ეს შესანიშნავი სტრიქონები:

„ახალგაზრდობა – მომავლის დღეთა  
იმედის ტალღა ხალისიანი,  
ახალგაზრდობა – შრიალი ხეთა,  
ათქვირებული ყანის შრიალი.  
ახალგაზრდობა – ციდან რომ ლხენით  
კრეფს მზის აღმასებს, მთვარის აღმასებს...  
ახალგაზრდობა – რომ სჯერა ხელით  
თვით დედამინას შეაბარბაცებს.“

დიხაც, რომ შვენით ახალგაზრდებს ლალად ფრთების გაშლა, გაბედული აზროვნება, მოქნეული სიტყვები და გამოთქმები, რამეთუ „სიჭაბუკე და ლექსი ერთია – ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი“, „სიჭაბუკის გარეშე ლექსს ვინ მისცა დიდება?!“ (გ.ლეონიძე).

სწორედ ახალმა თაობამ, ჩვენმა ღირსეულმა ცვლამ, უნდა თქვას წონადი სიტყვა ხელოვნებისა და ცხოვრების ყველა სფეროში.

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის კრებული „მატიანე“ ცნობილ პოეტებთან ერთად პერიოდულად ბეჭდავს ახალგაზრდა მწერლების, პოეტების ნაწარმოებებს<sup>1</sup>. ახალგაზრდა პოეტები: თათია არაბიძე, ზაზა მალულარია, ლევან გოგაბერიშვილი, მათე კანკაძე, თათია გიორგაძე და სხვ. ცდილობენ შექმნან თავიანთი საინტერესო და მრავალფეროვანი სამყარო. ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

ზოგჯერ მათ შემოქმედებაში ასეთ ზეამბიციურ სტრიქონებსაც შეხვდებით:

„შენ, თვალი ფართოდ გაახილე, სამყაროს მწყემსო,  
ჰყავი სიკეთე და ადიდე ჩემი გენია...  
ზეცაში არის შემოქმედი, ღმერთი – იესო,  
დედამინაზე კი უფალი გორვანელია.“

(ლ.გოგაბერიშვილი, „მე და ღმერთი“)

დიდი ადამიანები გრძნობენ რა უფლის ხელდასმას, თავიანთ სიდიადეს, შემოქმედებით შესაძლებლობებს, თვითგამხნეების მიზნით ხშირად მიმართავენ საკუთარ თავს:

„ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი, მარად უკვდავი“  
(ა. პუშკინი)

აქვე, უპრიანი იქნება, ქართველი პოეტების მეფედ აღიარებული ბუმბერაზი გალაკტიონი გავიხსენოთ. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა წერდა: „...რომე ღმერთი ჩემშივეა და მევე ვქმნი ბედისწერას,“ „ყველაფერს ვქმნი ახალი ღმერთი,“ „როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი.“

მსგავსი მაგალითების მოყვანა ძალზე შორს წაგვიყვანს. დებიუტანტმა პოეტებმა კარგად უნდა დაიხსომონ, რომ გალაკტიონი, პუშკინი, და მსგავსნი მისნი ისეთი განზომილების, მასშტაბების შემოქმედნი გახლავთ, ასეთი განცხადებების გაკეთება შეჭფერით კიდევ.

ძვირფასო ახალგაზრდებო, როგორც უფროსი მეგობარი, კოლეგა გულწრფელად გირჩევთ მეტი თავაზიანობით, თავმდაბლობით, მოკრძალებით შემოდგათ ფეხი ჩვენს მწერლობაში, რომ ღმერთთან გატოლება მკრეხელობად არ მიიღონ, შემდეგ ისევ ღვთის შემწეობით, თქვენთვის და ნიჭიერებით ეცადოთ პოეზიის მწვერვალებზე შედგომას.

უნდა გვახსოვდეს ქართული მწერლობის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას შეგონება: „ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად, თუ მთელი სიცოცხლე არ შეალიე ამ სასტიკ ბომონს – არაფერი გამოგივა ხელიდან.“ მიზნის მისაღწევად, მწერლობაში ღირსეული კვალის დატოვებას დიდი მსხვერპლის გაღებაც დასჭირდება თითოეული თქვენთაგანისგან, ვით ქედგახეხილმა ხარმა ნიკორამ – ისე უნდა ზიდოთ შემოქმედის უმძიმესი ტვირთი.

მინდა გამოჩენილი ქართველი პოეტის მურმან ლებანიძის ლექსით შეგეხმთანოთ:

„გასნით ხარებო, ღვინიებო და ნიქარებო,  
გასნით ხარებო, თქვენი გზა ნახეთ!“

ჩვენი სურვილიც ესაა – საკუთარი გზა ნახოთ მწერლობაში, ხელოვნებაში.

„ამ საუბრით მე მივმართავ ჩვენს მგზნებარე ახალგაზრდობას... მიზანი ის არის, რომ გაღვივდეს მოზარდი თაობის გონებაში ინტერესი პოეზიისადმი...“

ლექსების წერა მსუბუქი შრომა როდია: ეს საქმე, ნიჭის გარდა, შემეცნებას, გამომგონებლობას და გემოვნებას, ორიგინალობას და კიდევ განვითარებულ ტექნიკას მოითხოვს, რაც მიღწეული იქნება მხოლოდ შეურყეველი, შეუდრეკელი, გულდადებული მუშაობის შემდეგ სიტყვაზე,“ გვმოდღვრავს სწორუბოვარი გალაკტიონი.

„ენის ჰარმონიის კანონების დაცვის გარეშე არ არსებობს ნამდვილი პოეზია, მაგრამ „გონებას არ შეუძლია დაკმაყოფილდეს ჰარმონიის მხოლოდ სათამაშოებით“ (პუშკინი)...

„მაშასადამე, ლექსი უნდა იყოს მადღფენილი იდეურად, აღვსებული ტემპერამენტით, უნდა გვატყვევებდეს, გვიტაცებდეს, აღგვამაღლებდეს, უნდა გვაძლევდეს მხატვრულ სიამოვნებას.

წინასწარ ძნელია პროგნოზირება იმისა სამოღვაწეო ასპარეზზე ახლახან გამოსული ვანელი მწერლები – რა თუ როგორი სიმაღლის მწვერვალებს დაიპყრობენ, მაგრამ ერთი კი ფაქტია, ყოველდღიურად უნდა ეცადონ გააკეთონ „ნახტომი მზისკენ,“ სანამ შეჰყრიათ სიბერის წლებზე ფიქრი ციებად.

თქვენს მიერ არჩეული გზა ცხოვრების ურთულესი ლაბირინთია, ჩვენი დიდი სურვილია თოთოეულმა თქვენთაგანმა არჩეულ გზას დიდი შრომის ფასად უერთგულოთ. თოთოეულმა თქვენთაგანმა კარგად განსაზღვროთ საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობა, რადგან ხელოვნება ეკუთვნის ხალხს. თქვენც მუდმივად იყოთ თქვენი ხალხის, სამშობლოს, საქართველოს სამსახურში. კიდევ ერთხელ გისურვებდით ამ გზაზე იაროთ თავანეული და ამაყად.

**ზაზა მალულარია** ამ ახალგაზრდა პოეტებიდან ასაკით სხვებს აღემატება და ამიტომაც პირველად მის ლექსებს შევხები. წლების მანძილზე გულისყურით ვადევნებდი თვალს მის შემოქმედებით წვასა და ძიებებს. კარგად მახსოვს შუამთის საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სვეტა შარაშენიძის რჩევით, როგორი მოწინებით მოვიდა ჩემთან და საკუთარი ლექსები გადმომცა დასაჭაშნიკებლად. დამწყები პოეტისთვის ლექსების დონე არ იყო ურიგო, მაგრამ პრესაში მათ გამოქვეყნებაზე დროებით თავი შევაკავებინე, რათა უფრო სრულყოფილი და დახვეწილი წარმდგარიყო მკითხველი საზოგადოების წინაშე. მოლოდინი მართლაც გამიმართლა. ის საკმაოდ კარგად გრძნობს სავალი გზის სირთულეს, „რომ ლექსი არის მძიმე გოლგოთა“ და სიმხნევით, იმედებითა და რწმენით აღსავსე წერს:

„და თუ სავალი ოფლით გათელე,  
სათნობაზე არ თქვი უარი,  
გვირაბის ბოლოს თუ ჩანს ნათელი –  
ფორთხვით მიაღწევ, ბიჯით თუ არა.“

ზაზა მალულარიას ტროპული აზროვნება, მისი პოეტური სახეები მეტად თავისებური, ნათელი და შთამბეჭდავია. ამის მშვენიერი მაგალითია ეს პატარა ლექსიც:

ვინ გამაკვირვებს,  
ან რაღა მიკვირს  
ამქვეყნიური ყალბი ამინდის,  
მე შეგნებულად ვიყავი ბრიყვი,  
და სულის ჩაკვლით ხორცი დავინდე...

მიყვარდა...  
მაგრამ იჭვმა წარმკვეთა...  
ვერ ვუსაღბუნე გრძნობას საბრალოს,  
როს მასში ჯანლი ისე გამკვეთრდა,  
როგორც ანტიკურ ძეგლზე ნაპრალი...  
ბევრი ვატკინე...  
ბევრიც ვიტკინე...  
ჩამომეშალა ბუდე ქვითკირის...  
და ახლა სულმთლად უჭერ-უთალო  
ყისმათს ვწყველი და მკვდარ სულს მივტირი...

**ლევან გოგაბერიშვილს** ფილოსოფოსია და მის ლექსებში საგნებისა და მოვლენების, ადამიანური განცდებისა და მისწრაფებების ფილოსოფიური გააზრება – წარმოჩენა, რა თქმა უნდა, არ არის შემთხვევითი. ის ფრიად ნიჭიერი, განათლებული, ფუტკარივით მშრომელი, მიზანსწრაფული კაცია, აქვს დაარსებული საკუთარი ჟურნალიც, მაგრამ ღმერთპოეტობამდე რომ მიაღწიოს, წინ რთული და გრძელი შემოქმედებითი გზა აქვს გასავლელი.

**მათე კანკაძე**, ზაზა მალულარიასთან და ლევან გოგაბერაშვილთან შედარებით, საკმაოდ პატარა ასაკისაა. ი. ჭავჭავაძის სახელობის №2 საჯარო სკოლა დაამთავრა. შარშან მონაწილეობა მიიღო ჟურნალ „განთიადის“ მიერ საქართველოს მასწავლებელთა და მოსწავლეთა საუკეთესო პროზაული თუ პოეტური ნაწარმოების გამოვლენის მიზნით გამართულ კონკურსში და მოსწავლეთა შორის II ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. ეს პატარა წარმატება როდია. იგი მშვენივრად აზროვნებს, მშვენიერ პოეტურ სახეებს ჰქმნის, მაგრამ ლექსის ტექნიკურ მხარეს დასჭირდება ბოლომდე მონესრიგება. ვფიქრობ – ამ სიძნელის დაძლევისა და მალე წარმატებით გაართმევს თავს და მომავალში უფრო ამბლევებელი და სრულყოფილი ლექსებით წარსდგება მკითხველთა წინაშე.

**ახალგაზრდა პოეტი ქალი თათია არაბიძე** უიშვიათესი პოეტური ფანტაზიის წყალობით შესანიშნავ სტრიქონებს გვთავაზობს. მისი შინაგანი არსებიდან ამკარად იგრძნობა თავისუფალი ქარების ქროლვა, ემოციურ გრძნობათა მოჭარბება და პოეტური აღმაფრენა:

„ჩემია მთვარე! ვისაკუთრე ფოთლების ხმაში.  
გადავაფიქრებ ყველა აჩრდილს – წამართვას ნება...  
თავისუფალი არსებიდან გადავშლი გრძნობებს  
და მზად ვიქნები გაზაფხულით ავივსო ვნება...“

დღეები არევეს გადარეულ ფიქრებს ისედაც,  
აღარ დავეძებ მთვრალ ოცნებებს – ხომ მაინც მე ვფლობ...  
სულის სამეფოს ჩაგაბარებ ამაყი დროშით,  
იმ სამყაროში მეფედ აგირჩევ – სადაც ვდედოფლობ!“

(*ნაწყვეტი ლექსიდან „ჩემს სამეფოში“*)

**მეორე პოეტის თათია გიორგაძის ლექსები**, ყვავილთა სურნელით გაჟღენთილი, სილბოთი და სინაზით, თავისებური არომატით გვიზიდავს და გვაჯადოებს. აკი წერს კიდევ:

„გაზაფხულია... გრძნობები თბება,  
სულსაც ყვავილთა სურნელი ათრობს...“

.....  
„გაზაფხულია მართლაც ზღაპრული,  
ეს განთიადიც მაგონებს ლოცვას...  
ქალი – ფიქრებში წასული ქალი  
ღვთისმშობელს მოჰგავს – ილიმის როცა.“

და ბოლოს, მინდა კიდევ ერთხელ დავულოცო გზა ჩვენს ახალგაზრდა პოეტებს. ღრმად მნამს და მჯერა, უფლის მადლითა და შეწევნით, დღითიდღე გაიზრდება მათ გულებში „სიმღერის გამბედაობა.“

## ზაზა მალულარია

\*\*\*

მე ამ სტრიქონებს ღამის ბნელი და  
ციხისკრის ნათელი სხივი ვუნოდე,  
წლები გამექცა ისე ხელიდან,  
რომ ჩემში ავმა სძლია უცოდველს...  
გაფრინდა წელი ოცდათხუთმეტი,  
გადავუსწარი ჟამით მაცხოვარს  
და ვფიქრობ: ღირს კი მოცდა, თუ მეტი  
უღმრთო სიცოცხლით მიჯობს გაძლომა?!  
იყო ოცნება ვარსკვლავთელვარე  
და რეალობაც ხისტი იერის,  
დამკანკალებდა ბედი მღვევარი,  
ვით მიქაელი და გაბრიელი.  
არ შემხრია თუმცა წამით წარბი,  
რადგან სინმინდის ველტვოდი კვარცხლბეკს:  
თვალი ხომ მუდამ იქითკენ გარბის,  
სადაც გახედვა ტოლია მარცხის.  
... და მთვარის შუქზე ფიქრთა ჭენება  
მესახებოდა თავდავინწყებად...  
ზოგჯერ, რატომღაც თვითდაჯერება  
დაუჯერებელ ზღაპრად იწყება...  
ვერ გავიმართე... ვერ დავრჩი ბავშვი,  
თუმცა ბავშვობა იყო ზღაპარი:  
ყალბ ცხოვრებაში შედგომის საშვი,  
ანგარებით რომ შემომაპარეს...  
ახლა მარტო ვარ სულთან, წარსულთან,  
დამძიმებული იჭვით და ფლასით,  
სიცოცხლე ისე გაუფასურდა,  
რომ თვით სიკვდილმაც დაჰკარგა ფასი...  
გახსოვს, ცხოვრების შავ-თეთრ დაფაზე  
ჩვენ ერთურთისთვის ვიყავთ მკაცრები,  
თუმცა სანუთრო თვისებრ აფასებს,  
დროსთან ჭიდილში დროც კი მარცხდება...  
გახსოვს ჭადრები ჩვენი ძველი და  
მათ ჩრდილქვეშ მთრთოლი სული ყარბი?  
წლები გამექცა ისე ხელიდან,  
რომ კალმის წვერიც გვერდზე გამირბის,  
როგორც სულსწრაფი ყრმობა-ბაღლობა,  
როგორც წარსულის მნათი ჩრდილები...  
და ის სავალიც – მბორგავ ტალღებად,  
უსიკვდილოდ რომ გესიკვდილება...  
ვესალბუნები ზამთრის „უზორებს“,  
აღარც შენ შემრჩი, აღარც ჭადრები...  
დღეთა სიშიშველეს თვალს გავუსწორებ  
და უსაშველოდ მომენატრები...  
ო, სიჭაბუკევე, შორით მიჰქრისხარ,  
უკვე ბინდ-ბუნდში გიჭვრეტ ლანდებად,

შენ ის მღვევარე, მწველი ფიქრი ხარ,  
დაუფიქრებლად რომ იბადება.  
ამ ყოფას იქნებ არყოფნა ჯობდა,  
იქნებ ყოფნა სჯობს ტყვიას მოსისხარს,  
თუკი სიკვდილი სიცოცხლეს შობს და  
სიცოცხლე ისევ სიკვდილს მოისხამს...  
უსასტიკესო ცხოვრების რიტმო  
ერთიც მომხედე, მინამლე, თუ გნამს...  
მე შენს თვალეში ვეძებდი სითბოს,  
სიცარიელე ვიპოვნე თუმცა...  
შეგიგრძენ, მაგრამ ვერ გიპატიე,  
ასე ავხორცი, ვნებებს მიმყოლი,  
ჩამომიქროლე აშარ მარტივით  
და სიყმანვილეც თან გაიყოლე...  
... და ახლა, როცა ხორცის გახმობას,  
სულის დაცემას ასე მპირდები,  
დღეს მისი სუნთქვა ისე ახლოა,  
ვით გაზაფხული შარშანწინდელი...  
... ბურანს ვარღვევ და სიცხადით ვკრთები...  
წარსულის დღეებს ვფურცლავ ბოლოდან...  
„მე არაერთხელ მქონია ფრთები“  
და ვინატრებდი: სულ არ მქონოდა...

## ქალი

ქალი – ხან ქარი აშარი,  
ხანაც ბანგივით მთრობელი,  
ხან სალი კლდიდან ნაშალი  
ლოდივით დაუნდობელი.  
ხან ფაშატივით თავნება,  
მარტის ტაროსის ნაირი:  
ხან ვიქტორია – ზღვა ვნება,  
ხან – დუნედ მსრბოლი ზაირი.  
ბედი რომ გასახავს მაცილად,  
მზის თაკარ სხივს რომ დაგაფშვნის,  
მერე სეტყვით რომ დაგცხრილავს,  
ქალის ხელია ამაში...  
ტრფობას მოგახლის შხამიანს,  
გულს გამოგფუფქავს ლადარზე,  
ქალი ის ქარიშხალია,  
მსხალს გაბერტყინებს ჭადარზე!  
რაც უნდა სულის დიდება  
და უკვდავება დათესო,  
სჯობს ქალის გადაკიდებას  
პირსისხლად მტრობა ჰადესის!  
გინდ დავლა უძღვენ დასტებად,  
გინდაც ანდერძი აუგე,  
მაინც ვერაფრით ჩასწვდები,  
ვერც ვერასოდეს გაუგებ...

\*\*\*

თუ დამუნჯდები,  
დაყრუვდები  
და დაბრმავდები,  
ჩამოგეხსნება ყველა ტვირთი,  
ყველა ბრალდება...  
შენს სათქმელს იტყვის ის, ვინც  
დაგმო უკან დახევა,  
ღმერთს გაუტოლებს (მთლად თუ არა)  
თვის თავს ნახევრად...  
იგი შეისმენს, რაც შენ წესით უნდა გესმინა:  
მოვევლინება ერს რუსთველად, ვაჟად...  
შექსპირად...  
ის დაინახავს საოცნებო,  
ზღაპრულ სანახებს  
და ყოველივეს შენს მაგიერ  
სხვებს დაანახებს...  
გამოიხსნება ბევრი კვანძი...  
ღელვა-ფიქრები  
ფრთებს შეისხამენ, დასწვდებიან  
ზეცის კამარას,  
მაგრამ ამ ყოვლის შემოქმედი შენ არ იქნები,  
რადგან ცხოვრება შენის ნებით  
დაისამარე...  
და მაშინ იგრძნობ, ილუზიურ  
„მოლბერტ-ფუნჯებში“  
არარა ჰყრია, სიბრმავეში და სიმუნჯეში...  
რომ მთავარია მოძრაობა, ძლევა დემასის  
და არა პოზა, სამარცხვინო, სირაქლემასი!  
რომ სიყრუიდან არ იწყება გამოდარება  
და არც ტვირთისგან განტვირთვა  
სულის სანქცია,  
რომ შეიძლება მსჯავრდებულმა  
საკენის დარაბა  
ბედთან მებრძოლის ასპარეზად  
გადააქციოს...  
... ჯობს სრულად ზილო ყველა ტვირთი,  
ყველა ბრალდება,  
ნუ დამუნჯდები,  
დაყრუვდები  
და დაბრმავდები!

### ახსნა

როს შეეხები წარსულს თითებით,  
მის ხმოვანებას შეიგრძნობ მჩქეფარს,  
მოგესალტება როცა კირთებად,  
სულის კივილი და წელთა ყეფა,

როს აღიარებ: –  
გძაგდა თემიდა;  
რომ შენს თვალეშიც ჩამოწვა დირე;  
რომ თავზე შეგრჩა მცირე თმები და  
უმანკოება უფრორე მცირე;  
რომ ადვილია სულის მმართველად  
შემოიკრიბო ეშმაც და დროცა,  
რომ ნამდვილია – გერქვას ქართველი,  
წვეთი ქართული არ გცხია როცა...  
ამპარტავნობის უკმეხ „დილიხორს“  
შესწირო სული, ჩაჰკლა ვნებებთან...  
– უმეცრება რომ არ შობილიყო,  
ვერც სათნოება იარსებებდა. –  
დაასკვნი...  
და მის ალტერნატივად  
მზეს გაუსწორებ მზერას წყალობით  
და ყოველივეს ახსნი მარტივად,  
გარემოების გარდუვალობით...

\*\*\*

ჟინი მებრძოლის შენში სთესია:  
ის ჯილდოცაა,  
სესხიც,  
სასჯელიც  
და იმ ცხოვრების განანწესია,  
რითაც სულდგმულობ,  
რისიც არ გჯერა.  
იგი მისანს ჰგავს: –  
თაფლს და შხამიან  
თასს რომ გთავაზობს ელფურ იერით,  
სულის ზვიადი ქარიშხალია,  
თან რომ გწამლავს და თან გაძლიერებს...  
და რადგან წლების ურჩი სიფიცხე  
არ ეპუება ქველს, თუ მზვობარს,  
ღრიანკელისკენ ისე გიბიძგებს,  
და ისე შეგრთავს არარაობას,  
რომ ვერც კი იგრძნობ, როდის დასრულდა  
ის, რაც მარადი იყო გეგონა:  
როგორ წარგსტაცა რწმენა წარსულმა  
და მარწუხებით გადაგეკონა...  
მაგრამ განგების ნება ცხადია: –  
რაგინდ სახება გესხას ტიტანის,  
გმირის წოდება რა სანაღია,  
ერთხელ მარცხი თუ ვერ აიტანე...  
გულის სიღრმეში ყმუის გამცემიც  
და მზად ხარ მასთან ზავზე ნახვიდე,  
გარდუვალია ზოგჯერ დაცემა,  
რომ დაიბადო ისევე ახლიდან...



რადგან ცხოვრებას მკაცრი წესი აქვს:  
ხან შეგიკედლებს, ხანაც გიყელებს,  
გერქვას მებრძოლი — შენში სთესია,  
შენ უწყი, როგორ გამოიყენებ.

**\*\*\***

ნინ, უსასრულო უსაზღვრობა არის კედელი,  
უკან, წარსული იღრინება, როგორც ქოფაკი,  
ახალ მუზარადს გრდემლზე გინრთობს  
ბედი-მჭედელი: —  
მოძმედ რომელიც შეიგულე,  
ვერცხლით მოფაკლე...  
ბედი, რომელიც თავად შეჰქმენ,  
სისხლით დასწერე,  
კაენისაგან გერგო ღვარძლი და ისტერია,  
სჭვრეტ საკუთარ „მეს“ — ნდობააყრილს,  
დაშნით დასერილს  
და თავს არწმუნებ, რომ სამყარო  
შენი მტერია...  
შენთვის საფიცრად არ არსებობს ცნება —  
უფალი  
და ერთი აზრით ასაზრდოებ სულის  
კალათას: —  
რომ თვით იუდაც გაქრებოდა ისე უკვალოდ,  
მაცხოვარისთვის მწუხრის ჟამს  
რომ არ ეღალატა...  
გნამს, რომ ფუჭია მოყვასისთვის  
თავის განირვა,  
რომ ავის მქმნელსა ეჩვენება თვითონ  
მზე ციცქნად  
ჩალის საღირაღს შეიძენდა ყოფა არწივის,  
რომ ყორნებს იგი უმოწყალოდ არ  
დაეძიძგნათ...  
რომ არ ივინყებს მომავალი საქმეს  
ღვარძლიანს,  
რომ მწვალბელი შეიძლება  
ამაღლდეს უფროოდ,  
რომ ბოროტება სიკეთეზე უფრო გამძლეა  
და გამწირველი განირულზე  
ბრძენია უფრო...  
გმირს მსხვერპლი ჰბადებს, მსხვერპლს —  
გამცემი და ტირანია  
და თავად ჯალათს ბაჯალლოზე  
დიდი ფასი აქვს,  
რომ ცრემლზე მეტად აფასებენ  
ლიმს ირონიულს,

რომ ეშაფოტზე სასტიკია ევთანაზია...  
„კბილი კბილის წილ“ — საბოლოო  
არის სასჯელი,  
რადგან სურვილი შურისგების ცას  
ჰგავს უთაღბოს,  
გჯერა, როდესმე, წარკვეთილი  
შენი მარჯვენით  
სხვა მოიპოვებს აღმატებას და  
შენ უკვდავგყოფს...  
ცაზე ღრუბლები გაცრეცილნი  
ჰგვანან გადახნულს,  
სჭედს ბედი შენი მუზარადს და  
სიჩუმეს უტევს...  
აფასებ განვლილს და ზიზღით სჭვრეტ  
ჩრჩილით გადახრულ  
აგონიდან დაცემამდე დარჩენილ წუთებს...

## **ლევან გობაბერიშვილი (გორვანელი)**

### **იბლოვებს ჰონეტს საყვარელი ქალი?!**

#### **(ვუძღვნი ნანა გუბელაძეს)**

შავებს ჩაიცვამთ ჩემს დაკრძალვაზე?  
ჩემს პანაშვიდზე მოხვალთ ცრემლებით?  
მე, სიყვარულის ამ აკრძალვაზე  
უარს ვამბობ და ფოთოლცვენებით  
აღსავსე შემოდგომას მოყვებთ,  
როგორც მოჰყვება დილა მზის სხივებს.  
დამიტირებენ ალბათ მოყვრები.  
თქვენ დაინახავთ უშორეს სიმებს...  
გაგახსენდებით ზამთრის დღეებში?  
როცა ფიფქები დათოვლავს მინას...  
თვალს მომადევნებთ იმ თეთრ ფერებში?  
და მიღწეულად ჩამითვლით მიზანს?  
გაგახსენდებით ყოველ გაზაფხულს?  
როს არემარეს სუნი აქვს კვირტის...  
როცა სოფლებში ყანებს გადახნულს  
შეხედავს გლეხი და ლოცვას იტყვის.  
გაგახსენდებით ზაფხულის თვეში?  
როს მზის ნათება იქცევა გლოვად...  
როცა ზეციდან წამოვა თქემი  
და შეერგება მინას მირონად.  
გარდავიცვლები თქვენზე ოცნებით...  
ბოლო წუთებში წვეთსაც არ დავლევ.  
მომიგონებენ, ვიცი, მგოსნები  
და ჩემს დიდებულ ძეგლსაც დადგამენ..

## ამაღლებს შარაგზა

ნუთუ მართლა არსებობს?  
ნუთუ მართლა მოგველის?...  
იმიერი ცხოვრება, სულის უკვდავებისა...  
მოკვდავობა ხორციელ,  
არსად მარად მყოფელის...  
სრული თავისუფლება თუ როდესმე  
გვეღირსა.  
მიზნისაკენ მივდივართ, ყოველი  
დღე ბრძოლაა...  
იქეთ, სამოთხიდან კი, ჩვენ გვეძახის ადამი.  
დილის გათენება ხომ საოცარი გრძნობაა...  
არ გვიყვარდეს სიცოცხლე –  
არ ვიქნებით მართალნი!  
არ არსებობს შედეგი... ეს ცხოვრება ომია...  
ყოველი დღის ღამობა – შთაგონებით  
გამთბარი.  
წავალ ხეტილით და დედამიწას მოვიარ...  
არ ვადიდოთ სიკვდილი – არ ვიქნებით  
მართალნი!  
უნდა გავცდეთ ჰორიზონტს,  
წარმოსახვა გვიბიძგებს.  
აღარც მელანქოლიამ მოგვიცვას  
და დაგვთრგუნოს.  
მორჩილი ემოციით უთვისტომო  
გული ძგერს...  
მოაზროვნე არსება ღმერთის ნაცვლად  
სხვას უხმობს...  
უხმობს გონების სიღრმეს,  
ამოუცნობ სამყაროს,  
აღქმულს ესთეტიკურად ჰყვება  
სოფლის არაკსა,  
ცდლილობს, ასე მარტივად,  
სული სხეულს გაყაროს  
და დაადგეს ზეცისკენ ამაღლების შარაგზას.

\*\*\*

ლექსს მოგიძღვნიდი, ჩემო კარგო,  
გახსოვს? დაგპირდი...  
მე შენი ხილვის მოლოდინი მექცა ოცნებად.  
ოცნებად, რომლის მაისისთვის  
კვდება აპრილი  
და ამ მაისის გაღმერთება იწყებს მგოსნებმა.  
შენ წარმტაცი ხარ! მე არავის არ ვემონები,  
თუმცა შენზე ფიქრის ალბათობა  
მე მონად მაქცევს.  
ამ დროის წრეში ჩემში მარად განმეორდება

და ჩემს სიბნელეს შენი ცქერა  
სინათლედ აქცევს.  
შენ გაგაჩნია საოცარი თვალთა ხატება,  
რომლის განთიადს მშვენიერი ელფერი  
მოსავს,  
რომელთა ცქერით შენი არსი ჩემში ხატდება  
და რომლის სპეტაკ სადღეგრძელოს  
თვით ღმერთიც მოსვამს.  
ახლა დეკემბრის ცივი სიო გეუხეშება...  
შენ გაზაფხულის პრინცესა ხარ,  
იმ ქართა ქროლვა,  
რომელთა ძალით ეს თავნება წვიმაც თქემდება  
და რომლის ვნებით გაზაფხულის  
სურნელიც მოვა.  
შენ ზაფხულისთვის გემეტება სითბო უღვევი;  
მზე სამყაროში რამდენია?! ჩემთვის ორია...  
შენი ნათება ასაზრდოვებს  
იმ მზეს, რომელსაც  
ყოფიერების მზედ შექმნამდე გზა გაუვლია.  
შენ ეგზოტიკად გადააქცევ იმ შემოდგომას,  
რომლის ფერშიაც აფილია სულს დაიმონებს,  
რომლის განცდისთვის შემოდგომა  
შენ გისაზრდოვებს  
და რომლის სათუთ სიმფონიას მეც გავიგონებ.  
დეკემბერია... ამ სუსხიან ამინდებს ვერჩი.  
ზამთარს ვერ განდობ მე ადვილად,  
ცივია მაინც;  
თუმცა წელიწადში ერთხელ, ალბათ,  
მომტაცებს შენს თავს,  
მაგრამ ზამთარი განზილდება,  
დაათბობ რაიც...  
ლექსს მოგიძღვნიდი, ჩემო კარგო, გახსოვს?  
დაგპირდი...  
მე შენი ხილვის მოლოდინი მექცა ოცნებად.  
ოცნებად, რომლის მაისისთვის  
კვდება აპრილი  
და ამ მაისის გაღმერთება იწყებს მგოსნებმა.

## მე და ღმერთი

შენ, თვალი ფართოდ გაახილე,  
სამყაროს მწყემსო,  
ჰყავი სიკეთე და ადიდე ჩემი გენია...  
ზეცაში არის შემოქმედი, ღმერთი – იესო,  
დედამიწაზე კი უფალი გორვანელია.  
ბევრმა ეცადა, ბევრმა დაგგმო  
და ბევრმა გიცნო,  
ენამე მათთვის, უბადრუკი მოკვდავებისთვის;

ფიქრობენ ახლა, ანტიქრისტე მოვიდეს,  
 ვინძლო...  
 მაშინ, იესო თავად მოჰკლეს და  
 ნეტავ რისთვის?!  
 შური, სიკეთის ნაკლებობა, ფარული შიში...  
 მშვენივრად უნცი შენ მოკვდავთა  
 შეფარულ ფიქრებს.  
 მე, ღმერთპოეტი რომ ვინოდო, ვიცი,  
 არ მიშლი  
 და კადნიერი, მე, ამაყად,  
 ღმერთპოეტს ვირქმევ!  
 გონებით ვეძებ, უსასრულოდ ვჭვრეტ  
 ყოველ ხილულს,  
 ზეშთაგონება მეუფლება ყოვლის მომცველი;  
 ფილოსოფიით მე შევიცნობ სამყაროს  
 მიღმურს,  
 შენს წინაშე კი მე დავრჩები ისევ მლოცველი.  
 პირფარსაც ვინერ და შენს სახლშიც  
 მოვდივარ შვილად,  
 თუმცა, შენ იცი, მე არა ვარ გულით თეისტი.  
 როცა მოვდივარ, შინ არა ხარ და  
 ვდარდობ ხშირად...  
 როგორ მოვიქცე?! მე ვერ გავხდი  
 ვერც ათეისტი.  
 შემდეგ მივდივარ და სამყაროს  
 ტკივილით ვფიქრობ,  
 ჩვენთვის არა ხარ, ამას ვიტყვი და  
 ვგავარ დეისტს...  
 ცვალებადობა, ეს მირაჟი გულის  
 დარდს მიქრობს...  
 მოაზროვნენი მიწოდებენ ეულ პანთეისტს.  
 რა არის, რომ ვთქვათ, ეს სამყარო,  
 ან ჩვენ ვინა ვართ?!  
 ვინ ჩავგინერგა სააზროვნო ცნებად – ლოგოსი?!..  
 მე ასე ვფიქრობ, ჩვენ, მოკვდავნი,  
 ღმერთებსა ვგავართ...  
 ამას მე ვამბობ, მე, პოეტი, ფილოსოფოსი!  
 შენ, თვალი ფართოდ გაახილე,  
 სამყაროს მწყემსო,  
 ჰყავი სიკეთე და ადიდე ჩემი გენია...  
 ზეცაში არის შემოქმედი, ღმერთი – იესო,  
 დედამინაზე კი უფალი გორვანელია.

### ჰორიზონტი სინათლეში

მუსიკისათვის ჟღერადობა ერთი ნოტია,  
 პირველსაწყისი, სუბსტანცია,  
 დავარქვათ – ვნება.  
 შენი თვალეები უსასრულო ჰორიზონტია,

რომლის გარეშეც ეს სამყარო  
 ალბათ გაქრება.  
 შენი არსება სამყაროსთვის მოწვეულია  
 ღვთაების მიერ, რომლის  
 ძალაც ბუნებას კვებავს.  
 შენი ტუჩები ის მგზნებარე ბრონეულია,  
 რომლის სათუთი მთლიანობაც  
 ბზარებად სკდება.  
 მზის სხივებს მალა შენ ანათებ,  
 ჩემო ძვირფასო,  
 შენი ღიმილი ღმერთსა და ღრუბლებს  
 შორის დგას...  
 ერთხელ შეგრძნება ამ ღიმილის –  
 სიცოცხლედ ფასობს...  
 მარიამი რომ იღიმოდა – ქრისტეს შობისას.  
 ხარ საოცარი! როგორ ახსნას უნდა ვეცადო,  
 როცა ვერ აგხსნი, მშვენიერო,  
 ღმერთი პოეტიც...  
 არ დაქორწინდე შენს საქმროზე,  
 არ გამეცალო,  
 თორემ გაქრება სიყვარული და  
 ეს მომენტიც...

### მელანქოლია

მალე ღამდება და არ ვიცი რა მინდა ახლა,  
 მფრთხალი მუზები გამირბიან  
 ისევ ფანჯრიდან.  
 დიდ შემოქმედსაც უსაქმობით  
 დაეტყო დალლა...  
 თეთრი სიკვდილი გადაიქცა  
 ღამის აჩრდილად.  
 ფიქრია ყველგან, ფიქრია და არ არის  
 სხვა გზა...  
 სიმფონიებად დაიღვარა ჩვენი მოცარტიც.  
 არაყს მივირთმევ, ამ სასმელმა  
 გონება გახსნა  
 და სანამ ტყვიას დავიხლიდე  
 ვითვლი ოცამდის.  
 მძაფრი სუნია, სიგარეტის  
 კვამლი მანუხებს,  
 ფანჯრიდან ვხედავ მოფარფატებს  
 თეთრი თოლია...  
 ასე მდუმარედ, გაშმაგებულ,  
 ვიხსნი მარწუხებს  
 და თან მთავრდება ეს ტანჯული  
 მელანქოლია.

სარკმლიდან ღმერთად შემოგზავნილ  
მზის სხივებს ვკოცნი...  
ხეივანებში მოფენილი შავი თოვლია...  
ამ ციფრთა მშვიდი სიმფონია –  
ცხრამეტი, ოცი...  
ეჭვი, დასრულდი, შენ, წყეულო  
მელანქოლიავ!

## მათა კანკაჰა

### წმინდა გზებით ვიაროთ!

სინმინდე, სისპეტაკე თოვლის მინდა,  
უკვე დამავინყა შიშმა შიში,  
დარდმა ნელი ცეცხლი წამიკიდა,  
ჭაპანს ძლივს ვენევი ვაი-ვიშით.  
ისე უღიმღამოდ ფეთქავს გული,  
თითქოსდა პულსი მაქვს დაკარგული?  
ნეტავ, სად ხარ, სულო დანერგული,  
მხურვალე განცდებით დაქარგული.  
შენი მონატრება ისე მბარდნის,  
მკერდი შევახიო ლამის დანას...  
სულო მშფოთვარეო, დამინყნარდი,  
მაინც რა ცეცხლი გწვავს ამისთანა?!  
ო, ნუთუ სინმინდე გვიქრება?  
ო, ნუთუ სიმართლე ჭორია?!  
ჩემამდე მოგიყვანონ ფიქრებმა,  
ჩემამდე – არც ისე შორია.  
თვალში მიბრიალებს ცისკრის ალი,  
სულშიაც უცნაურს ვგრძნობ ნათებას,  
ნეტავ გადმომესხას მეც ღვთის წყალი,  
ქცეულ ვარ თავად უფლის ხატებად.  
მორჩა აღარ დამრჩა მეტი ღონე,  
შორს ჩემგან ეშმაკის ზიარო!...  
გონს მოდით, ყოველმან გამიგონეთ,  
ცხოვრების წმინდა გზებით ვიაროთ.

### იცი, რომ მიყვარხარ!

რასაკვირველია – დღესაც მომენატრე,  
შენი სურნელი აქვს ირგვლივ არე-მარეს...  
ქუჩის მოსახვევთან ისევ მომელანდე,  
მაგრამ, სამწუხაროდ, უცბად დამემალე.  
არა, არ მითხრა, რომ მორჩა ყველაფერი,  
მომეყვავილე და გრძნობა დამიამე,  
ღიმი მომანათე სხივით შენაფერი,  
რათა არ ჩამოწვეს გულში ბნელი ღამე.

ეგზომ შენით ვხარობ, შენით მიდგას სული,  
ასჯერ რომ გაკოცო, მაინც პირველია...  
იცი, რომ მიყვარხარ დიდი სიყვარულით,  
თავდავინყებამდე – რასაკვირველია.

\*\*\*

ბნედამ დამიარა კოჭებიდან,  
გიჟი ვარ ფიქრებით დახაფხული,  
ამასწინ, ამდენი კოჭლებიდან  
ქალი ავარჩიე გაზაფხული.  
სურნელით მოჭგავდა ყაყაჩოს,  
თვალეები ნახატი, გიშირს,  
ხანდახან მინდა რომ დავახრჩო  
ქალებთან სიარულს მიშლის.  
ქალო, საიდან მოხვედი?  
არსად ნახვიდე, გაჩერდი,  
თუ ჩემთან არა არ მოხვალ —  
სიზმრებად მაინც დამჩემდი.  
მორცხვი ღიმილი გიხდება,  
თვალეებში გიჩანს იმედი,  
არა! არასდროს გაგიშვებ,  
თუკი იქამდე მივედი —  
სადამდეც ვიცი შენც მოხვალ,  
მაჯაც დაინყებს ფეთქვას,  
მიყვარხარ!  
ერთხელ კი არა  
ათასჯერ უნდა მეთქვა.  
მიყვარს მაგ თვალეებზე ფიქრი,  
გოგო! ღიმილი გიხდება...  
ფიქრში გკოცნი და მივქრი —  
სანამდე ვინმე მიხვდება.  
ნეტავ მოსულხარ საიდან,  
არც როს წასულხარ, გაჩერდი,  
ცხადში თუ არა არ გინდა,  
სიზმრებშიც მაინც დამჩემდი.  
ბნედამ დამიარა კოჭებიდან,  
გიჟს ვგავარ ფიქრებით დაზაფრულს,  
ნელ-ნელა უკვე ვკოჭლდები და  
მე მონატრებით ვუცდი გაზაფხულს.

\*\*\*

ვერ ვეფარები მაგ ლამაზ კალთას,  
მასველებს წვიმა ამბორის, თქეში  
კარგო, გაგიმხელ და გეტყვი მართალს —  
სულ მალე შენი დაკარგვა შემშლის.  
ცაზე მომწყდარი უფლის ღილივით

მკერდს მომხვდი, დამრჩა ნაიარვეი...  
ადრე მიკრავდი გულში ჩვილივით,  
დღეს კი უშენოდ დავიარევი.  
ალარც ცრემლი მაქვს, არარც ნუგეში,  
ოცნება იყავ და ნატვრა დიდი...  
შენი სურნელით მიდევეს უბეში,  
რომ მოხვიდოდი – ამაოდ ვთვლიდი  
ვერ ვეფერები მაგ ლამაზ კალთას  
გიგონებ, ცრემლის დამდის ღვარები...  
კოცნა მსურს მაგ შენ მშვენიერ თვალთა,  
და სიკვდილამდე, მწამს მეყვარები.

## თათია არაბიძა

\*\*\*

მიმიღე ასეთი!  
ანი მე რა შემცვლის,  
ანი მე რა გამზრდის  
რა დამაფრთხიანებს?!  
უფერულ კედლებზე დაკიდე აზრი და...  
იმას შეეჩვიე რაც გალიზიანებს!  
გონებას ურჩიე — შეაბას უღელი,  
უმნიკვლო ფრთებიდან დაყაროს დიდება.  
ისედაც გალენილ ფოთლების ხმაურში  
ჩემი სიამყე დაღლილი იქნება.  
მიმიღე ასეთი!  
ანი მე რა შემცვლის?!  
და დავთმობ ყველაფერს  
რაც ღვთისგან მივიღე...  
ანი რა გარდამქმნის უფერულ კედლებში?  
გაშალე მხრები და ასეთი მიმიღე!

\*\*\*

ატმის ყვავილში დარჩენია გვირგვინი სიოს,  
გაზაფხულივით შემოიჭრა ჩემში ფიქრები.  
მე შეგპირდები დაუღეველ  
გრძნობებით ტრფიალს  
და სამუდამოდ მაგ თვალების მონა ვიქნები.  
შემრცხვება ჩემი დავივიწყებ  
როდესაც ყველას  
მხოლოდ გრძნობებით დავიოკებ  
დანაკლისს გულში  
ატმის ყვავილებს ჩავჩურჩულებ –  
მიყვარს და რა ვქნა?  
უკანვე მეტყვი – არ გჭირდება  
ხვალე და გუშინ...

დღეს არის შენი, გაუმხილე  
გრძნობები დროზე,  
უთხარი ისე, რომ დარჩენა მოუნდეს ხვალაც!  
თვალეებს უყურე, შეიპყარი მზერა მეტყველი,  
გულს მოუსმინე, არ მოეშვა არამც  
და არამც!

ჰოდა! მეც გეტყვი...  
დღეს მიყვარხარ! როგორც არასდროს,  
გადარეულმა ამ გრძნობებით სტარტიც ავიღე.  
დღეს, რომ აქ ვდგავარ და სიყვარულს  
გიხსნი საჯაროდ  
გემუდარები, უმადლოდ ატმის ყვავილებს!

\*\*\*

ქუფრმა დაიძინა  
მთვარის ქვეშაგებზე  
დარდზე იხალისეს  
გრძნობებმა.  
ფიქრმა მოიარა მთელი  
სამყარო და...  
ბოლოს თავის თავში  
მოგძებნა.  
წყენას შეჩვეული  
მრავლად იარები,  
თითქოს ჩემი სულის  
სარკეა.  
მაგრამ დათმობა თუ  
საჭიროა,  
ჩემი სიამაყეც საქმეა!...

\*\*\*

...როცა მთავრდება ერთი იმედი  
იქვე, ახალი გზები იწყება,  
იქნებ წლებს მიაქვს ყველა სიზმარი  
ანდა უბრალოდ, მე მავინყდება...  
გულში ნაღველსაც აღარ მიტოვებ  
ჩვენში, იმხელა ფარდა დაუშვი.  
ალარც ლოდინი მიჭირავს კუდით  
გაღმა ნაპირას ისიც გავუშვი...  
შენი ბრალია მიწა რომ გასკდა  
დამლუპველ სურვილს უსისხლოდ ენდე  
მფიცავ! მინდოდა რალაცა მეტქვა  
თუმცა, სიტყვები ვერ გავიმეტე!!!  
ალარც სიმშვიდე დაირღვა ჩემში,  
რომ დავგათენდა არც ის გითხარი,  
შენი ბრალია, რომ ველარ გხედავ  
ანდა უბრალოდ, რომ ვერ გიცანი!!!..

\*\*\*

არ დაუჯერო არცერთ ტყუილს  
მე შენი მქვია!...  
სწორედ იმ ქარბუქს გამოვყევი  
რომ მოსწყდა ზვარებს,  
არ დაიჯერო არ მიყვარდე  
თითქოს ძალიან...  
ისე, უბრალოდ არ რეკავენ  
ტაძრებში ზარებს!  
მინამ უდაბნოს სამუდამო  
ტრფიალი მომცა...  
შენთვის მოვურთე იმ რაშებსაც  
თეთრი ლაგამი  
ნალებად ჩემო, ავუჭედე  
ჩემი ცხოვრება,  
დაე! ტრამალებს დაუარონ  
თავის ამალით...  
დაე! ათასჯერ მოინდომონ  
განმეორება,  
დალაშქრონ ცაზე რიჟრაჟები  
მინას... ლოდები  
არ დაიჯერო, არ ვაქრობდე ღამით  
კაბადონს,  
არ დაიჯერო, რომ  
მღერიან მხოლოდ ლოთები...  
მე შენი მქვია!  
ვარსკვლავების ცეცხლშია ზეცა  
ახლა ჩემში ვგრძნობ შემოდგომის  
ყვითელ სიმტკიცეს...  
მანაც „სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი“  
დაბადებიდან თითქოს მუდამ  
ერთს, რომ იფიცებ...  
ახლა მჭირდები ისე, როგორც  
არსად, არასდროს...  
შენსკენ იმ ქარბუქს გამოვყევი  
რომ მოსწყდა ზვარებს...  
ღრუბლებს ახედე, შეუმოსავთ  
რუხი ქიტონი,  
თურმე, შემთხვევით არ რეკავენ  
ტაძრებში ზარებს!...

### შენი სინანული...

გამილე კარი!  
მოგონებად უნდა მოვიდე.  
აგინთო სულში  
ჯერაც კიდევ უქრობი ალი...  
კარი გამილე!

შემოვიდე უნდა ბინდიდან  
და კიდევ ერთხელ გადაგავლო  
ცოდვილო თვალი!...  
ტკივილი გაქრა,  
მიემალა ფასადურ ღიმილს.  
ალარ დასტირის წარსულიდან  
ამოღვირვლ განცდებს.  
ტკივილად გაქრი,  
ულამაზოდ მექეცი გონში.  
უკვე სურნელი ალარ ასდის  
მაშინდელ ვარდებს.  
გახსენი სახე!  
სინანული გეწვია კართან.  
ღამის თენებად გადაგექცა  
წარსულის ლანდი.  
ნუ გაგიკვირდა...  
სიზმარი ვარ?  
თუ გინდა ვიყო,  
ნუ გერიდება...  
მე შენი ვარ, უღვევი დარდი!...  
შემიპატიჟე!  
რამ დაგთრგუნა ასე უეცრად,  
არ მითხოვია დამიბრუნო  
წარსულის ვალი.  
კარი გამილე!  
შემოვიდე უნდა ბინდიდან  
და კიდევ ერთხელ გადაგავლო  
ცოდვილო, თვალი!....

\*\*\*

რალაც შორეულს ვეტანები  
გამოუცნობელს,  
ლურჯ კამარაზე  
შავ ღრუბლების გლოვა მაშინებს.  
ხელს თუ გაუშვებს ბედისწერა  
სულში დამარხულს,  
ალბათ უკუნითს გააღვიძებს  
დრონი მაშინვე...  
გაშლილ იალქანს ჩაემსხვრევა  
ფრთების სარკაზმი.  
სისხლი დაშრება, შემოანგრევს  
ნათელ გაღავნებს.  
ვმარხავ კვირტებში უსამართლო განცდებს  
ნალამურს,  
და მერე აზრიც აღარა აქვს  
რალაც სტრიქონებს...  
თვალეში მოსჩანს უძინარი

ლოდინი მკვეთრად,  
სიტყვებში აზრებს დაეკარგათ  
სურნელი ნაზი.  
ახლა არც ზღვაა ისე კარგი  
ალარც მდინარე  
ახლა უშნო სჩანს ყველაფერი  
უნინ ლამაზი...  
ვერ მოიშალეს ყვავ-ყორნებმა  
ენის ჭარტალი,  
გადაუშლელი ცხოვრებიდან  
აგლეჯენ ფურცლებს.  
გადაიხვეწე უღრანობავ  
სადაც ომია...  
გადაიხვეწე!  
სამუდამოდ გაიძღვებ მუცელს...  
ქრება ნათელი  
შუალამე თითქოს ახლოა  
თითქოს ახლოა  
გარდუვალი ნუთი ბეჩავი.  
მომაკვდავ ძალას  
დასასრულის ბედი ანაღვლებს  
...და სადღაც,მალლა  
წერტილს უსვამს ამბავს  
მბეჭდავი!....

\*\*\*

დამთვრალ ბილიკებზე ვივლი ხელგანვდილი  
სულში გამოლულ გრძნობას ვიმთხვავებ,  
მონყალების ფასად შექმნილ შთაგონებას...  
...მერე ავკინძავ და ერთად გისახსოვრებ!  
მინას გადავუგდებ სხეულს,ცის ქვეშეთში  
თმებზე თავსხმა გლოვის ალი მომედება.  
ცრემლებს ვერ შეამჩნევს ბედის კამათელი  
მაინც,როგორც უნდა ისე გაგორდება.  
წავალ,ვიმათხოვრებ შენთვის, გეფიცები  
ლამეს ვიმათხოვრებ,სუნთქვას დაუსრულოს  
ბნელში ამოვივლი დამსკდარ ბილიკებზე  
ერთი სურვილი,რომ მაინც აგისრულო...  
გლოვას გადავხლართავ მარტის ამინდებში,  
შავად გადავმოსავ მტირალ აგონიას.  
მერე ახალ-ახალ სუნთქვის აკორდებზე  
შენთვის არ ვიმღერო,რალაც არ მგონია....  
წავალ,ვიმათხოვრებ დამჭკნარ ყვავილებში  
სიტყვებს ავაშენებ შენთვის არაფრისგან...  
თუმცა გრძნობით სავსე, როცა დავბრუნდები  
გულში ჩამიკარი, არსად არ გამიშვა...

მინას არ ვალირსებ სხეულს აღარასდროს,  
და იმ კამათელსაც თავად გავაგორებ,  
შენს მკერდს გამოკრული,ყველა სილამაზეს  
ჩვენი სიყვარულის, ერთად მოგაგონებ!...  
დამთვრალ ბილიკებზე,ვივლი ხელგანვდილი  
სულში გამოლულ გრძნობას ვიმთხვავებ,  
მონყალების ფასად შექმნილ შთაგონებას...  
...მერე ავკინძავ და ერთად გისახსოვრებ!

## მიყვარხარ!

მიყვარხარ,  
მიყვარხარ,  
მიყვარხარ ძალიან!...  
მიყვარხარ უმიზნოდ... უდაოდ...  
მთლიანად...  
მიყვარხარ ამ სახით, ამ გულით, ამ ენით...  
მიყვარხარ სწორედ შენ,  
ამ ადამიანად!...  
უშენოდ არ მინდა არასდროს არცერთი,  
არ მინდა არასდროს მთვარესთან თენება,  
არცერთი ყვავილის,  
არცერთი სათუთი,  
ლამაზი, ფერადი დღეების ფერება!...  
თვალეები გხედავენ და ბედნიერებით...  
აღვსილნი სწორედაც იმავ დროს არიან.  
არ ვიცი ვისჯები, თუ ...  
ჯილდო მელირსა,  
უბრალოდ მიყვარხარ,  
მიყვარხარ ძალიან!..

## თათია გიორგაძე

### იყო გაზაფხული

იყო გაზაფხული, მაგრამ გამინვიმდა,  
ციდან მომეველინა ფიქრი მოელვარე,  
ჩუმი ოცნებები სადღაც გამეფანტა,  
მუქი შემოდგომა, ვიცი, მოვა მალე...  
ვპოვე რიტმები და ვპოვე ვარსკვლავთცვენა,  
ბევრჯერ გაცრეცილი ლექსიც მიწერია,  
რაც მე არ მტოვებს და რაც მე თან დამყვება,  
ჩემი სევდიანი მკრთალი სიზმრებია...  
იყო ოცნებები და ვერ ავისრულე,  
იყო ზამთარი და თოვლმა გამამხნევა,  
იყო მოლოდინი, მაგრამ მივატოვე,  
ჩემმა ფიქრებმა კი დღესაც დამატყვევა.

\*\*\*

გაზაფხულია... ნაირფერ თოვლის  
თვალს მჭრის სინათლე, რიალი ფერთა...  
ქალი მალულად სიყვარულს ითხოვს  
და გულიც თითქოს უჩუმრად ფეთქავს.  
გაზაფხულია... გრძნობები თბება,  
სულსაც ყვავილთა სურნელი ათრობს,  
ქალი – ოცნებით დაღლილი ქალი,  
წრფელ, უანგარო სიყვარულს ნატრობს.  
გაზაფხულია... ინატრე რაც გსურს  
გულს არ დაგწყვეტენ ლურჯი იები...  
მოდის, დღეს მაინც ნუ უცქერ წარსულს  
თვალცრემლიანი, შურისძიებით.  
გაზაფხულია მართლაც ზღაპრული,  
ეს განთიადიც მაგონებს ლოცვას...  
ქალი – ფიქრებში წასული ქალი  
ღვთისმშობელს მოჰგავს – ილიმის როცა.  
გაზაფხულია... და ახლა სულ სხვა,  
სულ სხვა იმედი იღვიძებს გულში,  
რაც მთავარია – დღეს ვილაც გათბობს,  
მერე რა? – თუკი გციოდა გუშინ.  
ქალს სიყვარულიც გულწრფელი აქვსო, –  
ჩუმი გრძნობებით ევსება გული.  
დღესაც მაკვირვებს ეს ჩემი ბოდვა,  
მაგრამ ვენდობი უხმოდ სტრიქონებს...  
ქალი – ძალიან ლამაზი ქალი  
ზის და მის წარსულს მშვიდად იგონებს.

### დროზე შემაშველ ხელი

შენ ხარ სიხარულის წყარო,  
სულში ჩაგახედო მინდა,  
სადაც გვირილები ხარობს,  
როგორც ოცნებები წმინდა.  
ფეთქავს გაზაფხული, მიყვარს  
სულ მთლად ძალაში რომ შევა...  
ველარ მოვერიე გრძნობებს  
და კვლავ შენზე ფიქრის ტყვე ვარ.  
სულ სხვა შემოდგომა მინდა –  
მზე რომ სხივებს უხვად წყალობს...  
ისე, ვით გალიის ჩიტი,  
ვგალობ, მე თავისთვის ვგალობ.  
სულის სიმშვიდე რომ ვპოვო –  
გულით შენ მოგენდე, ღმერთო,  
მავსებ ყოველი დღის რწმენით,  
მზრდი და მაძლიერებ ერთობ.

ფიქრი მასულდგმულებს წმინდა,  
ყველა ოცნება მაქვს წრფელი,  
რადგან უშენობა მტანჯავს  
დროზე შემაშველ ხელი.

\*\*\*

მორღვეულია ფიქრის სათავე,  
ავდევნებივარ ქარიშხლებს სიო...  
ვერ შევედრები, ვიცი, რუსთაველს,  
ვერ შევედრები ვერც გალაკტიონს...  
უბრალოდ – ჩემი სამყარო მათბობს  
და საკენკივით რითმებს დავეძებ,  
ფიქრით დაქანცულს მინდა ვედრებით  
უფლის წინაშე მუხლზე დავეცე.  
ალტკინებული დედაბუნებით  
ჩუმი ოცნების ცქერში ვეშვებით  
მსურს – უკვდავების წყარო ანკარა  
რომ კვლავც შეასვა სავსე პეშვებით.  
თუკი ზამთარი სულში ჩასახლდა  
და გაზაფხულის მოსვლას არ ელი,  
მაშინ ამ ტკივილს და გაფითრებას  
ვერ განიქარვებ გაუხარელი.  
მე უფლის მადლით დღემდე მოვედი  
და უფლის მადლით ვუცქერ მომავალს,  
შენზე ფიქრის და დარდის ბრაღია —  
გულსევდიანი დღემდე რომა ვარ.  
ვერ გავექეცი ზამთრის სუსხსა და  
არც გაზაფხულის სითბო დამეძებს,  
და მოგონება მწარე წარსულის  
ცრემლად მკიდია სველ წამწამებზე.



## სოფელი ქულუსი

უძველესი სოფელია ვანის რაიონში (მუნიციპალიტეტში), ანტიკურ პერიოდში რიგ სოფლებთან – მთისძირთან, ყუმურთან, გადიდთან, სულორთან, რომანეთ-უხუთთან ერთად ქმნიდა ანტიკური ქალაქის სამეურნეო არეალს და როგორც ჩანს, ჩართული იყო აქტიურ საქმიანობაში. ამის დამატებით მტკიცებულებად შეიძლება მიჩნეული იქნას რამდენიმე ფაქტი: 1953 წელს ძულუხის მომიჯნავე სოფელ რომანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნა ბრინჯაოს ზოდები (აღმოაჩინეს კოლმეურნეებმა შრომის პროცესში, თუმცა პროცესის შემდეგი კვლევა არ განხორციელებულა). ცოტა მოგვაიენბით ძულუხის, ე.წ. ნაეკლესიევის ტერიტორიაზე შემთხვევით იპოვეს ასევე ბრინჯაოს ზოდები (როგორც ჩანს ეს მოხდა არაღლეგალური ფორმით) თუ ჩავთვლით, რომ სოფლები რომანეთი, ძულუხი და სულორის ზედა (სამხრეთ-აღმოსავლეთის) ნაწილები, კონკრეტულად საკაკილე (საკაკლია) სადაც აღმოჩენილია ანტიკური ხანის მნიშვნელოვანი ექსპონატები ტერიტორიულად ახლო სამოქმედო სივრცეს წარმოადგენენ, როგორც ჩანს ამ სოფელთა ადრინდელი მოსახლეობა იცნობდა ბრინჯაოს მოპოვებისა და გამოსაყენებელ თვისებებს, მითუმეტეს ვანის გათხრებზე უამრავი ფორმითაა ნაპოვნი ბრინჯაოს იარაღები და საყოფაცხოვრებო ნივთებიც. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სოფ. ძულუხის რომანეთის, სულორის მითითებული ტერიტორიები ნამდვილად წარმოადგენდა ვანის, როგორც უძველესი ქალაქის სამეურნეო მოქმედების სივრცეს.

სოფელი ძულუხი ტერიტორიალურად მდებარეობს რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მოსახლეობა განლაგებულია 350-420 მეტრზე ზღვის დონიდან. ქალაქ ვანიდან (ცენტრიდან) დაშორებულია 15 კილომეტრით. უახლესი რკინიგზის სადგურიდან, სამტრდიიდან 37 კილომეტრით, შავიზღვის აკვატორიიდან 105 კილომეტრით.

ძულუხს ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება სოფელი რომანეთი, ჩრდილოეთით სოფელი ბზვანი, სამხრეთ-დასავლეთის ნაწილზე გადის სოფელ სულორის საზღვარი, ამალღებულ მთიან ზონაში მას სოფელ სულორისგან (ძველი დვალიშვილების თემი) გამოჰყოფს მდინარე სულორი, რომელიც სათავეს იღებს საბულრაოს მთებიდან და მთელს პერიმეტრზე, ვიდრე სოფელ სულორის, ასევე მაღალმთიან ზონებში გარკვეულ მონაკვეთზე გაედინება ძულუხის ტერიტორიაზე (მისი მარცხენა-მარჯვენა სანაპირო ზოლი შედიოდა ძულუხის კოლმეურნეობის ტერიტორიაში და ოდითგანვე, ყოველ შემთხვევაში, სოფელ ძულუხში ხურციძეთა გვარის ჩამოსახლების შემდეგ წარმოადგენდა ამ გვარის მეცხოველეობის საძოვრებს, აქვე განლაგებული იყო მათი ბინებიც, რომელთა ნაშთებიც შემორჩენილი იყო XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლომდე.

სოფლის აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ ნაწილი მკვეთრადაა გამოყოფილი რომანეთსა და სოფელ ბზვანისაგან მდინარე ძულუხურას მიერ, რომელიც სოფლის სახელის მატარებელია. სათავეს იღებს საქორესა და ნახიზარევის მთებში (მესხეთ-ჯავახეთის მთათა სისტემა) სოფელში ჩაედინება მცირე მდინარე შაშხაპი, რომელიც სოფელ სულორს თათვიძეების უბანში გამიჯნავს ძულუხისაგან და ჩაერთვის მდინარე სულორს. მდინარეთა სისტემისაგან სოფელი ღარიბია, ჩაედინება მრავლადაც ლეღეები, რომლებიც საშიშია ძლიერი წვიმების დროს. ძულუხი მდიდარია წყაროებით, და განსაკუთრებულად მეზობელ სოფელთა შორისაც ცნობილია „ჯემტერას წყარო“, იგი მუდამ ერთ დონეზე დგას, სუფთაა ნალექებისა და მინარეგებისაგან. მდებარეობს ძულუხი-რომანეთი-საპრასია-უხუთის შემაერთებელ გზასთან და ამ გზაზე ფეხით მოსიარულეთათვის წარმოადგენდა წყურვილის განელეების საშუალებას. ტოპონიმი „ჯემტერა“ (დღეს რატომღაც მას „ჯეირნის წყაროს“ უწოდებენ, რაც არასწორია, ვიდრე ტოპონიმი ზუსტად არაა დადგენილი, უმჯობესია მას იცნობდნენ იმ სახელით, რომლითაც საუკუნეთა მიღმა იყო ცნობილი) და არც არავის აქვს უფლება საუკუნეთა მიღმა შერქმეული სახელი ტოპონიმი თვითნებურად ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ცვალოს. ჩვენი აზრით უნდა უკავშირდებოდეს მეგრულ-ზანურ სიტყვათა „სისტემას“, რადგან ვანის რაიონში უამრავი ტოპონიმია

ასეთი წარმოშობის და იგი განისაზღვრება გარკვეული ისტორიული პერიოდითა და გავლენით. მაგალითად დინაშხო, ძულუხურა, ლელასკურა, ოლასკურა, გადიდი, ონჯოხეთი, ყუმური და ა.შ. ჯემტერა შეიძლება ასე გაიშიფროს — ჯა-ჯე-ხე, სქურა-სკურა-წყალი-ჯემტერა-ჯისკურა-ხის წყალი ან წყალი ხეში. წინაპართა გადმოცემით წყაროს ჰქონდა ხის სარკოფაგი, აუზი, რომელზედაც მიერთებული იყო ღარი და აქედან სარგებლობდნენ ადგილობრივი მცხოვრებლებიც და გამვლელი მგზავრებიც. შემდგომ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან აქ აუგიათ პურის საცხობი ფურნე და ამ დროიდან წყაროც მოუქცევიათ გათლილი ქვების აუზში, ასევე ღარით. ფურნეს მუშაობა შეუწყვეტია მეორე მსოფლიო (დიდი სამამულო) ომის დროს. მისი აღდგენა მოხდა 1960-1961 წლებში და ხანგრძლივად ემსახურებოდა სოფელს, ხოლო XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში უბნის მცხოვრებლებმა — ჯემალ და ანზორ ხურციციების ხელმძღვანელობით მისთვის ააგეს ახალი აუზი, რომლითაც დღეს სარგებლობენ ადამიანები. ჯემტერა-ჯესკურა სიტყვათა ტრანსფორმაციის შედეგად უნდა იყოს მიღებული, რაც იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენს. ამდენად, ვიდრე ტოპონიმს ზუსტი განმარტება მოეძებნება უმჯობესია დარჩეს ისეთად, როგორაც მას ხალხი იცნობს.

რაც შეეხება სოფლის სახელწოდებას ძულუხი – ტოპონიმი აუხსენელია, არც სულხან-საბას, არც ჩუბინაშვილის ლექსიკონებში ასეთი სიტყვა არ ჩანს. სავარაუდოდ დახრა შეიძლება გაკეთდეს სიტყვა „კულუხზე“, რაც ყურძნით, საბატონო ბეგარის გადამხდელ გლეხებს ან გლეხთა დასახლებას ნიშნავს (ეს სიტყვა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიცაა შეტანილი). თანამედროვე განმარტებით „კულუხი“ – გლეხის ვენახზე დაწესებული ფეოდალური გადასახადი, იხდიდნენ ღვინით. „კულუხის“ გადახდა ხდებოდა ვენახის ფართის მოსავლის ან გლეხის შეძლების მიხედვით... XIX საუკუნიდან მიწის ფეოდალური საკუთრების მოშლასთან ერთად კულუხს არსებობა შეუწყდა, სავარაუდოა, რომ ასეთი კატეგორიის გლეხებით დასახლებას „კულუხი“ უწოდეს. ეს მოსაზრება შეიძლება რეალობასთან ახლოს იდგას თუ ჩავთვლით, რომ ადრეულ პერიოდში სოფლის წამყვან კულტურას ვაზი (ვენახი) წარმოადგენდა და პრესტიჟულიც იყო. მიუხედავად ამისა, რომ სოფელი მთიან ზონას მიეკუთვნება, ვაზი მასიურად გაშენებული იყო საკარმიდამო ნაკვეთებში ზღვის დონიდან 600-650 მეტრიან ზოლშიც (მაგალითად გორმალალი), წამყვან სახეობას წარმოადგენდა ცოლიკაური, ციცქა და ტარხუნა, უფრო მოგვიანებით შედარებით მდარე ხარისხის ადესა, რომლის ნაშთებიც XX საუკუნის 60-70 წლებამდეც იყო დარჩენილი იასებურის (იასეულის?) მიდამოებში, კილანჯაურში (კილანჯვარში) ყურძნის ყველა სახეობა მოვლილიც იყო და მოსავალსაც უხვად იღებდნენ და საგულისხმოა ერთი ფაქტიც, როგორც ჩანს კლიმატური და ნიადაგობრივი პირობებისა და ჰავის გამოც ვანის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ სოფლებში: ყუმურში, გადიდში, სულორში, ძულუხში, რომანეთი-საპრასია-უხუთში იზაბელას (ადესას) აქვს განსაკუთრებული გემო, არომატი და ფერი, ვიდრე ბარის ზონაში მოწეულ მსგავსი ჯიშის ყურძენსა და ღვინოს. ამდენად, ვარაუდის დაშვება ნამდვილად შეიძლება იმაზე, რომ აქაური გლეხობა საბატონო ბეგარას იხდიდნენ მხოლოდ ღვინით და მატერიალური ბაზაც უწყებოდათ ხელს. დასტურად შეიძლება დავიმოწმოთ მთელ რიგ ოჯახებში დღემდე შემორჩენილი ჭურ-მარნები და ის საშუალებები, რომელიც ღვინის დაყენებისათვის წარმოადგენდა აუცილებლობას (ჭაჭის სანური ხისგან დამზადებული დიდი ტაფები, სანრიაპები, სპეციალურად დამზადებული ქვები, რომელსაც ჭაჭის დაწურვისას იყენებდნენ და ა.შ) ვფიქრობთ, სოფლის ტოპონიმზე ასეთ ვარაუდს აზრი აქვს მანამ, სანამ უფრო სხვა ხელშესახები და სწორი განმარტება მიგნებული არაა.

ძულუხი, როგორც ჩანს ადრეულ საუკუნეებში დიდაზნაურის ქვაბულიძეთა მფლობელობაში შედიოდა, ხოლო მას შემდეგ რაც ვანის რაიონის სივრცეში საცხოვრებლად გადმოვიდნენ ჩიჯავაძენი, სოფელი მათ მფლობელობაშია და დამონმებულია არაერთი ისტორიული წყაროს მიერ, საკითხზე კონკრეტულად განმარტება გაკეთებული აქვს კრავეიჩის: „Страна к востоку от Саджавахо до верхних частей Романети и Дзулухи известно под именем Сачино. Далее востока до персодских гор И Р. Корицкали лежит Саеристо“<sup>1</sup> — ქართულად: (ქვეყანა) მხარე აღმოსავლეთით საჯავახოდან რომანეთსა და ძულუხის ზედა ნაწილებამდე ცნობილია საჩინოს სახ-

ელით, შემდეგ აღმოსავლეთით ფერსათის მთებსა და კორისწყლამდე მდებარეობს საერისთაო“. ძულუხის ზედა ნაწილში უნდა იგულისხმებოდეს მელოურის ციხის მაშინდელი დასახლება, კილანჯაურის (კილანჯვარის) დასახლებანი და შესაძლებელია დღევანდელი ნაეკლესიების ტერიტორია (ზღვის დონიდან დაახლოებით 800-1000 მეტრზე), სადაც შემორჩენილია ძველი ეკლესიის ნაშთები. კრეავიჩის აღწერილობა ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც საქართველო მოქცეულია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ უფრო ადრე ჩიჯავაძეთა სათავადოს დანაწევრება მოხდა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში იმერეთის მეფის ალექსანდრე V მიერ გატარებული ღონისძიებებით, რის შემდეგაც ალექსანდრე V ძმამ მამუკა ბატონიშვილმა დაიპყრო საჩიჯავაძეო (1734-1735 წ.წ.) და როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს „შემდგომად მოადგა მამუკა ციხესა ბეჟან ჩიჯავაძისა და მოპარვით აღილო ციხე სებეკა, მერე აილო ციხე ბეჟანის და დაიპყრო საჩიჯავაძეო მამუკამ“,<sup>2</sup> როგორც მკვლევარი ოლღა სოსელია გიულდენშტედტზე დაყრდნობით ასკვნის ეს სათავადო ამ დროისათვის არ არსებობს და მისი გაუქმება იმერეთის მეფის ალექსანდრე V ადმინისტრაციული ღონისძიებების შედეგია,<sup>3</sup> უფრო გვიან „სოლომონ I მეფობაში ჩიჯავაძეებს ჩამორთმეული აქვთ მათი საგვარეულო სამფლობელო საჩინოს მხარე და ის მეფეს უჭირავს“.<sup>4</sup> მეფეთა მიერ გატარებულ ასეთ ღონისძიებათა შედეგად მაშინდელი საჩინოს (დღევანდელი რაიონის) აღმოსავლეთ მხარეს მეფის ალექსანდრე V გადაწყვეტილებით დაეუფლნენ რაჭის ერისთავთა ერთი შტოს წარმომადგენლები. აღნიშნულ მხარეს ცალკე გამოჰყოფს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნევრი, გერმანელი მოგზაური ი. ა. გიულდენშტედტიც, რომელიც დღევანდელი რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ მალაღმთიან დასახლებას „ფთის ცახლს“ (სახლი მთაზე) უწოდებს და მასში ასახელებს შემდეგ სოფლებს: „მხარე საერისთაო მდებარეობს წინა მხარის აღმოსავლეთის მთის ძირას მდინარე კუნიაზე, მისი სოფლებია: ამაღლება (თუმცა ამ სოფლის ნაწილს ფლობდნენ ჩიჯავაძენიც – ო. კ.), სადემეტრეო (დღ. წითელხევი), სალომინოვო, ნასაგორევი, ბაბოთი, გორა, სვანი (ბზვანი), ოკუთი (უხუთი), რომანეთი, გორმალაი, ინაშაური და დანგრეული ციხე „პადალაური“ მდინარე კუნიაზე მთაში ეს მხარე ეკუთვნის რაჭის ერისთავს“... ჩვენ დაგვჭირდება ყურადღების გამახვილება „გორმალალსა“ და „პადალაურზე“.

გორმალალი – ამ სახელწოდებაში უნდა მოიაზრებოდეს სოფელი ძულუხიც, რადგანაც ეს სოფელი აღწერილი და უფრო ადრეულ პერიოდშიც შედგებოდა ორი დასახლებისაგან: ძულუხი, სადაც ამჟამინდელი სოფელია განლაგებული და გორმალალი (სოფელი-დასახლება), რომელიც მელოურის ქედის თხემიდან იწყებოდა (მდინარე ძულუხურას მარჯვენა სანაპირო) და გრძელდებოდა კილანჯაურის (კილანჯვარის) გავლით ე.წ. ნაეკლესიევამდე. სახლობდნენ უმეტესად ხელაძეთა და ხურციძეთა გვარის წარმომადგენლები, რომლებიც ჩამოსახლებას იწყებენ მდინარე ძულუხურას მარჯვენა-მარცხენა სანაპიროზე და გრძელდებოდა XX საუკუნის 50-იან წლებამდე. ამასთან ხსენებული ავტორი რომანეთს, ინაშაურსა და გორმალალს ასახელებს თანამიმდევრულად, რაც მათ ტერიტორიულ მოსაზღვრეობასაც ადასტურებს.

პადალაური – „დანგრეული ციხე პადალაური“ გაურკვეველი სახელწოდებაა, როგორც წიგნის სარედაქციო შესავალშია მითითებული ზოგიერთი სახელი იმდენად დამახინჯებულად არის ტექსტში მოტანილი, რომ ყოველთვის არ ხერხდება ზუსტი შესატყვისის მოძებნა (გვ.9-12), თუმცა უცხოელ აღმწერთაგან ასეთი ლიაფსუსი დასაშვებია. ამასთან ასეთი სახელწოდების ციხე მდინარე კუნიაზე (კვინწყალზე) ინაშაურში არ არსებობს. ადრე ფეოდალური ხანის დანგრეული ე.წ. მელოურის ციხე ნამდვილად არსებობს სოფელ ძულუხის ტერიტორიაზე, როგორც ითქვა მდინარე ძულუხურას მარჯვენა სანაპიროზე, რომანეთი-ძულუხის გასაყარზე მდინარეების ძულუხურასა და თაკარეულის შესართავთან ახლოს, მელოურის მთის თხემზე. ჰქონდა მას სამხედრო საფორტიფიკაციო დანიშნულება. ვფიქრობთ გიულდენშტედტი გუ-

1 Краевич – военный обзор рионского края.

2 ქართლის ცხოვრება, ტომი 4, გვ. 889.

3 ომარ კაპანაძე — „ვანი-ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან, გვ.7.

4 ი.ა. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში.

ლისხმობს ამ ციხეს.<sup>1</sup> ამდენად, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ალექსანდრე V გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ძულუხიც და გორმალაიც (კრაევიჩის მიხედვით ამ სოფელთა ზედა ნაწილები) უკვე ბარის ერისთავთა სამფლობელოს წარმოადგენდა.

რაც შეეხება კონკრეტულად მელოურის ციხეს: – „ვანის ტერიტორიაზე არსებული ციხე-კოშკები შუა საუკუნეების პერიოდისათვის მნიშვნელოვან სათვალთვალო პუნქტებს წარმოადგენდნენ, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობდნენ იმერეთისა და საქართველოს ისტორიაში. ასეთი ძეგლებიდან ჩვენამდე მოაღწია ისრითის X საუკუნის ციხე-კოშკმა, ინაშაურის თამარის ციხემ, ძულუხის მელოურის ციხემ, შუაგორას ციხე-კოშკმა და ყუმურის გვირაბიანმა ციხემ“<sup>2</sup>. ამდენად – „მდინარე ძულუხურას ზემო ნელში სოფლების რომანეთისა და ძულუხის საზღვარზე მდინარეების ძულუხურასა და თაკარეულის შესაყარიდან ასიოდე მეტრის დაშორებით, სამხრეთით გორაკზე შემორჩენილია ციხის ნანგრევები, რომელსაც მასთან ახლო მდებარე ნასოფლარი მელოურის მიხედვით, მელოურის ციხესაც უწოდებენ (ამ ნასოფლარს მეორე სახელიც აქვს – გორმალაი, მოხსენიებული აქვს გიულდენშტედტსაც).

„... მელოურის ციხე სამი მხრიდან ძალზე ძნელი მისადგომია, შედარებით ადვილი მისადგომია აღმოსავლეთის მხარეს, ციხიდან სამოცდაათი მეტრის დაშორებით, ოთხი მეტრის სიგანის თხრილი გადაჭრის გორაკს მთელ სიგრძეზე. უშუალოდ ციხესთან მეორე თხრილიცაა, რომელიც პირველზე უფრო ღრმაცაა და განიერიც. ციხეში აღმოსავლეთ მხარეს შემორჩენილია მცირე ზომის ეკლესია 2,5x1,5 მ-ზე. ეკლესიის აბსიდა ოდნავ მომრგვალებულია და თითქმის არ გამოიყოფა. აღმოსავლეთ მხარეს ერთი სარკმელია, რომელიც გარკვეული ხანიდან სათოფურის ფუნქციას ასრულებდა. ეკლესიას თაღოვანი გადახურვა აქვს, რომელიც თლილი ქვებითაა გადაყვანილი. ციხის კედლებიდან ყველაზე კარგად ჩრდილოეთის ოთხმეტრიანი კედელია შემორჩენილი. აქ კედელში სათოფურებია მთელ სიგრძეზე დატანილი, ერთმანეთისაგან დაახლოებით ორი მეტრის დაშორებით. აქვე კედლებიდან რამდენიმე მეტრის იქით ქვევრებია შემორჩენილი, ხოლო ციხის აღმოსავლეთ მხარეს, ეკლესიის ქვემოთ – დილეგი.

„მელოურის“ ციხე ნაგებია კარგად დამუშავებული ქვის დიდი კვადრებით, რაც ამ ნაგებობას ადრეფეოდალური ხანით ათარიღებს. ციხე გვიანფეოდალურ ხანაშიც გამოუყენებიათ. XVII საუკუნეში მაინც (ასე თარიღდება ჩვეულებრივი მარტივი სათოფურები) იგი უეჭველად, ერთ-ერთი „ფეოდალური საგვარეულოს რეზიდენციას წარმოადგენდა. კონკრეტულად კი ვისი – ამაზე რაიმეს თქმა ჭირს, ეს დეტალური და უაღრესად სანდო აღწერილობა მოყვანილია პროფესორ თამაზ ბერაძის ნაშრომიდან „ვანის ისტორიული გეოგრაფიიდან“. ამდენად, ნათქვამი რომ შევაჯამოთ და ამ ციხის მაქსიმალური დანიშნულება შევაფასოთ დაგვჭირდება ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხზე ყურადღების გამახვილება:

– დღევანდელი ვანის რაიონი (გვიან ფეოდალური ნომენკლატურით საჩინო და სალომი-ნაო-საერისთო) პირდაპირი მაგისტრალით იყო დაკავშირებული სამხრეთ საქართველოსთან – ადრეულ ცნობებში საქართველოს ერთ-ერთ კულტურულ მხარესთან, სამცხესთან. მთავარი გზა ოძრხეში იწყებოდა, აქედან მეფის წყაროს გადასასვლელისაკენ (გადასასვლელი მწვერვალი მეფის წყაროს სამხრეთით მდებარეობს, დაახლოებით ოთხი კოლომეტრის დაშორებით) რამდენიმე მიმართულებით შეიძლება მისვლა. მთავარი გზა ოძრხეს ციხესთან იწყებოდა, მდინარეების ოძრხეს წყლისა და კურცხანას შესაყარში. იგი მიუყვებოდა მდინარე კურცხანას ხეობას. მეფის წყაროს გადასასვლელთან მთავარ მაგისტრალს რამდენიმე გზა უერთდებოდა ქვაბლიანას ხეობიდან მომავალი. აქედან ერთი სოფელი ბენარასთან იწყებოდა, ხოლო მეორე სოფელი ფხეროსთან. ისინი ოქროს ციხეს ჩრდილო დასავლეთით ერთდებოდნენ ფისოლატის პლატოზე. აქ ქვაბლიანის ხეობის სხვა სოფლებიდანაც მოემართება ბილიკები. მეფის წყაროს გადასასვლელთან ერთი გზა ადიგენიდანაც ამოდიოდა მამლის მთის გადაღახვით.

– „მეფის წყაროს გადასასვლელის გავლის შემდეგ მაგისტრალი ჩრდილო დასავლეთით

1 ომარ კაპანაძე — „ვანი-ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან“, გვ.9

2 „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ კრებული „მატიანე“ №11, გვ.85.

მიემართება და ზემო ჯვჯის ანუ ჭაჭიეთის ტბას ჩრდილოეთით უვლის. აქედან ერთი ბილიკი სუფსის ხეობისკენ ეშვება, მთავარი მაგისტრალის ჩრდილოეთის მიმართულებას იღებს. იგი ჯერ მდინარეების ნაბლარის ხევისა და სუფსის წყალგამყოფ ქედს მიუყვება. შემდეგ კი ნაბლარის ხევის, კორისწყალის, კვინისწყლისა და სულორის წყალგამყოფ ქედს. იგი გაივლის მთებს: ქვაბილელე, ქვაჭიშკარა, ლობოროტი, სათაფლია, ულეველა, ლამაზი გორა და გზაბოძალისაკენ ეშვება. გზაბოძალი გზათა შესაყარს ნიშნავს და მდინარე სულორის სათავის ზემოთ მდებარეობს. აქ მთავარი გზა სულორის ხეობაში ეშვება, ხოლო მისი განაყოფი კვლავ ქედის თხემს მიუყვება, ჩრდილო აღმოსავლეთით მიმართულებას იღებს და ტყეთავის მთამდე აღწევს, საიდანაც ბარის სოფლებისკენ ეშვება.

ზემოთ აღწერილი მაგისტრალი სამცხედან ადვილი დასაძლევია, მარტივი პროფილის აღმართის გავლის შემდეგ გზა გადალახავს რა მეფის წყაროს გადასასვლელს ოდნავ დაბლა ეშვება. იგი მიუყვება ქედების თხემს და წარმოადგენს ბილიკს, რომლითაც უძველესი დროიდან სარგებლობდა ადამიანთა მრავალი თაობა<sup>1</sup>.

გზა გზაბოძალიდან ორი მიმართულებით ეშვება სულორის ხეობაში, ამათგან მთავარი გზა გადიოდა შემდეგ ადგილებში: ჩიხნარი – ნადუქნები – დათვის საწუმპის წვერი, დათვის საწუმპი – ბეჟიე – სახადი – სახადის ძირი – ზედა საყივარე – საყივარე – საყივარის ძირი – დიდლარების თავი – დიდლარება – წყარო – სატალახე – ოსის ნაკლავი უშუალოდ ამ მდინარის ხეობაში გადმოდიოდა. შემდეგ მდინარეს მიუყვებოდა: გრძელი სერი – ციხია – ნაზავოდარი – ჯიხური და სოფელ დვალშივილებამდე (დღევანდელი სულორი) აღწევდა.

მეორე გზა გზაბოძალიდან სოფელ გადიდში (სოფელი ვანის რაიონში) ეშვებოდა. შემდეგ გამოივილიდა სოფელ ვანს (დღევანდელი ზედა ვანი) და საჩინოში მთავარ გზას შეუერთდებოდა.

გზაბოძალიდან ერთი ბილიკი სოფელ რომანეთში (სოფელი ვანის რაიონში) ჩადის, ეს გზა მელოურის ზემოთ აღწერილ ციხეს დასავლეთი მხრიდან ჩაუვლის. რომანეთიდან ერთი ბილიკი ტყეთავის მთისკენაც მიემართება: რომანეთი – ხელიძის ქედი – ქვაკერჩხოვურის ნამოსახლარები – ნალაგირები და ბოლოს ტყეთავი. ტყეთავი ისე როგორც გზაბოძალი გზათა შესაყარს წარმოადგენს. ამდენად, მელოურის ციხე რელიეფურად განლაგებულია ძულუხის (გორმალალის) ტერიტორიის იმ სივრცეზე, რომელზედაც გადადიოდა გზები სამხრეთ საქართველოდან (ოძრხედან) იმერეთის დასახლებისაკენ.

პროფესორ თამაზ ბერაძის აღწერილობა, რომელიც აქ ვრცელი ციტატის სახით მოვიყვანეთ საუკუნეთა მიღმა ცნობილია სოფელ ძულუხის მცხოვრებთათვის და მათთვისაც წარმოადგენდა უმოკლეს გზას სამხრეთ საქართველოს დასახლებულ პუნქტებთან ურთიერთობისათვის და იგი რამდენადმე აქტიურად გამოიყენებოდა XX საუკუნის 50-იან წლებამდე, მწყემსათვის თითქმის მუდმივად. თუმცა მათთვის ხელმისაწვდომად მიჩნეული იყო აღწერილი გზა სოფელ მელოურის გავლით და აქედან ალპური საძოვრებისაკენ, მაგრამ აქ არსებობდა ალტერნატიული გზა კონკრეტულად სოფელ ძულუხის ე. წ. ცენტრიდან გამავალი თანაც ორი მიმართულებით: სოფლის ცენტრი – ქვისჯვარი, ნაბინოური (გაბინოური) ვაკე შარა, თაგოულა, და ა.შ. სულორის ხეობაში, სადაც დღეს სამანქანო გზაც არსებობს პრაქტიკულად დღეისათვის მდ. სულორის ზედა დინების ხეობა ალპური საძოვრებისაკენ, აქედან კი ხსენებული გზაბოძალიდან სამხრეთ საქართველოსაკენ, მეორე ალტერნატიული გზა ხურციძეების (საგნებელი კუდარების, კონიების) უბნიდან, ხოკოროული მცირე მდინარე შაშხაპის ხეობა, სასკე, სასირე, შემდეგ დაღმართით მდინარე სულორის ხეობა, სადაც პრაქტიკულად გზები მდინარე სულორის ზედა დინებასთან ერთდება ორივე აღწერილი მიმართულებიდან და მიემართება ალპური საძოვრებისაკენ, აქედან სამხრეთ საქართველოსაკენ.

ამ სამიმოსვლო გზებს, უმნიშვნელო გამოწვევისათვის, აქტიურობა არ დაუკარგავს მთელი არსებობის მანძილზე. მიუხედავად იმისა, რომ ზამთრის პირობებში იგი თითქმის გადაულახავი რჩებოდა, ამ გზაზე მიმოსვლა შედარებით ახალ დატვირთვას იძენს მას შემდეგ, რაც რუსე-

1 თ. ბერაძე — დასახლებული ნაშრომი

თის იმპერიამ შეიერთა საქართველო, იგი აქტიურად იყო გამოყენებული რუსული საჯარისო ნაწილების თურქეთის მიმართულებით სურსათისა და შეიარაღების გადაზიდვა-გადაადგილებისათვის, ამას არა ერთი ისტორიული წყარო ადასტურებს და შემონახული იყო ძულუხელ ხანდაზმულთა მეხსიერებაშიც, რომელთა განხილვაც ამ ეტაპზე ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, ხოლო მას შემდეგ რაც ამ გზებზე თურქთა და მათ შორის, სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებული მუსულმანი მოსახლეობის თარეში აღიკვეთა, ეს გზა იქცა სამხრეთ საქართველოსთან სავაჭრო აღებ-მიცემობის მნიშვნელოვან სეზონურ ღერძად.

ასე, რომ ეს ციხესიმაგრე აშენებულია იმ ადგილზე, საიდანაც ძულუხის სამხრეთით მდებარე მთათა სისტემიდან გადასასვლელი გზებით შეიძლებოდა დაკავშირება სამხრეთ საქართველოსთან, რაც ხაზგასმას აკეთებს იმაზე, რომ ეს ციხე წარმოადგენდა არა მარტო სათვალთვალს, არამედ დამცავ ზღუდეს ამ გზებით იმერეთის ტერიტორიასა და კონკრეტულად, ქუთაისისაკენ გადმომავალ მტრებისგანაც. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ციხის ე.წ. გარნიზონით უზრუნველყოფა, როგორც წესი კონკრეტულ ეტაპზე მაინც, ევალებოდათ ადგილობრივ მოსახლეობას, ამ ციხისა და მის ირგვლივ დასახლებული მოსახლეობის, ლოკალური მასშტაბით მაინც, სამხედრო სტრატეგიულ დანიშნულებაზე აკეთებს მინიშნებას, ოღონდ უცნობია რომელი აზნაური, თავადი ან თუნდაც ქართველი მეომარი განახორციელებდა ამ ღონისძიებას ე.ი. ვინ უზრუნველყოფდა ციხისა და აქაური მოსახლეობის საბრძოლო ორგანიზებას და დაცვას. ხოლო, როგორც ითქვა, მას ჰქონდა (ექნებოდა) ქუთაისისაკენ მიმავალი მტრის შემაკავებლის ფუნქციაც, ამაზე ციხის საფორტიფიკაციო დონე და ტერიტორიული განლაგებაც მიანიშნებს. ერთის თქმა თამამად შეიძლება, ეს ციხე იმდენად უძველესია, რომ იგი აგებული არაა არც იმ დროს, როდესაც ვანის რაიონის დღევანდელ ტერიტორიებს ფლობდა ჩიჯავაძეთა საგვარეულო და მითუმეტეს არც ბარის ერისთავები.

მოცემული ეტაპისათვის ვერ იქნა მიკვლეული მასალები იმაზე, თუ როგორი სოციალურ-ეკონომიკური ძვრა მოჰყვა 1865 წელს ქუთაისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმებას სოფელ ძულუხთან დაკავშირებით, მაგრამ ის, რომ 1905-1907 წლების რევოლუციაში სოფელი (რა თქმა უნდა ლოკალური ფორმით) ჩართული აღმოჩნდა. ამაზე არსებობს ძალიან საინტერესო მასალები.

რიგ მიზეზთა გამო საქართველოს მოსახლეობა მოიცვა იმპერიის საწინააღმდეგო მღელვარებამ, რომელიც ისტორიაში ცნობილია 1905-1907 წლების რევოლუციის სახელით. პროცესში განსაკუთრებულად აღმოჩნდა ჩართული დასავლეთ საქართველო, უაღრესად აქტიურად გურიის რეგიონი და იმერეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის დასახლებანი, რომელშიდაც განლაგებულია ვანის სოფლების ნაწილიც,<sup>1</sup> რასაც მოჰყვა მთავრობის სადამსჯელო ექსპედიციის ამოქმედებაც, რომელსაც სომეხი გენერალი ალიხანოვ-ავარსკი ხელმძღვანელობდა.

სადამსჯელო ექსპედიციის ამოქმედება არ ასცდა ვანსა და მის სოფლებსაც. 1906 წელს გაზეთი „ჩვენი ცხოვრება“ აქვეყნებს ინფორმაციას, რომ 1906 წლის 12 აგვისტოს „ვანში“ შემოვიდა სადამსჯელო ექსპედიცია. შეიარაღებულნი დაბანაკდნენ „ვანის“ ბაზრის მახლობლად. მოითხოვეს უწესრიგობის მეთაურების და აგიტატორების გადაცემა. გადასახადების შეგროვება. მოსახლეობამ არც აგიტატორები გასცა და გადასახადებზეც უარი უთხრეს.

– „სამაგიეროდ კაზაკებმა აჩეხეს ვენახები და ყანები. დარჩნენ ერთ დღეს და გადაინაცვლეს უხუთისაკენ“. სადამსჯელო ასეული დადგა მდინარე კვინისწყალზე, საიდანაც აკონტროლებდა მიმდებარე სოფლებს, ხოლო ჯარის შენახვის ხარჯები, საკვები, სურსათ-სანოვაგე მოსახლეობას შეაწერესო.

უაღრესად საინტერესო მოვლენები განვითარდა სოფელ ძულუხსა და რომანეთში, რაც ამკარად ადასტურებს, რომ მოსახლეობის საფუძვლიან მღელვარებას ჰქონდა ადგილი. ამავე საკითხზე ქუთაისის გუბერნიიდან ზემდგომ ინსტანციაში მიწოდებულ შეტყობინებაში საუბარია აჯანყებაზე. გავეცნოთ მათ:

„გლახთა მღელვარების აღსაკვეთად 22 სექტემბერს (მხედველობაშია 1905 წლის სექტემბერი)

ბალდათიდან ჩაფართა რაზმი გაგზავნეს სოფელ ძულუხში. რაზმმა ერთი გლეხის დაპატიმრება მოახერხა და 23 სექტემბერს დილით გაბრუნდა ბალდათისაკენ. სოფელ რომანეთის აღმართთან (ეს აღმართი სოფელ ძულიხიდან მდინარე ძულუხურას გავლით მიემართება რომანეთის ცენტრისაკენ). პოლიციელებს წითელრაზმელები ჩაუსაფრდნენ და სროლა აუტყვეს. სროლის დროს მოკლეს ერთი კაზაკი და მძიმედ დაჭრეს მეთაური. შეშინებულმა

პოლიციელებმა თავს გაქცევით უშველეს“. ეს ამონარიდი მოყვანილია საქართველოს ისტორიის ნარკვევების VI ტომიდან და აქ ოფიციალურ წყაროდ გამოყენებულია საგაზეთო მასალა, მაგრამ იმავე საკითხზე არსებობს კავკასიის პოლიციის ხელმძღვანელობის სახელზე გუბერნიიდან გაგზავნილი ოფიციალური ინფორმაციები, რომლითაც დასტურდება, რომ ინციდენტი სოფელ ძულუხში მოხდა 1905 წლის 22 სექტემბერს. სოფელ რომანეთში 23 სექტემბერს. გაგზავნილი ინფორმაციები ოდნავი დაგვიანებით მოხვედრილია ოფიციალურ ანგარიშებში: პირველი – 1906 წლის 16 მარტს (№5-18) და მეორე – 1905 წლის 8 დეკემბერს (№4001) და საკითხთა ინტერპრეტაციაც სოფელ ძულუხთან დაკავშირებით განსხვავებულია ჩვენს მიერ ზემოდ მოყვანილი საგაზეთო ინფორმაციიდან. „ღია შეიარაღებული აჯანყება არ ყოფილა, ვკითხულობთ ოფიციალურ ინფორმაციაში, მაგრამ ბალდათის პრისტავის მიერ სოფელ ძულუხში გაგზავნილი კაზაკთა და სტრაჟნიკთა ჯგუფებიდან მოკლულია ერთი კაზაკი, და ერთი სტრაჟნიკი“. მეორე ინფორმაცია გვამცნობს: ქუთაისის მაზრის, ბალდათის უბნის სოფელ რომანეთში მოხდა აჯანყებული ხალხის თავდასხმა კაზაკებზე“. აღვნიშნავთ, რომ დღევანდელი ვანის რაიონის შემადგენელი სოფლები დაწყებული ციხესულორიდან დამთავრებული სალომინათი შედიოდა ბალდათის საპოლიციო უბანში, მათ შორის ძულუხიცა და რომანეთიც, რაც შეეხება კონკრეტულ საკითხს ეს ინფორმაციები დამატებით ცხადყოფს, რომ ანტისახელისუფლებო გამოსვლები და თანაც შეიარაღებული ფორმით, დადადტურებულია „ვანის“ მაღალმთიან სოფლებშიც. მითითებულია იმაზეც, რომ აქ უკვე მათ შორის, ძულუხშიც) მოქმედებენ გლეხთა შეიარაღებული წითელრაზმელები, რომელთა კოორდინაციასაც ახორციელებდნენ რევოლუციური კომიტეტები, „იცავენ და ეხმარებიან ხალხს“. ასე რომ რეჟიმის გამკაცრება საფუძვლიანად იწვინეს „ვანის“ სოფლების მცხოვრებლებმა, კონკრეტულად ძულუხლებმა და შესაბამისადაც უპასუხეს ამ გამომწვევას.

სამწუხაროდ, იშვიათად ან საერთოდ ვერ იქნა მიკვლეული მასალები სოფელ ძულუხთან დაკავშირებით 1905-1907 წლებში განვითარებული მოვლენების შემდეგი პერიოდის შესახებ. აქ, ერთეული მასალები ისტორიული შეფასების თვალსაზრისით სოფელთან დაკავშირებით მნიშვნელობას ვერ იძენს. ცალკეული ფაქტები, რომელიც დაფიქსირებულია მინის ყიდვა-გაყიდვის აქტებით (დაცულია ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და ზოგიერთ კერძო კოლექციებში) მიუთითებს 1913 წლამდე პროცესის შედარებით გააქტიურებაზე, მაგრამ იგი რამდენადმე დამახასიათებელია ვანის ტერიტორიული დასახლებებისათვის და გამომდინარეა სტოლიპინის რეფორმებიდან, რომელმაც ადრეარსებული დამჭერი არტახები რამდენადმე შეამსუბუქა.

მასალები არაა არც ისეთ მნიშვნელოვან ფაქტზე, როგორცაა იმპერიაში განხორციელებული რევოლუციური გადატრიალება და არც საქართველოში 1917-1920 წლებში განვითარებულ მოვლენებზე, საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებაზე, მის შედეგებსა და გავლენაზე სოფელთან მიმართებაში. როგორც ჩანს სოფელი ამ დროშიც აგრძელებდა ცხოვრების ჩვეულებრივ (შეგუებულ) რიტმს, თუმცა არ შეიძლება სოციალურ-ეკონომიკურ ფენომენზე გავლენა არ მოეხდინა ამ პერიოდში საქართველოში განვითარებულ უკიდურეს ეკონომიკურ ჩავარდნებს, უკიდურეს საფინანსო ინფლაციას, სასურსათო კრიზისს და ა. შ. რომელსაც გვერდს ვერ უვლიან თვით მაშინდელი საქართველოს ხელისუფალნიც კი, ხოლო ვანთან (აქედან სოფელ ძულუხთან შეხებაში) შეიძლება განზოგადდეს ალექსანდრე მალაკელიძის მემუარული ჩანაწერები „კვალდაკვალ“, რომელიც ჩვენი აზრით, განათლებული პიროვნების, პროცესების უშუალო მონაწილის სანდო ჩანაწერებს წარმოადგენს. „პურზე ზედმეტი იყო საუბარი, სოფელში საძლომად დამცხვარი სიმინდის მჭადიც იშვიათად იშოვებოდაო“. ცხადია ყოველივე ეს ასახვას ჰპოვებდა სოფლის მცხოვრებთა ყოფით პირობებზე.

თუ არსებობდა, შესაძლებელია სათანადო მასალები დროთა განმავლობაში აღმოჩნდეს, თუმცა 1920-იანი წლებიდან რიგ მნიშვნელოვან საკითხზე ნამდვილად არსებობს მწირი, მაგრამ საარქივო მასალები, რომელთა შესწავლაც და ანალიზიც საერთოდ ვანის დასახლებებსა და კონკრეტულად სოფელ ძულუხთან დაკავშირებით შეფასებებისა და დასკვნების საშუალებას ნამდვილად იძლევა.

ძულუხის მცხოვრებთა კონკრეტულად მცირე ნაწილი ჩართული აღმოჩნდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაშიც, როგორც სოფელში აღნიშნავდნენ 1924 წლის გამოსვლებში. ამ საკითხის ირგვლივ ქართულ სივრცეში დღეს ნაირ-ნაირი მოსაზრებანი არსებობს, რომელთა დეტალური განხილვა ამ ეტაპზე ჩვენ არ გვჭირდება, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველი მოსახლეობის ნაწილი მასში ჩართული აღმოჩნდა, ხოლო ვანს, აჯანყების ცენტრის გადანაცვებით განკუთვნილი ჰქონდა მნიშვნელოვანი ადგილი და მიაჩნდათ, რომ ხონთან ერთად ვანიდან, კონკრეტულად, ტობანიერის თემსაზოგადოება, ყველაზე მეტად იყო მომზადებული პროცესში მონაწილეობისათვის. დაიწყო ვანში იგი 1924 წლის 28 აგვისტოს და რიგ მიზეზთა გამო დამარცხდა 2 სექტემბერს, ასევე იყო თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით.

ქუთაისის ცენტრალური არქივის 296-ე ფონდში დაცულ მასალებში, რომლებიც მიწოდებულია მაშინდელი ვანის შესაბამისი ორგანოების მიერ ქუთაისის მაზრის ხელისუფლებისადმი, მითითებულია ვანის სხვადასხვა სოფლებიდან 86 კაცზე, რომლებიც გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული აქტიურობით, აქედან სოფელ ძულუხის მკვიდრია 8 პიროვნება:

1. თომა როხვაძე (შეიარაღებული კოლტით, როველვერის სახეობაა)
2. გიორგი კაპანაძე (შეიარაღებული ნაგანის ტიპის როველვერით)
3. გედევან როხვაძე (შეიარაღებული ბრუნინგით) მანამდე მსახურობდა მილიციაში
4. კიპრიანე ხელაძე (შეიარაღებული ნაგანით)
5. დიმიტრი ხელაძე (შეიარაღება მითითებული არაა)
6. შალვა როხვაძე (შეიარაღება მითითებული არაა)
7. ერმილე ხელაძე (შეიარაღება მითითებული არაა)
8. იპოლიტე ხურციძე (შეიარაღებული ნაგანით).

ეს ადამიანები გამოსვლებში მონაწილეობისათვის დასჯილნი არ ყოფილან, როგორც ჩანს მოუსწროთ 1924 წლის 6 სექტემბრის გადანაცვლებამ, რომლის საფუძველზეც სასჯელისგან თავისუფლდებოდნენ ადამიანები, რომელთაც უაღრესად მძიმე დანაშაული არ ჰქონდათ ჩადენილი (მკვლელობები და ა.შ.) ეს ადამიანები სოფელში ცხოვრობდნენ შედარებით ღრმა სიბერემდე და არაერთ მათგანს დიდებული ოჯახიც გააჩნდათ.

არა გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ ძულუხი სოციალურ-კულტურულად ისე, როგორც ვანის სოფლების დიდი ნაწილი განვითარების საშუალო დონესაც აღწევდა. ამის განმაპირობებელი მრავალი ფაქტორია და ემთხვევა ფეოდალურ დისკრიმინაციულ ძალმომრეობასაც, კარჩაკეტილობასაც და სოფლის ტერიტორიის ჩიხურ მდებარეობასაც, ამ სისტემის ხანგრძლივ არსებობას. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ (ქუთაისის გუბერნიაში 1865 წლიდან) კონკრეტულად, 1880-იანი წლებიდან რამდენადმე იცვლება მიდგომა. საიმპერატორო გადანაცვლებათა საფუძველზე თემსაზოგადოებები და პირველ რიგში ეკლესიაც დაავალდებულეს, რომ მოქმედი ეკლესიის (ეკლესიების) ბაზაზე ჩამოეყალიბებინათ 1-2 კლასიანი სამრევლო სკოლები სასულიერო პირების წინამძღოლობით. მთავარი მოთხოვნა – ელემენტარული განათლების მიღება, წერა-კითხვის შესწავლა. აქედან განათლებისადმი დამოკიდებულება რამდენადმე იცვლება და სოფელშიც ჩანს, რომ ფუნქციონირებას შეუდგა სამრევლო სკოლა, რომლის ბაზასაც წარმოადგენდა სოფლად არსებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც 1852 წელს აუგიათ (ხის შენობა) და საფუძვლიანად შეუკეთებიათ 1888 წელს<sup>1</sup>. ამ პერიოდამდე სოფელ ძულუხში არ ფიქსირდება არც ერთი სახის სასწავლებელი და იგივე სასწავლებელი მოცემული ფორმით დარჩა 1920-იან წლების საწყისამდე, ვიდრე მდგომარეობა რადიკალურად არ

<sup>1</sup> პროფესორი მერაბ კვხევაძე — ეგზარქოსობის დროინდელი ეკლესიები და მღვდლები



შეიცვალა. თუმცა, იგი ემთხვევა სხვა სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის არსებობას.

არსებობს დამადასტურებელი გადმოცემები სოფლად ადგილობრივ მოთხოვნილებათა და-საკმაყოფილებლად მცირე მანუფაქტურული რენვის არსებობის შესახებ. მაგალითად ვიქტორ სიმონის ძე ხელაძე ეწეოდა ფეხსაცმელების რენვას, რომლისთვისაც თვითონ თრიმლაგდა საქონლის ტყავს, აძლევდა მას გამოსაყენებელ სახეს, შემდეგ კერავდა მზანანარმს, ამზადებდა სარეალიზაციოდ. ამ სტრიქონების ავტორს თვითონ უნახავს ამ ოჯახში დაცული ყველა ის ხელსაწყო, რომლითაც ის საქმიანობდა და უნდა ითქვას, რომ საკმაოდ მაღალოსტატურად იყო შესრულებული. სოფელი განთქმული იყო ხის (სახლების მსენებლობის) ხელოსნებით, რომლის საშუალებასაც იძლეოდა სოფელთან არსებული ტყის მასივები, ცალკეულ ოჯახებში ინახებოდა ქსოვილების დამზადებისათვის განკუთვნილი დგამ-სავარცხელი, სოფელს გვიან პერიოდამდე ემსახურებოდა მჭედელიც, შეეძლოთ აბრეშუმის პარკის გამოხარშვაც და აქედან ხამი ძაფის მიღება. ეს ფაქტები დადასტურებულია, სანამ ყოველივე ეს არ ჩაანაცვლა ქარხნული წესით დამზადებულმა საქონელმა.

დღევანდელი ძულუხის ტერიტორია 735 ჰექტარია. კერძო სექტორშია 210, სახელმწიფო სექტორში 521 ჰა, სახნავი აქვს 17 ჰა. მრავალწლიან ნარგავებს უჭირავს 138 ჰა, საძოვარს 519 ჰა, სოფლის ტერიტორიალურ სივრცეს რაიმეგვარი მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია. მოსახლეობა ქართველებია(კუთხურობის თვალსაზრისით – იმერლები). დღეის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა უდრის 600-მდე კაცს 200-მდე კომლით, რომელთაგან მოქმედია 180-მდე კომლი,<sup>1</sup> სამწუხაროს მცხოვრებთა რაოდენობა ნაცვლად ზრდისა დასულია 125 წლის წინანდელ დონეზე და იგი მაქსიმალურადაა შემცირებული, რაც მძაფრად აისახება მოსწავლეთა კონტინგენტზეც.

სოფლის საშუალო სკოლაში სწავლობდა:

- 2003-2004 წლები — 98 მოსწავლე.
- 2004-2005 წლები — 93 მოსწავლე.
- 2005-2006 წლები — 97 მოსწავლე.
- 2008-2009 წლები — 91 მოსწავლე.
- 2009-2010 წლები — 76 მოსწავლე.
- 2010-2011 წლები — 66 მოსწავლე.
- 2011-2012 წლები — 54 მოსწავლე.
- 2012-2013 წლები — 36 მოსწავლე.

კლება ბოლო ათ წლიან ციკლში – 62 მოსწავლით, რაც სოფლის დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებელია XX საუკუნის 60-იანი წლების მიჯნასთან. ძულუხის რვა წლიან სკოლაში, როდესაც სოფლის საშუალო სკოლა არ არსებობდა, მოსწავლეთა კონტინგენტი აჭარბებდა 300 მოსწავლეს კლას-პარალელებით, ხოლო უფრო ადრინდელ პერიოდში, საუკუნეზე მეტი 125, წლის წინ რუსეთის იმპერიაში 1893 წელს ჩატარებული აღწერით, როდესაც ძულუხი შედიოდა ქუთაისის მაზრის უბუთის თემსაზოგადოებაში (ამდგვარი თვითმმართველი ორგანოების აღმოცენება მოჰყვა 1865 წელს ქუთაისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმებას), 1893 წლის აღწერით ძულუხში 112 კომლი ცხოვრობს, აქედან კაცია 412, ქალი 406, სულ – 818 სული. საბჭოთა პერიოდში 1925 წლის აღწერით ძულუხი უკვე შედის დვალის მუნიციპალიტეტის (დღევანდელი სულორის) თემსაზოგადოებაში. აღრიცხულია 228 კომლი, მათგანაა 109 კომლით, მოსახლეობა 1183 სული, მათგანაა 365 კაცით; 1930 წლის აღწერისას უკვე შექმნილია ვანის რაიონი, როგორც ცალკე ადმინისტრაციული ერთეული და მასში შედის ძულუხიც. ამ დროისათვის სოფელში ცხოვრობს 237 კომლი, მოსახლეობა 1216 კაცი და ასე პროგრესულად.<sup>2</sup> როგორც ითქვა მოსახლეობა მთლიანად ქართველებია, იმერლები. სოფლის მოსახლეობა ძირითადად განლაგე-

1 მონაცემები მოგვანოდა სოფელ ძულუხში ვანის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა ლერი ხელაძემ.

2 მონაცემები დაცულია „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში“ და იგივე მონაცემები დამატებით ქვეყნდება „კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეს“ №13 ნომერში.

ბულია გვარების (ერთი საბიძაშვილოს) მიხედვით კომპაქტურად მრავალრიცხოვანი გვარებია – ხურციძეები, კაპანაძეები, გოგიბერიძეები, ხელაძეები, როხვაძეები, უფრო გვიან მოსული გვარებია – გიორგაძეები, ვაშაყმაძეები, დვალიშვილები. ეს გვარები არამრავალრიცხოვანია.

მითითებულ პერიოდთან შეფარდებით სოფლის დემოგრაფიული კატასტროფული კლება განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:<sup>1</sup>

აქ 1941-1945 წლების მსოფლიო ომი (დიდი სამამულო ომი), სადაც სოფლიდან ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა გაინვიეს ე.წ. მწარმოებლური ძალა, მომავალი ოჯახის ფუძე. ამ ომში დაღუპულთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა სახით სოფელმა დაკარგა 109 ახალგაზრდა, ზოგიერთი ოჯახიდან ორი ახალგაზრდა, ან მამა-შვილი.

დღეს ამ საკითხთან დაკავშირებით ნაირნაირი და და ზოგჯერ აშკარად უსაფუძვლო შეხედულებაა, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში სათავე აიღო XX საუკუნის 90-იანი წლებიდან და ვფიქრობთ, რომ ამდგვარი მსჯელობა სერიოზული განსჯის არავითარ ფორმებში არ ჯდება. ამ ომის ყველა მონაწილე გმირია, ხუმრობა საქმე არაა 1418 დღე ყოველწამიერად სიკვდილს უყურებდე თვალეში. ომის მონაწილეთაგან ამ სოფლიდან ორ პიროვნებაზე შეგვიძლია გავამახვილოთ ყურადღება და ბოდიშს მოვიხდით ყველა მონაწილის წინაშე, რომ კრებულის ფორმატი სათითაოდ მათზე საუბრის საშუალებას არ იძლევა.

ა) ვლადიმერ ხელაძე 22 წლის ასაკში წითელი ვარსკვლავის ყველა ხარისხის ორდენის კავალერი იყო და გენერალ-პოლკოვნიკ რიბალკის სატანკო არმიაში მეთაურობდა სატანკო ასეულს. დასკვნით ეტაპზე მონაწილეობდა პრალის განთავისუფლებაში.

ბ) გერვასი ვიქტორის ძე ხელაძე, რომელიც უკრაინისათვის ბრძოლებში ტყვედ ჩავარდა, რომლის შემდეგაც გადაიყვანეს საბერძნეთში განთავსებულ ტყვეთა ბანაკში, საიდანაც მცირე ჯგუფთან ერთად გაიქცა. შემდეგში მოხვდა იტალიელ პარტიზანებთან, მას შემდეგ რაც გერმანელებმა ეს პარტიზანული რაზმი გაანადგურეს, შეაღწიეს საფრანგეთის ტერიტორიაზე, შეუერთდნენ ფრანგ ფრანტირიერებს<sup>2</sup> და 1945 წელს ომიც მათთან ერთად დაასრულა. ცხადია ქართველთაგან ასეთი მაგალითები უამრავია. ვიმეორებთ თითოეული მათგანი ღირსია დაფასებისა და შეფასებისაც. ამ ომით გამონვეულმა დანაკლისმა რაიონის დემოგრაფიულ საღდოზე თავი იჩინა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან. თუმცა, რიგ ფაქტორთა გამო დემოგრაფიულ დინამიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

გ) ძულუხელი მოსახლეობიდან 15-20 ოჯახის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩასახლება 1950-იან წლებში, რომელსაც მძლავრი პროპაგანდა გაენია და ჯდება სახელმწიფო პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა რანგში. ჩასახლდნენ გაგრის რაიონის სოფელ (დაბა) ლესელიძეში. ბევრი მათგანი შეძლებულადაც ცხოვრობდა.

დ) 1967 წელს განვითარებული სტიქიური მოვლენები, რომელმაც გადაუარა რაიონის 11 სოფელს და მოჰყვა კატასტროფები, მენყერები, დაზიანება განიცადა ძულუხმაც, რამაც მოსახლეობა აიძულა შეეცვალა დასახლების ადგილები და ჩასახლებულიყო რაიონის ბარის ზონებში<sup>3</sup>. (ძირითადად, მასიურად დიხაშხოში, სალხინოში) მცირე რაოდენობა სხვადასხვა სოფლებში და ახლომდებარე ქალაქებში). ამ პერიოდში ძულუხიდან განსახლდა გადაღმა ძულუხის მოსახლეობა ძულუხურას მიმდებარე – როხვაძეების, ხელაძეების, ხურციძეების მჭიდროდ დასახლებული უბნები.

ე) 1970-იან წლებს ემთხვევა სწრაფი საქალაქო ურბანიზაცია, სამუშაოთა უკეთესი პირობებით, რასაც თან დევდა ახალგაზრდების გადინება სოფლებიდან (ძულუხიდან) და ძირითადად, ქალაქ ქუთაისის არეალში მუშაობის დაწყება და აქ მუდმივად დარჩენა.

1 კრებულ „მატიანეს“ აღნიშნულ საკითხზე ჰქონდა შეხება. ომარ კაპანაძე — „დემოგრაფიული პრობლემები ვანის რაიონის სოფლების მიხედვით“, კრებული „მატიანე“ №8

2 ფრანტირიერი — (ფრანგულია - თავისუფალი მსროლელი) ნებაყოფლობითი პარტიზანები, რომლებიც იბრძოდნენ საფრანგეთზე თავდამსხმელი ყველა მტრული ძალის წინააღმდეგ. ტერმინი პირველად გამოყენებული იქნა 1814-1815 წლებში. ფრანტირიერებმა დიდი როლი შეასრულეს 1870-1871 წლებში საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს და შემდეგში 1940-1944 წლებში ჰიტლერული გერმანიის (ფაშიზმის) მიერ საფრანგეთის ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

3 800-ზე მეტი ოჯახი გახდა იძულებული ძველი საცხოვრისი შეეცვალა, რაიონში სტიქია შეეხო 1200-ზე მეტ ოჯახს.

ვ) შედარებით კატასტროფულად პროცესმა თავი იჩინა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, რაც დაემთხვა ქვეყნის ეკონომიკურ მოშლილობას, სამოქალაქო ომს. რაიონში არსებული საწარმოო ორგანიზაციების ნგრევასა და სამუშაო ადგილების დაკარგვას, რასაც მოჰყვა საერთოდ და სოფლის სოციალურ-ეკონომიკური მოშლილობა. ეს იყო ურთულესი პერიოდი, რამაც შეუქცევადი გავლენა იქონია დემოგრაფიულ ფაქტორზე. ეს პროცესი მძაფრი ფორმით გაგრძელდა 2010 წლამდე, თითქმის ოც წლიან ციკლში. ამ პერიოდში წამსვლელი ნავიდა, აისახა ეს პროცესი სოფელ ძულუხზეც.

ჩვენ ზემოთ რამდენიმე სიტყვით შევეხეთ საგანმანათლებლო პროცესს, თუ საიდან იწყებოდა იგი და მივუთითეთ, რომ პოზიცია უცვლელი რჩება 1917-1921 წლის დასაწყისშიც, საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების დროს, რომ პროცესი რადიკალურად იცვლება 1920-იანი წლების საწყისი ეტაპიდან და იგი ხორციელდება მაშინდელი ვანის თემსაზოგადოებების სამოქმედო ტერიტორიაზეც.

1926 წელს ქუთაისის სამაზრო კომიტეტში, ამავე მაზრის ინსტრუქტორის სერგო აბდალადის მიერ წარდგენილ ინფორმაციაში ვკითხულობთ — „დევალიშვილების თემი... თემში არის ოთხი ოთხწლედის სასწავლებელი: გადიდში 1; დვალიშვილებში 2 და ძულუხში 1, თითო-თითო სართულიანი, ხის, ყველა ყავრით დახურული, ყველა სასწავლებლები შეადგენდნენ ორ-ორ თვალს (ე.ი. ორ-ორ ოთახს). ნაწილობრივ დასჭირდებათ რემონტით შეკეთება. ზოგიერთებს აკლიათ პარტები (მერხები), აღმასკომმა ნაწილობრივ შეაკეთა ყველა სასწავლებელი წერილმანი რემონტით, სასწავლებლებს (ე.ი. ყველას ერთად) ემსახურებათ შვიდი მასწავლებელი. ერთი-მეორეში დამოკიდებულება დამაკმაყოფილებელია“

ქუთაისის მაზრის ინსპექტორი სერგო აბდალადე 1926 წელი (წერილის სტილი დაცულია, დოკუმენტალური მასალის ასლი დაცულია „ვანის რაიონის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევის ცენტრში“). ამ ინფორმაციით კარგად ჩანს განათლების მანამდე არსებული დონე, თუმცა არც წერილის მიწოდების დროსაა ეს პროცესი მაქსიმალურად უზრუნველყოფილი და ვერც იქნებოდა მიზეზთა გამო, მაგრამ პროცესია უკვე დაძრული, რასაც მოჰყვა რაიონის სივრცეში განათლების სფეროსადმი დამოკიდებულების ცვლა და შედეგებიც. სწავლა ხდება სავალდებულო და რაიონის სოფლებიც აღიჭურვა იმ დროისათვის შესაფერისი სასწავლებლებით, 4-წლედებით, 7-წლედებით, უფრო გვიან რამდენიმე საშუალო საბაზო სკოლით.<sup>1</sup> პროცესს პარალელურად გაჰყვა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების ამოქმედება, რომელიც შეეხო სოფელ ძულუხსაც, რადგანაც სოფელში აშკარად იგრძნობოდა წერა-კითხვის უცოდინარობის მაღალი კოეფიციენტი (დაახლოებით მოსახლეობის 65-70%).

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ თხოვნით პროფესორმა ქრისტინე მეძველიამ იმუშავა ვანის რაიონის სივრცეში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების დაარსება-ფუნქციონირებაზე, რომლის ფრაგმენტებსაც ვაწვდით ჩვენს მკითხველს.<sup>2</sup>

„პოლიტგანათლების მთავარი მმართველობა სთხოვს ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ყოველივე დახმარება აღმოუჩინონ სალიკვიდაციო სკოლების გახსნას და შესაფერისად მოწყობას.

როგორც შემდგომში, აღნიშნულ საქმეში დაცული ბრძანებებიდან და მიმონეროდან ირკვევა, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები ვანის რაიონში მართლაც დაარსდა. გვინდა წარმოგიდგინოთ მიმონერა ვანის რაიონის ერთ-ერთი თემის თავმჯდომარესა და ვანის რაიალმასკომს შორის, რომელიც თემატურად აგრძელებს ზემოთ მოყვანილ დოკუმენტს:

1 იხილეთ ო. კაპანაძის „საგანმანათლებლო და სასკოლო მშენებლობის ტენდენციები ვანის სოფლების მიხედვით“, „ვანის რაიონის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევის ცენტრის“ კრებული „მატიანე“, № 4

2 ნაშრომი გამოქვეყნდა „რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეში“, №4

სარაიონო აღმასკომი ამით გაცნობებთ, რომ ვანის რაიონში შემავალ თემებში არსდება წერა-კითხვის უცოდინარობის (სალიკვიდაციო) სკოლა, რისთვისაც გევალებათ სამი დღის განმავლობაში წარმოუდგინოთ აღმასკომს შემდეგზე: დაუყონებლივ მოახდინოთ წერა-კითხვის უცოდინართა აღნუსხვა, განსაკუთრებით, 1900, 1901, 1902 და 1903 წლების და აგრეთვე სხვა წლებისაც, სურვილისამებრ თუ ვისაც სურს და ნაჩვენები წლებისათვის კი სწავლდებულის და სია შემდგარი ამ წლების. სამი დღის განმავლობაში წარმოუდგინეთ აღმასკომს, რის შემდეგ გამოგეგზავნებათ მასწავლებელი და სათანადო ინსტრუქციები. შეუსრულებლობისათვის იქნებით სასტიკად დასჯილი.

**26 იანვარი 1924 წელი, ქუთაისის ცენტრალური არქივი.**

**(ფონდი №296, საქმე №664, ფურცელი 1)**

წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის მიზნით პედაგოგთა დანიშვნას ვანის რაიონის სხვადასხვა თემებსა და სოფლებში ადასტურებს ამავე საქმეში დაცული დოკუმენტები, სადაც გვხვდება ამ პერიოდში მოღვაწე პედაგოგების გვარები მაგალითად: ტობანიერში პედაგოგად ვლადიმერ გიორგაძე დაინიშნა (იქვე, ფურცელი 2), **უხუთის თემის სოფელ ძულუხში (გარკვეულ მოკლე პერიოდში, როგორც ჩანს ძულუხი შედიოდა უხუთის თემსაზოგადოებაში), პედაგოგი ამბერკი დიასამიძე გახლდათ (იქვე ფურცელი 3),** დვალიშვილების თემის სოფელ გადიდში პედაგოგად გრიგოლ ალექსანდრეს ძე შარაშენიძე მოღვაწეობდა (იქვე ფურცელი 4), ვანის თემში პედაგოგად დაინიშნა სევერიანე დიასამიძე (ასეა დოკუმენტში, იქვე ფურცელი 7), საპაიჭაოს თემის სოფელი მუქედი, პედაგოგად მინა დიასამიძე (იქვე ფურცელი 6) და მეთოდე ბიბილეიშვილი დაინიშნა (იქვე ფურცელი 8). როგორც წერილებიდან ირკვევა წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლების გახსნას დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ და ყველა უწყებას ავალებდნენ დახმარება აღმოეჩინათ მათი შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის.

და რადგანაც საგანმანათლებლო პროცესებზე მიგვყავს საუბარი, საჭიროდ ვთვლით დაზუსტდეს ზოგიერთი დეტალი, რომ ძულუხის სკოლისათვის დაშალეს ეკლესიის შენობა და მასში განთავსდა სასწავლებელი, რომელიც საარქივო დოკუმენტების საფუძველზე ამ პერიოდისათვის არ დასტურდება. ზემოთხსენებული სერგო აბდალაძის ინფორმაციითაც ეს ჩანს, რადგანაც „დვალიშვილების თემის სოფელ ძულუხში არსებობს ერთსართულიანი ოროთახიანი სკოლა, რომელიც დახურულია ყავრით და სჭირდება მცირე რემონტი. ინფორმაცია წარდგენილია 1926 წელს, რაც არ მიუთითებს, რომ ეს სკოლა აშენებულია მოქმედი ეკლესიის ხარჯზე. ამდენად, ძულუხის ეკლესია 1926 წლისათვის დაშლილად (სკოლისათვის) არ ჩანს. მოსწავლეთა მრავალრიცხოვანი კონტინგენტისათვის, რომელიც სოფელში ფიქსირდებოდა, სიტუაცია აუცილებლად მოითხოვდა სასწავლო ბაზის გაფართოებას, რის გამოც 1930-იან წლებში (ბოლოს) აქ აგებული იქნა საკმაოდ დიდი მოცულობის, მინიმუმ 10 სამეცადინო ოთახისაგან შემდგარი მუხის ხისგან ნაგები სკოლა (საერთო ფართი არანაკლებ 300 კვ. მეტრამდე) აქ ორი მომენტი მხედველობაში მისაღები: ადგილმდებარეობაზე, სადაც ეკლესიის არსებობას მიუთითებენ (დღევანდელი სასაფლაო) შეუძლებელია ფართის არასაკმარისობის გამო განთავსებულიყო ასეთი მოცულობის ეკლესია. არ გამოირიცხება, რომ არსებული ეკლესია ნამდვილად დაშალეს (რაც იშვიათი მოვლენა არ იყო და გადააკეთეს სკოლად, ამაზე ადგილობრივი ხანდაზმულებიც მიუთითებენ), მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მას აუცილებლად ჩაუტარდებოდა მიშენებითი სამუშაოებიც, რომ დაკმაყოფილებულიყო ადგილობრივი მოსწავლეთა კონტინგენტი სასწავლო მატერიალური ბაზით (როგორც ზემოთ აღინიშნა 1950-იანი წლებისათვის სკოლაში ირიცხებოდა 300-ზე მეტი მოსწავლე).

1953-1954 წლის პერიოდში ძლიერმა ქარიშხალმა ამ სკოლის ცენტრალური ნაწილი დაანგრია. უმოკლეს დროში შენობა აღადგინეს და ამ სახით ფუნქციონირებას აგრძელებს 1967-1968 წლამდე, რა დროშიც დაიწყო ახალი ორსართულიანი კაპიტალური სკოლის მშენებლობა,

თუმცა არამყარი გრანიტის გამო მას მეორე სართული მოხსნეს და სოფელმა მიიღო სკოლის ერთსართულიანი შენობა. 1987 წლის ბოლოს აქ დაპროექტდა (მანამდე არსებული სკოლის წინ) ახალი სამსართულიანი შენობა, ყველა აუცილებელი სათავსოთი, სპორტდარბაზებით, სააქტო დარბაზით და ა.შ. რომლის მშენებლობაც დასრულდა 1990 წელს და აქვე უნდა ითქვას აქ მაცხოვრებლების ბიჭიკო ვაშაყმაძის, ვერიჩქა ხურციძის, მისი ვაჟის გურამ ხურციძისა და ნაზი ხურციძის ოჯახების კეთილ ნებაზე, რომლებმაც ნება დართეს, რომ ახალი სკოლის შენობის ნაწილები განლაგებულიყო მათ საკარმიდამო ტერიტორიაზე, ხოლო სკოლის ძირითადი ნაწილი განლაგდა მაშინდელი აგროუბნის, სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციული სახლების, ამორტიზირებული სოფლის მალაზიისა და აგროუბნის საწყობის შენობის ტერიტორიაზე.

სამწუხაროდ, არა გვაქვს ინფორმაცია თუ ვინ ხელმძღვანელობდა სოფელ ძულუხის სასწავლო დაწესებულებას 1940-იან წლებამდე. ამ წლებიდან 8-წლიანი სკოლის დირექტორები არიან: თამარ კაშია, მარიამ (მარო) ნიკოლეიშვილი, პავლე კორძაძე, კირიონ მალლაკელიძე, ჰამლეტ ხელაძე, ბადრი ხურციძე, ივერი გოგიბერიძე, მურმან ეფრემიძე, გელა შურაძე. ამჟამად მერაბ ხურციძე. რაც შეეხება საკადრო პოლიტიკას: საწყის ეტაპზე ადგილობრივი კადრების არასაკმარისობის გამო ვაკუუმს ავსებდნენ რაიონის სხვადასხვა სოფლებიდან მოვლინებული კადრები. ეს დეფიციტი პრაქტიკულად გასწორდა 1990-იანი წლებიდან.

ძულუხის საშუალო სკოლა დაამთავრეს: ავთანდილ და ზურიკო ხელაძეებმა; ზურაბ ხელაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ხელმძღვანელობდა ვანის რაიონის ახალგაზრდულ ორგანიზაციას (კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი), შემდეგში რაიონულ ხელმძღვანელ რგოლში ეჭირა უმაღლესი საპასუხისმგებლო თანამდებობა; ვანის რაიონის უმაღლესი მმართველობის რგოლში – ავთანდილ ხელაძე, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა უმნიშვნელოვანეს განყოფილებას, ხოლო 1990-იანი წლებიდან ორივენი ხანგრძლივად ხელმძღვანელობდნენ ქალაქის №1 და №2 საშუალო სკოლებს, ემსახურებოდნენ თაობათა აღზრდის საქმეს. ავთანდილ ხელაძის ძმა – ომარ ხელაძე იყო საქ. ენერგეტიკის მინისტრის თანაშემწე, არის საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის აკადემიკოსი, კითხულობდა ლექციებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში; ძულუხელია და ძულუხის შვიდწლიან სკოლაში სწავლობდა ომარ კაპანაძე, შემდეგში ვანის რაიკომის პირველი მდივანი, სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა უმაღლეს საპასუხისმგებლო პოსტებზე. არის „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი, ავტორია ორი მონოგრაფიისა და არაერთი კვლევისა და სტატიის; დემურ როხვაძე – შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკი, პოლკოვნიკი; წარმოშობით ძულუხელია მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ჭადრაკში – ნინო ხურციძე; წარმოშობით ძულუხელია გიგლა ხელაძე, რომელიც ქუთაისში ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ საწარმოს (ავეჯის ქარხნის დირექტორი), ხოლო შემდეგ იყო ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის (უნივერსიტეტის) პრორექტორი სამეურნეო უზრუნველყოფის საკითხებში.

იმ დროისათვის (მხედველობაშია 1920-იანი წლები) აღსანიშნავია ფაქტი იმაზე, რომ საგანმანათლებლო კუთხით გატარებულ ღონისძიებებს პარალელში მოჰყვება ზრუნვა... „სათემო გზების“ შეკეთებაზე, დაწყებულია ტელეფონის ბოძების შეგროვება, ხოლო თემსაზოგადოების ცენტრში – დვალისვილებში, რომელშიდაც შედიოდა ძულუხიც, უკვე ფუნქციონირებდა სამკითხველო, რომელიც მოთავსებულია „აღმასკომის ერთ თვალ შენობაში, შენობა არის ხის, დახურული ყავრით, აქვს ბუხარი, წიგნები ქართული – 60 ცალი, რუსული – 3 ცალი, გამონერილი აქვს გაზეთებიც“. როგორც ჩანს დვალისვილების თემში შემავალი სოფლებისთვის (გადიდი-ძულუხი) ეს სამკითხველო საერთოა და ეს პროგრესადაც უნდა ჩაითვალოს, რადგან მსგავსი დაწესებულება ცენტრალიზებული სახით რაიონის სივრცეში, თემსაზოგადოებებში მანამდე იშვიათადაა დაფიქსირებული.

1920-იანი წლების ბოლომდე სოფელ ძულუხშიც, ისე როგორც ქვეყანაში ძირფესვიანად იცვ-

ლება ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმებიც და მეთოდებიც. მიწა, როგორც ბაზისი აგრარულ სექტორში გადადის სახელმწიფოს ხელში, რასაც თან გაჰყვება წვრილი კოოპერაციული მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო არტელების აღმოცენება, ხოლო შემდეგ საკოლმეურნეო ორგანიზაციებად გარდაქმნა (იგივე, შედარებით გამსხვილებული კოოპერაციული მეურნეობები). ორი ასეთი აგრარულ-ეკონომიკური დანაყოფი ჩამოყალიბდა ძულუხის ტერიტორიაზე — გადაღმა ძულუხის ცენტრისა და წითელი დროშის სახელობის დაკომპლექტებული ე. წ. მდინარე ძულუხურას აუზის მაცხოვრებლებით, მეორე – სოფლის ცენტრის კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობა მიმდებარე დასახლებების – გოგიბერიძეების, კაპანაძეების, ხელაძეებისა და როხვაძეების უბნების მაცხოვრებლებით. პროცესი განხორციელდა 1930-1931 წლების შუალედში. ძირითადად დამთავრდა 1932 წლისათვის. XX საუკუნის 50-იანი წლების მიჯნასთან მოხდა ამ აგრარული დანაყოფების გაერთიანება და ჩამოყალიბდა ძულუხის კოლმეურნეობა. აგრარული საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა მემარცვლეობა (თესდენენ სიმინდს), მევენახეობა. ძირითადად ინდივიდუალურად გლეხთა კერძო სექტორში ვენახს, (ვაზს) ფლობდა კოლმეურნეობაც. გარკვეულ პერიოდში მეფრინველეობა, მეცხოველეობა. აქცენტი კეთდებოდა მსხვილფეხა პირუტყვზე და გამწვევ ძალაზე (ხარზე), რომელიც გაპროვინებული იყო არაერთ კომლზე (მამაკაცებზე) და გამოიყენებოდა კოლმეურნეობის მიერ დაგეგმილ სამუშაოთა შესასრულებლად (ნიადაგის მოსახნავად, ტვირთის გადაზიდვისათვის, საგზაო მშენებლობაში და ა. შ). 1970 წელს საკოლმეურნეო დანაყოფთა სტრუქტურა და იურიდიული ფორმა შეცვალა, სამი კოლმეურნეობის (ძულუხის, სულორის, გადიდის) ბაზაზე სულორის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ჩამოყალიბებამ. ძულუხის კოლმეურნეობა აღნიშნულ საბჭოთა მეურნეობაში შევიდა აგროუბნის სახით, პრაქტიკულად იქცა სახელმწიფო ორგანიზაციის დანაყოფად (კოოპერაციული სისტემიდან გარდაქმნეს სახელმწიფო ორგანიზაციად), ამ ფორმით შეინარჩუნა მან არსებობა 1991 წლამდე, ვიდრე საქართველოში ამდგვარი აგრარული დანაყოფები მთლიანად არ მოშალეს.

სხვადასხვა დროს სოფლის აგრარულ გაერთიანებებს (კოლმეურნეობებს) ხელმძღვანელობდნენ: ლავროსი ხურციძე, ალფეზი ხურციძე, ბენია კაპანაძე, პოლიკარპე კიკვაძე, ტატიანა ხელაძე, გრიშა გაბუნია, იოველ როხვაძე, სერგო ხელაძე, დუტუ ხურციძე, ომარ ქავთარაძე, ამირან მჟავანაძე.

სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სხვადასხვა პერიოდებში ხელმძღვანელობდნენ: ვალერიან (ვალიკო) დვალიშვილი, ვალერიან ხვედელიძე, აპოლონ სუპატაშვილი, სილიბისტრო ლეჟავა, მიხეილ როხვაძე, სერგო ხელაძე, რაჟდენ ხურციძე, ვაჟა ძაგნიძე, კარლო ტყემელაშვილი, ზაურ ხელაძე, სულიკო შარაშენიძე. 1990-იანი წლებიდან პოსტსაბჭოთა პერიოდში სოფელს ხელმძღვანელობდნენ: რამაზ ხურციძე, ბადრი ხურციძე, კახა ხურციძე, დღეისათვის ხელმძღვანელია – ლერი ხელაძე.

რაც შეეხება დღევანდელ ძულუხს: ვანის მუნიციპალიტეტის (რაიონის) მაღალრელიეფური განლაგების სოფელთა შორის შედარებით მონესრიგებული სოფელია. სოფლის ცენტრში განლაგებულია საჯარო (საშუალო) სკოლის სამსართულიანი შენობა, ფუნქციონირებს მცირე ზომის ეკლესია, რომელიც აგებულია XXI საუკუნის პირველ ათწლეულში (ლოცვა-კურთხევას აღავლენს მღვდელი მამა კირიონი – ბაჩუკი ხურციძე), მოქმედებაშია მაღაზია (ძირითადად სასურსათო საქონლით), სოფელს აქვს კარგად მოწყობილი მინი სტადიონი.

სოფელს რაიონის ცენტრთან აკავშირებს ასფალტბეტონირებული გზა, მოსახლეობას ემსახურება ორი ავტობუსი, ძულუხი-ქუთაისისა და ძულუხი-ვანის მიმართულებებზე. სოფლის ცენტრი და მიმდებარე ახლო უბნებში მოწყობილია ღამის განათებები, სოფელი ძირითადად ტელეფიცირებულია. 2017 წლის ბოლოსათვის დამთავრდა ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის 6 კილომეტრიანი ტრასის მშენებლობა, მიმდინარეობს ცალკეულ ოჯახებში გაზიფიცირების სამუშაოები, რომელსაც კონკრეტული პირობებით და შეღავათებით ახორციელებს გაზ-

მომარაგების კომპანია, ელექტროენერგია უწყვეტად მიეწოდება სოფელს. ძირითადში წყდება წყლით მომარაგების საკითხიც (დანყებულია სამუშაოები). სოფელი მარაგდება სასურსათო პროდუქტებით. 2017 წელს გატარდა ღონისძიებები საუბნო გზების კეთილმოწყობისათვის, საავტომობილო გზა შეყვანილია სოფლის მაღალმთიან ტყიან მასივშიც.

სოფლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დასაქმებულია ე.წ. საკარმიდამო ნაკვეთებში. სავარგულებით სოფელი მდიდარი არაა. თესენ ძირითადად სიმინდს, ვაზი (ვენახი) შემორჩა მცირე რაოდენობით, საკარმიდამო მეურნეობებში თითქმის მასიურად გაშენებულია თხილი, ხოლო მას შემდეგ რაც რაიონის საკონსერვო ქარხანამ მიზეზთა გამო შეწყვიტა საქმიანობა, ფაქტორიდან გამომდინარე, ხეხილის ნარგავები შემცირდა, მათ შორის, ისეთი უნიკალური ჯიშები, როგორცაა ხეჭყური, მთის ვაშლი (ქვავაშლა), და საერთოდ ხეხილის სხვადასხვა სახეობანი, რომლებიც სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური შემოსავლის დამატებით, მაგრამ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. მოსახლეობის მცირე ნაწილი დაკავებულია მეფუტკრეობით და ა. შ.

საფუძვლიანი სოციალურ-ეკონომიკური გეგმის დამუშავების შემთხვევაში, სოფელს აქვს კიდევ უფრო პერსპექტიული განვითარების შესაძლებლობა. ვიმეორებთ, თუ ეს გეგმა იქნება სოფლის მაქსიმალური შესაძლებლობების გათვალისწინებით დამუშავებული და გამოყენებული ის ფინანსური რესურსები, რასაც დღევანდელ პირობებში სთავაზობთ საქართველოში ოფიციალურად მოქმედი სხვადასხვა ორგანიზაციები და პროგრამები, თუ სოფლის ახალგაზრდობა იაქტიურებს და არ მიატოვებს სოფელს, ცხადია ეს იქნება გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებთან დაკავშირებული, მაგრამ მიუღწეველი არ იქნება. სწორი კოორდინირება ამისათვის საჭირო, რომელიც დაკავშირებული იქნება გათვლილ ორგანიზაციულ საქმიანობასთან, მონდომებასთან, საქმისა და სოფლის სიყვარულთან. ამ შემთხვევაში დაუძლეველი არ დარჩება არცერთი პრობლემა და დარეგულირდება მზარდი მიგრაციის პრობლემაც.

## სოფელი ზეინდარი

**ვანის რაიონის ზეინდარის თემი, ამაჟამად ვანის მუნიციპალიტეტის  
ზეინდარის ადმინისტრაციული ერთეული**

ადმინისტრაციულ ერთეულში (შემდგომში „თემი“) შემავალი სოფლებია: სოფ. ზეინდარი და სოფ. შუაგორა.

თემი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში ზღვის დონიდან 90 მ. სიმაღლეზე, ქალაქ ვანის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 15 კმ-ის დაცილებით. მასზე გამავალი მერიდიანი ემთხვევა აჭარა-აბაღცხის უმაღლეს მწვერვალს, ა.გ. 35° და 50'-ზე, ხოლო განედის პარალელი არის 32 და 30-ზე. თემის საზღვრები გადის აღმოსავლეთით – ვანის რაიონის სოფ. სალომინაოსთან და მდინარე ჯამისარეცხელაზე, გრძელდება ბაღდათის რაიონის სოფ. როხთან, იქ სადაც ეს მდინარე საირიგაციო არხად იწყება. დასავლეთით – საზღვარი გადის ვანის რაიონის სოფ ამაღლებასთან, კოპიტნარის უბანში და შემდეგ ვანის რაიონის სოფ ქვედა გორასთან. სამხრეთით – ესაზღვრება ვანის რაიონის სოფ ფერეთა და სოფ ზედა გორა, ჩრდილოეთით – საზღვარი ძირითადად მდ. რიონის მარცხენა სანაპიროს, თუმცა აქ საზღვარი სადაო იყო წყალტუბოსა და ვანის რაიონებს შორის, რადგანაც წყალტუბოს რაიონის სოფ. ტყაჩირი ახლაც ფლობს რიონ-გამოდმა რამოდენიმე ჰა მიწას, ეს იმიტომ, რომ წარსულში მდ. რიონი იცვლიდა კალაპოტს, ცნობილი ფიზიკის კორიოლისის კანონის გამო, რის მიხედვითაც დიდი მდინარეები იწვევს მარცხენა სანაპიროს გამორეცხვას. აუცილებელი გახდა ნაპირსამაგრის მოწყობა, თუმცა ვარცხბჭესის აგების შემდეგ პრობლემა მოიხსნა, რადგანაც მდინარის კალაპოტმა ძირითადად ჰესის ხელოვნურ არხში გადაინაცვლა, გამოდმა დარჩა რიყე და იქ მხოლოდ კაშხალის ქარბი წყალი გაედინება.

თემის ტერიტორია მერიდიანული სწორი ხაზით მაქსიმუმ 6 კმ-ია, განედურად კი 6.5 კმ. საერთო ფართობი 35 კვ/კმ.

თემის ტერიტორიული ცენტრი არის სოფ. ზეინდარის საჯარო სკოლის ირგვლივ, აქვეა ადმინისტრაციული ცენტრიც, რომელიც წარსულში ზეინდარის ღვინის ქარხნის ირგვლივ მდებარეობდა.

თემის რელიეფი ორი ნაწილისაგან შედგება: ქალა კოლხეთის დაბლობის ნაწილით და გორაკბორცვიანი – ზეგანი ნაწილით.

თემის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მდ. ფერეთას გაშლილი ხეობის ორივე მხარეს ცხოვრობს. მდ.ფერეთა კორთხის მთის ბელესნარის მწვერვალიდან იღებს სათავეს, თემის ტერიტორიის 7 კმ მანძილს გაივლის და ქალაში მდ. კორისწყალის მარცხენა შენაკადს წარმოადგენს, ეს უკანასკნელი კი სოფ. ამაღლების ქალის ტერიტორიაზე მდ.რიონის მარცხენა შენაკადია. ამავე ტერიტორიაზე უერთდება მდ. კორისწყალს მდ. ჯამისარეცხელა, ამ ადგილას თემის მოსახლეობა „შერთულს“ ეძახის. ამ სამი მდინარის გარდა თემში სხვა მდინარე არ არსებობს, ისინი არ მიეკუთვნებიან წყალუხვ მდინარეებს. არის რამოდენიმე ლეღე, მდინარე ფერეთაზე აგებულია 5 საავტომობილო ხიდი, ხოლო ლეღეებზე 7 ხიდბოგირი, არის რამოდენიმე საცალ-ფეხო ხიდიც.

მდინარეზე ადრე რამოდენიმე წყლის ნისქვილი იყო აგებული, რომლებიც დროთა განმავლობაში წყალდიდობებმა დაანგრია, ამაჟამად ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი.

თემის რელიეფი თანდათან სამხრეთით მალდება და კერცხეთისა და ეკლარას ბორცვს უერთდება. რელიეფი დანაწევრებულია ლეღეებით.

მოსახლეობა მჭიდროდაა დასახლებული, სიმჭიდროვე 1კვ.კმ-ზე საშუალოდ 35 კაცია, თემის კომლთა რაოდენობაა 890, აქედან სოფ. ზეინდარში 484, სოფ შუაგორაში 406, მოსახლეობის რაოდენობაა 2212. აქედან სოფ. ზეინდარში 1299, სოფ შუაგორაში 913.

ასაკის მიხედვით:



1-დან – 10 წლამდე – 870

10-დან 18 წლამდე – 385

18-დან 40 წლამდე – 455

40-დან ზევით – 705

თემში 426 პენსიონერია, მათ შორის შრომისუუნარო – 106, მიტოვებული სახლკარი – 6, ნასახლარი – 9. როგორც ჩანს სოფელი ზეინდარი ვანის რაიონის სოფელთა შორის შედარებით ახალ დასახლებებს მიეკუთვნება 1873 წლის აღწერით, რომელიც მაშინდელი ქუთაისის გუბერნიაში განხორციელდა (ამ დროს ზეინდარი წარმოადგენდა გორას თემსაზოგადოების ერთ-ერთ სოფელს) აქ ცხოვრობდა 5 კომლი, აქედან ქალი 19, კაცი 10.

1925 წლის აღწერით სოფელში უკვე ცხოვრობს 147 კომლი 614 მცხოვრებით. ამ დროისათვისაც ზეინდარი გორას თემსაზოგადოების სოფელია, მოსახლეობის კომლობრივი ზრდა 52 წლის მანძილზე მნიშვნელოვნადაა გაზრდილი.

1930 წლის აღწერით ზეინდარში ცხოვრობდა 153 კომლი, მოსახლეობა 681 სული. ამ დროისათვის სოფელი ზეინდარი უკვე 1930 წელს ახლადშექმნილი ვანის რაიონის ადმინისტრაციული ერთეულის ცალკე სოფელია (ზეინდრის სასოფლო საბჭო).

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა მარტივია, ცხოვრობენ მხოლოდ ქართველები. ძირითადად მართმადიდებელი ქრისტიანები, მომრავლდა იეჰოვას მიმდევრები. აქაური მოსახლეობა სხვადასხვა დროსაა ჩამოსახლებული, ამიტომაც მრავალგვაროვანია, ყველაზე მრავლადაა: მამასახლისები (50 კომლი), ლილუაშვილები (35 კომლი), გიორგაძეები (20 კომლი), შემდეგ მოდიან მალაკელიძეები, ადეიშვილები, სხვედიანები, ხელაძეები, გურგენიძეები, ხურციძეები, ჭელიძეები, ფხალაძეები, ლომინაძეები, დვალისშვილები და ა. შ. 1969 წელს ვანის რაიონის სოფ. ბაბოთში ზვავმა დაანგრია სოფელი (იყო მსხვერპლიც), და მისი მცხოვრებნი ჩამოსახლდნენ სოფ. ზეინდარში, ესენია: ხელაძეები, თავაძეები, ვაშაყმაძეები, არველაძეები და გოგაბერიშვილები. 1989 წელს აჭარის რიგი სოფლების დამეწყრის შემდეგ ჩამოსახლეს ქედის რაიონიდან: ზოიძეები, ბერიძეები, გოგიტიძეები და მაკარაძეები 100 სულამდე – 32 ოჯახი, შესაბამისად არსებობს შემდეგი უბნები: მამასახლისების, ლილუაშვილების, გიორგაძეების, მალაკელიძეების, ადეიშვილების, სხვედიანების, გურგენიძეების, ჭელიძეების, ფხალაძეების, ლომინაძეების, დვალისშვილების. დასახლებები: აჭარლების, ლიფნარის, კოპიტნარის, ცენტრის.

1865 წელს ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ბევრი ყმა – გლეხი მინანყლის გარეშე დარჩა და დაიწყეს მოძრაობა ქვემო იმერეთში თავისუფალ მიწებზე დასახლებლად. ასე დასახლდა თემის ტერიტორიაზე: ლილუაშვილები – თერჯოლიდან, გურგენიძეები და სანიკიძეები – რაჭიდან, სხვედიანები – ლანჩხუთიდან, მალაკელიძეები – ზესტაფონიდან, გიორგაძეები – სვირიდან, ცირეკიძეები და სოფრომაძეები – ოკრიბიდან, ბექელაძეები (იგივე ბელექიანები) – სვანეთიდან, თავაძეები, ცინცაძეები და ბარამიძეები – გურულებია, გაბუნები და მეძველიები – მეგრელები. გაურკვეველია მამასახლისების თავდაპირველი ადგილსამყოფელი.

ჰავა ტიპიურია დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი – ზომიერად სუბტროპიკული, ხშირია აღმოსავლეთის ქარები, ფიონები (ზენა), რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ჭალის ნათესებს. ცხელი ქარის მოქმედების შესამცირებლად ადრე „ბუნების გარდაქმნის პროექტის“ შესაბამისად, დასავლეთ საქართველოში ქარსაფარი ზოლები გააშენეს, მათ შორის 3 ქარსაფარი ჩვენს რაიონშიცაა, აქედან ერთი სოფ. ზეინდრისა და სოფ. ამაღლების ჭალების ზოლზეა გაშენებული.

თოვლის დნობისა და ხანგძლივი წვიმების დროს წყალდიდობების შედეგად იტბორება ჭალის ფართობები. ზაფხულის გვალვების პერიოდში ჭალის მიწები საჭიროებს მორწყვას. მოსახლეობამ და შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმა ორჯერ სცადა ამ პრობლემის გადაჭრა, მაგრამ უშედეგოდ. პირველად 1946 წელს მდ. რიონიდან, ბალდათის რაიონის სოფ. ვარციხის ტერიტორიიდან ბეკის ძირების გაყოლებით გადმოიყვანეს სარწყავი არხი, სოფ ამაღლებამდე, რასაც შესაბამისი ტექნიკის დეფიციტის გამო დიდი შრომა დასჭირდა, მაგრამ მდ. ფერეთას და მდ. კვინისწყალის ქვეშ არსებულმა სიფონებმა წყალი არ გაატარა და არხი მინით ამოივსო.

მეორედ 1996 წელს იქ სადაც მდ.ფერეთა მდ.კორისწყალის ერთვის (ე.წ შერთულთან) ააგეს სარწყავი სადგური, 6 მ-იანი კაშხალითა და მთელი სარწყავი სისტემით, რომელიც თითქმის მთელი ქალის ტერიტორიას მოიცავდა (მ.შორის 110 ჰა საძოვარსაც, ეს საძოვარი ამჟამად მხოლოდ 60 ჰექტარია), მაგრამ ტექნიკური ხარვეზების გამო მწყობრიდან გამოვიდა და საბოლოოდ მთლიანად გაიძარცვა, ხოლო არსებული კაშხალის მდინარის ნატანით ამოვსების გამო მდ. კორისწყალის, მდ. ფერეთას და მდ. ჯამისარეცხელას კალაპოტების სიმაღლე შემცირდა და წყალდიდობების დროს იტბორება მიმდებარე ფართობები. სპეციალისტების დასკვნებისა და რეკომენდაციის საფუძველზე კაშხალი მოშლას, დანგრევას ექვემდებარება.

ტერიტორიის ნიადაგები მრავალფეროვანია, ქალაში ალევურ – თიხნარი მიწებია, გორაკ-ბორცვიანი ტერიტორიების ქვემოთ – ენერი ნიადაგები სჭარბობს, ხოლო გორაკ-ბორცვიანი ნიადაგები თემის სიამაყეა, სადაც ნემომპალა-კარბონატული ნიადაგების დიდი ზოლი, ე.წ დობილო მიწებია, მევენახეობისათვის, ბოსტნეულ-ბალჩეულისათვის, მეხილეობისათვის მიზანშეწონილი მურა და შავმიწა ნიადაგებია, სწორედ ამ ტერიტორიაზე მოჰყავდათ და მოჰყავთ გორა-ზეინდრის ცოლიკაურის ჯიშის ყურძენი.

შემთხვევითი არაა, რომ აქაური მევენახეობის ბაზაზე სოფ. ზეინდარში აიგო დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი დიდი ღვინის ქარხანა (ზეინდრის ღვინის ქარხანა), სადაც ასევე ამზადებდნენ კონიაკის, პორტვინის და სპირტის მასალას. აღნიშნული საწარმოს სრული რეკონსტრუქცია და ტექნიკური გადაიარაღება, დამატებითი მშენებლობებით განხორციელდა 1990 წლის სეზონისათვის, აქვე აიგო საწარმოს ადმინისტრაციული სახლი ყველა აღჭურვილობით. სამწუხაროდ, ქარხანა აღარ ფუნქციონირებს, არადა იყო წლები როცა იგი მოსავლის მიღებას ვერ აუდიოდა.

თემის ტერიტორიაზე მასიური ტყის ფართობები არ არსებობს, მდინარეების ხეობის გასწვრივ არსებობს თხმელისა და აკაციის ტყის კორომები. ალაგ-ალაგ წითელ წიგნში შეტანილ ძელქვებსა და კავკასიურ მუხებსაც შეხვდებით. ველური ხილიდან – თეთრი და შავი თუთა, ხურმა, ასკილი, შავი მაცვალი, პანტა, ზღმარტლი, ტყის მარწყვი, მინდვრებში შეხვდებით ქამა სოკოს (შამპინიონი).

მდინარეებში გავრცელებული თევზის სახეობებია: ქაშაყი, წვერა, ბოლოწითელი, ღორჯო, ტაფელა, მდ. რიონში იშვიათად ლოქო და ზუთხი, არის კიბო, ცხრაფეხა, კუ.

ნადირობენ მწყერზე, გარეულ იხვზე, გარეულ ბატზე, ტყის ქათამზე, ღაღაზე, გვრიტზე, გარეულ ინდაურზე, კურდღელზე, მაჩვზე. მომრავლდა ტურა, არის მელა და იშვიათად მგელი.

ქალის მიწების გარკვეული ფართობები და თემის უბნები შემორჩა ერთგვარ ადგილობრივ ტოპონიმებად, მაგალითად: „როდინა“, „რიყე“, „ფოფრი“, „კვიდო“, „ნანარვალი“, „კოპიტნარი“, „მუხნარი“, „სხიპის ტყე“, „ლიფნარი“, „რცხილნარი“ და სხვა.

თემში ბუნებრივი რესურსები თითქმის არ არის, თუმცა სოფ. ზეინდრის ქალებზე მდ. ფერეთას მარჯვენა სანაპიროსთან ახლოს გეოლოგიური ბურღვის შედეგად მიწის ზედაპირიდან 1200 მ. სიღრმიდან ამოფეთქა ნახშირმჟვა - გოგირდოვანი ბუნებრივი ცხელი წყალი, რომელიც დროთა განმავლობაში ჩაინგრა თუ ხელოვნურად ჩაანგრიეს. მდ. რიონის დამშრალ კალაპოტში არსებობს ქვიშისა და ქვალორლის დიდი მარაგი, რომელიც უკვე შესყიდულია თურქი ბიზნესმენების მიერ და აქვთ შესაბამისი კარიერები.

რადგანაც თემი ისტორიულად შედარებით ახალგაზრდაა, თითქმის არ მოიძებნება ისტორიული სიძველეების კვალი, თუმცა სოფ. ზეინდარში ცენტრის სასაფლაოს ტერიტორიაზე ყოფილა ხის ეკლესია, რომელიც 1921 წელს დაუნგრევიათ.

ვახუშტის მონაცემების გარდა, საინტერესოა მე-18 საუკუნის გერმანელი მეცნიერის და

შენიშვნა: ცნობისათვის შეიძლება ითქვას საკითხი გადაიჭრა 1989-1990 წლებში, როდესაც შესრულდა დიდი სამელიორაციო სამუშაოები (ე.წ. ვარციხე-ვანი-ტობანიერის სამელიორაციო არხი). მშენებლობა დაჯდა 1,5 მილიონი მანეთი, (ფულის მტკიცე კურსით) შემდეგში ხელისუფლებისა და სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის ცვლის გამო მისთვის არავის მიუხედავს. პირიქით, ჩაყრილი წყალგამტარი იმპორტირებული მილები ამოყარეს და გაჰყიდეს, ანალოგიურად მოექცნენ ყველა დამატებითი საშუალებას, რაც სისტემის გამართვისათვის იყო შემოტანილი (რედ).

მოგზაურის გიულდენშტედტის ჩანაწერები, სადაც პირდაპირ მოხსენიებულია ზეინდარი. სოფ. შუაგორას მკვიდრი, უმაღლესი კატეგორიის მეთოდისტ-მასწავლებელი, შუაგორის საშ. სკოლის ყოფილი დირექტორი – გურამ ლილუაშვილი, თავისი ხელნაწერით მოგვითხრობს, რომ მის მამის (ბესარიონის) ბაბუის – ესე ლილუაშვილის ზეპირი გადმოცემიდან თემში ამჟამად არსებული ყველაზე ძველი ნაგებობაა სოფ. ზედა გორას საზღვართან არსებული მაცხოვრის სახელობის ეკლესიაა, რომელიც უნდა იყოს არა ზედა გორას, არამედ შუაგორას, ამას ისიც ადასტურებს, რომ ბარის საერისთაოდან რამოდენიმე ერისთავი ამ ეკლესიის ჩრდილოეთ მხარესაა დაკრძალული. შეცდომაა დაშვებული სოფლების საზღვრების დადგენის დროს, ნიშანდობლივია, რომ ეკლესიის აშენების პერიოდი, ზეინდრის თემში მე-17, მე-18 საუკუნეში მოსახლეობის დასახლებას ემთხვევა. მის ისტორიას განმარტავს ცნობილი სასულიერო პირი, დიდად განათლებული და ქველმოქმედი პიროვნება გრიგოლი ნადირაძე, მისი ზეპირი გადმოცემა გვაუწყებს, რომ მე-17 საუკუნის ბოლოს ეკლესია სწორედ სოფ. შუაგორას მოსახლეობის ძალისხმევით აშენებულია, მშენებლები ქუთაისიდან მიუწვევიათ. კედლები ნატეხი ქვის ქანებითაა აშენებული, სახურავი კონუსური ჰქონია, შიდა 2 მთლიანი სვეტი კერცხეთის გორიდანაა ჩამოტანილი 1954 წელს. გურამ ლილუაშვილისა და რიონის მაშინდელი ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკის, შოთა ბაღდავაძის ძალისხმევით ეკლესია ძეგლთა დაცვის ორგანიზაციის მიერ აღსადგენ ძეგლთა სიაში შეიტანეს. ძმების, ავთანდილ და ტარიელ იაშვილების ქველმოქმედებით, 1995 წლიდან ეკლესია მოქმედი გახდა, მღვდელმსახურებას ალავლენს ადგილობრივი დეკანოზი მამა ზურაბი (ზურაბ ბიბიჩაძე)

თემის ჩამოყალიბების (დასახლების) პერიოდები დაკავშირებულია ძველ საჩინოსთან, საჩიჯაოსთან და სალომინაოსთან. დასტურდება, რომ საჩიჯაოდან, კვინწყალიდან, საჩხეიძომდე (ბაღდათის რაიონი) ტერიტორია სალომინაოს სახელით იყო ცნობილი, შემდგომ ეს მიწები, გვიანფეოდალურ ხანაში რაჭის ერისთავებმა დაიკავეს, რომლებიც სოფ. ამაღლებისა და სოფ. ზეინდრის ტერიტორიებზე დასახლდნენ. სამოსახლოდ რამოდენიმე მათგანმა ზეგანი ტერიტორია დაიტოვა, ხოლო ჭალები მიწათმოქმედებისათვის. პროცესი დაემთხვა იმერეთის მეფის ალექსანდრე V მიერ გატარებულ პოლიტიკურ ღონისძიებებს, როდესაც მან რაჭის ერისთავთა ერთი შტო ჩამოასახლა მითითებულ ტერიტორიაზე და „ინოდეს ბარის ერისთავებად.“

ეხლანდელი სოფ. ზეინდრის ტერიტორია კი ვახუშტისეულია და სოფლის სახელიც „ზევით-მდგარი“ (ზეინდარი), მაშინდელია. შემდგომში ზეინდრის ტერიტორია სოფ. საერისთაოდ გადაკეთდა. ზეგანი ტერიტორიის ნაწილი სოფ. გორაში მცხოვრებ ფეოდალებს – გოცირიძეებს ეკუთვნოდათ. ერისთავები იჯარით სცემდნენ სავარგულ მიწებს, მაგრამ მოსახლეობის ნაწილმა შესძლო მათგან მიწების თავად შესყიდვა. გამოსასყიდი ფულისათვის ვარციხეში, ანანოვების კუთვნილ აჯამეთის ტყეში მუშაობდნენ, სადაც მუხის ხეებისაგან თლიდნენ რკინიგზის შპალებს.

ოთხი სოფელი: ზეინდარი, შუაგორა, ქვედა გორა და ზედა გორა, გოცირიძეებისა და ერისთავების მიწების შერწყმით, ერთ მთლიან სოფლად – „გორაზეინდრის“ სახით ჩამოყალიბდა. იგი 1930 წლამდე, ადმინისტრაციულად ქუთაისის გუბერნიის, ქუთაისის მაზრის, „ბაღდათის საბოქაულოში“ შედიოდა სანამ ვანის რაიონი დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბდებოდა.

სასოფლო საბჭოების შექმნის შემდეგ სოფ. ზეინდარი და სოფ. შუაგორა, ზეინდრის სასოფლო საბჭოში (თემში) გაერთიანდა, ხოლო სოფ. ზედა გორა და სოფ. ქვედა გორა, გორას სასოფლო საბჭოში (თემში).

1991 წლიდან სასოფლო საბჭოები გამგეობებად გადაკეთდა და თემი – ზეინდრის გამგეობას დაექვემდებარა.

1998 წლიდან სოფლის გამგეობები საკრებულოებად გადაკეთდა და თემს – ზეინდრის საკრებულო დაერქვა.

2014 წლიდან რაიონები, მუნიციპალიტეტებით, ხოლო თემები (სოფლები) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებით შეიცვალა და თემს – ვანის მუნიციპალიტეტის ზეინდრის ადმინისტრაციული ერთეული ეწოდა.

ქრონოლოგიურად, (დროის მიხედვითი პერიოდებით) სოფლის „თავკაცები“ იყვნენ:

1990-1991 წწ – სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეები (დანიშნულები რაისაბჭოს აღმასკომის მიერ): შალიკო გაბუნია, თეოდოტ ეფრემიძე, ვალიკო მაკარაძე, ივანე ლომინაძე, სანდრო ხელაძე, ვენედიქტე ჭელიძე, გურამ ლილუაშვილი, კარლო ტყეშელაშვილი, არდალიონ ხელაძე, გურამ ადგიშვილი, თენგიზ ძაგნიძე.

1991-1998 წწ – თემის გამგებელი (დანიშნული რაიონის პრეფექტის მიერ) – ტარიელ ბარამიძე.

1998-2006 წწ – თემის საკრებულოს თავმჯდომარეები (არჩევითი): მამუკა ცირეკიძე, ხუტა ადგიშვილი, ელგუჯა გენელიძე, ბადრი მებურიშვილი, კობა მალლაკელიძე.

2006-2014 წწ – რაიონის გამგებლის რწმუნებულები, იყვნენ – მამუკა ცირეკიძე, ვახტანგ ლილუაშვილი, ტარიელ ბარამიძე.

2014 წ. – მუნიციპალიტეტის გამგებლის (ამჟამად მერის) წარმომადგენელი, თემის ადმინისტრაციულ ერთეულში – ბადრი ადგიშვილია.

2006 წლიდან დღემდე, სხვადასხვა დროს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარ წევრებად არჩეულნი იყვნენ: ვლადიმერ (კახა) ადგიშვილი (2-ჯერ ზედიზედ), გელა ვარდოსანიძე, ტარიელ ბარამიძე.

რაც შეეხება სამეურნეო დანაყოფებს: 1992 წელს თემში შეიქმნა 2 კოლმეურნეობა, სოფ. ზეინდრის ბაქრაძის სახელობისა და სოფ. შუაგორას – კუბიშვილის სახელობის. ზეინდრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო – ერასტი ხელაძე, ხოლო სოფ. შუაგორას: ეზეკი გაბუნია, ვლადიმერ სოსელია, ანდრო ლომინაძე, ალექსანდრე ლილუაშვილი, ერმილე ენუქიძე.

კოლმეურნეობების გამსხვილების შედეგად არსებული კოლმეურნეობები ერთ, ზეინდრის კუბიშვილის სახელობის კოლმეურნეობად გაერთიანდა, ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეები იყვნენ: ერმილე ენუქიძე, არდალიონ ხელაძე, დუმიკო მებურიშვილი.

1975 წელს ზეინდრის კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა ზეინდრის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელშიც გაერთიანდნენ მიმდებარე სოფლების: ამაღლების, გორას, ზეინდრის, კოლმეურნეობები.

მეურნეობის პირველი დირექტორი იყო – ჯენერი კაპატაძე, შემდგომ სულიკო ნიკოლეიშვილი. სოფ. ზეინდრის ქალების ბოლოში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (800 სულზე, მათ შორის 400 მენველი ფური) მეცხოველეობის კომპლექსის აშენების შემდეგ, მეურნეობის სახელწოდებას მეცხოველეობაც დაემატა. მეურნეობის ბალანსზე ირიცხებოდა: ავტოსატრანსპორტო პარკი, 80-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, ბენზინგასამართი სადგურით; მუშათა სასადილო (რომელიც შემდეგ რესტორნის ტიპის სასადილოდ – „ჭენჭყოდ“ გადააკეთეს), საერთო სარგებლობის აბანო, მეცხოველეობის კომპლექსის საერთო საცხოვრებელი, ადმინისტრაციული შენობა, სასაუზმე და რიგი სხვა სასოფლო-სამეურნეო დამატებითი კომუნიკაციები.

კოლმეურნეობის არსებობის პერიოდში ზეინდრის ქალის ტერიტორიაზე, ქუთაისი-ვანის საავტომობილო გზის მარჯვენა განაპირას იყო ვაზის სანერგე მეურნეობა, რომელიც 60-იან წლებში ხანძრის შედეგად განადგურდა. 1990-იანი წლებიდან მეცხოველეობის კომპლექსის მოშლისა და მასიური ვენახების მოუვლელობით განადგურების შედეგად მეურნეობამაც დაკარგა ფუნქცია და საზოგადოებრივ მეურნეობად გადაკეთდა, სადაც თავმოყრილი იყო მხოლოდ მეურნეობის ბალანსზე რიცხული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები, ბოლოს ისინი გასხვისდა და ამ უმსხვილესმა აგროდანაყოფამაც შეწყვიტა ფუნქციონირება, მანამდე კი მეურნეობაზე რიცხული სავარგული ნაკვეთები პრივატიზებას დაექვემდებარა.

ზეინდრის თემში გასაბჭოებამდე სკოლა არ ყოფილა. თემის ბავშვებს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე გასული საუკუნის დასაწყისიდან წერაკითხვას, საკუთარ ოჯახში, სასულიერო პირი, მღვდელი, გრიგოლ ნადირაძე ასწავლიდა. გადმოცემიდან ვიცით, რომ მან ქუთაისიდან 1924 წლის 19 იანვარს – ნათლისღებას, ეპისკოპოსი ჩამოიყვანა და მდ. ფერთა აკურთხებინა. მან თავი ძლივს დააღწია მაშინდელი რეჟიმის დევნას, გვარი კი სანადირაძედ გადაიკეთა,

ბათუმში უცხოვრია და 80 წლის ასაკში გარდაცვლილა. მისი საეკლესიო მსახურება მისივე შერჩეულ მღვდელს – არსენ ჩაჩუას (სოფ. გორადან) გაუგრძელებია. ამ დროისათვის სოფელს ერთი მწერალი (იმდროინდელი გაგებით, სოფლის კანცელარიის მუშაკი) ემსახურებოდა.

1922 წელს სოფელ ზეინდარში გაიხსნა დაწყებითი სკოლა, რომელიც შემდგომ 7-წლიან, მოგვიანებით 8-წლიან სკოლად გადაკეთდა, ხოლო 1974 წელს სოფ ზეინდარში აშენდა ახალი სკოლა, ჯერ 9-წლედ, ხოლო შემდგომ, საშუალო (ამჟამად საჯარო სკოლა) სპორტდარბაზითა და დამხმარე ნაგებობებით. ამ სკოლას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: აკაკი ქავთარაძე, ვლადიმერ (ვალოდია) ადეიშვილი, ამირან შარაშენიძე, ხოლო საშუალო სკოლის დირექტორები 1991 წლიდან: ნოე (იური) ცერცვაძე, იუზა ხურციძე; ამჟამად მანონი ლილუაშვილი, სკოლაში არაერთი ღვანლმოსილი მასწავლებელი მოღვაწეობდა.

სოფელ ზეინდრის რვანწლიანი სკოლასთან პარალელურად სოფელ შუაგორაში ფუნქციონირებდა საშუალო სკოლა, რომელიც ვასილ სიმონის ძე არველაძის თაოსნობით აშენებისათ, 1988 წელს იმავე ადგილზე (ლილუაშვილების უბანში) აშენდა ახალი სამ სართულიანი საშუალო სკოლა, სპორტული სააქტო დარბაზით და დამხმარე ნაგებობებით.

სოფელ შუაგორის სკოლის დირექტორები იყვნენ: გიორგი (ჟორა) შველიძე, კონსტანტინე ენუქიძე, ერმილე ენუქიძე, დავით ბიბილეიშვილი, ვახტანგ ახვლედიანი, მიხეილ გუგუციძე, გრიგოლ (გრიშა) ყიფიანი, აკაკი ქავთარაძე, ვლადიმერ თუთაშვილი, პეტრე ლომინაძე, შოთა მატარაძე, ალიოშა ლილუაშვილი, ალექსანდრე ლილუაშვილი, აპოლონ ტყემელაშვილი, ავთანდილ ენუქიძე, გურამ ლილუაშვილი, ბადრი ქარციძე, ლევან გურგენიძე, ზაურ სოსელია, ამჟამად დირექტორია – შალვა ლილუაშვილი. ასწავლიდნენ ასევე ღვანლმოსილი ან გარდაცვლილი მასწავლებლები თამარა კვერნაძე, იზო სხვედიანი, ალიოშა გაბუნია, შოთა გიორგაძე, ოთარი ადეიშვილი, დოდო ლომინაძე, ვახტანგი გოგაბერიშვილი და სხვები.

ზეინდრის საშუალო სკოლა, რომელიც მოსწავლეთა სიმძლავრით გამოირჩეოდა, ამჟამად, სწავლობს 101 მოსწავლე.

შუაგორის საშუალო სკოლაში კი 1966 წელს სწავლობდა 430 მოსწავლე, ყველაზე ნაკლები 19..... წელს - .....მოსწავლე, ამჟამად სწავლობს 113 მოსწავლე.

ზეინდარს ემსახურება საბავშვო ბაღი, რომელიც 1966 წელს გაიხსნა 24 აღსაზრდელით, იგი თავდაპირველად ზეინდრის ყოფილი საავადმყოფოს შენობაში იყო (ამავე შენობაში იყო ზეინდრის ამბულატორია და სასოფლო საბჭო, ბიბლიოთეკა), ამჟამად საბავშვო ბაღი ზეინდრის ადმინისტრაციული ცენტრის ტერიტორიაზეა, 36 აღსაზრდელით. საბავშვო ბაღის პირველი გამგე ღია ლილუაშვილი იყო, შემდგომ ლეილა ნიკოლეიშვილი, ამჟამად ნონა ვაშაყმაძე, დღეისათვის საბავშვო ბაღის შენობაშია ბიბლიოთეკა და მუსიკალური სასწავლებელი, სკოლის დირექტორია მარინა ნიკოლეიშვილი.

სოფელ შუაგორაში საბავშვო ბაღი 1982 წელს 58 აღსაზრდელებზე გაიხსნა, სოფლის კლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე, (ე.წ. ფინურ) შენობაში. ამავე ადგილზე ამჟამად ბაღი კაპიტალურ შენობაშია განთავსებული 40 აღსაზრდელზე. ბაღის გამგეები იყვნენ; ნატო ბექელაძე და ამჟამად მერი კოპალაძე.

თემში 1 სტანდარტული ტიპის ფეხბურთის მოედანი მდებარეობს ზეინდრის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე, აქვეა ღია ტიპის მინი სპორტული მოედანი. სოფ შუაგორას საბავშვო ბაღის მიმდებარედ და შუაგორის საჯარო სკოლის ეზოში ასევე ფუნქციონირებს ღია ტიპის მინი სპორტული მოედნები.

1996 წელს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა სახელობითი საქველმოქმედო ფონდი „რუბიკონი“, ფონდის დამფუძნებელი და პრეზიდენტი, სოფ ზეინდრის მკვიდრი – დანტე ქავთარაძე. მისივე ინიციატივით სოფ. ზეინდარში დაფუძნდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წევრი, ბავშვთა საფეხბურთო კლუბი „რუბიკონი“, რომელიც დღეისათვის აღარ ფუნქციონირებს.

ფონდმა ასევე სოფ – ზეინდარში დააფუძნა მონადირეთა და მეთევზეთა კლუბი „მდევარი“ (საქ მონადირეთა კავშირის წევრი ორგანიზაცია). კლუბის პრეზიდენტები იყვნენ; მამუკა ლილუ-

აშვილი, დავით გამყრელიძე, გურამ ადეიშვილი (ხალიანი), ამჟამად კლუბი აღარ ფუნქციონირებს.

ფონდის ინიციატივით დაფუძნებულია ახალგაზრდული საქველმოქმედო ფონდი „აღმაშენებელი“. პრეზიდენტი – ვლადიმერ (კახა) ადეიშვილი, ვიცე პრეზიდენტი იყო – კახა დიაკონიძე (ან.გარდაცვლილი). ახალგაზრდულ საქველმოქმედო ფონდს აქვს 2 ფილიალი, ქ.თბილისის ფილიალის დირექტორი იყო – რუსლან ქავთარაძე (ან გარდაცვლილი), ქ.ქუთაისის, დირექტორი – დავით ლორთქიფანიძე

სოფელ ზეინდარში გასული საუკუნის 40-იან წლებში ფუნქციონირებდა საავადმყოფო 10 სანოლზე. მთავარი ექიმი პეტრე თოხმაჯიშვილი, შემდგომ პლატონ ჩიტორელიძე და პლატონ (პილატე) ლილუაშვილი, შემდეგში საავადმყოფო გაუქმებული იქნა, ფუნქციონირებდა სოფლის სამედიცინო ამბულატორია, (ექიმი პილატე ლილუაშვილის ხელმძღვანელობით), იგი შეცვალა უალრესად კვალიფიციურმა ექიმმა – ნაზიბროლა ვაშაყმაძე-მაღლაკელიძისამ.

2002 წლის მაისში სათემო კავშირი „ზეინდარის“ (თავმჯდომარე – კობა მაღლაკელიძე, ინჟინერი – იოსებ (სოსო) მაღლაკელიძე, მომმარაგებელი – გელა ვარდოსანიძე, ბულალტერი ნანი კიკნაველიძე), თემის მოსახლეობასა და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „USAID“-ის საგრანტო თანადაფინანსებით მოხდა ამბულატორიის შენობის დემონტაჟი და იგი გადატანილი იქნა სოფ. ზეინდარის ამჟამინდელი საბავშვო ბაღის ეზოში, ამავე შენობაშია ლაბორატორია და სტომატოლოგიური კაბინეტი. ამბულატორია დაკომპლექტებულია კვალიფიციური მედპერსონალით.

სოფელს ემსახურებოდა აფთიაქი. ამჟამად, თემში 2 კერძო აფთიაქია, ერთი სოფ.ზეინდარის ბაზრის ტერიტორიაზე, მეორე სოფ.ზეინდარის გზაჯვარედინზე.

ყოფილი კულტურის სახლის წინ, საავტომობილო გზის საპირისპიროდ, ადრე ფუნქციონირებდა ვეტუნქტი და ვეტაფთიაქი. ამჟამად, ვეტაფთიაქი ფუნქციონირებს სოფ.ზეინდარის ბაზრის ტერიტორიაზე, ხოლო ვეტმომსახურეობა რაიონიდან, ცენტრალიზებული წესით ხორციელდება.

1930-1990 წლებში სოფ.ზეინდარში ფუნქციონირებდა ფოსტა-ტელეგრაფი და „ატს“-ი, ადრე შენობა ზეინდარის ღვინის ქარხნის მოპირდაპირედ, გზის მეორე მხარე იყო, ხოლო შემდგომ, ყოფილი აფთიაქის შენობაში.

1944-50-იან წლებში აშენდა ზეინდარის ღვინის ქარხანა, რომელიც ამზადებდა როგორც ღვინის, ასევე პორტვინისა და სპირტის მასალებს, სპირტი ვარციხის ღვინის ქარხანაში იგზავნებოდა, რისგანაც საბჭოთა კავშირში განთქმული ხარისხის კონიაკს „ვარციხე“-ს ამზადებდნენ. ღვინის ქარხნის წარმოების მოცულობა თანდათან გაიზარდა და ბოლო წლებში დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთ მსხვილ საწარმოდ ითვლებოდა.ღვინის ქარხნების საწარმოო მძლავრ განვითარებას ვანის რაიონში ხელმძღვანელობდა სოლომონ ადეიშვილი. ქარხანა შემდგომ სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა, ბოლოს გასხვისდა და ამჟამად აღარ ფუნქციონირებს.

ღვინის ქარხნის წინ იყო აბრეშუმის პარკის საშრობი ფარდულის ხის შენობა, მოსახლეობა უვლიდა აბრეშუმს და პარკს ხელსაყრელ ფასებშიც აბარებდა. მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით თუთის ბალებიც გაშენდა, ამჟამად მეაბრეშუმეობა არა მარტო ჩვენს თემში, არამედ რაიონშიც აღარ ფუნქციონირებსა. რაც შეეხება თუთის ბალებს, ისინი შემდგომ ტყემლის (წითელი დროშის ჯიში) ბაღით შეიცვალა, ამჟამად ფაქტიურად არც ერთი არ არსებობს.

სოფელში ყოველ ხუთშაბათს იმართებოდა ბაზრობა (ე.წ. საკოლმეურნეო ბაზარი) დიდი ძელქვის ირგვლივ. 1970-იანი წლების შუახანებიდან იქვე აშენდა კომპლექსური სავაჭრო ცენტრი-სასურსათო, შერეული საქონლის უნივერსალური, „რკინეულობის“ მაღაზია, სასადილო, ფურნე (რომელიც შემდგომ სოფ.ზეინდარის გზაჯვარედინზე იქნა გადატანილი). აქვე იყო საპარიკმახერო, სამკერვალო, ფეხსაცმლის შეკეთების სახელოსნო, სილამაზის სალონი, მილიციის, უბნის ინსპექტორის ოთახი.

ამავე ტერიტორიაზე გაშენდა დასასვენებელი სკვერი, „დიდ სამამულო ომში“ დაღუპულთა მემორიალით.

ზეინდრის ყოფილი სასოფლო საბჭოს სამხედრო მაგიდის უფროსის, ან გარდაცვლილი – შალვა (შალიკო) გველესიანის ჩანაწერების საფუძველზე 2016 წელს გამოიცა ერთადერთი ბროშურა – „ერთი სოფლის – დიდი სამამულო ომის ისტორია, 1941-1945 ზინდარი-შუაგორა“, რომლის მონაცემებით „დიდ სამამულო ომში ზეინდრის თემიდან განვეული იქნა – 372 ახალგაზრდა, აქედან დაიღუპა ან უგზოუკვლოდ დაიკარგა – 165. გვარების მიხედვით ყველაზე მეტი: მამასახლისებიდან განვეული იქნა 27, დაიღუპა – 10; ადგიშვილებიდან განვეული – 24, დაიღუპა – 10; გიორგაძეებიდან განვეული იქნა -18, დაიღუპა – 7; სხვედიანები – განვეული – 18, დაიღუპა – 7; ლილუაშვილები – განვეული – 17, დაიღუპა – 7; მალლაკელიძეები – განვეულია -16, დაიღუპა – 5; ჭელიძეები – განვეულია 15, დაიღუპა – 7.

1990 წელს ძველი კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობისა და საწყობების ტერიტორიაზე გაიხსნა კერძო ბაზარი, რომელიც ამჟამად დიდად მოთხოვნადია. ბაზრის დირექტორია დარეჯან ვაშაყმაძე. ბაზრობის დღეა ყოველი კვირის ხუთშაბათი. აქ სავაჭროდ არა მარტო მიმდებარე სოფლებიდან და რაიონებიდან ჩამოდიან, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდანაც, მაგალითად: კარტოფილი ახალციხიდან ჩამოაქვთ, თივის „ტუკები“ გორიდან და კახეთიდან, საზამთრო და ნესვი კახეთიდან, ვაშლი გორიდან, მწვანილი წყალტუბოდან, კომბოსტო ახალ ქალაქიდან და გორიდან, ციტრუსი აჭარიდან, ნიგოზი რაჭიდან. გააქვთ: ყველი, თხილი, კვერცხი, დაფნა, სიმინდი, ყურძენი, ღვინო, არაყი. გაჰყავთ: მსხვილფეხა რქოსანი და წვრილფეხა პირუტყვი, ფრინველი, ამჟამინდელი ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზეა: ვეტაფთიაქი, აფთიაქი, მინი მარკეტი, სასადილო, ფეხსაცმელების შეკეთების ჯიხურები, შხამქიმიკატების მაღაზია, საწინილე. საამშენებლო ბლოკის დამზადებისა და ხის დამამუშავებელი საამქრო, საპარიკმახერო, ბენზოგასამართი სადგური (ბენზოგასამართი სადგური ასევე ფუნქციონირებს სოფ.ზეინდრის შემოსასვლელში, სოფ.ამალლებიდან. ადრე ახლანდელი ბაზრის ტერიტორიაზე იყო კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობა, მარცვლეულის საშრობი ფარდული და საწყობი. 1970 წელს გაჩნდა კავშირგაბმულობის აბონენტები, ციბერბლატის გარეშე, მექანიკური ელექტრომაგნიტური სასიგნალო გადაცემით, შემდეგ ციფერბლათიანი ტელეფონებით.

1990-იან წლებში, როცა მთელს საქართველოს ელ.ენერჯის დეფიციტი-უშუქობის პერიოდი იყო, ახალგაზრდა ენერგეტიკოსების; გიზო არველაძის, კობა მალლაკელიძის, ბადრი სოფრომაძის, სპეციალისტების: გელა ვარდოსანიძის, გოჩა როხვაძის თაოსნობით, ვარციხგესის მე-2 კაშხალიდან სოფ.ზეინდრის ქვესადგურის 10 კვ.ა-იან გამანაწილებელ ფიდერებში შემოყვანილი იქნა 10 კვ.ა-იანი საჰაერო ელ-გადამცემი ხაზი, რომელიც გადმოკვეთდა მდ.რიონის ხეობას და ჭალების ტერიტორიის გავლით საერთო სიგრძე 4 კმ იყო, იგი ამარაგებდა ვანის რაიონის სოფლებს; ამალლებას, ზეინდარს, შუაგორას, გორას, ზედა გორას, სალომინაოს, ფერეთას, ბაბოთს, უხუთს, საპრასიას, რომანეთს, ინაშაურს. მოთხოვნილი სიმძლავრის ლიმიტით – 1 მგვტ. თითქმის უწყვეტი რეჟიმით, მაშინ, როცა მთელი რაიონის ლიმიტი 2,5 მგვტ იყო და ისიც შეზღუდული გრაფიკით.

ენერგეტიკის სამინისტრომ და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ აღნიშნულიდან გამომდინარე რეგისტრაციაში გაატარა სააქციონერო საზოგადოება ენერგოკომპანია „ზეინდარი-96“. ხარჯები მთლიანად ჩამოთვლილი სოფლების მოსახლეობის სახსრებით ანაზღაურდა. ენერგოკომპანიამ 2 წელი იფუნქციონირა, ხოლო შემდგომ სააქციონერო საზოგადოება ენერგოკომპანია „ველასი“-ში გაერთიანდა. ზეინდრის საბავშვო ბაღის ეზოს ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის ყოფილი ვანი-ხონის მაჟორიტარი დეპუტატის (სოფ შუაგორას მკვიდრი) გრიგოლი ლილუაშვილის (ამჟამად საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილე) თაოსნობით გაიხსნა საზოგადოებრივი ცენტრი (საჯარო რეესტრი, ლიბერთი ბანკი, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობა, მაგთის ოფისი, ელექტრონული ბიბლიოთეკა და სააქტო დარბაზი), რომელიც არა მარტო ზეინდრის თემს, არამედ მიმდებარე სოფლებს ემსახურება.

სოფელ ზეინდარში და სოფელ შუაგორაში ფუნქციონირებს კეთილმონყობილი სარიტუალო დარბაზები. 2002 წელს, მამა ზურაბის (ბიბიჩაძე) და სტიქაროსანის, ან.გარდაცვლილი

ამირან დიაკონიძის თაოსნობით, ზეინდრის საბავშვო ბაღის ერთ - ერთ ოთახში (იქ სადაც დღეს ბიბლიოთეკაა) ამოქმედდა სამლოცველო, რომელიც 2005 წლამდე მოქმედებდა, ხოლო 2004 წელს საფუძველი ჩაეყარა და 2005 წლიდან სოფ. ზეინდრის გზაჯვარედინთან ფუნქციონირებს წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია, ადრე 2002-2004 წწ ზეინდრის საბავშვო ბაღის შენობაში (იქ სადაც ამჟამად ბიბლიოთეკაა) იყო სამლოცველო, ხოლო ეკლესიას წინამძღოლობდნენ: მამა იასონი, მამა იაკობი, ამჟამად მამა გიორგი (სანდრო ჯანელიძე), მოძღვარი მამა გერონტი (გაგა ჯანელიძე).

დღეისათვის თემის მოსახლეობის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა მევენახეობა, მესაქონლეობა, მესიმინდეობა. თანდათან შემცირდა მეხილეობისა და მებოსტნეობის როლი, სამაგიეროდ გაიზარდა თხილის წარმოება.

სამუშაო ადგილების უქონლობის გამო, გაიზარდა თემიდან (ქვეყნიდან) ახალგაზრდების მიგრაცია, შესაბამისად იკლო თემის მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ.

ამჟამად, თემში ირიცხება 48 სოციალურად დაუცველი კატეგორიის ოჯახი, რომელსაც ეძლევათ ყოველთვიური სოციალური დახმარება.

თემში ელექტროენერგია შემოიყვანეს 1959 წელს. 1965-66 წწ-ში გაჩნდა პირველი ტელევიზორები (შავთეთრი „რეკორდი“) ჯერ საქართველოს, შემდეგ კი რუსეთის ტელეარხით.

თემის შიდა საავტომობილო გზების სიგრძეა 37,2 კმ, აქედან ასფალტირებულია 6,7 კმ, ბეტონითაა დაგებული 0,35 კმ, მოხრეშილია 30,15 კმ, თემი მთლიანად გაზიფიცირებულია ბუნებრივი გაზით, ქუჩის გარე განათებით უზრუნველყოფილია სოფ. ზეინდრის ცენტრის, ზეინდარი-ფერეთას და ზეინდარი-გორას საავტომობილო გზის მონაკვეთები.

ხელმისაწვდომია მაგთის, ჯეოსელის, ბილანინის და სხვა სატელეფონო ქსელები. სრულიად დაფარულია სხვადასხვა ინტერნეტსერვისით (ძირითადად საჰაერო გადაამცემით), დანყებულია ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის შემოყვანა და სულ მალე სრულიად ხელმისაწვდომი იქნება მაღალსიჩქარიანი ინტერნეტსერვისი, აღსანიშნავია სატელევიზიო ანძების მრავალფეროვნება, რაც დიდ არჩევანს აძლევს მომხმარებელს. სრულიად ხელმისაწვდომია სხვადასხვა სერვისები, თანხის გაგზავნა-მიღება ნებისმიერი ქვეყნიდან, კომუნალური თუ სხვა გადასახადების გადახდა, საზოგადოებრივი ცენტრში ხელმისაწვდომია ლიბერთი ბანკის ბანკომატი და სწრაფი ჩარიცხვის აპარატი, რაც ნებისმიერ მომხმარებელს უიოლებს ამა თუ იმ სერვისით სარგებლობას.

თემი ტრადიციული დღესასწაულები იყო 9 მაისის და 8 მარტის აღნიშვნა უბნების მიხედვით, რომელიც უკვე მივიწყებულია. თემში ტარდებოდა უბნების ჩემპიონატი ფეხბურთში, დანესებული იყო სხვადასხვა კატეგორიის პრიზები.

ზეინდრის თემში დაიბადნენ და გაიზარდნენ ღირსეული პიროვნებები: აკადემიკოსი – ჯუმბერ ლომინაძე, პროფესორები: რობერტ დიაკონიძე (ღირსების ორდენის კავალერი, საპატიო ვანელი); ავთანდილ ლილუაშვილი; ყულივერ მამასახლისი; ვლადიმერ (კახა) ადეიშვილი; მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: ზაქარია შველიძე; თენგიზ ლილუაშვილი; გია ლილუაშვილი.

რაიონის ხელმძღვანელი თანამდებობის პირები: ბადრი მებურიშვილი, ალექსანდრე ლილუაშვილი – ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დღევანდელი თავმჯდომარე, იურისტი, მეცნიერებათა დოქტორი; რაულ შველიძე – პოლკოვნიკი; ანზორ სხვედიანი; ავთანდილ ენუქიძე – ვანის რაიონის განათლების განყოფილების გამგე; იოსებ (სოსო) მაღლაკელიძე – ვანის კომკავშირის რაიკომის მდივანი, ვანის მთავრი არქიტექტორი, გამგეობის ინფრასტრუქტურის ხელმძღვანელი; კობა მაღლაკელიძე – მუშაობდა რაიონული ხელისუფლების მაღალ საპასუხისმგებლო პოზიციებზე; ტარიელ ბარამიძე – რაიონის ყოფილი სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ამჟამად მერიის საკრებულოს დეპუტატი.

საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი რაგბში – ბესარიონ (ბესიკ) ლილუაშვილი („მოურავი“).



ბოლო მონვევის საქართველოს პარლამენტის ვანი-ხონის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი, ამჟამად საქართველოს უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე – გრიგოლ ლილუაშვილი-საპატიო ვანელის სტატუსი მინიჭებული აქვთ ასევე: რობერტ დიაკონიძეს, ბესარიონ ლილუაშვილს, ზაზა ლომინაძეს, ვლადიმერ (კახა) ადეიშვილს.

სოფელს ჰყავდა მევენახე – გრიგოლ (გრიშა) მალლაკელიძე, მეაბრეშუმე – ივდითი მიქაშაიძე.

**ნარკვევზე მუშაობდნენ:**

გურამ ლილუაშვილი – შუაგორის საშ. სკოლის ყოფილი დირექტორი  
კობა მალლაკელიძე – ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი.  
ტარიელ ბარამიძე – ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი  
ზეინდრის თემიდან.

მანონი ლილუაშვილი – ზეინდრის საჯარო სკოლის დირექტორი.

ზეინდრის სკოლის მასწავლებლები: ნუნუ ორაგველიძე  
მზია არველაძე  
თამარ აბრამიძე

## სოფელი ყუმური (არ დავინყება მოყვრისა) (წინაპართა ნაკვალევზე)

ვივინყებთ წარსულს, ვკარგავთ მომავალს.

ილია

წარსული არ უნდა დაიკარგოს, წარსულზე, როგორც ქვითკირზე, ეფუძნება ახალი. ამიტომ ჩვენს ვალად მივიჩნიეთ მოგვედია ზეპირი თუ საარქივო მასალები და მოგვეთხორო ჩვენი ყუმურის წარსული ცხოვრების შესახებ. სულ გვანუხებდა იმისი ფიქრი თუ რა ძალამ ააშენა ამ მიუვალ მიწის წვერზე ჩვენი სოფლის ყუმურის ციხე თავისი გვირაბებით, სადაც როგორც ამბობენ სოლომონ მეფემ (სოლომონ II) გაატარა ბოლო დამე თურქეთში გადასვლამდე. ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ინსპექციამ აღნიშნულ ციხესთან იპოვა ზარბაზნის ლულა, რომელიც დღესაც ინახება ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ვფიქრობდით იმაზეც, თუ რატომ ერქვა ციხის მიმდებარე ტერიტორიებს „ნადარბაზევი“, „ნაქალაქარი“, „ნაციხურა“ და ა.შ. მითუ-მეტეს სოფლიდან 14 კილომეტრში აღმოჩენილი იყო ვანის დიდებული ნაქალაქარი.

### სოფლის ფლორა და ფაუნა

სოფელ ყუმური მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი მხარის ვანის რაიონის სამხრეთ-დასავლეთით, მდინარე ყუმურის (რიონის მარცხენა შენაკადი) ხეობაში, შავი ზღვის სანაპიროდან 60 კმ დაშორებით, ზღვის დონიდან 210 მეტრ სიმაღლეზე. აქ შერწყმულია ზღვისა და მთის ჰავარი. ჰავა ზომიერია. რაიონული ცენტრიდან დაშორებულია 14 კმ, ხოლო სამტრედიის რკინიგზის მაგისტრალიდან 25 კმ-ით.

მდინარე ყუმური სათავეს იღებს მესხეთის ქედის ჩრდილოეთი განშტოების, ე.წ. „ხუცის ნაქონების“ კალთაზე. სათავედან ვიდრე მსხალთავაკემდე იწოდება ხემურად ზოგჯერ თეთრ ლელედ. მდინარე რიონს შეერთვის სოფელ ჭყვიშთან. სიგრძე 28 კმ-ია. აუზის ფართობი 83,7 კმ<sup>2</sup>. სათავედან სოფელ ტობანიერამდე მთის ტრასაა. მის ქვემოთ კი ვაკის. საზრდოობს მინისქვეშა, წვიმისა და თოვლის წყლებით. საშუალო წყლის ხარჯი 2,5 მ<sup>3</sup>/წმ-ს შეადგენს.

სოფლის კლიმატი ძირითადად მთისაა, ხეობაში ნესტიანია, მთის კალთები შედარებით მშრალი. სოფელში ქარი იშვიათობას წარმოადგენს. ქარს ხელს უშლის ირგვლივ შემოზღუდული მთები. თოვლიანობა სოფელში საშუალოა, მაგრამ ყოფილა შემთხვევები 2 და 3 მეტრამდეც კი მოსულა. სოფლის ყველაზე მაღალი მთა „ნაკოტრავა“ 750 მეტრია ზღვის დონიდან. ყველაზე მთავარი, რაც ამ სოფლის მაღალ ღირსებად უნდა ჩაითვალოს, არსებობს ღმერთისგან ბოძებული საერთო მწვერვალის მქონე ოთხმრივ დახრილი მთა „ჯვარიქედი“.

მწვერვალისგან ერთი ქედი დახრილია და უერთდება სამხრეთით ჩოხატაურის რაიონის სოფელ სურებს, მეორე ქედი შედარებით, ნაკლები დახრით აღმოსავლეთით უერთდება სოფლის მაღალი მთის მასივს „მსხალთავაკეს“, მესამე ქედი ასეთივე დახრით უერთდება სოფლისა და გურიის მთის მასივს – „წყაროსსერს“, მეოთხე ზიგზაგოვანი ქედი ჩრდილოეთით საკმაოდ დიდი დახრით მთავრდება სოფლის ცენტრიდან ერთ კმ-ზე, მდინარე ყურუმისა და ქვათქედის ღელის შესართავში. უნდა აღინიშნოს, რომ ქვათქედის ღელეს წყალი გაცილებით თბილია, ვიდრე მდინარე ყუმურისა.

ჰავა ძირითადად სუბტროპიკულია. სოფელში ყველაზე ცხელი თვე აგვისტოა, რომლის საშუალო ტემპერატურა 30°C-ია. ყველაზე ცივ თვედ იანვარი ითვლება, სადაც საშუალო ტემპერატურა 7-8°C მდინარეები მარაგდება თოვლის ნადნობისა და წვიმების მეშვეობით. წყალში ბინადრობენ სხვადასხვა ჯიშის თევზები: კალმახი, წვერა, ქაშაყი, ღორჯო და სხვ.

სოფელში ხარობს ყურძნის იშვიათი ჯიშები: ალდასტური, ჩხავერი, ძველშავი, მსხილათობანი, ადესა და სხვა. ცოლიკაური კი ნამყენის სახით შემოტანილი იქნა აჯამეთის მევენახეობის საცდელი მეურნეობიდან ანდრო ბოლქვაძის, მიქაელ ადეიშვილის და ლეონტი ადეიშვილის მიერ. ალდასტურის განსაკუთრებულ თვისებებზე მოთხრობილია პროფესორ რ. რამიშვილის წიგნში „მევენახეობა და მეღვინეობა“. შემონახულია თქმულება თითქოს არაბების შემოსევის დროს ერთმა სარდალმა და მისმა თანაშემწემ ადგილობრივ გლეხს წყალი მოსთხოვა. მასპინძელმა წყლის მაგივრად ალდასტურის ღვინო მიანოდა. სარდალს ხელი აუკრავს და ღვინო დაუღვრია, ხოლო ძლიერ მონყურებულ თანაშემწეს ღვინო დაუღვრია. ძალიან მონონებია და შესძახაო კიდეც: დალიე, დალიე „ალაჰი-დასტური“-ო. ე.ი. ალაჰი ნებას მოგცემსო. იქნებ აქედანაც წარმოსდგება სახელი „ალდასტური“.

სოფლის ტერიტორიის 43% ტყით არის დაფარული, სადაც მრავლად მოიპოვება გარეულ ფრინველთა უნიკალური სახეობები: ტყის ქათამი, შაშვი, შურთხი, კოჭობა, კოდალა. უფრო მაღალ მთაში მთის არწივი, შევარდენი.

უხვად გვხვდება გარეული მტაცებელი ცხოველები: მურა დათვი, მგელი, ტყის კატა, ფოცხვერი, ტურა, მელა, კვერნა, შველი, გარეული თხა, ირემიც კი. ვანის მონადირეთა კავშირის ადრინდელი თავმჯდომარის ავთანდილ ღვინიანიძის და ყუმურის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის ელევთერ ლორთქიფანიძისათაოსნობით სამეგრელოდან და თიანეთის რაიონიდან შემოიყვანეს გარეული ღორები და გაუშვეს ტყეში, რომლებიც წარმატებით გამრავლდნენ ადგილობრივ პირობებში.

მრავალწლიანი კულტურებიდან განთქმულია ვაშლის ჯიშები: „სამეფო ვაშლი“, „თურაშაული“, „ტიგრა ვაშლი“, „ბამბა ვაშლი“, აგრეთვე მსხლის ჯიში „ხეჭეჭური“, ძალიან დიდ რაოდენობით იყო ე.წ. „საპაიჭაოს კაკალი“, რომლის მასივებიც უთავბოლოდ გაიჩეხა და გაიტანეს მასალად იტალიაში. სოფლის მოსახლეობის ძალისხმევით გადარჩა ამ უნიკალური ჯიშის კაკალი. უხვადაა თხილის სხვადასხვა ჯიშები.

ერთწლოვანი კულტურებიდან ძირითადად მოყავთ სიმინდი, სოია, ლობიო, კარტოფილი და სხვა. სოფლის მოსახლეობა ძირითადად მისდევს მეცხოველეობას. საძოვრებად იყენებენ აჭარა-იმერეთის ალპურ ზონას.

### სოფელ ყუმურის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

დღევანდელი ვანის ტერიტორიაზე ორი ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული: საჩინო და სალომინაო იყო განლაგებული. სალომინაო მოიცავდა მდინარე კვინისწყლის ხეობასა და მის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას მდინარე კორისწყალამდე, ხოლო საჩინო, მდინარეების ყუმურისა და სულორის ხეობებს. ორივე ისტორიული ერთეული შემოსაზღვრული იყო: აღმოსავლეთით – მდინარე კორისწყლით; ჩრდილოეთით – მდინარე რიონით; სამხრეთით – ფერსათის ქედით; ხოლო დასავლეთით – საჯავახოს მხარით.

საჩინოს ქვეყანა ორად იყოფა: ზემო და ქვემო საჩინოდ. ქვემო საჩინოში შედიოდა მდინარე ყუმურის ხეობის სოფლები: ჭყვიში, შუამთა, ტობანიერი და ყუმური.

სოფელი ყუმური მდინარის ზემო წელში მდებარეობს. დღეს არსებობს ყუმურის საკრებულო, რომელიც რამდენიმე უბანს აერთიანებს: შუასოფელი, ზედა მიქელეფონი, მუქეთ - კაკასუბანი, დიდლე, პაატასეული, დუცხუნი, გაილოური (მსხალთა), ჭალასამზიარი, დობირო, მაისოური, ნიქოური, ვერხვანი და გამოლმა თხილოგანი. სხვა სოფლებიდან ყუმურს მიჯნავს: აღმოსავლეთით – მთაწმინდის ქედი, ჩრდილო აღმოსავლეთიდან – მუქედის გორა, ჩრდილოეთიდან – ქენიოთის ქედი, დასავლეთით – საჯავახოს ქედის აღმოსავლეთ კალთები, ხოლო სამხრეთიდან მდინარეების: სუფსისა და ყუმურის წყალგამყოფი შავშაკის მთა.

სახელწოდება „ყუმურს“ სხვადასხვა ახსნა აქვს. ზოგი მათგანი, მას ზანურ (მეგრულ-ჭანურ) ტერმინ „ყუმურს“ უკავშირებს [1], რაც დღევანდელ მეგრულში ტყემლის აღსანიშნავად იხმარება. ერთი შეხედვით ასეთი მოსაზრება მისაღები უნდა იყოს, რომ არა ერთი ნიუანსი. ზანურში არსებული „ც“ ასო ნიშნით გამოხატული ბგერა და ქართული „ყ“-თი გამოხატული ბგერა

ერთმანეთს არ ემთხვევა. ზანური „ც“ უფრო ღრმა ხორხისმიერია და ქართულში მას შესატყვისი არ აქვს, ის მიახლოებით რუსულ „ჰ“-სა და ქართულ „უ“-ს შორის არის მოთავსებული. ასე რომ, გამოთქმის თვალსაზრისით ქართულ „ყ“-სა და მეგრულ-ჭანურ ასონიშან „ც“-ს შორის ძირეული განსხვავებაა. ამ საკითხზე მრავალი კონსულტაცია გვქონდა მეგრული წარმოშობის ცნობილ ენათმეცნიერებთან. კერძოდ, ვესაუბრეთ ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელს პროფესორ პაატა ცხადავასა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ თანამშრომელს ბატონ რევაზ შეროზიას. ზემოთ გამოთქმული თვალსაზრისი მათაც დაადასტურეს.

ტოპონიმი „ც“ ყუმური“ და მეგრულ-ჭანური სახელწოდება „ცუმური“ განსხვავებულად გამოითქმის და სხვადასხვა სახელწოდებებად უნდა ჩაითვალოს, ე.ი. სოფლის სახელწოდების ზანურ დიალექტზე არსებული ტყემლის აღმნიშვნელი ცნებით „ცუმური“-თ ახსნა ძალიან გაძნელდება.

ზოგი ადგილობრივი წარმოშობის ცნობილი პირის აზრით, სოფელმა სახელი მდინარისგან მიიღო, მაგრამ ეს მოსაზრება პრობლემას მაინც ვერ წყვეტს და ამ შემთხვევაში ჰიდრონიმი „ყუმურის“ წარმოშობა ხდება დასადგენი, რასაც იმავე სახის სირთულეებამდე მივყავართ.

აქედან გამომდინარე, დასმული საკითხის შესწავლა ისტორიული გეოგრაფიის გამოყენებით უნდა გადაწყვეტილიყო. ამასთან დაკავშირებით, შესწავლილი იქნა. ცნობილი ქართველი და უცხოელი სპეციალისტების შესაბამისი შრომები. კერძოდ განვიხილოთ ძველი ქართველი (ვახუშტი ბაგრატიონის [2], ტიმოთე გაბაშვილის [3], ექვთიმე თაყაიშვილის [8] და ტოლაჩანოვის [7]) შრომები და რუკები.

აღმოჩნდა რომ ვახუშტის მიერ 1745 წელს შედგენილ რუქაზე სოფელ ყუმურის ადგილას ნაჩვენებია დაბა სახელწოდებით „სოფელა“ რომელიც სავარაუდოდ ყუმურის ძველი (ვახუშტისდროინდელი) სახელწოდება უნდა იყოს. მართალია რუქა 1745 წელს მოსკოვშია გამოცემული, მაგრამ მასალები ვახუშტის მოსკოვში გამგზავრებამდეა (1724 წელი) შედგენილი.

შემდეგდროინდელ რუქებზე ყუმურის ადგილას გვხვდება სხვა ტოპონიმებიც: საპაიჭაო, ხემური, ხიმური და სხვა. სახელწოდება ხემური, ცხადია დაკავშირებულია ხესთან, ხეობასთან თუმცა გაურკვეველია რა პერიოდში ერქვა ხემური. უფრო სავარაუდოა ეს საპაიჭაომდე იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელწოდება ხიმური ექვთიმე თაყაიშვილის რუქაზე მდინარის სახელწოდებად არის ნახმარი.

ტოპონიმი საპაიჭაო (საპაიჭაო) პირველად ტიმოთე გაბაშვილის მიერ შედგენილ 1737 წლის დასავლეთ საქართველოს რუქაზე გვხვდება „პაიჭადის ციხის“ სახელწოდებით. ის მოხსენებულია გიულდენშტედთანაც. როგორც ვიცით, სოფელ ყუმურის ერთ-ერთ უბანში, მაისოურში, მდინარე ყუმურის მარცხენა მხარეს, მისგან თითქმის ერთ კილომეტრზე შემორჩენილია ძველი, საკმაოდ დაზიანებული ციხე, რომელსაც საპაიჭაოს ციხეს უწოდებენ და რომელიც გაბაშვილის რუქაზე „პაიჭადის ციხით“ მოიხსენიება. ის აგებულია განმარტოებულ გორაზე. რომელსაც მზვარეს, ზოგჯერ ციხის გორასაც უწოდებენ ადგილობრივები. ციხეს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ლეღები ჩამოუდის, რომლებიც ჯერ ერთმანეთს უერთდებიან და შემდეგ მდინარე ყუმურს ერთვიან. ამ ორივე მხრიდან ციხე პრაქტიკულად მიუდგომელია. კონცხი, რომელზეც ციხეა აგებული, დასავლეთის მხრიდან ორი ერთმანეთის პარალელური თხრილებითაა გამოყოფილი მთის სხვა ნაწილებიდან. დედაციხის ფართობი თითქმის 600 მ<sup>2</sup>-ია. შედარებით კარგადაა შემორჩენილი დედაციხის სამხრეთი კედელი, რომლის სიმაღლე საფუძვლიანად დაახლოებით 20 მ-ია. კედლის ბოლოში მრგვალი სვეტებია მოთავსებული. სვარაუდოთ ისინი საზარბაზნების ნაშთებს წარმოადგენენ. ამ ციხიდან შემორჩენილი ერთ ქვემეხი, ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. ციხის სამხრეთის კედელზე ორი მარტივი საფეხურია შემორჩენილი. დედაციხე რამდენიმე სართულიანი იყო. მის აღმოსავლეთ მხარეს კიდევ ერთი კოშკი მდგარა, რომლის ნანგრევებიდაა ამჟამად შემორჩენილი. აღმოსავლეთის მხრიდან ციხე შედარებით ადვილი მისადგომია, ამიტომაც ამ მხრიდან თხრილია გაჭრილი.

თხრილის აღმოსავლეთით კიდევ ერთი კოშკი იყო, რომლის ნანგრევების ნაშთებმა მოაღწია ჩვენამდე. ციხეს შესასვლელი ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ჰქონდა. გზა კლდის მასივში იყო გაჭრილი. ციხე კარგად დამუშავებული მოჭრილი კლდის ქვითაა აგებული.

ციხის აგების თარიღი ჯერჯერობით დაუდგენელია. ამის გასაგებად კარგი იქნებოდა არქეოლოგიური, კერძოდ პალეომაგნიტური გამოკვლევების ჩატარება. ყოველ შემთხვევაში, შუა-ფეოდალური ხანის დასაწყისიდან (შესაძლოა უფრო ადრეც) ეს ციხე მოქმედი უნდა ყოფილიყო.

ყუმურის ციხე მე-19 საუკუნის დასაწყისშიც მოქმედა. იმერეთის 1810 წლის აჯანყების დროს ეს იყო უკანასკნელი ციხე, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ აიღო და საფუძვლიანად დაანგრია.

ერთი სიტყვით ყუმურის ციხე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ხეობაში იყო აგებული და სამხრეთიდან გადმოსასვლელ ერთერთ გზას კეტავდა, რომელიც ოძრხეს ციხიდან (აბასთუმნის დღევანდელი თამარის ციხე) მიემართებოდა და მეფის წყაროს მწვერვალის გამოვლით სოფელ შუამთაში მთავრდებოდა.

სოფ. ყუმურის ამავე უბანში, ე.წ. საყდრის გორის თავზე დგას წმინდა გიორგის ქვის ეკლესია, სადაც წმინდა გიორგის მთავარ დღესასწაულზე, რომელიც ყოველი წლის 6 მაისს იმართებოდა, მთელი სოფელი იყრიდა თავს. ის დარბაზული ტიპის ნაგებობაა და მოპირკეთებული იყო თლილი ქვით, მოგვიანებით შეუღესიათ კიდევ. სავარაუდოდ მისი აგების თარიღი, განვითარებულ ფეოდალურ ხანას ეკუთვნის. ამჟამად ეკლესია ძლიერ დაზიანებულია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ის დაუნგრევიათ სოფლის ათეისტ კომკავშირებლებსა და კომუნისტებს.

გარდა ამისა, ყუმურის თემის კიდევ ორ უბანში ვერხვანსა და დუცხუნში ორი ხის ეკლესია იყო აგებული, შესაბამისად, 1810 და 1817 წლებში. ამჟამად ისინი დანგრეულია. ერთ-ერთი მათგანი, დუცხუნის ეკლესია ათეისტებმა დაანგრიეს და ყუმურის ცენტრში კლუბად გადააკეთეს. ეს ფაქტი ჩვენი უახლესი ისტორიის ერთ-ერთი სამარცხვინო ფურცელია.

ყუმურის ციხის დასავლეთით, 500 მეტრის დაშორებით არის ადგილი „ნადარბაზევი“. სახელწოდება ძალზე საინტერესოა, მით უფრო, რომ მინის დამუშავების დროს აქ გათლილ და მოჩუქურთმებულ ქვებს დღესაც პოულობენ. შესაძლოა, სწორედ ამ ადგილზე იყო აგებული ყუმურის (სოფელას, ხემურის, საპაიჭაოს) ხევის მფლობელთა, ხევისბერთა სასახლე.

ყუმურის საკრებულოს ერთ უბანში, რომელიც მდინარე ყუმურის მარჯვენა შენაკადის „დიდელე“-ს (მას ადგილობრივები გულმეყარისადაც ეძახიან) ზემო წელში მდებარეობს ადგილი „ნაქალაქევი“, რომელიც სავარაუდოდ ამ ხევისა და მეზობელი ადგილების მკვიდრთა თავშეყრისა და აღებ-მიცემობის ცენტრი უნდა ყოფილიყო. ამ ადგილას დღესაც ნახავთ ნისქვილთა, საცხველთა, ქვევრთა და სხვათა, ნაშთებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ოძრხედან მომავალი ერთ-ერთი სტრატეგიული გზა სწორედ ამ პუნქტს გაივლიდა. ამ საკითხს შემდგომში უფრო დანვრილებით შევეხებით.

მდინარე დიდელის ხეობაში ამავე სახელწოდების სოფელ ყუმურის ერთ-ერთი უბანი მდებარეობს. სახელწოდება „დიდელე“ (დიდი ლელე) წარმოშობა ნათელია. ის მდინარის შედარებით წყალუბობასთან (განსაკუთრებით გაზაფხულზე), არის დაკავშირებული. მისი მცირე შენაკადები მდინარის სამხრეთ და ჩრდილოეთ ფერდობებიდან ჩამოედინებიან (კაკარონა, ლემოურა, საყორნია, წიფლნარა, ნაჩამურევის წყალი, კვირატოულა და სხვა). ჰიდრონიმების ეტიმოლოგია მეტნაკლებად გასაგებია. რაც შეეხება „ლემოურას“ მისი პირველი ნახევარი სვანურ „ლემთან“ არის დაკავშირებული (ლემი სვანურად საქმოს ნიშნავს).

ამ ხეობაში მრავალი მიკროტოპონიმი გვხვდება, მაგ. კაკასუბანი, მთანმინდა, ეკონომიური, საისლია, ქვაბა, საყორნია, მალრანი, ბუხაროული, ნაჩამურები, ტევრი, ნაკამორა, ნაბაკევი, პერანოული, ეკლნარა, საჩელოური, გოჭისთავა, საკანაფო, დიდგორი, კვირატოული და სხვა.

მალრანის მთის ძირში 1988 წელს საქართველოს მთავრობისა და მაშინდელი საკავშირო მთავრობის შესაბამის უწყებათა გადანყვეტილებით დაარსდა კოსმოფიზიკური ობსერვატორია, რომელიც თავისი სამეცნიერო თემატიკით სრულიად განსხვავებული იყო დანარჩენი მა-

შინდელი რეგიონული სამეცნიერო კვლევითი ცენტრებისაგან (ამ საკითხზე ქვემოთ უფრო დანვრილებით ვისაუბრებთ).

სხენებული ტოპონიმების უმეტესთა წარმოშობის არსი გასაგებია, გარდა ნაჩამურებისა, რომელიც მარცვლეულის, კერძოდ ღომის საცეხველის (ჩამურის) სახელთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება საჩელოურს, საჩალეურიდან (ჩალიდან) უნდა იყოს წარმოშობებული.

გარდა დიდელისა, მდინარე ყუმურს სხვა მრავალი მცირე შენაკადი გააჩნია, მაგალითად: ტრაპესოულა, ციხისღელე, ბოყელა, წყაროს ღელე, შავშაკურა და სხვა. ამათგან მხოლოდ ბოყელას წარმოშობაა გაურკვეველი. ის ალბათ ყელთან უნდა იყოს დაკავშირებული და ორყელას უნდა ნიშნავდეს.

ყუმურის საკრებულოში შემავალი სოფლებიდან, რომლებიც მდინარე ყუმურის ზემო წელში მდებარეობენ, განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი დუცხუნისა და გაილოურის ეტიმოლოგიებს. დუცხუნი ზანურად იგივე ცაცხვნარია (დეცხუ-ცაცხვი), თუმცა მისი სახელი დაცხუნებასაც შეიძლება უკავშირდებოდეს.

რაც შეეხება გაილოურს, მისი ეტიმოლოგიის დადგენა უფრო ძირს. ერთის მხრივ ის თითქმის ზანურ გას (მთას) უკავშირდება: გა-ილო-ური, ილოს მთა. მაგრამ არსებობს ერთი უტყუარი ტოპონიმი. სოფლიდან დაახლოებით ერთ კილომეტრზე, მდინარე ყუმურის ხეობაში, აღმართულია ძალზე დიდი გორაკი, რომელსაც „ნასაყდრის გორას“ უწოდებენ მისი ფართობი 30 ჰექტარამდეა და მისი ფერდობები კერამიკული ნაწარმის ნარჩენებითაა დაფარული, ხოლო გორის წვერში ძველი სალოცავი ნაშთები შეიმჩნევა, რომლის ზედაპირი ბათქაშითაა მოფენილი. სავარაუდოდ აქ სალოცავები (საყდარი) იდგა. აქედან არის სახელიც „ნასაყდრის გორა“.

საქმე ისაა, რომ ფარნავაზ მეფის ხანაში, დასავლეთ საქართველოში (ქუჯის საერისთავოში) და კერძოდ ვანის რაიონის ტერიტორიაზე დამკვიდრებას იწყებს აღმოსავლური ქართული კულტნაგებობები. ასეთია მაგალითად სოფელ გადიდში (გაი-დიდი), ბაგინეთში და სხვაგან შემორჩენილი საკერპო ნაშთები. შესაძლოა ნასაყდრის გორაზეც იდგა ასეთი ტიპის კერპი და აქედან მივიღეთ გაი-ლოური.

საინტერესოა სოფ. ყუმურის საკრებულოში შემავალი ზემო მიქელეფონის წარმოშობის საკითხიც. ალბათ უფრო სწორია ტოპონიმი მიქელაფონი (მიქელასფონის), რომელიც მდინარე ყუმურზე არსებულ ვინმე მიქელას, წყალზე გადასასვლელ ფონს აღნიშნავდა. ის სწორედ იმ გზასთანაა დაკავშირებული, რომელიც მდინარე ყუმურის ხეობის გავლით სამცხიდან კოლხეთში გადმოდიოდა.

ყუმურისა და საერთოდ საჩინოს მხარის ისტორიის შესახებ ძალზე ცოტა საბუთია შემონახული. აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის აზრით შუაფეოდალურ ხანაში იმ მხარეს და მათ შორის ყუმურის ხეობას ქვაბულიძეები ფლობდნენ [8]. გვიანფეოდალურ ხანაში მას ჩიჯავაძეები ეუფლებიან, ამიტომ საჩინოს ხშირად საჩიჯავაძეოსაც უწოდებენ. 1735 წელს ამ მხარეს ალექსანდრე მე-5 იმერთა მეფის ძმა, მამუკა ბატონიშვილი დაეუფლა და ჩიჯავაძეებს ყმა-მამულები ჩამოართვა [9]. მხოლოდ 1791 წელს დაიბრუნა ჩიჯავაძეთა გვარეულობამ საჩინოს ნაწილი (ზედასაჩინო), ხოლო რაც შეეხება ქვედა საჩინოსა და კერძოდ ყუმურის ხეობის სოფლებს: ჭყვიშს, შუამთას, ტობანიერსა და ყუმურს, ის ისევ მეფის გამგებლობაში დარჩა. ეს ფაქტი იქედანაც ჩანს, რომ 1810 წელს (სოლომონ მე-2-ს განდევნის შემდეგ) ვახუშტი ჩიჯავაძემ იმერეთის გამგებელს-სვიმონიჩს სთხოვა ქვემო საჩინოს დაბრუნება [10].

საინტერესოა ერთი ისტორიული ცნობაც. შუაფეოდალურ ხანაში ვანის მთავარანგელოზის ეკლესიას კედელში ჩატანებული ჰქონდა მარმარილოს ქანდაკება, რომლის მე-12 საუკუნის წარწერაში მოხსენიებულია „ერისთავ-ერისთავი“ ზვიადი [11]. საფიქრალია, რომ ისიც ქვაბულიძეთა გვარის წარმომადგენელია და მთლიანად საჩინოსა და მათ შორის ყუმურის ხეობასაც განაგებდა.

ერთიანი საქართველოს სამეფოს შექმნამდე საჩინო და კერძოდ მდინარე ყუმურის ხეობის სოფლები ჯერ კოლხეთის, შემდეგ ლაზიკისა და ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაშია, მხოლოდ ერთი გამონაკლისით. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ქართლის (იბერიის) სამეფოს

არსებობის ხანაში (მე-4 – მე-3 საუკუნეები) საჩინოს მხარე ამ სამეფოს შემადგენლობაშია.

ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობით, ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა, არგვეთის ერისთავს სამფლობელოდ მისცა ქვეყანა „მცირი მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ეგრისის ზღუარამდე რიონის ზემოთ“ [12]. ისტორიულ ლიტერატურაში ლეონტის ეს ცნობა იმის დამადასტურებლად ითვლება, რომ ფარნავაზის ხანაში მდინარე ყუმურის ხეობა, საჩინოს მხარის სხვა ნაწილთან ერთად ქართლის შემადგენლობაში უნდა შესულიყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ წარმოდგენილი ტერიტორია არც ისე შორს იყო საკუთრივ ქართლის სამეფოსაგან, როგორც ეს დღეს შეიძლება მოგვეჩვენოს. იგი, როგორც უკვე აღინიშნა, უმოკლესი გზებით უკავშირდებოდა ოძრხეს საერისთავოს, რომელიც ლეონტი მროველის თანახმად სამცხესა და აჭარას მოიცავდა.

დეტალური ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ დღევანდელი იმერეთის, გურიისა და აჭარის ტერიტორიაზე შემორჩენილია მესხური ტომების შემოჭრის კვალი, რომლის პირველი ტალღა ანტიკურ ხანაშია სავარაუდებელი, ხოლო მეორე უფრო ინტენსიური შემოსვლა, ოსმალთა სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდგომ ხანას უნდა დაეუკავშიროთ.

ცნობილია, რომ ოძრხე სამცხის საერისთავოს უძველესი ცენტრი იყო და მის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა, რომლის შემდეგ მესხეთ-იმერეთის ქედი იწყება. ასეთ ადგილას საერისთავოს ცენტრის განლაგება, მისი სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობის გარდა, მაშინაა გამართლებული, თუ ოძრხის გამგებელს სამცხესთან ერთად გარკვეული უფლება თუ პრეტენზია ექნებოდა ქედის გადაღმა მდებარე რიონი-ყვირილას მარცხნივ მდებარე ტერიტორიაზე.

დღევანდელი ვანის რაიონი პირდაპირი გზებით იყო დაკავშირებული სამცხესთან. მთავარი გზა ოძრხედან იწყებოდა. აქედან მეფის წყაროს გადასასვლელისაკენ რამდენიმე მიმართულებით შეიძლებოდა მისვლა. მთავარი გზა ოძრხის ციხიდან (იგივე თამარის ციხიდან) მდინარეების ოძრხის წყლისა და კურცხანას ხეობას მიუყვებოდა. მეფის წყაროს გადასასვლელთან მთავარ მაგისტრალს ქვაბლიანის ხეობიდან მომავალი რამდენიმე გზა უერთდებოდა. აქედან ერთი ოძრხის ციხესთან ერთდებოდა.

მეფის წყარო, მწვერვალს, იმ წყაროს გამო ეწოდება, რომელიც მწვერვალის ფართო მინდორზე ამოდის. გადასასვლელის გავლის შემდეგ, მაგისტრალი ჩრდილო-დასავლეთით მიემართება და ზემო ჯაჯვის ანუ ჭაჭიეთის ტბას ჩრდილოეთით უვლის. აქედან ერთი ბილიკი სუფსის ხეობისაკენ ეშვება. მთავარი მაგისტრალი კი ჩრდილოეთის მიმართულებას იღებს. იგი ჯერ მდინარეების: ნაბლარის ხევისა და სუფსის წყალგამყოფ ქედს მიუყვება, შემდეგ კი ნაბლარის ხევის, კორისწყალის, სულორისა და ყუმურის წყალგამყოფ ქედს. იგი გაივლის მთებს: ქვაბილელე, ქვაჭიშკარა, ლობოროტი, სათაფლია, ულეველა, ლამაზი მთა და გზაბოძალისკენ ეშვება. გზაბოძალი გზათა შესაყარს ნიშნავს და მდინარე სულორის სათავის ზემოთ მდებარეობს. აქ მთავარი გზა სულორის ხეობაში ეშვება, ხოლო მისი განაყოფი კვლავ ქედის თხემს მიუყვება, ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებას იღებს და ტყეთავის მთამდე აღწევს, საიდანაც ბარის სოფლამდე ეშვება. გზაბოძალიდან გზა ორი მიმართულებით ეშვება სულორის ხეობაში. მეორე გზა სოფელ გადიდში ეშვებოდა. შემდეგ გამოივლიდა სოფელ ზედა ვანს და საჩინოში მთავარ გზას უერთდებოდა. მისი ერთი განშტოება ყუმურის ხეობაში ეშვება, გაივლის გაილოურს, დუცხუნს და ყუმურის ცენტრში ჩამოდის, ხოლო მეორე – (როგორც უკვე აღვნიშნეთ) გაივლიდა ონჯოხეთს, ნაქალაქევს და დიდელის ხეობით ყუმურის ცენტრში უერთდებოდა მეორეს და მიქელეფონის გავლით შუამთისკენ მიემართება.

როგორც ვხედავთ, აღწერილი მაგისტრალი თავისი განშტოებებით დღევანდელ ვანის რაიონსა და ბაღდათის რაიონის სოფლებს, ნაწილობრივ, უმოკლესი გზით აკავშირებდა სამცხესთან. დღეისათვის ამ მაგისტრალს პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. მას ძირითადად მწყემსები იყენებენ. ისინი, კოლხეთის დაბლობზე გამოზამთრებულ საქონელს სულორისა და ყუმურის ხეობებით მიერეკებიან საზაფხულო საძოვრებისაკენ.

მე-20 საუკუნემდე ახალციხეში მიმავალი მოსახლეობა ძირითადად ამ გზას იყენებდა და

იქედანაც ამავე გზით მიემართებოდა. ამ გზით და მისი განშტოებებით გადაყავდათ საკლავი საქონელიც. ეს იყო ის ძირითადი გზა რომელიც სამცხეს რიონის აუზთან აკავშირებდა. ადრინდელი ხანის წერილობით წყაროებში მას ქვაბლიანის ხეობის მაჰმადიანი მესხები „ტოპ-ოილს“ ე.ი. ქვემეხთა გზას უწოდებდნენ.

ანტიკურ ხანაში რაიმე პირდაპირი ცნობა აღწერილ მაგისტრალზე არ მოიპოვება, მაგრამ ერთი გარემოება მაინც იქცევა ყურადღებას. ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში ვანის გვერდით ისეთი პუნქტების დანიშნაულება (არქეოლოგიური მასალიდან გამომდინარე). როგორცაა დაბლა გომი, გომი, მთისძირა, შუამთა, მიქელეფონი (მიქელასფონი) და შესაძლოა ყუმურიც ჩვენს მიერ განხილული მარშრუტის მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს.

როგორც ირკვევა საჩინოს ქვეყანა (ანტიკური და ელინისტური ხანის ვანის ქვეყანა) უმოკლესი გზით იყო დაკავშირებული გურიასთან. რამდენიმე გზა ყუმურის ხეობიდან მიემართებოდა. საჩინო რამდენიმე გზით იყო დაკავშირებული ხეობის ზემო წელის სოფლებთან: ყუმური (ხემური, სოფელა, საპაიჭაო), დუცხუნი, გაილოური. გაილოურიდან ყუმურისა და სუფსის წყალგამყოფი – შავშაკის ქედის გადალახვით, ორი ბილიკი მიდის ზემო და ქვემო სურებში. ასევე სოფელ დუცხუნიდანაც, ხოლო ყუმურიდან ერთი გზა პირდაპირ სურებში გადადის, ხოლო მეორე ზემოხეთის უღელტეხილით-საჯავახოში და აქედან გურიაში. საჯავახოდან ზემოხეთის უღელტეხილით ერთი გზა შუამთისაკენ მიემართებოდა, ხოლო შუამთიდან მთისძირის, გომის, დაბლა გომისა და დაფნარისაკენ. მაშინდელი გზა და დღევანდელი ვანი-დაფნარის სამანქანო გზა თითქმის ერთმანეთს ემთხვევა.

სწორედ წარმოდგენილი გზების მარშრუტებით არის შემოსული და დასახლებული სოფელ ყუმურში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი.

„პაიჭადის ციხემ“ განსაკუთრებით დიდი დატვირთვა მიიღო იმერეთის მეფის სოლომონ I დროს. როგორც ისტორიიდან არის ცნობილი, მან იმერეთის სამეფო ტახტზე ასვლისთანავე აკრძალა ტყვეთა ვაჭრობა. გზა სოფელ ყუმურზე გადიოდა სურები-ზოტი-ხულოს მიმართულეობით. ამის აღსაკვეთად მან გააძლიერა ციხე მეციხოვნეებით და ამგვარად აკონტროლებდა ტყვეთა გატაცების პროცესს.

გადმოცემით, მეფე ხშირი სტუმარი ყოფილა ციხე-სამაგრისა. ციხე XIX საუკუნის დასაწყისშიც მოქმედა. იგი უკანასკნელი ციხესიმაგრე იყო, რომელიც 1810 წელს რუსეთის ხელისუფლებას დანებდა იმერეთის აჯანყების დროს [13].

საპაიჭადოს ციხის დასავლეთით ერთი კილომეტრის დაშორებით არის ადგილი რომელსაც „ნადარბაზევი“ ჰქვია. ტოპონიმი ძალზე საინტერესოა, მით უფრო, რომ გადმოცემით, მიწის დამუშავების დროს აქ გათლილ ქვებს პოულობდნენ 1967 წელს ამის შესახებ ამ წიგნის ერთ-ერთმა ავტორმა (ი. ადვიპილიმა), რომელიც იმ პერიოდში სოფლის თავაკაცად მუშაობდა, აცნობა ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელობას, მაგრამ იმჟამად ინტენსიური გათხრები მიმდინარეობდა „ახვლედიანების გორაზე“ და მისი დათვალიერება და შესწავლა დროებით გადაიდო. საუბედუროდ შეუსწავლელი დარჩა „ნადარბაზევი“. აღნიშნული ტერიტორია 2006 წელს დაიმუშაა.

მდინარე ყუმურის მარცხენა მხარეს დგას მაღალი გორა, რომელსაც „ნასაყდარგორას“ უწოდებენ. გორის ფართობი 30 ჰა-ს აღემატება. მის ფერდობზე კერამიკის ფრაგმენტებია ნაპოვნი. გორის წვერი კი ბათქეშებითაა მოფენილი.

1967 წელს დაიწყო გზის გაყვანა ე.წ. „ნაციხურა“-ს მიდამოებში, ყუმური-დუცხუნი-მსხალ-თავაკე-ბარნალის მიმართულეობით. მშენებლობის დროს აღმოჩენილი იქნა თიხის სხვადასხვა ნივთები და ქვევრები. ქვევრის ნატეხები ჩატანილი იქნა ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. არსებობს მოსაზრება, რომ ქვევრები განეკუთვნება X-XII ს.

არსებობს თქმულება, თითქოს თამარ მეფეს ბასიანის შემდეგ დაუბანაკებია „ნაციხურა“-სა და „მსხალთავაკი“-ს მიდამოებში და შემდეგ გაუგრძელებია გზა აფხაზეთის მიმართულეობით. ისტორიული წყაროების მიხედვით კი თამარ მეფემ, სწორედ ზეკარის უღელტეხილი გაიარა. ვინ იცის იქნებ ამ ადგილს „თამარის წყაროს“-საც იმიტომ უწოდებენ.



1937 წელს მოსწავლეების მიერ მდინარე ყუმურში ნაპოვნი იქნა X საუკუნით დათარიღებული მონეტა, რომელიც ამჟამად ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

გასული საუკუნის 20-იან წლებში სოფ. ვერხვანის მიმართულებით, მთა „კოკოტა“-ზე ნაპოვნი იქნა „ხვამალდი“-ს (ხომალდის) ქვა მასზე გამობმული რკინის ჯაჭვით. აღნიშნული ანტიკური ხანის პერიოდს განეკუთვნება, რაც სამწუხაროდ დღემდე შეუსწავლელია.

ყუმური (საპაიჭაო) ძველი მნიშვნელობით მცირე ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნის“ შთაბეჭდილებას ტოვებს. ადრეულ ხანაში იგი ალბათ ცალკე ხევს წარმოადგენდა, შემდეგ ერთ თემში მცირე ფეოდალებმა „პაიჭაძეებმა“ დაიმკვიდრეს ბატონობა. საპაიჭაოს ცალკე „ქვეყნობა“ XVIII-ს 80-იანი წლების ერთი დოკუმენტიდანაც დასტურდება. დავით იმერთა მეფის 1785 წლის ერთ სიგელში, მეფე ბერი წულუკიძეს ბრალს დებს „ჩვენი ოჯახის სისხლით მოგებულს ქვეყანას საპაიჭაოს უკუუდგა“ (იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები 1784-1810 წ.წ. მ.ჩიჯავაძე).

სოფელ ყუმურის გზა საურმე იყო. სხვადასხვა კუთხიდან სურსათ-სანოვავით დატვირთული ხალხი, თუ დვალიშვილების სამკურნალო აბანოებზე მიმავალი დამსვენებლები, ღამის გასათევად ირჩევდნენ სოფლის ცენტრს, რომელსაც დუქნებსაც (სავაჭრო ცენტრი) უწოდებდნენ. აღსანიშნავია რომ ეს სახელწოდება სოფლის ცენტრს დღემდე შემორჩა. აქ განთავსებული იყო კერძო დასასვენებელი სახლები, თავლები და სხვა. აქვე იყო სასაუზმე „სირაჯხანა“. რომელიც იზიდავდა გამვლელებს განთქმული „ადესათი“ და „ალადასტურით“ და ე.წ. „ბაკალიები“ პირველადი მოხმარების საქონლით. დღემდე შემორჩა მახსოვრობას პარმენ და ბიქტორ ადგიშვილების, კოსტა გიორგაძის, ივანე ჭაფოძის, ნოე ზამთარაძის, ავაბო ჭაფოძის კერძო მაღაზიები.

ვის არ შეხვდებოდით ყუმურის ცენტრში, მეგრელებს, გურულებს, ახალციხელებს. ადგილობრივ მცხოვრებლებს გამოჰქონდათ გასაყიდად (ადგილზე მიტანითაც) ფიჭვის, წიფელას და მუხის ხისგან გახდილი ყავარი, რომელიც ფოთშიც კი ჩაქონდათ გასაყიდად. მზადდებოდა ნიგვზის მორები და კუნძები, რომელიც იტალიელებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მაღალი ურმებით გაჰქონდათ სადგურ სამტრედიის გავლით. ცნობილი მეხრეები იყვნენ: იუსტინე, აკაკი, ანაპოდისტე, ამბერკი, სერგო ადგიშვილები, გიორგი, ალექსანდრე გიორგაძეები და სხვა.

ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დამზადებული დამტვრეული თხილის გული გაქონდათ კულაშელ და ვანელ ებრაელებს. განთქმულნი იყვნენ მელვინეები: ლეონტი ადგიშვილი, მიხეილ მდევაძე, ბიქტორ ჭაფოძე და სხვები.

კარგი კლიმატური პირობები, ზღვისა და მთის ზომიერი ჰავა და ნაკლებად ქარიანი ზონა, მიმზიდველს ხდიდა ბარიდან მიგრირებული ხალხს დასახლებულიყო აღნიშნულ ტერიტორიაზე. ამჟამად აქ ცხოვრობენ ადგიშვილები (52,7%), გიორგაძეები 17,3%), თვალაბეიშვილები (14,5%), ჯულაყიძეები (6,9%) ბოლქვაძეები (3,8%), ბელთაძეები (2,8%), ქართველიშვილები, პაიჭაძეები, მაჭარაშვილები, ბედენაშვილები, მდევაძეები, ჭაფოძეები, ტრაპაიძეები, მინაშვილები, გერსამიები, ცხვარაძეები, ბიბილეიშვილები (სულ 8,9%).

1929 წლის სოფლის პირველი აღწერის მონაცემებით ყუმურის (საპაიჭაო) სასოფლო საბჭოში შედიოდა 10 სოფელი (უბანი) სადაც ცხოვრობდა 547 კომლი 2791 მაცხოვრებლით. მათ შორის:

მიქელეფონი	38 კომლი - 198 კაცი
დობირო	53 კომლი - 289 კაცი
მუქედ-კაკასუბანი	54 კომლი - 304 კაცი
ჭალა-სამზიარი	53 კომლი - 279 კაცი
შუა სოფელი	53 კომლი - 221 კაცი
მაისაური	91 კომლი - 431 კაცი
ვერხვანი	58 კომლი - 291 კაცი
ზედა დუცხუნი	45 კომლი - 248 კაცი

ქვედა დუცხუნი 62 კომლი - 320 კაცი  
 პატელესოული 35 კომლი - 212 კაცი  
 სულ 547 კომლი - 2791 კაცი

სწორედ ამ პერიოდში შეეცვალა სოფელს სახელი „საპაიჭაო“ და დაერქვა ყუმური“.

სოფელ ყუმურის ციხემ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა იმერეთის მეფის სოლომონ პირველის დროს. მან ციხის რესტავრაციასთვის მშენებლები და მეციხოვნეები ჩამოიყვანა სამცხე-ჯავახეთიდან. მეფის ბრძანებით ციხეს გაუკეთდა სათოფურები და საზარბაზნეები. შესაძლოა ამ პერიოდთან იყოს დაკავშირებული ადგიშვილების ერთი ნაწილის ჩამოსახლება სამცხე-ჯავახეთიდან როგორც მშენებლების და მეციხოვნეების. ადგიშვილების გვარი დიდი უპირატესობით სარგებლობდა როგორც მეფის კარზე, ისე ჩიჯავაძეთა სათავადოში. ისინი არასდროს ყოფილან ყმა-გლეხები.

ყუმურის ციხე აკონტროლებდა შემომავალ და გამავალ ყველა ბილიკს გაყიდული ტყვეების დასახსნელად. სოლომონ მეფემ ზემო იმერეთიდან სპეციალურად ჩამოსახლა რკინის მჭედლები (ბედენაშვილები და მაჭარაშვილები), უბოძა საცხოვრებელი ადგილები მდინარე ყუმურის მარცხენა მარჯვენა მხარეს. აქ იჭედებოდა ხმლები და სხვა საბრძოლო იარაღები. (ნაპოვნია ნახშირის წიღის ნარჩენები).

ბევრი გამორჩეული მეომარი აღუზრდია სოფელს: ბუკარია, ფილიმონ, ქაიხოსრო, როსტომ ადგიშვილები, ამირან, მიქელ გიორგაძეები, არსენ ჯულაყიძე, გრიგოლ ცხვარაძე, დავით თვალაბეიშვილი და სხვანი (1870 წელს დაბადებულ ბესარიონ გიორგაძის მონათხრობი).

განსაკუთრებით უნდა შევჩერდე ბუკარია ადგიშვილზე. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, მიუხედავად იმისა, რომ სოფელი დაცული იყო, მაინც ახერხებდნენ მოტაცებულ ტყვეთა გაყვანას იმ პერიოდში, როდესაც საქონელი საზაფხულო საძოვრებზე ყავდათ გაყვანილი და ოჯახით მთაში იხიზნებოდნენ. მოტაცებული ყმანვილები და ქალიშვილები ადიგენისა და ახალციხის გავლით გაყავდათ ოსმალეთში. სწორედ ასეთების ლახვარის ჩამცემი იყო მამაცი ბუკარია. აი როგორ აღწერს ბუკარიას ვაჟკაცობას ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი იური სიხარულიძე ნაშრომში „ფესვები“ {14}.

„ლამაზ მთაზე თუ გადამასწრეს, მერე ვილა დაიხსნის ტყვეებს?-ფიქრობს და ნაბიჯს ზომავს ბუკარია, მაგრამ გრძელი აღმართი უდევს წინ, ჩქარი სვლა ჭირს. როგორც იქნა მიაღწია ლამაზ მთას, სული მოითქვა, ოფლი მოიწმინდა და ყურთასმენა კენჭების ჩხრიალმა მიიპყრო.

აღბათ ისინი არიან, – გაუელვა აზრმა. მოხერხებული ადგილის ძებნა დაიწყო.

ცოტაც და გულდათუთქულ ტყვეთა ზღუქუნიც შემოესმა. ერთმა მამაკაცმა კი ხმამალლა ამოიოხრა „სად არის ახლა დალოცვილი ბუკარია, რომ ამათი სინსილა არ გაუშვას.

ბილიკზე ჯერ შეიარაღებული მენინავე გამოჩნდა. უკვე თავი სამშვიდობოზე ეგონა და სიფხიზლემოდუნებული დინჯად მოაბიჯებდა არყნალს. თავშეფარებულმა ბუკარიამ, მენინავე მშვიდად გაატარა, მერე ხელებშეკრულმა ტყვეებმა ვიშვიშით აიარეს. მათ იცოდნენ თუ ლამაზ მთას გადაცილდებოდნენ, უკვე მოუსავლეთის გზას დაადგებოდნენ და შავი ფიქრებით გულდამძიმებულები იმედგაცრუებული მიაბიჯებდნენ.

ბუკარიამ თოფი უკვე მოიმარჯვა და როცა ტყვეთა უკან მომავალი ბადრაგი გამოჩნდა, თოფიც გავარდა. „თათარი“ უსულგულოდ დაეცა. ტყვეები ახმაურდნენ, ხოლო შეშინებულმა აბრაგებმა გაქცევით სცადეს სამშვიდობოს გაღწევა.

ბუკარია კარგ ხანს მისდევდა მტერს თოფის სროლით. შემდეგ მობრუნდა, ხებორკილები ახსნა ტყვეებს და სოფლისაკენ წამოუძღვა. სოფელი გახარებული შეეგება თავის გმირს.

ვინ მოთვლის რამდენი ასეთი გამარჯვება უზიემია „საპაიჭოელ“ ბუკარია ადგიშვილს. მთელი ყუმურის ხობაში გამორჩეული ვაჟკაცი ბუკარია XVIII საუკუნის მიჯნაზე მშობლიურ მიწა-წყალზე გარეშე თუ შინაურ მეკობრეთა სულთამხუთავად და მშვიდობიანი მოსახლეობის სათაყვანო გმირად იქცა.

ბუკარია ადგიშვილის მამაცობის სახელი შორს გავარდა. „თათრებმა“, რომელიც ბუკარიას გამო ხელი ეშლებოდათ, გმირის მოკვლა გადაწყვიტეს. ერთ ღამეს მტრის რაზმი შეუმჩნევლად

თავს დაესხა ბუკარიას ოჯახს. ფაცხაში შემოჭრილი რამდენიმე მომხდურს ბუკარიამ ხელთ მოხვედრილი ნაჯახით ბოლო მოუღო, ხოლო შემდეგ ისე მარჯვედ გაიყვანა კუტი დედა და ოჯახის წევრები სახლიდან სამშვიდობოზე, რომ მომხდურებმა ვერც კი შეამჩნიეს.

მხოლოდ ამ ამბებით როდი ამოიწურება ბუკარია ადგიშვილის ვაჟკაცური მამაცობის ამბები“.

ყოფილა შემთხვევები, როცა ოსმალთა მიერ გატაცებული ტყვეები ბუკარიას რაზმელებს (ამირან გიორგაძე, არსენ ადგიშვილი, ივანე თვალაბეიშვილი, ზურაბ ჯულაყიძე, როსტომ ადგიშვილი, ბესარიონ ცხვარაძე, გიორგი ბოლქვაძე, დავით ბოლქვაძე და სხვები. დიდება მათ ხსოვნას) მთიანი აჭარის სოფლებიდან (ლორჯომი და ზოტი) ჩამოუყვანიათ და ოჯახებისათვის დაუბრუნებიათ. ხშირად მოსულან ზემო იმერეთიდან ბუკარიასთან დახმარებისათვის გატაცებული შვილებისა და დაძმების დასაბრუნებლად. ერთ-ერთი გატაცებული აქ გაუთხოვებიათ სოფელში და დღემდე ცხოვრობენ მათი ნაშვირნი.

ბუკარია ადგიშვილის ნაშვირად ითვლება (100 წლის ბესარიონ გიორგაძის და სხვათა მონათხრობით) გიორგი ადგიშვილი (მღვდელი), გიორგის ერთადერთ ვაჟიშვილს კომმანს (მღვდელი-გარდაიცვალა 1909 წელს) ყავდა 10 შვილი, რომლის შთამომავლები ცხოვრობდნენ სოფელში ვასილ ადგიშვილი (გარდაიცვალა) და ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში ბათუმში ლევანი, რევაზი, გიგა ადგიშვილები, თბილისში ნანი, რუსუდან და მარიჯან ადგიშვილები და ბევრი სხვა. ამ წიგნის – თ. ადგიშვილიც მისი შთამომავალია.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გიორგი ადგიშვილის ოთხი ქალიშვილთან ერთ-ერთი – მაკრინე ადგიშვილი გახლდათ დიდი გალაქტიონ ტაბიძის დედა.

როგორც ავღნიშნეთ, სოლომონ მეფემ ტახტზე ასვლის პირველივე დღიდან აკრძალა ტყვეთა ვაჭრობა. ბუკარია ადგიშვილის საგმირო საქმეების გაგების შემდეგ დაუბრუნებია მეფეს ბუკარია, შეუქია პატრიოტული საქმეები და ყუმურის ცენტრში უბოძებია მინები. გადმოცემით, ხრესილის ბრძოლებში ხლებია სოლომონ მეფეს ბუკარია თავისი რაზმით და იქაც ბევრი საგმირო საქმეები ჩაუდენიათ. ბრძოლის ველიდან ჩამოტანილი ნადავლი – ოსმალური იარაღები ინახებოდა გიორგი ადგიშვილის ოჯახში. 1972 წელს გაჩენილმა ხანძარმა გაანადგურა არა მარტო აღნიშნული, არამედ სხვა იშვიათი ნივთებიც და საეკლესიო თუ სამრევლო ხელნაწერები და წიგნები.

გადმოცემით, თავად ჩიჯავაძეებს სოლომონ მეფისგან დავალებული ჰქონდა ყუმურის ციხის და მეციხოვნეების მოვლა-პატრონობა. თვითონ მეფე ხშირად ნადირობდა და თევზაობდა მდინარე ყუმურში. მდინარის ერთ-ერთი შენაკადის 30 მეტრიანი ჩანჩქერის ძირში სპეციალურად მეფის საპატივცემულოდ გრანიტის ქვის მასივი ამოუკვეთიათ და საბანაო გაუკეთებიათ, სადაც ათ კაცს ერთდროულად შეუძლია იბანაოს. დღესაც სოფელში ამ ადგილს სოლომონ მეფის აბანაოს ეძახიან.

ციხისთავი ანუ მფლობელი იმუამად პაიჭაძეა საგულვებელი. რადგანაც ციხე „პაიჭაძის ციხედ“ იწოდება. აქვე უნდა აღინიშნოს პაიჭაძეთა ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელის ღვანლი იმერეთის სამეფოს წინაშე.

იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ მეორის მიერ 1801 წელს გაცემული სიგელის ძალით ცნობილი აზნაურის (სავარაუდოდ საპაიჭაოს ციხის უფროსის დავით პაიჭაძის შთამომავალს გიორგი პაიჭაძეს ქუთაისში ადგილი სამოსახლო ებოძა. ეს გიორგი პაიჭაძე ცნობილი ქართველი მესტამბე, იმერეთის სამეფოში წიგნის ბეჭდვის დამაარსებელია. მის წინაპარს, დიდ პაპას, საპაიჭაოს მკვიდრს თავი გამოუჩენია ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში. იმერთა მეფის ალექსანდრე V-ის გარდაცვალების შემდეგ (1750 წ) დავით პაიჭაძეს ცოლიშვილი საპაიჭაოდან ქართლში გაუხიზნავს. ამ დროს მომავალი მესტამბის გიორგი პაიჭაძის პაპა ასევე გიორგი პაიჭაძე 10 წლის ყოფილა. ქართლში დაბადებულან თვით მესტამბე გიორგიც და მამამისი დავითიც. გიორგი პაიჭაძე ქართლში დაოჯახებულა და 5 შვილი შესძენია. მას განათლება თბილისში ანტონ კათალიკოსის სკოლაში მიუღია. წიგნის ბეჭდვა მას ერეკლე მეორის სტამბაში შეუსწავლია და იქ 20 წელი უმუშავია.

იმერეთის მეფის სოლომონ მეორის დავალებით გიორგი პაიჭაძეს ქუთაისში სტამბის მოწყობა დაუწყია და მეფის დავალებით სტამბისათვის საჭირო დანადგარების შესაძენად ის მოსკოვს გამგზავრებულია. 1800 წლის ბოლოს ქუთაისის სტამბა ფუნქციონირებს და იქ 1801 წ. 25 აპრილს უკვე დაიბეჭდა „დავითნი“. აქედან იწყება დასავლეთ საქართველოში ნიგნის ბეჭდვა [14]. 1803 წ. გ. პაიჭაძის ხელმძღვანელობით იბეჭდება „სახარება ვნების კვირიაკისა“ და სხვა ნიგნები. ამის შემდეგ 1805–1808 წლებში ის მოსკოვის ქართულ სტამბაში მოღვაწეობს, შემდეგ სანკტ-პეტერბურგში და 1810 წ. ისევ ბრუნდება საქართველოში, თბილისში და რუსეთის ომპერატორის ალექსანდრეს ნებართვით ხელმძღვანელობს სტამბის დაარსების საქმეს. ამ პერიოდში მას ურთიერთობა აქვს ცნობილ ქართველ მოღვაწეებთან ს. დოდაშვილთან, ი. ხელმვილთან და სხვებთან. გარდაიცვალა 1831 წ.

სოფელ ყუმურის და ჩოხატაურის რაიონის სოფელ სურების მცხოვრებთ დავა ქონდათ შავშაკისა და გაღმა შავშაკის ფართობებზე, ე.წ. „ცხენის ზურგას“ სათეს ადგილებზე. დავა გამწვავდა და ერთ-ერთი შეტაკების დროს მოკლული იქნა სურებელი ბერიშვილი და დაიჭრა საპაიჭოელი ბარნაბა თვალაბეიშვილი.

დაძაბულობის განმუხტვის მიზნით სოფლის მამასახლისმა ივანე ადვიშვილმა, რომელიც ჭკვიანი და წინდახედული პიროვნება იყო, მიმართა ქუთაისის მაზრის უფროსს. შეხვედრა გაიმართა იმერეთისა და გურიის საზღვარზე. თითქოს დაადგინეს საზღვარი მდინარე სუფსაზე, მაგრამ დაძაბულობა მაინც არ შენელებულა. ყუმურის მოსახლეობამ მიმართა ქუთაისის მაზრის გუბერნატორს. მთელი სოფელი შეეგება გუბერნატორს, ქუთაისის მაზრის უფროსს და საჩინოს თავად გიორგი ჩიჯავაძეს. შავშაკისაკენ მგზავრობისას შეჩერებულან ვაკე-სამზიარს, ივლიანე გიორგაძის ოჯახში, რომელსაც ცოლად ყავდა გურული ქრისტიანე თევზაძე, რომელიც კეთილი, ზრდილი და კარგი მეოჯახე ყოფილა. იგი მცდელობას არ იშურებდა თურმე გურულებისა და იმერლების შესარიგებლად. სტუმრობისას, გუბერნატორს მოწონებია განთქმული სამზიარის ადესას ღვინო და უთქვამს ფრანგულ წითელ ღვინოს ჩამოგავს თუ უკეთესი არ არისო. წყაროს სერზე ასული გუბერნატორი წამოწოლილა და ღრმად ისუნთქავდაო სუფთა ჰაერს.

დავა დროებით შეჩერებულა, მაგრამ რევოლუციის შემდეგ ისევ გამწვავებულა მანამ, სანამ ფილიპე მახარაძე არ მოიყვანეს, რომელმაც საბოლოოდ დაუსვა წერტილი დავას.

ქუთაისის გუბერნატორი კიდევ ერთხელ წვევია სოფელ ყუმურს, მაგრამ ამჟამად ჭირის დღეზე. მიუხედავად იმისა, რომ მეფის რუსეთს ერთი საუკუნის განმავლობაში საქართველოდან სამხედრო სამსახურში ახალგაზრდები არ უნდა გაეწვია, საქართველოში სამეფოების გაუქმების შემდეგ ეგ ხელშეკრულებაც გაუქმდა. შეიქმნა გუბერნიები. სადაც ყოველწლიურად იმათ ოჯახებზე ვისაც სამზე მეტი შვილი ყავდა დაწესდა „კენჭის ამოღება“. პირველი კენჭის ამოღება შეეხო იმ პირებს, რომლებიც 1870 წელს შემდეგ იყო დაბადებული. ეს შეეხო სოფრომ ადვიშვილის ოჯახს, რომელსაც 5 ვაჟი ყავდა. კენჭით ჯარში წასვლა უფროს შვილს შეეხო, რომელსაც სამი შვილი ყავდა. უცოლშვილო ნაბოლარა შვილმა ვენედიქტე ადვიშვილმა გადაწყვიტა უფროსი ძმის მაგივრად სამხედრო სამსახურში წასვლა. სოფლიდან იგი იყო პირველი, ვინც რუსის ფარაჯა ჩაიცვა. ვენედიქტეს ოდესაში, პოლტავაში, შორეულ აღმოსავლეთში სამსახურის შემდეგ მონაწილეობა მიუღია რუსეთ-იაპონიის ომში და ოქროს ჯვრის კავალერი გამხდარა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს ხელჩართულ შეტაკებაში დაღუპულა. სოფლის გამორჩეულ ადამიანთა დელეგაციას ქუთაისის გუბერნატორისთვის უთხოვია შუამდგომლობა საქართველოს მთავარსარდალთან და შესაბამისად იმპერატორთან. მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა, ვენედიქტე ადვიშვილის ცხედარი „ცინკის“ კუბოთი ჩამოასვენეს სამტრედიის რკინიგზის სადგურზე და ჭყვიმის ბორანის გავლით დაკრძალეს სოფლის წმინდა გიორგის სასაფლაოზე. დაკრძალვას, უამრავ ხალხთან ერთად, თურმე გუბერნატორიც კი ესწრებოდა. აქაც პირველი იყო ვენედიქტე ადვიშვილი, რომლის ცხედარიც ბრძოლის ველიდან ჩამოასვენეს.

მე-19 საუკუნის მიწურულსა და ხხ საუკუნის დასაწყისში საქართველოში დაწყებულ რევოლუციურ საქმიანობას სოფლის მცხოვრებლების ნაწილმაც აუბა მხარი.

**მეცნიერ-ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე**

(ამირან ნიკოლეიშვილი)

**წინათქმა:**

XXI საუკუნის მეორე ათეულში, სამწუხაროდ, რამდენიმე თვალსაჩინო ქართველი მამულიშვილი, მწერალი და მეცნიერი, მიზეზთა გამო ტოვებს ამქვეყნიური ცხოვრების სარბიელს და მარადისობის მკვიდრი ხდება. მათ უხდებათ გადანაცვლება, ხატოვნად რომ ვთქვათ, მეორე დიდ მიწისქვეშა საქართველოში, სადაც ადრე წასული ქართველები განისვენებენ. არც ისაა შემთხვევითი ერთმა ქართველმა პოეტმა რომ თქვა: „იქ უფრო დიდი საქართველოა და უფრო დიდი გული ქართული“.

ჩემი უმცროსი კოლეგისა და მეგობრის, ამირან ნიკოლეიშვილისათვის მართლაც ნაადრევია იმიერში გადანაცვლება, მაგრამ რას იზამ, ვერას გახდება, გარდაუვალი აუცილებლობაა, ბრძენი შოთას თქმით „განგებასა ვერავინ შეცვლის, ძე ხორციელს არვის ძალუძს განგებისა გარდავლენა“. ის რამდენიმე ქართველი, რომელიც ახლახან გამოეცალა ქართული კულტურის მოღვაწეთა რიგებს, ნიგნში წარმოგვიდგებიან ერთი რუბრიკის ქვეშ: „საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“, რომლის ავტორი გამოჩენილი პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანიც იქნება უმცროს კოლეგათა გვერდით. სწორედ, ამ პერიოდში განერიდნენ ამ წუთისოფელს მწერალი და მეცნიერი, პროფესორი – იური ბიბილეიშვილი; მეცნიერ-პედაგოგი და ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი – ქეთევან დეკანოზიშვილი; ცნობილი მხატვარი, ხელოვანი და საზოგადო მოღვაწე – ოთარ ქანდარია; მეცნიერ-ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი – ამირან ნიკოლეიშვილი; ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე – გიორგი შავგულიძე. ვფიქრობ, ჯეროვნად უნდა დაფასდეს ამ ღირსეულ ქართველთა ამაგი და დამსახურება ქართული კულტურის ისტორიაში.

\* \* \*

ახლა მე, უხუცესი კაცი იძულებული ვარ მოსაგონარი დავწერო ჩემი უფროსი შვილის ტოლა ადამიანზე, უმცროს კოლეგასა და მეგობარზე, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეზე, ახლო მეზობლად რომ ცხოვრობდა და ბავშვობიდანაც ვიცნობდი.

ვანი, როგორც ცნობილია, ანტიკური კულტურის ცენტრია და ბლომად ჰყავს სახელოვან მამულიშვილთა და მოღვაწეთა მთელი პლეადა, საერთოდ კულტურის სხვადასხვა დარგის დიდი, თვალსაჩინო ფიგურა. საკმარისია დავასახლო ჩემი ადრინდელი წიგნიდან („გალაკტიონოლოგიური ეტიუდები, ჩვენებურები“, 1997 წ.), რომელშიც წარმოდგენილი არიან გენიოსი ბიძაშვილების, გალაკტიონისა და ტიცციანის გარდა ისეთი ისტორიული პიროვნებანი, როგორებიც იყვნენ – კირილე ლორთქიფანიძე, კორნელი კეკელიძე, სერგი ამალღობელი, ანდრია სინაური, კოლაუ ნადირაძე, ლადო ბზვანელი, ნიკა აგიაშვილი და ა. შ.

მე და ჩემს უმცროს კოლეგას ამირან ოთარის ძე ნიკოლეიშვილს გვეამაყებოდა, რომ გენიოსი გალაკტიონი და ტიცციანი ჩვენი რაიონის მკვიდრნი იყვნენ და ამშვენებდნენ უძველესი ქართული კულტურის დიდ მოღვაწეთა თანავარსკვლავედს...

\* \* \*

ამირანის მშობლიური სოფელი ზედაგორა ჩემი სოფლის ფერეთას მოსაზღვრეა, რადაც ორი ნაბიჯია მათ შორის და ამდენად შესაძლებელი იყო ის, რომ რვანლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლობს და ამთავრებს ფერეთის საშუალო სკოლას. ამ კონტექსტში ასოციაციურად მახსენდება ყოფილი ნორჩი შემოქმედის ლერი იაშვილის ლექსი „მომავალ თაობას“, რომელშიც იგი წარმოგვიდგენს სამნაირად გორას, მისივე თქმით:

„ზევით გორა – ზედა გორა,  
ცოტა ქვევით – ქვედა გორა,  
იმათ შორის ფერეთისპირს,  
სახელი აქვს შუა გორა“.

და ამის მერე გრძელდება დავაკება – იწყება მოზრდილი სოფელი ზეინდარი, რომელიც იმხანად მთისძირა პატარა სოფლებისთვის გამაერთიანებელ ცენტრს წარმოადგენდა.

შეიძლება ისიც ითქვას, რომ სამივე გორადან საკმაოდ ბლომად არიან საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი.

### ბიოგრაფიული ცხოვრების ქარგა

როგორც ზემოთ ითქვა, ამირანის დაბადების ადგილი სოფელი ზედაგორაა, დაიბადა 1952 წელს, საშუალო განათლება მიიღო სოფელში, ხოლო უმაღლესი განათლების მისაღებად ჩამოვიდა ქალაქ ქუთაისში და 1969 წელს ჩაირიცხა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ იქვე დატოვეს სამუშაოდ. 1974-1975 წლებში სავალდებულო სამსახურშია, რომლის გავლის შემდეგ კვლავ ბრუნდება პედაგოგიურ უნივერსიტეტში სამუშაოდ. 1975 წლის სექტემბრიდან იგი მუშაობას იწყებს ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ჯერ სასწავლო კაბინეტის გამგედ, ხოლო მალე ინიშნება უფროს მასწავლებლად. მომდევნო ორი წელი (1977-1978 ) მან სტაჟირება გაიარა ქალაქ როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1981 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას და მიენიჭა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, მალე არჩეულ იქნა დოცენტად. ამავე წლიდან ამირან ნიკოლეიშვილი დაინიშნა ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, ხოლო 1983 წლიდან უკვე კათედრის გამგეა.

1977-1988 წლებში ამირანმა დაამთავრა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი, ხოლო 1990 წელს აირჩიეს ქუთაისის პოლიტექნიკური უნსტიტუტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანად, 1993 წელს ამირან ნიკოლეიშვილი ჰუმანიტარული საწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კათედრის გამგეა. აქ მან იმუშავა 2008 წლის სექტემბრამდე. 1991-1995 წლებში შეთავსებით ქუთაისის მერიისა და იმერეთის სამხარეო გაზეთის რედაქტორიც იყო.

ამირან ნიკოლეიშვილის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1999 წელი, მასში სადოქტორო დისერტაციის დაცვა, მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და არჩეულ იქნა პროფესორად. წარმატებული და მეტად ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობის გამო არჩეული იყო აკადემიკოსად, ასევე იყო აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ „გონის“ მთავარი რედაქტორი.

2000 წლის თებერვლიდან 2004 წლის ჩათვლით მუშაობდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილედ, დასავლეთ საქართველოს მთავარი სამმართველოს უფროსად.

აქ მუშაობის დროს მისი ინიციატივით პირველად მოხერხდა და ნორვეგიელთა დახმარებით ქუთაისში აფხაზეთიდან დევნილებისათვის აიგო 70 კაპიტალური სახლი, რომლებიც უფასოდ გადაეცათ მათ 500-500 კვ.მ. ეზოსთან ერთად.

როგორც ითქვა, ამირან ნიკოლეიშვილი ეწეოდა ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მრავალმხრივად და სხვადასხვა მიმართულებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ იგი სხვადასხვა დროს მონაწილეობდა მთელ რიგ ქვეყნებში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, მათ შორის, აზერბაიჯანში, ბულგარეთში, თურქეთში, რუსეთში, სომხეთსა და უკრაინაში. სამწუხაროდ, სიჭარმაგის ასაკსაც ვერ მიაღწია, ხატოვნად რომ ვთქვათ, ისე ადრე ესალამოვა და მალე გახდა მარადისობის მკვიდრი.

თანამდებობრივად რთული დატვირთვის მიუხედავად, იგი სამეცნიერო-პუბლიცისტურ საქმიანობასაც ეწეოდა და ჩვენამდე მოსული ინფორმაციით არის ასამდე პუბლიკაციის ავტორი, რომელთაგან 15-მდე ცალკე წიგნადაა გამოცემული ქართულ და რუსულ ენებზე.

ინტენსიური მეცნიერული კვლევა-ძიებით განსაკუთრებით გამორჩეულია მისი ცხოვრების ბოლო ათწლეული – ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში მოღვაწეობის წლები.

\* \* \*

მიუხედავად რთულ და პასუხსაგებ თანამდებობათა ხშირად მონაცვლეობისა, პროფესორი ამირან ნიკოლეიშვილი ინტენსიურად განაგრძობდა სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას, როგორც მისი წიგნებისა და ნაშრომების ბიბლიოგრაფიული ნუსხა ცხადჰყოფს, შრომების უმეტესობის პრობლემატიკას შეადგენს კულტურის რიგი დარგების – განათლების, სიტყვაკაზმული მწერლობის, მეცნიერების აქტუალური საკითხები, კერძოდ, „კულტურა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წლებში)“, ასევე „განათლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“, „სახვითი ხელოვნება“, „კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა“, „სომხური კულტურა დემოკრატიულ რესპუბლიკაში“ და ა.შ.

ამჯერად, მე რამდენადმე ყურადღებას გავამახვილებ ჩემს ხელთ არსებულ მოზრდილ ნაშრომებზე „ქართული ლიტერატურა და აღმზრდელობითი როლი“, ასევე წიგნი „განათლება დემოკრატიულ რესპუბლიკაში“ (1918-1921 წლები - 2000 წ.).

შესავალში ავტორი ხაზგასმით მიუთითებს, რომ მხატვრული ლიტერატურის აღმზრდელობითი როლი დიდი და მნიშვნელოვანია, თაობის აღზრდა მაღალი ზნეობრივი იდეალებისა და მოთხოვნების შესატყვისად, ჩაუნერგოს მომავალ თაობას იმედი და ოპტიმიზმი სამერმისო ცხოვრებისა და შემოქმედებითი საქმიანობისათვის. ავტორი ასახელებს ამ წიგნის რედაქტორს აკაკი ირემაძეს და რეცენზენტ სიმონ არველაძეს, მაღლობას უცხადებს მათ წიგნის გამოცემის საქმეში შემოქმედებითი თანადგომისათვის. ასევე ვრცელ გამოკვლევას წარმოადგენს წიგნი „განათლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“ (2000 წ. რედაქტორი ვახტანგ გურული, რეცენზენტი გიორგი ფოფხაძე). როგორც შესავალშია ხაზგასმული წიგნი ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევაა. პროფესორი ამირან ნიკოლეიშვილი ანალიტიკურად წარმოადგენს ამ ურთულესი პრობლემის ყველა ასპექტს, ხაზგასმულია ისიც, რომ ახლადშექმნილმა განათლების სამინისტრომ ძძიმე მემკვიდრეობა მიიღო, „განათლებას, ისედაც არასრულყოფილი სტრუქტურები, სულ დაშალეს ჯერ მსოფლიოს ომმა, მერე კი გაუთავებლად რევოლუციებმა და ბრძოლებმა, რომლებიც ამ დროს საქართველოში მიმდინარეობდა. მერე სჯა-ბაასი მიმდინარეობს, როგორც იქნა დაძლეული არსებული წინააღმდეგობანი და ა. შ.

ასე რომ, პროფესორი ამირან ნიკოლეიშვილი გრძნობს დაუშრეტელ ენერგიას და მას შემდეგ, რაც იგი სრულად განიტვირთა სასწავლო პროცესებისა და საზოგადოებრივი დავალებებისაგან.

ამის შემდეგ ამირან ნიკოლეიშვილმა მოღვაწეობა განაგრძო თვისებრივად სხვა სისტემაში, კერძოდ ვანის რაიონის „ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში“, ამიერიდან მან შესძლო ენერგიის კონცენტრირება მეცნიერული კვლევა-ძიების სფეროში და გამოაქვეყნა არაერთი სერიოზული ნაშრომი, ხოლო ამ კვლევის ცენტრმა, მისი გარდაცვალების შემდეგ გამოსცა ვრცელი გამოკვლევა წიგნად „ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან“, რაც მთავარია იგი თავს უყრის და ერთ სისტემაში აქცევს ადრეულ წლებში სხვადასხვა მეცნიერ-ისტორიკოსთა, ზოგადად კულტუროლოგთა ყველა ძირითად გამოკვლევას, რომლებიც ქართველთა წარმომავლობის საკითხებს ეხება. იგი ძველ ბერძენ და რომაელ სწავლულთა ჩანაწერებითა და ფუნდამენტური გამოცემით ადასტურებს ქართული ენისა და ქართველების განსაკუთრებულ როლს მსოფლიო ცივილიზაციაში.

\* \* \*

წინარე საუკუნის 90-იანი წლებიდან 2005 წლამდე ჩვენ ერთად ვმუშაობდით პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მერე აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი მაშინ კათედრის გამგე იყო და ახლო ურთიერთობაში ვიყავით.

ამირანი იყო კომუნიკაბელური, თბილი და თავაზიანი პიროვნება, უფროსი კოლეგებისადმი კარგი დამოკიდებულებით. არაერთხელ გამოხმაურებია ჩემს ახალ წიგნებს, საიუბილეოდაც პრესაში გამოუქვეყნებია თბილი მილოცვა-მისალმება, გავიხსენებ პროფესორ ნაზი ხელაია-სთან ერთად 80 წლის საიუბილეოდ მისალმებას, რომელიც მთავრდებოდა ლექსით „წიგნის რაინდი“.

2003 წელს, როდესაც ჩემი წიგნი „შორეული თავისიანები“ ხალხთა მეგობრობის პრემიით დაჯილდოვდა, გამოსვლის შესახებ 2005 წელს ჟურნალ „განთიადში“ (№ 1-2, 2005 წ.) დაბეჭდილ იქნა პროფესორ ამირან ნიკოლეიშვილის საკმაოდ სოლიდური სტატია-რეცენზია „სამოყვროდ, შორი გზიდან“, რომელშიც პირუთვნელად გაანალიზა და შეაფასა ნაშრომი. დასკვნით ნაწილში ხაზგასმულად თქვა: „იგი გამოკვლევა უფროა, ვიდრე ლიტერატურული ხასიათის კრებული და უპირველეს ყოვლისა მკითხველს ბევრ რამეზე დააფიქრებს ჩვენი როგორც წარსულის, ასევე თანამედროვეობის შესწავლით, ასევე თანამედროვეობის შესასწავლად და ქართული ფენომენის წარმოჩენასა და მოფერებისათვის“.

მოკრძალებით იმასაც დასძენს, რომ მისივე თქმით „ამ ქვეყნად უნაკლო თითქმის არაფერია და რა თქმა უნდა, მოკრიტიკე კაცი ხარვეზებს „შორეული თავისიანებსაც“ უპოვის, მაგრამ ჩემი მიზანი ნაკლის ძიება კი არ ყოფილა, არამედ მსურდა ამ საშურ პრობლემებზე გამემახვილებინა ყურადღება, რომელსაც ეს წიგნი ეძღვნება“...

რა თქმა უნდა, მეც არაერთხელ გამომითქვამს ჩემი პოზიტიური აზრი მის წიგნებზე, მაგრამ ამაზე საუბარს ამჯერად არ ვაპირებ.

\* \* \*

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ბოლო ათწლეული, როდესაც იგი სამუშაოდ გადადის ვანის კვლევის ცენტრში,

გაცილებით აძლიერებს მეცნიერულ საკვლევ საძიებო მოღვაწეობას და თვალსაჩინო შედეგებიც სახეზეა.

უმთავრესი შედეგი ისაა, რო სამწუხაროდ მისი გარდაცვალების შემდეგ ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევითი ცენტრის კოლეგათა ერთობლივი ძალისხმევით ცალკე წიგნად გამოიცა მისი მე-15 წიგნი „ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან“, სადაც ერთ სისტემაშია მოქცეული მეტად მრავალფეროვანი მასალა, რომელიც ეხება ქართველთა წარმომავლობის ურთულეს პრობლემას.

უახლოესი კოლეგების აღიარებით ამირანი გულისტკივილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ქართველი ფილოლოგები და ისტორიკოსები ჩვენი დამწერლობის წარმოშობის პერიოდად მე-5 საუკუნეს ასახელებენ და ფიქრობს, რომ ქართული ფესვები ჩვენს წელთაღრიცხვამდე ეპოქებშია საძიებელი. იგი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ქართველებს ბიბლიამდეც ჰქონიათ წიგნები, ასახელებს კიდევც („ტაბუ“, „ოქროს საწმისი“, „იბერიული ტაბულა“ და ა. შ.). რაოდენ დასანანია, რომ არ დასცალდა თავისი ჰიპოთეკური დღეებისათვის ხორცი შეესხა.

მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ ჯეროვნად დაფასდეს უახლოესი კოლეგებისა და მეგობრების ქველმოქმედებითი და სარედაქტორო საბჭოს შემადგენლობის ერთობლივი თანადგომა და მხარდაჭერა (კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, კრებულ „მატიანეს“ მთავარი რედაქტორი ომარ კაპანაძე, წიგნის რედაქტორი ისიდორე ჯანელიძე, რეცენზენტი თენგიზ გუმბერიძე, მატერული რედაქტორი აკაკი თევზაძე).

### **აქვე გთავაზობთ წიგნის რედაქტორისა და რეცენზენტის პუბლიკაციებიდან ორ ფრაგმენტს**

#### **პირველი ფრაგმენტი**

როგორც ამ წიგნის რედაქტორი აბსოლიტურად დარწმუნებული ვარ ბატონმა ამირანმა სუფთა მეცნიერული სინდისით, ნამდვილი მეცნიერისათვის შესაფერისი და საკადრისი სიზუსტით, უფრო სწორი თქმა იქნება, შესაშური სიძუნითაც გაგვაკვირვა მაშინ, როდესაც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ოთხი ათეული წლის მანძილზე განეული მისი კვ-



ლევან-ძიებით, მოღვაწეობით დაგვირგვინებული მეცნიერული ნაშრომის, რომლის საერთო სა-  
თაურია, „ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან“ მომზადება-გამოცემით თავისი წონადი  
წვლილი შეიტანა თანამედროვე დიდი ქართველოლოგიური მეცნიერების გამდიდრებაში“.

*ისიდორე ჯანელიძე*  
*ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,*  
*პროფესორი, აკადემიკოსი*

### **მეორე ფრაგმენტი**

წინამდებარე ნაშრომი, რომლის ავტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან  
ნიკოლეიშვილია, მოიცავს სამ ძირითად ნაწილს, რომლებიც ერთმანეთისაგან ქრონოლოგიუ-  
რად დაშორებული ორ ეპოქას ეხება, წიგნის პირველი ნაწილი, რომლის თემაა „ქართველთა  
წარმომავლობის სათავეებთან“ თავს უყრის და ერთიან სისტემაში აქცევს სხვადასხვა დროსა  
და ეროვნების მეცნიერ-ისტორიკოსთა და კულტუროლოგია ყველა იმ გამოკვლევას, როლებიც  
ქართველთა წარმომავლობას ეხება კომენტარები და დასკვნები, რომელთაც გვთავაზოს წიგ-  
ნის ავტორი, მის დამოუკიდებელ და ორიგინალურ, მაღალ მეცნიერულ ხედვებზე მეტყველებს.

*თენგიზ გუმბერიძე*  
*ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი.*

\* \* \*

და ბოლოს რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ამირან ნიკოლეიშვილი ამ წიგნს უძღვნის მის  
ღირსეულ მეუღლეს ქალბატონ ციცილო ჟორჯოლიანს, რომლის წვლილი განუზომელია მის  
ქალაქზე გადატანით.

მაგრამ დასანანი და გულდასაწყვეტი უპირველეს ყოვლისა ისაა, რომ სიყვარულით  
შეუღლებულმა წყვილმა ერთად შექმნეს კარგი ქართული ოჯახი, აღზარდეს და დააკვალ-  
იანეს შვილები და ახლა მოულოდნელად შეწყდა მათი ერთობლივი ძალისხმევა და მოღვაწეობა  
ოჯახსა და შვილებზე... ამირანის გამოსვენების დღე ყველასათვის იყო მძიმე და აუტანელი,  
ინსულტით დაავადებული კაცი ძლივს მივედი ორი ჯოხით, ჩემთვის მეტად ძნელი იყო როგორ  
მენუგეშებინა უხუცესი დედა, ასეთი ვაჟკაცი შვილი რომ დაკარგა, ასევე გამიჭირდა რაიმე  
სანუგეშო სიტყვა მეთქვა ქალბატონი ციცილოსათვის, ამიერიდან სამუდამოდ რომ ემშვიდობე-  
ბოდა ძვირფას მეუღლეს და სამერმისოდ მარტოდმარტოს უწევდა ფიქრი და ზრუნვა ოჯახსა  
და შვილების მომავალზე.

თავად ცხონებული ამირანი, ისე უჭირდა, უთუოდ წინასწარ გრძნობდა, მისივე აღიარებით  
– „ეტყობა ამქვეყნიური მისიის ფინალს ვუახლოვდებიო“.

და მოხდა რაც გარდაუვალი აუცილებლობაა, „ძე ხორციელს არ ძალუძს განგებისა გარ-  
დავლენა“, უკან დარჩა მისი სახელოვნად განვლილი ცხოვრების გზა, ხოლო წინ... მხოლოდ  
ხსოვნა და მარადისობა!

## ამირან ნიკოლეიშვილი – ჭაშმარიტი მამულიშვილი

რაოდენ გულსატკეპნია, რომ ნაადრევად შეწყდა სახელოვანი ვანელი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თხემით ტერფამდე ჭეშმარიტი ქართველის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ამირან ნიკოლეიშვილის მაჯისცემა. რასაკვირველია, მან ბოლომდე ვერ შესძლო მრავალი ჩანაფიქრის განხორციელება, მაგრამ ის, რაც დაგვიტოვა ქართული ისტორიოგრაფიის უდუდეცი შენაძენია.

მისი ღრმად მეცნიერული გამოკვლევა „ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან“ ნამდვილად თავის წონად სიტყვას ამბობს ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში. ამ ნაშრომში ქართულ და უცხოურ ისტორიულ თუ სხვა სახის წყაროებზე დაყრდნობით საფუძვლიანადაა გამოკვლეული და გაანალიზებული წინარექართველთა (პროტოიბერთა) როლი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესში, რომელიც უძველესია და ათასწლეულებს მოითვლის. დღევანდელი შეფასებით პროტოქართული მოდგმის ხალხთა რაოდენობა ასამდე აღწევს. ამათგან ბევრის შესახებ საკმარისი წყარო და მონაცემია დაგროვებული, ხოლო გარკვეულ ნაწილზე არსებული მასალა იმდენად მწირია, რომ პრობლემა თითქმის თავიდან არის გადასაჭრელი.

ბატონი ამირანი თავის დროზე აყენებდა საკითხს (და აუცილებლად აქტუალურია დღესაც), რომ ამ მიმართულებით მომავალ კვლევებს უნდა მიეცეს ორგანიზებული სახე, ან მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კერძოდ, უნდა ჩამოყალიბდეს სპეციალური სამეცნიერო ცენტრი, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლის პროტოქართული მოდგმის ხალხების ისტორიას, ენებს, ეთნოლოგიას, განსახლების არეალს, წარმომავლობას, ანთროპოლოგიას და ყველაფერს იმას, რაც დაადასტურებდა მათ კავშირს ქართულ და ზოგად იბერიულ-კავკასიურ სამყაროსთან.

რა თქმა უნდა, ეს ჩვენ, ქართველებმა უნდა გავაკეთოთ, რადგან მას ამერიკელი, ევროპელი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა არ გააკეთებს (თუ გააკეთებს თავის სასარგებლოდ), ამერიკელი და ევროპელი (ზოგიერთი და არა ყველა) მეცნიერები იმიტომ არ გააკეთებენ, რომ ისინი არ მოისურვებენ ჩვენი უძველესი ისტორიისა და წარსულის ფონზე თავიანთ უწარსულობას გაუსვან ხაზი. სომეხი, აზერბაიჯანელი და რუსი ამას იმიტომ არ გააკეთებენ, რომ მათ თვითონ აქვთ ამბიცია ყველაფერი მიისაკუთრონ და საკუთრებად გამოაცხადონ. ასევე არ გააკეთებს ამას სხვა ერებიც და თუ გააკეთებენ საკუთარ „მეს“ დააყენებენ პირველ ადგილზე და ობიექტურ სურათს გვერდს აუვლიან.

ამიტომ, ეს საშვილიშვილი ეროვნული საქმე ჩვენ, ქართველებმა უნდა დავინყოთ და საჭიროების შემთხვევაში სხვა ერების წარმომადგენლები უნდა მოვიხმაროთ, რასაკვირველია, მათი მეცნიერული ინტერესების გათვალისწინებით.

მომავალ ცენტრს ერთი მოკრძალებული მიზანიც ექნება. მან მკითხველს უნდა გააცნოს მსოფლიო და ქართული სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების თუნდაც ის მცირე ნაწილი, რომელიც ჩვენს უძველეს წარსულს ეხება და შეძლებისამებრ დასვას ის კითხვები და აქცენტები, რაც ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია და ამით ხელი შევუწყობთ ამირან ნიკოლეიშვილის მსგავსი ახალგაზრდა თაობის მეცნიერულად აღზრდის საქმეს. ისინი უამრავჯერ კიდევ გაუშიფრავ ტექსტებს წაიკითხავენ და მათი აღმოჩენებით ხელს შეუწყობენ არამარტო ჩვენი, ქართველების, შორეული წინაპრების, არამედ მსოფლიოს სხვა უძველესი ერების ისტორიის შესწავლას.

\* \* \*

ვანის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე გოგორიშვილი**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ლილუაშვილი**

თანაგრძნობას უცხადებენ სახელოვან თანამემამულეს, ცნობილ ფილოსოფოსს, პროფესორს, ბატონ სიმონ არველაძეს, მეუღლის მარიამ ხვედელიძის გარდაცვალების გამო.

\* \* \*

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“, კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგია თანაგრძნობას უცხადებს ქართული „მეცნიერების ბერძენულ-სა“, ცნობილ ფილოსოფოსს, პროფესორს, ბატონ სიმონ არველაძეს მეუღლის მარიამ ხვედელიძის გარდაცვალების გამო.

დიდია ქალბატონ მარი ხვედელიძის დამსახურება ახალი თაობების სრულფასოვანი, ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. სიბრძნით მორჭმული, დამსახურებული პედაგოგი წლების მანძილზე მუშაობდა ქუთაისის 31-ე საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, პარალელურად ემსახურებოდა ქუთაისი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ნორჩ შემოქმედთა, ნორჩ ლიტერატორთა დაკვალიანებასა და დაფრთიანებას, მათ წარმოჩენას.

დიდებულად აქვს ნათქვამი თვალსაჩინო პოეტს ბატონ ზურაბ კუხიანიძეს ქალბატონ მარის ერთ-ერთ საიუბილეო საღამოზე: „გმოსავს სიკეთის შარავანდედი, დრომ და ღრუბელმა რომ ვერ დაფლითა, ვინ მოთვლის ქვეყნად ბავშვი რამდენი, გადმოფრენილა შენი კალთიდან. გადმოფრენილან, თან წაუღიათ შენი სითბო და გულის ალერსი, დღეს საქართველოს ამშვენებს მათი კარგი მოთხრობა, სიტყვა და ლექსი.“

\* \* \*

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრისა“ და კრებულ „მატიანეს“ რედაქციისაგან

ვანელ მედიცინის მუშაკთა სახელოვან პლეადას მოულოდნელად გამოაკლდა ცნობილი ექიმი-თერაპევტი, მეტად ღირსეული და დიდებული ადამიანი, რჩეულთა შორის რჩეული კაცი, ბატონი **მურთაზ ივანიაძე**.

მისი ღრმა შინაარსიანი წერილები პერიოდულად იბეჭდებოდა „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეში“.

საოცარი ბუნების ადამიანი იყო, უაღრესად თბილი, მეგობრული, გონებამახვილი. განა მართო წამლით – სიტყვითაც ჰკურნავდა სნეულს, სიცოცხლის რწმენითა და იმედით ალავსებდა.

„კვლევის ცენტრის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მურთაზ ივანიაძის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“

### **მადლობას უხდის:**

– ვანის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ალექსანდრე გოგორიშვილს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე ლილუაშვილს „მატიანეს“ მე-13 ნომრის გამოცემაზე დახმარებისა და გვერდით დგომისათვის.

- „მატიანეში“ გამოქვეყნებული ყველა სტატიის, კვლევისა და წერილის ავტორს.
- „კვლევის ცენტრის“ მეცნიერ-კონსულტანტებს გვერდით დგომისა და დახმარებისათვის.
- ვანის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს. სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრს.
- მადლობას ვუხდით „მბმ პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობასა და მათ თანამშრომლებს „მატიანეს“ ხარისხიანად გამოცემისათვის.

---

**რედაქტორი – ომარ კაპანაძე** (კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი)

### **სარედაქციო კოლეჯია:**

- გურამ ყიფიანი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.
- თეიმურაზ სურგულაძე** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების უფროსი.
- ავთანდილ ნიკოლეიშვილი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი.
- თეიმურაზ ადეიშვილი** – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე აკადემიის დასავლეთ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე.
- ომარ ძაგნიძე** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
- უჩა დვალიშვილი** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
- ლუკა დვალიშვილი** – ასოცირებული პროფესორი. ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.
- ომარ გაბუნია** – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი.

პასუხისმგებელი მდივნები: **აკაკი თევზაძე, თამილა მჟავანაძე**

კორექტორები: **ბელა ცაბაძე, ინდირა გოგოძე**

კომპიუტერული ვერსია – **ბელა ცაბაძე**

**რედაქტორ-გამომცემელი – ბეჟან ნაქაძე**  
**ზაურ თათვიძე**

„მატიანეს“ გარე ყდაზე – ვანის ნაქალაქარის კარიბჭე

ფოტოილუსტრაცია – **სალომე ტოხვაძე**

**კრებულში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი**  
**კრებული გამოდის 2014 წლის ბოლოდან**



დაკაბადონდა და დაიბეჭდა  
შპს „მბმ-პოლიგრაფის“ მიერ  
ქ. ქუთაისი, წერეთლის 186  
ტელ.: 0 431 23 45 54